

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY  
FACULTY OF HUMANITIES  
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№12

2016

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)

ა-846

2015 წელს შესრულდა 135 წელი საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლის, ეროვნული და პოლიტიკური მოღვაწის, სახელგანთქმული პარფიუმერული ფირმა „პრინცი მაჩაბლის“ დამარსებლის გიორგი მაჩაბლის დაბადებიდან. საიუბილეო თარიღს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2015 წლის 12 ნოემბერს საერთაშორისო კონფერენცია მიეძღვნა. წინამდებარე კრებულში ამ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებებია დაბეჭდილი.

**მთავარი რედაქტორი:** ელდარ მამისთვალიშვილი

**ტიმის რედაქტორი:** ოთარ ჯანელიძე

**სარედაქციო კოლეგია:**

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

ლია მელიქიშვილი

აპოლონ სილაგაძე

გიორგი სოსიაშვილი

ნოდარ შენგელია

დავით ყოლბაია

**კორექტურა:** თამარ გოგოლაძე

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** გიორგი ყაზიშვილი

In 2015, the 135<sup>th</sup> Anniversary of Giorgi Machabeli, the fighter for the freedom of Georgia, national and political figure, the founder of the famous perfumery firm “Prince Machabeli”, was celebrated. On November 12, 2015 the Gori State Teaching University dedicated the International Conference to the anniversary. The papers are published in the present conference proceedings.

**Editor in Chief:** Eldar Mamistvalishvili

**Editor of the Volume:** Otar Janelidze

**Editorial Board:**

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Apolon Silagadze

Giorgi Sosiashvili

Nodar Shengelia

David Kolbaia

**Reviewer:** Tamar Gogoladze; Computer Services provided by Giorgi Kazishvili

ISSN 1512-4657

გამომცემლობა: „ჯეოპრინტი“

თბილისი 2016 წელი



გიორგი მანახელი

(1885-1935)

შინაარსი სტატიები  
CONTENTS Articles

გიორგი მაჩაბელი – 135  
George Machabeli – 135

- მურად მთვარელიძე* – მელიტონ ბარათაშვილიდან გიორგი მაჩაბლამდე 8  
*Murad Mtvarelidze* – FROM MELITON BARATASHVILI BEFORE GIORGI MACHABELI
- გიორგი სოსიაშვილი* – მაჩაბლების ბრძოლა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ (XIX საუკუნის I ნახევარი) 18  
*Giorgi Sosiashvili* – MACHABELIS STRUGGLE AGAINST TSARIST COLONIAL POLICY (IN THE 1<sup>ST</sup> HALF OF THE 19<sup>TH</sup> CENTURY)
- ლელა სარალიძე* – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისია კონსტანტინოპოლში და გიორგი მაჩაბელი 37  
*Lela Saralidze* – MISSION OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA IN CONSTANTINOPLE AND GEORGE MACHABELI
- მარიამ ხატიაშვილი* – „პრინცი მაჩაბელის“ სახელობის ჯილდოები ამერიკის შეერთებულ შტატებში 62  
*Mariam Khatishvili* – PRINCE MATCHABELLI AWARDS IN THE UNITED STATES

*ოთარ ჯანელიძე* – ქართული ემიგრაციის მემარჯვენე ფრთა 1921-1924 წლებში (გიორგი მაჩაბლის წერილების მიხედვით) 68

**Otar Janelidze** – RIGHT WING GEORGIAN EMIGRATION IN 1921-1924 (ACCORDING TO THE LETTERS BY GEORGE MACHABELI)

**საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიიდან  
From the History of the First Republic of Georgia**

*მიხეილ ბახტაძე* – პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია 93  
**Mikheil Bakhtadze** – COLONEL IRAKLI TSAGURIA

*გია გელაშვილი* – ზოგიერთი ცნობა საქართველოში გერმანული წარმომადგენლობის შესახებ 120  
**Gia Gelashvili** – SOME INFORMATION ABOUT GERMAN REPRESENTATION IN GEORGIA

*ავთანდილ ნიკოლეიშვილი* – 1918 წელს ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაცია და ქართველი მწერლები 130  
**Avtandil Nikoleishvili** – THE OCCUPATION OF BATUMI BY THE OTTOMANS IN 1918 AND THE GEORGIAN WRITERS

*დოდო ჭუმბურიძე* – აკაკი ჩხენკელის შეხვედრები გერმანელ დიპლომატებთან – მიულერთან, ბარენბერგ-გოსლართან და შტამერთან 1921 წლის მაის-ივნისში 149  
**Dodo Chumburidze** – AKAKI CHKHENKELI MEETINGS WITH GERMAN DIPLOMATS: MULLER, BANERBERG-GOSLAR AND STAMMER

გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრეობის კვლევასათვის  
**The Research of Grigol Robakidze's Heritage**

*ეთერ ჯავთარაძე* – გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული ცხოვრებიდან 166  
**Eter Kavtaradze** – FROM GRIGOL ROBAKIDZE'S LIFE IN EMIGRATION

*თამარ გოგოლაძე* – ქართველი მწერალი ევროპის სარბიელზე გრიგოლ რობაქიძის რამდენიმე პირადი წერილის მიხედვით 173  
**Tamar Gogoladze** – A GEORGIAN WRITER ON THE EUROPEAN WALK OF LIFE ACCORDING TO SOME LETTERS BY GRIGOL ROBAKIDZE

ქართული ემიგრაცია ევროპასა და ამერიკაში  
**Georgian Emigration in Europe and America**

*რუსუდან დაუშვილი* – საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი აშშ-ს კონგრესში 1920-იან წლებში 186  
**Rusudan Daushvili** – ISSUE OF GEORGIA'S INDEPENDENCE IN THE US CONGRESS IN 1920s

*ელდარ მამისტვალიშვილი* – საქართველოს ესპანეთთან და რომთან ურთიერთობის ისტორიიდან (XV ს. 90-იანი წლები) 203  
**Eldar Mamistvalishvili** – FROM THE HISTORY OF RELATIONS GEORGIA WITH SPAIN AND ROME (90s OF 15<sup>TH</sup> CENTURY)

*მარიამ მარჯვანიშვილი* – ნიკოლოზ-ჯანესი - ქართველი ემიგრანტი გერმანიიდან 216

***Mariam Marjanishvili*** – NIKOLOZ-JANES – A GEORGIAN  
EMMIGRANT FROM GERMANY

***მალხაზ მაცაბერიძე*** – ზურაბ ავალიშვილი „დიდი სივრცე-  
ების“ პოლიტიკის შესახებ 233

***Malkhaz Matsaberidze*** – ZURAB AVALISHVILI ON THE PO-  
LITICS OF “BIG SPACES”

***ოთარ ნიკოლეიშვილი*** – საქართველოს სამოციქულო ავტო-  
კეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ჩრდილოეთ ამერი-  
კის ეპარქია 241

***Otar Nikoleishvili*** – FROM THE HISTORY OF GEORGIAN  
APOSTOLIC AUTOCEPHALOUS ORTHODOX CHURCH, DI-  
OCESSE OF NORTH AMERICA

***პაატა ნაცვლიშვილი*** – კიდევ ერთი ქართველი ოფიცერი  
1912 წლის ოლიმპიადაზე 249

***Paata Natsvlishvili*** – ONE MORE GEORGIAN MILITARY  
OFFICER AT THE 1912 OLYMPIAD

***ნიკო ჯავახიშვილი*** – ქართული ემიგრაცია ლატვიაში (1921-  
1941 წლებში) 273

***Niko Javakhishvili*** – GEORGIAN EMIGRATION IN LATVIA  
(1921-1941)

***სოფიკო ჯერვალიძე*** – მეორე მსოფლიო ომი, ქართველი  
ტყვეები და ქართული ემიგრაცია (შოთა თარხნიშვილის ჩა-  
ნაწერების მიხედვით) 292

***Sofiko Jervalidze*** – SECOND WORLD WAR. GEORGIAN  
CAPTIVES AND GEORGIAN EMIGRATION (MEMOIRS OF  
SHOTA TARKHNISHVILI)

*მურად მთვარელიძე*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**მელიტონ ბარათაშვილიდან გიორგი მაჩაბლამდე**

1848 წლის 4 თებერვალს მელიტონ ბარათაშვილის ოჯახს კიდევ ერთი უბედურება ეწვია. გარდაიცვალა მისი მეუღლე ეფემია ორბელიანი.

გრიგოლ ორბელიანმა თავისი დის სიკვდილის ამბავი მოგვიანებით შეიტყო. იმ ხანებში პოეტი-გენერალი ლეკების წინააღმდეგ იბრძოდა და მასთან თბილისის ამბები დაგვიანებით აღწევდა. იმავე წლის 7 მარტით დათარიღებულ ბარათში გრიგოლი თავის რძალს ქეთევანს ეკითხება: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! აქ ხმა გავარდა ვითომ საბრალო მაიკო (ორბელიანი, - მ. მ) გარდაიცვალა და ეგრეთვე ძალუა მანანაცა. თქვენ თვით იფიქრეთ, რა მწუხარებაში ვიქნები... ეფემიაც თურმე, ძალიან ავათ არის, ეს სწორედ იობის ღალადისია ჩვენზედ მოვლენილი“. 9 დეკემბრით დათარიღებულ ბარათში კი პოეტი იმავე ქეთევანს წერს: „ეფემიას ამბავი სრულებით არა ვიცი რა“. სხვა ბარათში, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი პოეტი რძალს ევედრება: „აქ ხან ეფემიას სიკვდილს ამბობენ, ხან მანანასი. სწორე კი ვერავისგან გამიგია თუ უბედურება რამე მოგვევლინა, მე რას მიმაღავთ?“

გრიგოლმა ჯერ კიდევ დის სიცოცხლეში დაიწყო ზრუნვა ეფემიას შვილის ბარბარეს დასაოჯახებლად. ხოლო მას შემდეგ, რაც დის სიკვდილის ამბავი გაიგო, რამაც მას



უმძიმესი დალი დაასვა, კიდევ უფრო აქტიურად დაიწყო ფიქრი ბარბარეს გათხოვებასთან დაკავშირებით. „ამასწინათ გათხოვე, ძალუავ, - წერს იგი ქეთევანს,- რომ ეგებ, ერთი კარგი სასიძო იშოვნოთ სადმე ბაბალებსთვის, რომლისთვისაც გადამიღვია ასი თუმანი მზითვად“.

1856 წლისთვის ბაბალებს საქმრო უკვე შერჩეულია და ახლობლები თანხმობას თხოვენ გრიგოლს, რაზედაც იმავე წლის 27 აგვისტოთი დათარიღებულ ბარათში ის პასუხობს: „ვეზიროვს ცოტად მეც ვიცნობ და როგორც მახსოვს, კარგი ყმაწვილი კაცია და ჭკვიანიცა. მე ჩემის მხრით მიკუთხებიან მაგისი გვირგვინი“.

ცნობილი მკვლევარი იაკობ ბალახაშვილი თავის წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ბარბარეს გათხოვების თარიღად მიიჩნევს 1852 წელს, რაც სწორი არ არის. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ყურადღებით წავიკითხავთ გრიგოლ ორბელიანის ბარათებს. ჩანს, ბარბარესა და დიმიტრი ვეზირიშვილის ქორწილი შედგა 1856 წლის 27 აგვისტოსა და 9 ნოემბერს შორის, რადგან ამ უკანასკნელი რიცხვით დათარიღებულ ბარათში გრიგოლი ქეთევანს წერს: „ბაბალებს დაქორწინება მეამა ძალიან, ღ-თმან მისცეს მას მშვიდობიანობით ცხოვრება! მგონია, ბაბალებს თავისი კეთილის ქცევით და გონებით შეაყვარებს თავსა თავის ქმარსა. ეს კეთილი საქმე შენა ჰქმენ, ჩემო საყვარელო ძალუავ და თუ ბაბალებს კარგი დედაკაცია, არ დაივიწყებს შენს დედობრივს სიყვარულსა და მზრუნველობას“.

1857 წელს ბაბალებსა და დიმიტრის შეემძინათ პირველი შვილი - ნინო. აქვე უნდა ვთქვათ, რომ მათ ჰყავდათ კიდევ ორი შვილი: ელისაბედი (ლიზა) (1861-1918 წწ.) და გიორგი (1864-1918 წწ.).

თავის დროზე პოეტმა-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა ბარბარესა და დიმიტრის შვილად მიიჩნია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე მიხეილ ვეზირიშვილი. პოეტის ეს მცდარი თვალსაზრისი უკრიტიკოდ მიიღო შემდგომი პერიოდის ყველა იმ მკვლევარმა, ვინც ამ თემას შეეხო.

რაკი ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენ სპეციალური წერილი მივუძღვევით მ. ვეზირიშვილის ვინაობის დადგენას,<sup>1</sup> აქ ამ თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. შევნიშნავთ მხოლოდ ერთს: მიხეილი იყო ვაჟი ასევე ცნობილი მოღვაწის ნიკოლოზ ვეზირიშვილისა, რომელიც საინტერესო ლექსებსა და თარგმანებს ბეჭდავდა „ივერიის“ ფურცლებზე.

1861 წლის ზამთარში ვეზირიშვილების სასახლეში, სოფელ ოსიაურში გარდაიცვალა მელიტონ ბარათაშვილი. თავისი ცხოვრების ბოლო ხანები მელიტონმა სწორედ ოსიაურში გაატარა. 1860 წლის 6 დეკემბრით დათარიღებულ ბარათში გრიგოლ ორბელიანი თავის რძალს ქეთევანს ეკითხება: „მელიტონი როგორ არის, თბილისისთვის ხომ არ ოხრავს?“

მელიტონის ნეშტი ოსიაურის მიწამ მიიბარა.

ვფიქრობ, ვეზირიშვილების ოჯახში ცოცხლობდა ხსოვნა ბარბარეს ნაადრევად დაღუპული ძმის ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ამ გარემოში იზრდებოდნენ ბარბარეს შვილები, რომელთაგან უფროსს ნინოს განგებამ არგუნა ერთდროულად ყოფილიყო ქართული მწერლობის ორი კლასიკოსის - ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვანო მაჩაბლის ახლობელი. ის ცოლად გაჰყვა ვანოს ძმას, დიდად განათლებულ მოღვაწეს და კეთილშობილ პიროვნებას ვასილ მაჩაბელს.

---

<sup>1</sup> გაზ. „ლიტერატურული სდაქართველო“, 2004 წ., 30 ივლისი-5 აგვისტო, №30.

ვასილმა და ნინომ ჩინებული ოჯახი შექმნეს. ეყოლათ ოთხი შვილი: გიორგი (1883-1935 წწ.) ნიკოლოზი (?-1921/22 წწ.), ილია (1891-1938 წწ.) და თამარი (?-1912 წ.).

თავისი ცხოვრებითა და განსაკუთრებით სიცოცხლის ფინალით ნინო ვეზირიშვილი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ალტრუისტ პიროვნებად, რომელმაც სხვისი გასაჭირი საკუთარ სიცოცხლეზე მალლა დააყენა.

ივანე მაჩაბლისადმი მიძღვნილ წიგნში ვახტანგ ჭელიძე წერს: „თამარაშენში რომ გაჩნდა ხოლერა პირველად, ვანო მაჩაბელი შინ არ იყო. საშინელმა პანიკამ მოიცვა მთელი სოფელი. ხალხი დატრიალდა. ზოგმა ურეში გააწყო, ზოგმა წინ გაირეკა ცოლ-შვილი და ზოგნი ხურჯინგადაკიდებულნი მთებისაკენ დაიძრნენ. ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ ახლა მეორე ოჯახში გაჩნდა ხოლერა. ავადმყოფები ღვთის ანაბარად მიაგდეს...

და აი აქ გამოამჟღავნა თავისი დიდი სათნოება და სიკეთე ვასილ მაჩაბლის მეუღლე. იგი არ დაიბნა, გაჩნდა თუ არა სოფელში ხოლერა, მაშინვე კაცი აფრინა ქმართან, ხოლო თვითონ არც კი დაფიქრებულა, ისე შევიდა ავადმყოფთან.

ორიოდე დღის განმავლობაში მთელ სოფელს მოედო სენი, მშველელი არსად არ ჩანს, არც ექიმია სადმე, არც წამალი. ხალხი რამდენიმე საათში იხოცებოდა. ნინო მაჩაბელს ვეღარ აკავებენ, გაიგონებს თუ არა კვნესას, მაშინვე ქონში შევარდება, ავადმყოფს დაუყვავებს, წყალს დააღვინებს, უშლიან, მაგრამ არ იშლის, გაჭირვებულებს რომ ხედავს, გული აღარ უთმენს.

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო და რისაც ასე ძალიან ეშინოდა ვასო მაჩაბელს... ნინოს ხოლერა შეეყარა და 12 საათში გაათავა“.<sup>1</sup>

როგორც ირკვევა, ვანო მაჩაბელი ვერ დაესწრო ნინოს დაკრძალვას. ის სამძიმრის წერილს უგზავნის თავის ძმას, რომელშიც გამოხატავს წუხილს ახლობელი ადამიანის გარდაცვალების გამო. ამასთან დაკავშირებით ვასილ მაჩაბელი ძმისადმი გავზავნილ საპასუხო ბარათში წერს: „ჩემო გულით საყვარელო ძმაო ვანო, თუმცა შენი ორი წერილის წაკითხვაში ბევრი ცრემლები მცვიოდა, მაგრამ მაინც ორივენი დიდი მანუგეშებელი იყვნენ ჩემი გულისათვის... რასაც წამს ხოლერა გაჩენილიყო თამარაშენში მაშინვე ვარიანში კაცი ეფრინა ჩემთან, მთხოვდა მყისვე მივშველებოდი სოფელს და სახლს და კარს. მაშინვე მივიჭერ. მართლაც ორი კაცი გამხდარიყო ხოლერით. მეორე დღესვე დავიბარეთ ხალხი, შევადგინეთ სანიტარნი კომისია, გავათავისუფლეთ მთელი სოფელი, თუმცა მომეტებული ნაწილი გახიზნულიყო, რასაც წამს შეეტყოთ ხოლერა გაჩნდაო. გუბერნატორსაც დეპეშა მივწერეთ ექიმისა და წამლებისათვის, რადგან ვერ წარმოიდგენ ამ მხრივ რა უპატრონოდ და უნუგეშოდ არის ჩვენი სოფლები დაგდებული. საწყალი ნინო ძალიან ცდილობდა ყველასათვის, ვინც გახდებოდა ავად, მაშინვე პატრონობა გაეწია... გული მიკვნესის და ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ მე ნინო აღარა მყავს“.

როგორც ვთქვით, ნინო ვეზირიშვილის თავგანწირვა გვაძლევს უფლებას, რომ ის მივიჩნიოთ ერთგვარ ზნეობრივ გმირად. ეს დიდბუნოვანი ქალი თავისი ცხოვრების მაგალითით ღირსეულად დაუდგა გვერდით სახელოვან ბიძას - ნი-

---

<sup>1</sup> ჭელიძე ვ., ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბ., 1957, გვ. 414.

კოლოზ ბარათაშვილს, რომლის პოეზიაც თანამოდმეთა სამსახურისა და თავდადების ერთგვარი მოწოდებაა.

აქვე გვინდა გავარკვიოთ ვეზირიშვილების ოჯახის წევრთა დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა პოეტის დის ეკატერინეს ვაჟის, კოლა ერისთავის, სურვილი, რომელმაც მიზნად დაისახა გამოეცა ბარათაშვილის ნაწარმოებთა სრული კრებული, მაგრამ რაკი ის ისე გარდაიცვალა, რომ ეს განზრახვა ვერ შეასრულა, გამოცემის განხორციელება ითავა მისმა ქვრივმა, რომელმაც „მოიწვია ქართველი მწერლები კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, ნ. ერისთავი (ბიძაშვილი განსვენებულისა), გ. ვეზირიშვილი (დეიდაშვილი), გ. ლასხიშვილი, ი. ჯავახიშვილი, გ. თუმანიშვილი, გ. ჟურული და ს. ფირცხალავა და სთხოვა მათ მოეწყოთ ნ. ბარათაშვილის მდიდრული და სრული გამოცემა“, - წერს ს. ფირცხალავა.<sup>1</sup>

მართლაც, 1922 წელს განხორციელდა ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებების პირველი აკადემიური გამოცემა, რომლის მომზადებაში გარკვეული წვლილი შეიტანა გიორგი ვეზირიშვილმა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ნინოც და მისი და ელისაბედიც კარგად იცნობდნენ სახელოვანი ბიძის შემოქმედებას. ამის უფლებას გვაძლევს ის ფაქტიც, რომ ბარბარეს ოჯახში ინახებოდა პოეტის ერთი ავტოგრაფი, რომლის აღწერილობა ზემოხსენებულ პირველ აკადემიურ გამოცემაში ეკუთვნის აკად. ექვთიმე თაყაიშვილს. დეტალურად მიმოიხილავს რა ხელნაწერს, დიდი მეცნიერი ასკვნის: „ბარბარე მელიტონის ასულის ვეზირიშვილის ვარიანტიც ორ წიგნად განიყოფება. ერთი 21+13 სანტიმეტრი, შეიცავს პოეტის ლექსებს, გარდა

---

<sup>1</sup> ფირცხალავა ს., მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988, გვ. 57.

„ბედი ქართლისა“. ეს ლექსთა კრებული უნდა იყოს გადაწერილი 1843 წ. თუმცა ეს სათაურითგან არა სჩანს. სათაურში მხოლოდ სწერია: „ლექსნი, თქმულნი თავადის ნ. ბარათოვისაგან“. ამის შემდეგ ხაზია გასმული და ხაზს ქვემოთ უნდა ყოფილიყოს წელიწადი ლექსების გადაწერისა, მაგრამ ეს ვილაცას ამოუფხეკია, რომ ეს ლექსთ კრება პოეტს გადაუწერია 1843 წ., როგორც ე. თაყაიშვილის ვარიანტი. ეს იქიდგან მტკიცდება, რომ ამ კრებულში არ მოიაზრება არც ერთი ლექსი შემდეგ წლებში დაწერილი. განსხვავება ამ ხელნაწერისა ე. თაყაიშვილის ვარიანტისაგან მხოლოდ იმაშია, რომ ვეზირიშვილის ვარიანტში ერთის ლექსით მეტია. ბოლოში მოთავსებულია ლექსი უთარიღოთ „შევიშრობ ცრემლსა“, რომელიც იმავე 1843 წ. უნდა იყოს დაწერილი. სულ ბოლოს არა პოეტის ხელით მოყვანილია ლექსი „დილა“ (ოხ! დილაჲ, დილაჲ კულად სანატრელო) შემდეგ 25 ფურცელი ცარიელია. სულ ხელნაწერში 57 ფურცელია. წიგნი ყდით არის შეკრული.

მეორე წიგნი ვეზირიშვილისა 18+12,5 სანტიმეტრი, შეიცავს თხზულებას „ბედი ქართლისა“ ლიბერ ქაღალდზე დაწერილს ნუსხა მხედრულის ხელით, გარდა სათაურისა, რომელიც ხელჩართლია. ტექსტს უჭირავს 28 ფურცელი. შემდეგ 13 ფურცელი დაუწერელია. წიგნი ყდიანია. ეს ორი ხელნაწერი, როგორც შევნიშნეთ, ეკუთვნის ბარბარე მელიტონის ასულს ვეზირიშვილსას<sup>1</sup>.

აქვე გვინდა შევეხოთ ერთ საკითხსაც: რამდენად იცოდნენ ბარათაშვილის დებმა ძმის ფასი და გრძნობდნენ თუ არა მის გენიას. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ დიმიტრი ყიფიანის შვილის კოტე ყიფიანის ნაამბობი: „მე

---

<sup>1</sup> ბარათაშვილი ნ., ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ტფ. 1922, გვ. 128

თვითონ ბარათაშვილი არ მახსოვს და იმის დებს კი ყველას კარგად ვიცნობდი და ძალიან მიკვირდა, რომ ამ დებმა არც ერთი ლექსი თავიანთი ძმისა არ იცოდნენ და როდესაც იმათთან ჩვენ ვაქედით და ვადიდებდით ჩვენს პოეტს, ისინი როგორღაც უნდობლად იღიმებოდნენ ხოლმე“.<sup>1</sup>

ვფიქრობ, ეს გარემოება უნდა ავხსნათ უფრო მორიდებით და სახელოვანი ძმისადმი პოეტის დების ერთგვარად მოკრძალებული დამოკიდებულებით. სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენი გახდება, პოეტის მოყვარულ დებს გააზრებული არ ჰქონოდათ საკუთარი ძმის სიღიადე. მითუმეტეს, კ. ყიფიანი მათ იმ ასაკიდან იცნობდა, როცა ბარათაშვილი უკვე იყო აღიარებული, როგორც სიამაყე ქართული პოეზიისა. სხვათა შორის, საყურადღებოა ერთი გარემოება: ბარბარე ვეზირიშვილს და მის შვილებს რომ კარგად ესმოდათ ხელოვნების როლი ერის წინსვლის საქმეში, ეს კარგად ჩანს თუნდაც ერთი მისალოცი ბარათიდან იგივე კოტე ყიფიანისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „კნეინა ბარბარე მელიტონის ასული და გიორგი დიმიტრის ძე ვეზირიშვილები უძღვნიან ძვირფას იუბილარს, კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანს თავის გულწრფელ მილოცვას და უსურვებენ მას დღევრძელობას, რათა დიდხანს კიდევ ამშვენებდეს თავის ბრწყინვალე ნიჭით სამშობლო სცენას“.

ძნელი წარმოსადგენია, ადამინები, რომლებიც კარგად გრძნობდნენ სხვის დამსახურებას ეროვნული კულტურის წინსვლა-განვითარებაში, არ ყოფილიყვნენ მალმერთებელი თავისი უახლოესი ადამიანის დიდი შემოქმედებისა.

გიორგი ვეზირიშვილს, როგორც ქართლში კულტურული ღონისძიებების სულისჩამდგმელს, ერთ-ერთი საღამოს

---

<sup>1</sup> ბარათაშვილი ნ., ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ტფ. 1922, გვ. 245.

ჩატარებაში გამოჩენილი მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის ცნობილი მოღვაწე ქალი მაკინე ამირეჯიბი. „დიდს მადლობას მოვახსენებ აგრეთვე ნინო ყიფიანისას და პ. კალაიჯევს, რომელთაც თავიანთი შრომა არ დაზოგეს და დიდი შემწეობა გამოიჩინეს. დიდ მადლობას მოვახსენებ გენერალ-ლეიტენენტს თავად მ. ქ. ამირეჯიბს, გ. დ. ვეზირიშვილს, ვ. გ. მაჩაბელს, ლ. ხ. ბეგთაბეგიშვილს“.

ასეთ გარემოში უხდებოდა ჩამოყალიბება ნინო ვეზირიშვილს მშობლიურ სახლში და, ალბათ, სწორედ ამავე სახლში ეზიარა ის იმ იდეალებს, რომელმაც გაუადვილა მოძმეთა დახმარება საკუთარი სიცოცხლის ფასად.

გარკვეული ხნის შემდეგ ვასილმა მეორედ იქორწინა. მან ცოლად შეირთო ელისაბედ ივანეს ასული ციციშვილი, რომელიც იყო თადეოზ გურამიშვილის მამიდაშვილისშვილი. ვასილს მასთან გოგონა შეეძინა, რომელსაც პირველი მეუღლის ხსოვნის საპატივსაცემოდ ნინო უწოდეს.

ასეთია გიორგი მაჩაბლის დედის ნინო ვეზირიშვილის ოჯახის ზოგადი სურათი. როგორც ცნობილია, გიორგი მაჩაბელმა თავისი ნიჭი სულ სხვა სფეროში გამოავლინა, მაგრამ მოიპოვა ისეთი სახელი, რომლითაც გვერდით დაუდგა თავის სახელოვან წინაპრებს.

### **დამოწმებანი:**

ბარათაშვილი ნ., ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ტფილისი, 1922.

ფირცხალავა ს., მოგონებათა ფურცლები, თბილისი, 1988.

ჭელიძე ვ., ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბილისი, 1957.

გაზ. „ლიტერატურული სდაქართველო“, 2004 წ., 30 ივლისი-5 აგვისტო, №30.



*Murad Mtvarelidze*  
*Gori State Teaching University*  
**FROM MELITON BARATASHVILI BEFORE GIORGI  
MACHABELI  
RESUME**

About the biography connections of George Machabeli it is very interesting to introduce George's mother Nino Vezirishvili relatives with whom Nino brought up. These Genetic and Cultural conditions particularly appeared in the work of George Machabeli's activities.

*გიორგი სოსიაშვილი*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**მაჩაბლების ბრძოლა ცარიზმის  
კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ  
(XIX საუკუნის I ნახევარი)**

სამაჩაბლოს პოლიტიკურ ისტორიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა და ფეოდალური არისტოკრატის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც აქტიური ხასიათი 1802 წლიდან მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ მაჩაბელთა ფეოდალური საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელი რუსული ხელისუფლების სამსახურში იდგა, მაჩაბლების საერთო განწყობა მკვეთრად ანტირუსული იყო. მაჩაბლები აქტიურ პოზიციას იკავებენ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში და პრივილეგიადაკარგული სამეფო სახლის მხარდამხარ იბრძვიან. ჯერ კიდევ 1801 წლის 18 თებერვალს, შერმაზან და ელიზბარ ერისთავები წერილით ატყობინებდნენ გენერალ ლაზარევს, რომ ლუარსაბ და დათუა მაჩაბლებს კავშირი ჰქონდათ რუსთა წინააღმდეგ ამბოხებულ ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილებთან.<sup>1</sup>

1802 წლის 17 აგვისტოთი დათარიღებული წერილი, რომელიც იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებმა დავით მაჩაბელს გაუგზავნეს, ნათელს ჰფენს მაჩაბლებისა და სამეფო სახლის სახელმწიფოებრივი ინტერესების თანხვედრას: „ბრწყინვალე თავადო მაჩაბელო, ნაზირო დავით. საქართვე-

---

<sup>1</sup> АКАК, т. I, Тифлис, 1866, стр. 243.

ლოს მეფის ძენი იულონ და ფარნაოზ სიყუარულით და პატივით მოვიკითხავთ, მერმეთ აქამდის ზომ საკვირველია, რომ შენც შეიტყობდი, მთელი კახეთი და ქიზიყი როგორისაც ფიცით შეკრულან ჩვენ ერთგულებაზე, უკანასკნელ სისხლის დაქცევამდის ერთობით იმათი წერილი არ მოგვივიდა. ღმერთს ერწმუნე და მამის ჩვენის მზემა, რომ ასე მოგვივიდა. წერილი და ღუთით არც არის იქაური კაცნიც იყვნენ და აქ ჩვენთან და გაგვისტუმრეთ. აბა, ახლა გაგიჩნდება ჩვენი სიყუარული და ერთგულება როგორც აღთქმული გვაქვს ჩვენთან პირობით, ყოვლის ფრით ასე მოიქეც. ამას გარდა, ვისაც ერთს შენს კაცს ენდობოდე, ეხლავ აქ საჩქაროთ გამოგვიგზავნე, მანდაური ამბებიც შგვატყობინე და შენი სრული აზრიც. მამის ჩვენის, მზემა და ამ საქმეში გვარწმუნე, რომ როგორც შენი აზრია ღუთით ისე შეგისრულებთ და ახლა შენ იცი და მამის ჩვენის ჭირნახულობამ, როგორც მოიქცევი ყოვლის ფრით“.<sup>1</sup> აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მაჩაბელთა ფეოდალური სახლის წევრთაგან ზოგი რუსულ ორიენტაციაზე იყო და ეს, რასაკვირველია, წინააღმდეგობრივ გარემოს ქმნიდა.

გენერალ ლაზარევის 1802 წლის წერილის მიხედვით ირკვევა, რომ, როცა იულონ ბატონიშვილის წაქეზებით სამაჩაბლოს ოსები რუსული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყდნენ, მათ მოკლეს მაჩაბელთა სახლის ერთ-ერთი წარმომადგენელი. ამის გამო ხელისუფლებამ დიდი და პატარა ლიახვის, ასევე ფაწას ხეობებში პოდპოლკოვნიკ სიმონევიჩის მეთაურობით დამსჯელი რაზმები გაგზავნა, რომელმაც აჯანყებულები მორჩილებაში მოიყვანა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> AKAK, T. I, სტრ. 250.

<sup>2</sup> თოგოშვილი გ., ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობა 1810-1921 წწ., თბ., 1969, გვ. 6.

ცარიზმის კოლონიურმა რეჟიმმა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს სამხედრო გზისპირზე არსებულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა. ამან მთიულეთის, ქართლის, ხანდოს, ხევის, გუდამაყრის, ჟამურის, თრუსოსა და სხვა ხეობათა ქართული სოფლები რუსული რეჟიმის წინააღმდეგ აამხედრა.<sup>1</sup> აჯანყებულები ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილს დაუკავშირდნენ, რომლებიც იმერეთიდან ქართლში გადმოვიდნენ, მაგრამ 24 ივნისს მათ ულევის ეწერში რუსთა რაზმი დაესხა გიორგი რამინის ძე ამირეჯიბის მეთაურობით, იულონი შეიპყრეს, ხოლო ფარნაოზმა და ლევან იულონის ძემ სამაჩაბლოში სცადეს გამაგრება, თუმცა, რუსულ ადმინისტრაციასთან შეკრული ოსების შიშით, ისინი სამაჩაბლოში ვერ გაჩერდნენ. ამის შესახებ ბაგრატ ბატონიშვილი გადმოგვცემს: „ხოლო ამის შემდგომად წარმოსულნი მეფის ძენი მოვიდნენ სურამის სიახლოვესა, ეგონათ მისვლა მუნ ქართველთ თავადთა და არავინ მივიდა მათ თანა, ამათ ინებეს მტკვარს გასვლა, მისვლა ფაბმაკს ფირყული-ხანთან და ვერ უძლეს, რამეთუ მტკვარი განდიდებულ იყო ფ. ჯ. დ. წარმოვიდნენ და აღვიდნენ ოსებში სამაჩაბლოსა და ვერცა მუნ დადგნენ შიშითა ოვსთასა, რამეთუ აქვნდათ პირი მტკიცე მას ჟამსა შინა ოვსთა რუსთანა.“<sup>2</sup> ამის შემდეგ ფარნაოზ

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1974, გვ. 916.

<sup>2</sup> ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ., თბ., 1941, გვ. 92; AKAK, T. II, Tiflis, 1868, №218-219, стр. 133; სოსიაშვილი გ., იულონ ბატონიშვილი და სამაჩაბლო, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2002 წ., №7, გვ. 4.

აღსანიშნავია, რომ ოსების ერთი ნაწილი ანტირუსულ პოზიციაზე იყო და ქართველ ბატონიშვილებს უჭერდა მხარს. ამას ადასტურებს ალექსანდრე ერეკლეს ძის, ასევე ფარნაოზ ბატონიშვილის მიერ ოსებისა-

და ლევან იულონის ძე ბამბაკში გადავიდნენ, სადაც ალექსანდრე ბატონიშვილი და სპარსეთის შაჰი იდგნენ, ალექსანდრე ბატონიშვილი წერილებს აგზავნიდა ქართლ-კახეთის მთიანეთში და ხალხს აჯანყებისკენ მოუწოდებდა.<sup>1</sup> ასეთი წერილი ალექსანდრემ გაუგზავნა აგრეთვე ჯავის ხეობის მოსახლეობას.<sup>2</sup> გარდა ამისა, ფარნაოზ ბატონიშვილმა წერილი გაუგზავნა მანაბლებს, სადაც ის საქართველოს სამეფო კარის ერთგულ თავადებს რუსების წინააღმდეგ აჯანყების დაწყებას სთხოვდა.<sup>3</sup> მცირე ხნის შემდეგ დიდი ლიახვის ხეობაში აჯანყებამ იფეთქა. არაგვის ხეობაში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ერევნიდან ჩამოსულმა გენერალმა პავლე ციციანოვმა დიდი ლიახვის ხეობას მიაშურა, მას აჯანყების ჩახშობაში პრორუსულ ორიენტაციაზე მყოფი მანაბლებიც ეხმარებოდნენ. ციციანოვის რაზმი ჯერ ჯავაში მივიდა, შემდეგ სოფ. კროჟს დაეუფლა, ბოლოს ლიახვის ხეობის სათავისაკენ დაიძრა და სოფ. კოშკი დაიკავა.<sup>4</sup>

ბაგრატ ბატონიშვილი ამ ფაქტს განსხვავებულად გადმოგვცემს:

„მაშინ წარემართა ციციანოვი სამანაბლოს ოვსთა ზედა, რამეთუ დროსა მას აღრეულობასა წამოუყვანა პოლკი სამი

---

თვის გაგზავნილი წერილები. იხ. სოსიაშვილი გ., ქართულ-ოსური კოალიციის შექმნის ცდა რუსეთის წინააღმდეგ (XIX საუკუნის I მეოთხედი), გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №1, 2011, გვ. 121.

<sup>1</sup> ორჯონიკიძე ე., ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, თბ., 1999, გვ. 13.

<sup>2</sup> АКАК, т. VI, ч. I, Тифлис, 1874, стр. 126.

<sup>3</sup> АКАК, т. II, стр. 141.

<sup>4</sup> ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 330.

ყაზახისა კაკასიის ლინით ტფილისის ნაცვალსა, მიკირტუ-  
მა სულგუნოვს და ენება მუნით გარდამოყვანა ქართლისა ში-  
ნა. ამისმა მხილველთა ოვსთა იწყინეს გზისა მის გახსნა  
და შემოყვანება ჯარისა, მოკრბნენ ოვსნი და სრულიად შეიპ-  
ყრნენ იგინი, მისრულმან მუნ ციციანოვმა გაათავისუფლა  
იგინი. გარნა ენება ოვსთაცა ვნება და პყრა, რომლისა გამო  
იწყო ოვსთა სიმაგრე. მხილველი ამისა ციციანოვი ვერარას  
მყოფელნი მუნ უკან იქცა და მოვიდა ტიფლისსა წელსა  
1805<sup>1</sup>.

ამის შემდეგ რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ უფ-  
რო ორგანიზებული გამოსვლები დაიგეგმა, რომელსაც ალექ-  
სანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. 1810 წელს ცა-  
რიზმის წინააღმდეგ სამაჩაბლოში, ლევან იულონის ძის მეს-  
ვეურობით მორიგმა აჯანყებამ იფეთქა. ლევანი ალექსანდრე  
ბატონიშვილის ინიციატივით დიდი ლიახვის ხეობაში ახალ-  
ციხე-იმერეთ-რაჭის გზით შევიდა.

1809 წლის 16 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში  
ალექსანდრე ბატონიშვილი ლევანის მისამართით წერდა: „ბი-  
და თქვენი ალექსანდრე ღმერთსა ვთხოვ თქვენს ბედნიერად  
და მშვიდობით შეყრას. ეს არის ღვთის მოწყალებით ყოველი  
ჩვენი საწადელი საქმე ყიზილბაშის მხრიდან შესრულდა. სა-  
ხელოვანი სარდალი უსეინ-ხანი დიდის ხაზინით და მთლად  
ერანში გამორჩეული ასიათასის კაცით აქ ახალქალაქს მობ-  
რძანდა. გუშინ ორშაბათს ერთად შევიყარენით... ამ სამს  
დღეზე დიდის ჯარით და ხაზინით თქვენ მხარეს მისტუმ-  
რებს და თვითონ წალკის მხარეს მობრძანდება... მე ხომ ეს  
არის, მომსვლელი ვარ და დიდად ჩვენთვის სამჯობინარო და  
სარდლისგან გულის დასაჯერებელი საქმე იქნება, რომ ერ-

---

<sup>1</sup> ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, დავით ბატონიშვილი,  
ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ., გვ. 95.

თი-ორი მართებული თავადიშვილი სარდალთან გამოისტუმროთ საჩქაროდ.“<sup>1</sup>

დიდი ღიასხვის ხეობაში ჩასულმა ლევან ბატონიშვილმა ადგილობრივ თავადებს რუსთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა. სამაჩაბლოს მოსახლეობას იგი ალექსანდრე ბატონიშვილის დახმარებას პირდებოდა.<sup>2</sup> ლევან ბატონიშვილმა მაჩაბლების გადმობირება მოახერხა, მას მხარს უჭერდნენ აგრეთვე ქსნის ერისთავების ძალმომრეობით შეწუხებული ოსები.

ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით: „ხოლო წელსა 1810 მსმენელთა იმერთა მოსცეს პირი მტკიცე მეფესა სოლომონს, მყოფსა ახალციხესა და აწვიეს რათა ჩავიდეს იმერეთს და დაიპყრას იმერეთივე. მსმენელი ამისი მეფე სოლომან წარემართა ახალციხით და შთავიდა იმერეთს. მაშინ მოერთვენ იმერნი ყოველნივე, შეკრეს გზანი ქართლისანი და დადგნენ მყარად. მაშინ მეფის ძემან ალექსანდრემაცა წარავლინა ახალციხით ძმისწული თვისი ლეონ ოსეთსა სამაჩაბლოსა შინა, რათა მანცა შეკრულმა ოვსთამან ბრძოს რუსთა. მისრულ ლეონ შეიწყნარეს ოვსთა და შეკრიბნენ მისთანა.“<sup>3</sup>

ლევან ბატონიშვილს მხარს უჭერდნენ ზაზა, ბააღურ და ლუარსაბ მაჩაბლები. რუსეთის ხელისუფლებას ამბობებულთა შესახებ საიდუმლო ინფორმაციები გააჩნდა. აჯანყებულთა ფიზიკური ლიკვიდაციას ითვალისწინებდა გენერალ ტორმასოვის მიერ სამხედრო მინისტრისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ლევან ბატონიშვილი თავს აფარებდა სამაჩაბლოს მიუვალ მთებში მცხოვრებ ოსებთან. საქართველოს მმართველმა ახვერდოვმა, იმისთვის, რომ ლე-

---

<sup>1</sup> ორჯონიკიძე ე., ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, გვ. 77.

<sup>2</sup> AKAK, т. VI, ч. I, стр. 78.

<sup>3</sup> ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა..., გვ. 106.

ვანი გაენადგურებინა, ოსების მოსყიდვა სცადა. ლევანი ამ დროს თავს ესხმოდა ქართულ სოფლებში არსებულ რუსთა რაზმებს. ამ წერილიდანვე ჩანს, რომ თავადი მაჩაბლები, რომლებიც ლევანს მხარს უჭერდნენ, უკვე შეპყრობილნი იყვნენ.<sup>1</sup>

ლევან ბატონიშვილი მაჩაბელთა ფეოდალური სახლის გარდა სხვა დასაყრდენსაც ეძებდნენ. ამას ადასტურებს მისი წერილი ფალავანდიშვილისადმი: „ბატონიშვილი ლევანი აცნობებს მის აღმატებულებას თავის მდგომარეობის შესახებ, რომ ის გუშინ ჩამოვიდა აქ, კეხეში (სამაჩაბლოს ერთ-ერთი სოფელი, - გ.ს.) და მთელი ხეობის მოსახლეობა შეიკრიბა... დღეს ან ხვალ ჩამოვა ბატონიშვილი ალექსანდრე თორმეტი ათასიანი ჯარით... რატომ აყოვნებთ ჩამოსვლას“.<sup>2</sup> პირველი სერიოზული შეტაკება რუსის ჯართან ცხინვალის მისადგომებთან მოხდა. ლევან ბატონიშვილი ორიათასი მეომრით შეება ცხინვალში მყოფ რუსთა რჩეულ ასეულს, რომელსაც შტაბსკაპიტანი ნოვაცკი ხელმძღვანელობდა. რუსმა ასეულმა, ქართველი მილიციელების და ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით წარმატებით მოიგერია მეამბოხეთა შეტევა. ლევან ბატონიშვილი დამარცხდა (მოკლულის სახით 80 კაცი დაკარგა) და მსხლეების ციხეს შეაფარა თავი,<sup>3</sup> ხოლო შემდეგ ჯავაში გადავიდა.<sup>4</sup>

რუსული ხელისუფლება აჯანყების მონაწილე მაჩაბლებს სასტიკად გაუსწორდა. დავით ბატონიშვილის ცნობით:

---

<sup>1</sup> АКАК, т. VI, ч. I, стр. 468.

<sup>2</sup> АКАК, т. VI, ч. I, стр. 110.

<sup>3</sup> ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია (ცხინვალი ფეოდალიზმის ხანაში), ცხინვალი, 1986, გვ. 368; История Юго-Осетии в документах и материалах (1800-1864). Составитель И.Н. Цховребов, Сталинир, 1960, т. II, стр. 251.

<sup>4</sup> АКАК, т. VI, стр. 112.



შემდგომად (აჯანყების შემდეგ, - გ. ს.) შეიპყრეს რუსთა მაჩაბელი ლუარსაბ და ბაადურ ბორტიშვილი.<sup>1</sup> მაჩაბელი ლუარსაბ წარგზავნეს პერობილად რუსეთსა შინა და ბაადურ მოკუდა ციხესა ტფილისისასა პერობილად. და შთამოართვეს თავიანთი კერძი ყმა და მამული და დადვეს სახელმწიფოდ ვითრაცა ჯავახიშვილსა და თარხნიშვილსა“.<sup>2</sup>

აღნიშნულ ავტორს გამორჩენილი აქვს ის ფაქტი, რომ ბაადურ მაჩაბელთან ერთად, რუსებმა ციხეში მოკლეს ზაზა მაჩაბელიც.<sup>3</sup>

ლუარსაბ მაჩაბელი გადასახლებულ იქნა რუსეთის შორეულ ქალაქ კოსტრომაში.<sup>4</sup> ამბობებაში მონაწილე მაჩაბლების ყმა-მამული სახელმწიფოს გადაეცა.<sup>5</sup>

ხელისუფლებამ ლევან ბატონიშვილთან მოლაპარაკება დაიწყო. მას ჯერ თავისი აღმზრდელი დეკანოზი იოანე ქართველიშვილი<sup>6</sup> გაუგზავნა, ხოლო შემდეგ ლევანის მშობლები

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ბორტიშვილი მაჩაბელთა გვარის წიაღში აღმოცენებული საგვარეულო განშტოება იყო, ისევე როგორც: ზაალიშვილები, გიორგიშვილები, რევაზიშვილები და სხვ. იხ. იოანე ბაგრატიონი, აღწერა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997, გვ. 47; სოსიაშვილი გ., სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 47.

<sup>2</sup> ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ., თბ., 1941, გვ. 37.

<sup>3</sup> ლეონიძე გ., ივ. მაჩაბელი, ჟურნ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 162.

<sup>4</sup> АКАК, т. VI, ч. I, стр. 101, #619.

<sup>5</sup> История Юго-Осетии..., т. II, стр. 251.

<sup>6</sup> ცნობილი ქართველი მწიგნობარი იოანე ქართველიშვილი წარმოშობით დიდი ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ ფხვენისიდან იყო. მოგვიანებით ის იულონ ბატონიშვილის აღმზრდელი და კარის მწიგნობარი გახდა და სოფელ ბელოთში (პატარა ლიახვის ხეობა) არსებულ იულონ ბატონიშვილის რეზიდენციაში მოღვაწობდა. სოფელი ბელოთი ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად ითვლებოდა. იხ. სოსი-

ჩართო მოლაპარაკებაში, მაგარამ ამ მეთოდმა ვერ გაჭრა. ლევან ბატონიშვილის წინააღმდეგ ხელისუფლებამ ძალის გამოყენება სცადა და პოლკოვნიკ სტალის მეთაურობით სამაჩაბლოს სოფლებში ორი როტა ჯარი გაგზავნა, მაგრამ ბატონიშვილის მომხრე ძალებმა აღნიშნული შენაერთები სასტიკად დაამარცხეს. მცირე ხნის შემდეგ პოლკოვნიკმა სტალმა გაძლიერებული ძალებით ილაშქრა სამაჩაბლოში. ლევან ბატონიშვილი იძულებული გახდა ნარში გადამალულიყო.<sup>1</sup>

ხელისუფლებამ ორი ათასი მანეთი გამოყო, რათა ნარელი ოსები მოესყიდა და ლევან ბატონიშვილი ხელში ჩაეგდო. საბოლოოდ ლევანის გაცემა ნარის ოსმა მამასახლისმა რაჯაბამ იკისრა. ბატონიშვილი მოტყუებით მიიყვანა სოფ. სხლებთან, თუმცა ლევანი მაინც გაექცათ. ტორმასოვი ამის შესახებ ქსნის ერისთავ შანშეს სწერდა:

„ლევანმა, რომელიც რაჯანამ მოიყვანა ნარის ხეობაში, მოასწრო დამალვა. იგი ფეხით იყო, მასთან მყოფი ხალხი დააკავეს. ეს ყველაფერი ნარელი ოსების ბრალია, ამიტომ გიბრძანებთ დასაჯოთ ისინი...“<sup>2</sup> ამ წერილიდან ჩანს ისიც, რომ ტორმასოვი დამალული ლევან ბატონიშვილის შესაპყრობად 200 სანდო ადამიანის გამოყოფას მოითხოვდა.<sup>3</sup>

ნარიდან წამოსული ლევანი ბორჯომის ხეობით ახალციხეში გადასვლას აპირებდა, რათა იქ ალექსანდრე ბატონიშვილს შეერთებოდა. გზად მიმავალი ლევან იულონის ძე ლეკმა მძარცველებმა გოგის ციხესთან მოკლეს და მისი მო-

---

აშვილი გ., იოანე ქართველიშვილის მოღვაწეობა და სოფელი ბელოთი, ძიებანი, თბ., 2007, გვ. 63-69; იოანე ქართველიშვილი, მეშუარები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1952, გვ. 81; მენაბდე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1990, გვ. 53.

<sup>1</sup> AKAK, T. VI, ч. I, стр. 123.

<sup>2</sup> AKAK, T. VI, ч. I, стр. 924.

<sup>3</sup> AKAK, T. VI, ч. I, стр. 924.

ჭრილი თავი, ასევე იარაღ-საჭურველი ახალციხის ფაშას მიუტანეს.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მაჩაბლების მონაწილეობა ანტირუსულ გამოსვლაში მარცხით დასრულდა და მას ხელისუფლების მხრიდან სასტიკი რეპრესიები მოჰყვა, მაჩაბელთა სახლი ბოლომდე წინააღმდეგი დარჩა ცარიზმის თვითმპყრობელური ხელისუფლებისა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მაჩაბელთა ფეოდალური საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელი იმპერიის სამხედრო სამსახურში იღვა. მათ შორის: გენერალ-მაიორი დავით მაჩაბელი, პოლკოვნიკი ალექსანდრე სიმონის ძე მაჩაბელი, შტაბსკაპიტანი იოანე იაგორის ძე მაჩაბელი და ოფიცერი ანემპოდისტ ივანეს ძე მაჩაბელი, რომელთა მოღვაწეობის ქრონოლოგია XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით და XIX საუკუნის I ნახევრით განისაზღვრება.<sup>2</sup>

რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში მყოფი მაჩაბლებიდან 1840 წლის ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ნუსხაში იხსენიებიან: შტაბს კაპიტანი დიმიტრი დავითის ძე, პრაპორშჩიკი გრიგოლ რევაზის ძე და პრაპორშჩიკი ზურაბ ჰექტორის ძე.<sup>3</sup>

XIX საუკუნის I მეოთხედში მაჩაბელთა ფეოდალური სახლის ზოგიერთი წევრი კვლავ აქტიურად აგრძელებდა ბრძოლას ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ამას ადასტურებს მაჩაბელთა მონაწილეობა 1832 წლის შეთ-

---

<sup>1</sup> ბერძენიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბ., 1983, გვ. 77.

<sup>2</sup> Джавахишвили Н. Г., Грузины под российским флагом, Тб., 2003, стр. 134.

<sup>3</sup> ქართლ-კახეთის თავად-აზნაურები, თბ., 2005, გვ. 247.

ქმულებაში.<sup>1</sup> აღნიშნულ შეთქმულებაში მაჩაბელთა ფეოდალური საგვარეულოს სამი წარმომადგენელი მონაწილეობდა: დავით, სიმონ და ივანე მაჩაბლები. დავით ბარძიშის ძე მაჩაბელი 1814 წელს დაიბადა თამარაშენში, მომავალი პოეტის მამა თავადი ბარძიშ მაჩაბელი საკმაოდ გავლენიანი მებატონე იყო დიდი ლიახვის ხეობაში. დავით მაჩაბელმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, ხოლო შემდეგ იგი თბილისის გიმნაზიაში ირიცხება. გიმნაზიაში მასთან მეგობრობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და მიხეილ თუმანიშვილი. დავით მაჩაბლის პოეტური ნიჭიერება მალე გახდა ცნობილი საზოგადოებისათვის. იგი გამორჩეულ პიროვნებად ითვლებოდა ქართულ ინტელიგენციაში.<sup>2</sup>

დავით მაჩაბლის ერთ-ერთი ლექსი „თოვლი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა შეთქმულთა წრეში.

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი სოლომონ დოდაშვილი თავის ჩვენებაში წერს: „წავიკითხე ქართულად დაწერილი ლექსები და სხვა თხზულებები მოწაფე მაჩაბლისა, ვთხოვე იმ თავადებს (იგულისხმება შეთქმულებაში მონაწილე თავადები, - გ. ს.), ეგების, როგორმე იმდენი მოგვეგროვებინა, რომ უნივერსიტეტში გაგვეგზავნა. ყველა ისინი დამეთანხმნენ“.<sup>3</sup> დავით მაჩაბელს, როგორც შეთქმულების ერთ-ერთ მონაწილეს, იგონებდა დიმიტრი ყიფიანიც: „დეკემბრის პირველ რიცხვებში, თუ ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში, ერთი სიტყვით დეკემბრის მარხვის პირველ

---

<sup>1</sup> გრძელიძე რ., 1832 წლის შეთქმულება საქართველოში, თბ., 1993, გვ. 31-32; ბენდიანიშვილი აღ., ეროვნული საკითხი საქართველოში, თბ., 1980, გვ. 107.

<sup>2</sup> მახარაძე აპ., ქართული რომანტიზმი, თბ., 1982, გვ. 153.

<sup>3</sup> გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, თბ., 1935, გვ. 140.

კვირაში, ავთანდილაშვილი (იგულისხმება შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე ზაალ ავთანდილაშვილი, - გ. ს.) მართავს ვახშამს, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, გიორგი ერისთავი, მე, სიძე ავთანდილაშვილისა გამაზოვი და ვიღაც გიმნაზიის მოწაფე თავადი დავით მაჩაბელი“.<sup>1</sup>

სოლომონ დოდაშვილის მეორე ჩვენების მიხედვით, დავით მაჩაბლის თხზულებები წაუკითხავთ მის ბინაზე შეკრებილ შეთქმულებს. ამ შეკრებას ესწრებოდნენ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, იასე და ელიზბარ ერისთავები, გვარდიის პრაპორშნიკი გიორგი ერისთავი, თავადი იასე ფალავანდიშვილი, ანტონ აფხაზი და სოლომონ დოდაშვილი. საგამოძიებო ჯგუფის შეკითხვაზე, გადმოეცა დავით მაჩაბლის თხზულებათა შინაარსი, სოლომონ დოდაშვილი პასუხობდა, რომ: „თხზულებები შეიცავს ძველ დროთა ადათ-ზნე-ჩვეულებების შედარებას, მასში გადმოცემულია ქართული ლიტერატურის მოკლე ისტორია. შეიცავს აგრეთვე ლექსს, სახელწოდებით „თოვლი“, რაიმე გასაკიცხი მე მათში არა შემიმჩნევია“.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ დავით მაჩაბელი შეთქმულების წევრად ითვლებოდა, საიდუმლო ორგანიზაციის წარმომადგენლები ითვალისწინებდნენ მის ასაკს და მას მხოლოდ მარტივ დავალებებს აძლევდნენ. შეთქმულების დამარცხების შემდეგ დავით მაჩაბელი, როგორც მცირეწლოვანი, სასჯელს ასცდა. მან 1834 გიმნაზია დაასრულა, ერთხანს სამხედრო სამსახურს მოჰკიდა ხელი და პოდპორუჩიკის ჩინიც მიიღო. XIX საუკუნის 40-იან წლებში შედგენილ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ნუსხაში დავით ბარძიმის ძე მაჩაბელი იხ-

---

<sup>1</sup> ყიფიანი დ., მემუარები, ს. ხუციშვილის რედ., თბ., 1990, გვ. 18.

<sup>2</sup> გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, თბ., 1935, გვ. 474.

სენიება, როგორც პოდპორუჩიკი. აქვე, ჩამოთვლილია მისი ოჯახის წევრები: მეუღლე ელისაბედი და ვაჟი აბესალომი.<sup>1</sup>

1839 წლიდან დავით მაჩაბელი სამხედრო კარიერას ჩამოსცილდა და თავის მშობლიურ სოფელს – თამარაშენს დაუბრუნდა, სადაც 1873 წელს, საკუთარ სახლში ყაჩაღებმა მოკლეს.<sup>2</sup>

1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი იყო სვიმონ მაჩაბელი, სამაჩაბლოს ფეოდალური სახლის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი.<sup>3</sup>

სვიმონ მაჩაბელი ტრიალებდა იმ წრეში, რომელშიც უხდებოდათ მოღვაწეობა ალექსანდრე ორბელიანს, ელიზბარ ერისთავს, სოლომონ დოდაშვილს, მაშუკა ორბელიანს და სხვ. საგამოძიებო ჯგუფისადმი მიცემულ ჩვენებიდან ირკვევა, რომ სვიმონ მაჩაბელი ერთხანს რუსეთის სამსახურში მდგარა: „ათას რვაას ოცდათექვსმეტში ვემსახურე ოსეთისა მილიციაში. ყოვლის ჩემის შესრულებით და რაცა სამსახური აღმოვაჩინე მაქვს მე ამაზედ ატესტატნი. ათში ვიმსახურე ღენერალ რეინკავთან ოსეთის ექსპედიციაში და რაოდენ ოსნი მე ავაზაკნი დავიჭირე და წარუდგინე მას“.<sup>4</sup> „რეინკავის“ ექსპედიციაში სვიმონ მაჩაბელი გულისხმობს 1830 წელს ხელისუფლების წინააღმდეგ ოსების ამბოხების სისხლში ჩახშობას გენერალ რენენკამფის მეთაურობით.<sup>5</sup>

როგორც ჩანს, სვიმონ მაჩაბელი თავდაპირველად პრორუსულ ორიენტაციაზე იდგა, თუმცა შემდეგ იგი ანტირუ-

---

<sup>1</sup> ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები, გვ. 247.

<sup>2</sup> მახარაძე აპ., ქართული რომანტიზმი, გვ. 257; ჟურნ. „ცისკა“ 1873, №9.

<sup>3</sup> ჭელიძე ვ., ივ. მაჩაბელი, თბ., 1968, გვ. 29.

<sup>4</sup> გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, გვ. 361.

<sup>5</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 183; История Юго-Осетии ..., т. II, стр. 387

სულ მოძრაობაში ჩაერთო. მას ევალეობდა ოსთა ჯარის გამოყვანა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. თავდაპირველად სვიმონ მაჩაბელი უარყოფდა შეთქმულებაში მონაწილეობას, მაგრამ გამოძიებამ დაადგინა, რომ მან შეთქმულების შესახებ საწყისი ეტაპიდანვე იცოდა.<sup>1</sup> მისი აქტიური მონაწილეობა შეთქმულებაში დაადასტურა შეთქმულების გამცემმა იასე ფალავანდიშვილმა.<sup>2</sup>

შეთქმულების დამარცხების შემდეგ სვიმონ მაჩაბელი გიორგი ერისთავთან, სოლომონ დოდაშვილთან და გრიგოლ ორბელიანთან ერთად „ავლაბრის ყაზარმაში“ ჩასვეს.<sup>3</sup> ხოლო შემდეგ, როგორც ცნობილია, ხელისუფლებამ შეთქმულებაში მონაწილე პირები ათ კატეგორიად დაყო და თითოეულ მათგანს თავისი სასჯელი დაადო.<sup>4</sup> სამხედრო მინისტრის, გრაფ ჩერნიშოვის მიერ მთავარმართებელ როზენისადმი გაგზავნილი მიმართვიდან ცხადი ხდება, რომ სვიმონ მაჩაბელი სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ დარჩა.<sup>5</sup> ზემოდნახსენებ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ნუსხაში სიმონ ფარსადანის ძე მაჩაბელი მოხსენებულია თავის ოჯახის წევრებთან ერთად, აღნიშნულ ნუსხაში იხსენიებიან მისი ვაჟიშვილები: გიორგი, იასე და ალექსანდრე, გიორგის ცოლი ნატალია, მათი ვაჟიშვილი ვასილი.<sup>6</sup> სვიმონ მაჩაბელი იყო დიდი ქართველი შექსპიროლოგის ივანე გიორგის ძე მაჩაბლის პაპა. შეთქმულებაში მო-

---

<sup>1</sup> გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970, გვ. 599.

<sup>2</sup> გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, თბ., 1976, გვ. 103.

<sup>3</sup> ლეონიძე გ., ივანე მაჩაბელი, ჟურნ. „მნათობი“, №2, 1924, გვ. 166.

<sup>4</sup> უთურაშვილი ი., თეკლე ბაგრატიონი, თბ., 1991, გვ. 39.

<sup>5</sup> АКАК, т. VIII, Тифлис., 1881, стр. 412.

<sup>6</sup> ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები, გვ. 247.

ნაწილებდა ივანე მაჩაბელიც. ჩვენი აზრით, იგი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა 1856 წლის ნუსხაში მოხსენიებული ივანე მიხეილის ძე მაჩაბელია, რომელსაც ჰყავდა ძმები: ნიკოლოზი, ილია, ევსტათი და კონსტანტინე. ამათგან ილია მაჩაბელს პრაპორშჩიკის ჩინი ჰქონდა.<sup>1</sup> ივანე მაჩაბლის ანტირუსული პოზიციის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ხელისუფლებამ მას მამულები ჩამოართვა.<sup>2</sup> საგამომძიებლო კომისიის მიერ დაკითხულ ივანე მაჩაბელის ჩვენებაში ვკითხულობთ: „მარშანწინ, 1831 წელსა ზაფხულში ვიმყოფებოდი ტფილისს ჩემს საჭირო საქმეზედ და ერთხელ მივიღიოდი ბაზრისკენ, შემომეყარნენ სასამართლოსთან მეფის ასულის თეკლეს დუქნების წინ თავადი ელიზბარ ერისთავი და პოდპორუჩიკი ალექსანდრე ვახტანგიჩი ორბელიანოვი. ჯერ მამკითხეს და მას უკან მითხრეს, რომ ვაპირებთ არეულობის მოხდენას და შენ რას იტყვი. მე არ ვუპასუხე, რომ ჩვენ როგორ შეგვიძლიან ეგ საქმე. მაშინ იმათგან ელიზბარი ჩავიდა გუბერნატორის კანცელარიაში და ორბელიანოვი სასამართლოში. მე მეგონა მცდიდნენ ისინი, ხუმრობით მითხრეს მე ჩავედი ჩემს საქმეზედ მესაათესთან და ამის შემდეგ ამ საგანზე არც იმასთან და არც სხვასთან არაფერი ლაპარაკი არ მქონია“.<sup>3</sup> ამ ჩვენებაში დასახელებულ ფაქტებს ადასტურებდა ელიზბარ ერისთავიც.<sup>4</sup> როგორც ჩანს, სასამართლომ მოკვლეული მასალის საფუძვლებზე ივანე მაჩაბელი შეთქმულების

---

<sup>1</sup> ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები, გვ. 247.

<sup>2</sup> გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, გვ. 208-209.

<sup>3</sup> გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, გვ. 305.

<sup>4</sup> გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, გვ. 100.



პასიურ მონაწილედ მიიჩნია და მას მხოლოდ საიდუმლო მე-  
თვალყურეობა აკმარა.<sup>1</sup>

ასეთი იყო მაჩაბელთა სათავადო სახლის წევრთა ერო-  
ვნული შემართება. მათთვის ასევე, როგორც პროგრესულად  
მოაზროვნე მრავალი ქართველისათვის, უმთავრეს ფასეულო-  
ბას სამშობლო წარმოადგენდა, მაჩაბლების მიერ დაწყებული  
ბრძოლის გამრძელებელი იყო გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი,  
რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს გა-  
თავისუფლებისათვის ბრძოლას შეაღია.

### **დამოწმებანი:**

ბენდიანიშვილი ალ., ეროვნული საკითხი საქართველოში,  
თბილისი, 1980.

ბერძენიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის I ნახევრის  
ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბი-  
ლისი, 1983.

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.  
II, თბილისი, 1965.

ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, დავით ბატონი-  
შვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ., თბილისი,  
1941.

გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, თბილი-  
სი, 1935.

გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბი-  
ლისი, 1970.

გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, თბი-  
ლისი, 1976.

---

<sup>1</sup> გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, გვ. 430;  
სოსიაშვილი გ., მაჩაბლები და 1832 წლის შეთქმულება, გაზ. „ლიტერა-  
ტურული ცხინვალი“, 2002, №10, გვ. 9.

გრძელიძე რ., 1832 წლის შეთქმულება საქართველოში, თბილისი, 1993.

თოგოშვილი გ., ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობა 1810-1921 წწ., თბილისი, 1969.

იოანე ბაგრატიონი, აღწერა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა გვარებისა, თბილისი, 1997.

იოანე ქართველიშვილი, მემუარები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1952.

ლუონიძე გ., ივ. მაჩაბელი, ჟურნ. „მნათობი“, 1924, №2.

მახარაძე აპ., ქართული რომანტიზმი, თბილისი, 1982.

მენაბდე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბილისი, 1990.

ორჯონიკიძე ე., ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, თბილისი, 1999.

ჟურნ. „ცისკარი“, 1873, №9.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1974.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი, 1970.

სოსიაშვილი გ., იოანე ქართველიშვილის მოღვაწეობა და სოფელი ბელოთი, ძიებანი, თბილისი, 2007

სოსიაშვილი გ., იულონ ბატონიშვილი და სამაჩაბლო, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2002 წ., №7.

სოსიაშვილი გ., მაჩაბლები და 1832 წლის შეთქმულება, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2002, №10.

სოსიაშვილი გ., ქართულ-ოსური კოალიციის შექმნის ცდა რუსეთის წინააღმდეგ (XIX საუკუნის I მეოთხედი), გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №I, 2011.

სოსიაშვილი გ., სამაჩაბლოს ისტორია, თბილისი, 2005.

უთურაშვილი ი., თეკლე ბაგრატიონი, თბილისი, 1991.  
ქართლ-კახეთის თავად-აზნაურები, თბილისი, 2005.  
ყოფიანი დ., მეძუარები, ს. ხუციშვილის რედაქ. თბილისი,  
1990.

ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია (ცხინვალი ფეო-  
დალიზმის ხანაში), ცხინვალი, 1986.

ჭელიძე ვ., ივ. მაჩაბელი, თბილისი, 1968.

АКАК, т. I, Тифлис, 1866.

АКАК, т. VI, ч. I, Тифлис, 1874.

АКАК, т. II, Тифлис, 1868.

АКАК, т. VIII, Тифлис, 1881.

Джавахишвили Н. Г., Грузины под российским флагом,  
Тбилиси, 2003.

История Юго-Осетии в документах и материалах (1800-  
1864). Составитель И.Н. Цховребов, Сталинир, 1960, т. II.

*Giorgi Sosiashvili*  
*Gori State Teaching University*  
**MACHABELIS STRUGGLE AGAINST TSARIST  
COLONIAL POLICY  
(IN THE 1<sup>ST</sup> HALF OF THE 19<sup>TH</sup> CENTURY)  
RESUME**

The struggle against the Russian government of Georgian Royal Authorities and feudal aristocracy is closely connected with the political history of Samachablo. It became active since 1802. Despite the fact that several representatives of Samachablo feudal family served in the Russian Government,

Machabelis' common attitude was strongly anti Russian. Machabelis actively participated in the struggle against Russian colonial policy and fought alongside the Royal House that had lost their privilege. The members of Royal house of Georgia were greatly relied on Machabelis in the struggle against Russian Government. Machabelis were particularly active in 1832 conspiracy where several members of Machabeli family participated, including Davit, Svimon and Ivane Machabelis. The honourable follower of the deeds of Machabelis was Giorgi Machabeli son of Vasili, who served his life to fight for independence of Georgia.

*ლელა სარალიძე*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*  
*სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის*  
*ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი*

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური  
მისია კონსტანტინოპოლში და გიორგი მაჩაბელი**

1921 წლის 18 მარტს, რუსეთ-საქართველოს თებერვალ-მარტის ომში დამარცხების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო და უცხოეთიდან განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ბათუმიდან კონსტანტინოპოლის გავლით, 2 აპრილს, პარიზში ჩავიდნენ: მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანიას, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე - კონსტანტინე საბახტარაშვილი, 4 აპრილს, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე. 11 აპრილს, ასევე, პარიზში ჩავიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ნოე რამიშვილი. იმდროისთვის, პოლიტიკურ მოღვაწეთა 90% კონსტანტინოპოლში დარჩა.<sup>1</sup> პარიზში, პოლიტიკური კომისიის სხდომაზე დაადგინეს: მოლაპარაკება უცხოეთის მთავრობებთან და, საზოგადოდ, ოფიციალურ წრეებთან უნდა ეწარმოებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან ელჩს, აკაკი ჩხენკელს. მასთან მუდმივ კავშირში იმყოფებოდა და ანგარიშს აბარებდა ყველა სხვა ლეგაცია (ლონდონი, ბერლინი, რომი, კონსტანტინოპოლი).

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 610, ფურც. 2.

ლეგაციის წარმომადგენლებს სწორედ მასთან უნდა შეეთანხმებინათ თითოეული მოქმედება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგიტაცია-პროპაგანდის საქმეს. ამ მიზნით, აირჩიეს ხუთწევრიანი კომისია: ნ. რამიშვილი (თავმჯდომარე), ს. მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე), ი. წერეთელი, კ. საბახტარაშვილი, ვ. ვოიტინსკი. კომისიის სამდივნოს კ. საბახტარაშვილი განაგებდა. კომისიასთან არსებობდა სალიტერატურო-საგამომცემლო განყოფილება ევროპისთვის, რომლის ხელმძღვანელი ვ. ვოიტინსკი იყო.

1921 წლის 27 იანვარს ანტანტის ქვეყნებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა „დე იურე“ აღიარეს. საქართველოს მთავრობამ იტალიაში ელჩად კონსტანტინე საბახტარაშვილი დანიშნა. 1921 წლის თებერვლის დასაწყისში საელჩოს პირველი მდივანი გიორგი მაჩაბელი გახდა. იგი ივანე მაჩაბლის (შექსპირის მთარგმნელი) ძმისშვილი იყო. იტალიაში ელჩის ფუნქციები რეალურად მას ებარა. გიორგი მაჩაბელი ამ მოვალეობას 1921 წლის თებერვლიდან 1923 წლის ნოემბრამდე ასრულებდა. საარქივო დოკუმენტებში ის მოხსენებულია, როგორც „წარმომადგენლობის პირველი მდივანი“, რაც შემდეგ „ლეგაციის მრჩევლის“ თანამდებობით შეიცვალა.<sup>1</sup> საქართველოს ელჩს პარიზში, აკაკი ჩხენკელს, გ. მაჩაბელმა მისწერა, რომ უძვობესი იქნებოდა მისი გერმანიაში წარგზავნა, რადგან იქაურ ხალხს და ქვეყანას უკეთ იცნობდა და მისი მუშაობის შედეგები უფრო ნაყოფიერი იქნებოდა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> ჯანელიძე ო., გიორგი მაჩაბელი დიპლომატიურ ასპარეზზე, თურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, №1 (4), გვ. 98-110.

<sup>2</sup> გიორგი მაჩაბლის წერილები აკაკი ჩხენკელისადმი, რომში საქართველოს დიპლომატიური მისიის მიმღწერა, საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის

1921 წლის 22 აპრილს, პარიზის ცენტრალურმა პოლიტიკურმა კომისიამ, გიორგი მაჩაბელს ოფიციალური წერილი გაუგზავნა, რომში, რომლითაც აუწყა: „პარიზში შექმნილი საპროპაგანდო-სააგიტაციო კომისიის დანიშნულება და მიზანია: პროპაგანდა-აგიტაცია ევროპის ყველა ქვეყანაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამ მიზნით, ის მიმართავს ყველა პოლიტიკურ პარტიებს და ჯგუფებს, იმოქმედოს, როგორც სიტყვიერი გამოსვლით, ისე პრესის და გამოცემების საშუალებით. ეს კომისია ცენტრალურია. სტამბოლში (კონსტანტინოპოლს სტამბოლი ოფიციალურად 1930 წლის 28 მარტს ეწოდა – ლ. ს.) არსებობს, აგრეთვე, პოლიტიკური კომისია ნ. ხომერეკის თავმჯდომარეობით, რომლის მიზანია მჭიდროდ დაუკავშირდეს საქართველოს და ყოველივე ცნობა მის შესახებ დაუყოვნებლივ და რეგულარულად მიაწოდოს აქ მყოფ კომისიას. ამ მიზნით, ეს კომისია მოვალეა დაუკავშირდეს საქართველოში მყოფ ყოველ პოლიტიკურ პარტიას და ჯგუფს, რომელიც გადაჭრით იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და ებრძვის რუსეთის გავლენის განმტკიცებას საქართველოში. ცხადია, ამ კომისიას საქმე არ ექნება ისეთ პოლიტიკურ პარტიასა და ჯგუფთან, რომელიც ურიგდება საქართველოს ოკუპაციას რუსეთის ჯარების მიერ და ბოლშევიკთა თარეშს საქართველოში. როგორც თქვენ ხედავთ, დასავლეთ ევროპაში ჩვენ ვაწყობთ ორგანიზაციებს, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ, საქართველოსთან მჭიდრო კავშირი, ხოლო მეორეს მხრივ, დასავლეთ ევროპის პოლიტიკური აზროვნების ამუშავება, საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ. აი, ამ უკანასკნელ საქმეში ჩვენ უნ-

---

მიკროფირების ასლები, საქმე 711; ასევე, გიორგი მაჩაბლის კერძო წერილები აკაკი ჩხენკელს, რუსუდან კობახიძის პუბლიკაცია, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2014, №2(5) გვ. 114-150.

და დაგვეხმაროს ევროპაში არსებული ქართული კოლონიები, ყველგან, სადაც კი ქართველები იმყოფებიან, ისინი უნდა შეეცადონ შეკავშირდნენ, შექმნან შესაფერისი ორგანიზაცია და შემდეგ სისტემატურად იმუშაონ იმ მიზნით, რომ დააინტერესონ საქართველოს საკითხით, როგორც სოციალისტური, ისე ბურჟუაზიული წრეები და მით ხელი შეუწყონ საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანას და ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენას...“<sup>1</sup>

წერილი, რომელსაც ცენტრალური კომისიის წევრის სახელით ხელს აწერს ანტონ ჟორჟოლიანი, მოუწოდებდა გიორგი მაჩაბელს, შეეგროვებინა სხვადასხვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში საქართველოზე არსებული ინფორმაცია და რეგულარულად, სამ კვირაში ერთხელ, პარიზის ცენტრალური კომისიისთვის მიეწოდებინა.

თავის მხრივ, 1921 წლის 30 მაისს, პარიზში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ცენტრალური პოლიტიკური კომისია, გიორგი მაჩაბელს რომში უგზავნის ინფორმაციას ბოლშევიკების მიერ ოკუპირებულ, საქართველოში არსებული რეალური სიტუაციის შესახებ. მსგავსი ცნობები, პარიზში, სტამბოლის პოლიტიკური კომისიის წევრების მიერ იგზავნებოდა და ვრცელდებოდა საზღვარგარეთის ქართულ მისიებში. წერილში ნათქვამია: „საქართველოს მდგომარეობა თანდათან რთულდება. დაიწყო სასტიკი რეპრესიები მენშევიკების წინააღმდეგ მთელ საქართველოში; ალაგ-ალაგ ეროვნულ-დემოკრატიების წინააღმდეგაც, ამ უკანასკნელების თითქოს იმისათვის, რომ თავი ვერ შეიკავეს კომუნისტების გინებისაგან და მენშევიკების დაჭერის გამო, საპროტესტო გამოსვლებისგან. ამ რეპრესიების გასაძა-

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 610, ფურც. 5.



როლებლად, კომუნისტებმა ჩაიდინეს საზიზღარი პროვოკაცია (ეს თქვენ უკვე გეცოდინებათ, რადგან პრესაში იყო გამოქვეყნებული – (შეეხება საშა გეგეჭკორზე ყუმბარის სროლას) დაჭერილია სხიველებიც. ამბობენ დაჭერილებს რუსეთში გზავნიანო... დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 90% სოფლის ადმინისტრაციისა ავაზაკებისა და ჯიბიერებისაგან შედგება. ყველა ის პირი, რომელნიც გაძევებული იყვნენ სოფლებიდან ქურდობის ან მკვლელობისათვის, დღეს ბოლშევიკებად დაბრუნდნენ და სოფლებს მეთაურობენ. ქალაქებში დიდი არე-დარევაა იმის გამო, რომ არ იციან ვინ არის მთავრობა: ჯარის რეკომი თუ საქართველოს რეკომი, სამხედრო თუ სამოქალაქო ჩეკა. თითქმის ყველა ქალაქში არსებობს: 1. რეკომების მიერ დანიშნული ჩეკა, 2. სამხედრო ჩეკა, 3. ცალკე მუზღვაურთა ჩეკა და 4. რკინიგზის ჩეკა“.<sup>1</sup>

1921 წლის 22 ივლისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანიას პარიზიდან, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, თბილისში, მიმართავს: „...ამჟამად, ევროპას გაწყვეტილი აქვს კავშირი საქართველოსთან და სანამ იქ ბოლშევიკური მმართველობა იქნება – კავშირი არ აღდგება. რაც შეეხება ბურჟუაზიულ, ანუ სავაჭრო წრეებს, ესენი არ არიან სანდო. თუკი ქართველი ბურჟუაზია ელაქუცება ბოლშევიკებს და სურს მათი საშუალებით ხელი მოითბოს, რატომ აქაური ბურჟუაზია არ შეეცდება ამასვე და ეს მით უფრო რომ მოსკოვ-საქართველოს ბოლშევიკები ეხვეწებიან ევროპის კაპიტალისტებს – მოდით, საქართველოში, ბევრია ტყე, მარგანეცი, თუთუნი, მადნები და სხვა და იმუშავეთო. ისინი მზად არიან, უცხოელებს ჩალის ფასად ხელში ჩაუ-

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 610, ფურც. 11-12.

ყარონ ჩვენი სიმდიდრე. ოღონდ კი ამით გაახანგრძლივონ თავისი ბატონობა. რა ენაღვლება მოსკოვს და მის თბილისელ აგენტებს საქართველოს საქმე. აქეთ გამოუგზავნიათ კარპე მოდებამე (საბჭოთა წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში, - ლ. ს.) კონცესიების გასაცემად, ისეთი უფლებებით, რომ საქართველოს ერთიანად გაყიდის, თუ მოინდომა, მაგრამ ამ ვაჟბატონს ევროპაში არ უშვებენ, ხოლო სტამბოლში კი ბოლშევიკების ფასი კარგად იცინან. საქართველოს ხალხის წმინდა ვალია არ დაანებოს ბოლშევიკებს ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის უცხოელთა ხელში ჩაგდება. ჩვენ აქ შესაფერისი ნოტით მივმართეთ ყველა მთავრობას, განუცხადეთ, რომ სანამ საქართველოში არ აღდგება ხალხის სუვერენობა და კანონიერი მთავრობა, მანამდის არავითარ კონცესიას და სავაჭრო ხელშეკრულებას ბოლშევიკებთან დადებულს, არ ვიცნობთ და საქართველო მას არ დაემორჩილება“.<sup>1</sup>

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობებიდან, განსაკუთრებული მნიშვნელობა კონსტანტინოპოლის მისიას ენიჭებოდა, საიდანაც პარიზის ლეგაციას ინფორმაცია ოკუპირებულ საქართველოში არსებულ რეალურ სიტუაციაზე, უშუალოდ მიეწოდებოდა. ჯერ კიდევ, რუსეთის წითელი არმიის საქართველოში შემოჭრამდე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ანგორის მთავრობამ კავშირი მოსინჯა. 1921 წლის დასაწყისში, თბილისს ეწვია ქემალის მთავრობის დელეგაცია, რომელმაც საქართველოს მთავრობასთან, თავისი „ეროვნული პაქტის“<sup>2</sup> საფუძველზე, ურთიერთობის დასამყა-

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2113, აღწერა 1, საქმე 31, ფურც. 40.

<sup>2</sup> პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, ოსმალეთმა, 1918 წლის 30 ოქტომბერს, კუნძულ მუდროსზე დროებით ზავს მოაწერა ხე-

რებლად დიპლომატიური მოლაპარაკება დაიწყო, რაც წარმატებით დასრულდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ანგორაში დანიშნული ელჩი - სიმონ მდივანი, 1921 წლის 31 იანვარს, ოსმალეთში ჩავიდა და 8 თებერვალს, ანგორის მთავრობას რწმუნების სიგელი გადასცა. სამი დღის შემდეგ, დაიწყო რუსეთის ჯარის თავდასხმა საქართველოზე. ცხრა დღის შემდეგ, ანგორის მთავრობამ გადაწყვიტა არდაგანის (არტანის) და ართვინის მხარეში ჯარის შეყვანა და საქართველოს ელჩს აცნობა, რომ 1921 წლის 18 თებერვალს, დილით, ოსმალეთის ჯარი ართვინში შევიდოდა.

---

ლი. 1918 წლის 13 ნოემბერს, მოკავშირეთა სახელმწიფოების ანუ ანტანტის ფლოტი კონსტანტინოპოლში შევიდა. ერთი მხრივ, ანტანტის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ, ანტანტის მიერ დამონებული ოსმალეთის სულთნის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა, ქემალ ფაშას მეთაურობით, თურქი ნაციონალისტების მთავარი მიზანი იყო. 1919 წლის აგვისტოში, შეიქმნა ოსმალეთის მეორე მთავრობა – სულთნის მთავრობის წინააღმდეგ. 1919 წლის 7 ოქტომბერს, სულთნის მთავრობამ, დეპუტატთა პალატის არჩევნები გამოაცხადა. 1920 წლის 12 იანვარში, შეიკრიბა პალატა, რომელმაც ანტანტის სახელმწიფოთა მოქმედების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა და მიიღო ე. წ. „თურქული ეროვნული პაქტი“, რომელიც ოსმალეთის ეროვნულ ბრძოლას საფუძვლად უნდა დასდებოდა. „ეროვნული პაქტის“, მეორე მუხლი კავკასიას, ასევე, საქართველოს ეხებოდა. საუბარი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით, ერთ დროს შექმნილ ვითარებაზე, რომელიც ყარს-არდაგან-ბათუმს შეეხებოდა. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის თანახმად, უნდა მომხდარიყო პლებისციტი თვითგამორკვევისათვის, მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით, რაც ყოვლად უკანონო იყო. 1920 წლის 30 აპრილს, ანგორაში ოსმალეთის ახალი სახელმწიფო გამოცხადდა. 1920 წლის 5 მაისს, შეიქმნა მთავრობა ქემალ ფაშას თავმჯდომარეობით, რომელმაც დაადასტურა კონსტანტინოპოლის პარლამენტის მიერ გამოცხადებული „ეროვნული პაქტი“.

ოსმალეთის იმპერიის დაცემისა და სრული დაშლის საშიშროების ქვეშ მყოფი თურქები, თავის გადარჩენას მუსტაფა ქემალ ფაშას (1881-1938 წწ.) მეთაურობით ცდილობდნენ. სულთნის მთავრობის მეცხრე არმიის ინსპექტორი მუსტაფა ქემალ ფაშა, 1919 წლის 7 აგვისტოს, ერზერუმის ყრილობაზე შექმნილი, სულთნის მოწინააღმდეგე მთავრობის მეთაური გახდა. მოკავშირე სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქემალი რუსეთში ხედავდა დასაყრდენს. სწორედ, მუსტაფა ქემალისა და ვ. ლენინის გარიგებას შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობა. ემიგრანტი ისტორიკოსი ალექსანდრე მანველიშვილი წერს: „...მათ კავშირს შორის (რუსეთსა და ქემალ ფაშას, – ლ. ს.) მოთავსებული იყო ამიერკავკასია, რომელიც უკვე დამოუკიდებელი იყო და ასე თუ ისე მოკავშირეები მფარველობდნენ და თუ სულთნის ფაშები აიძულებდნენ ამიერკავკასიას დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა, ახლა ქემალისათვის ეს იყო მხოლოდ დაბრკოლება და ამავე დროს სახარკო მასალა რუსების დახმარების მოსაპოვებლად. ამიტომ მან ამიერკავკასია ადვილად გასწირა. ამ კავშირში ჩააბეს აზერბაიჯანიც. ამ უკანასკნელის ასეთმა მიდრეკილებამ ჯერ თავი იმსხვერპლა და მერე მეზობლებიც მათ სათარეშოდ გახადა“.<sup>1</sup>

1921 წლის 17 მარტს, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ჯერ კიდევ ბათუმში იმყოფებოდა, ოსმალეთის ჯარების უფროსმა ქიაზიმ ბეიმ, ბათუმის ოლქი ოსმალეთთან შეერთებულად გამოაცხადა და ქალაქ ბათუმში ასეთი პროკლამაცია გამოაკრა: „უკანასკნელ დროს, საქართველოს მთავრობის თანხმობით, ბათუმის მხარე და ახალქალაქისა და ახალციხის ოლქები ჩვენი ჯარების

---

<sup>1</sup> მანველიშვილი ა., რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან ფრანცისკო, 1984, გვ. 254.

მიერ იქნენ დაკავებული. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის დადგენილებით, რომელიც ემყარება სხვადასხვა დროის ხელშეკრულებებით მრავალჯერ დადასტურებულ ეროვნულ უფლებებს, ეს მხარეები დღეიდან ბრუნდებიან სამშობლოს საზღვრებში და პოლიტიკურადაც და ადმინისტრაციულადაც ექვემდებარებიან ოსმალურ ეროვნულ მთავრობას<sup>1</sup>. ოსმალეთის მთავრობას პრეტენზიები ჰქონდა არა მარტო არდაგანისა და ართვინის ოლქზე, არამედ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებზეც, ასევე, მთელ ბათუმის ოლქზე ქალაქ ბათუმის ჩათვლით. ქიაზიმ ბეის ამ განცხადებით, ქემალისტური ოსმალეთი ოსმალეთის ზონტქრის პოლიტიკას აგრძელებდა, რომლის მიხედვით, მთელი მესხეთი ოსმალეთს უნდა დაეკავებინა. სინამდვილეში, საქართველოს ეროვნულ მთავრობას არც ერთი ეს მხარე ოსმალეთისთვის არ გადაუცია. მართალია, 1918 წელს თურქებმა იგი მცირე ხნით შეინარჩუნეს, თუმცა პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, საქართველომ აღნიშნული ტერიტორიები დაიბრუნა, რადგან მხოლოდ ქართველ ხალხს ჰქონდა მასზე ეროვნული უფლებები. ქართულმა და არა ბოლშევიკურმა ჯარმა, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით, უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, ოსმალეთის ჯარს ბათუმში ბრძოლა გაუმართა და სასტიკად დაამარცხა. არც ოსმალების მიერ არდაგან-ართვინის დაპყრობა უცვნია კანონიერად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას. რაც შეეხება რუსეთს, რუსეთის წითელმა არმიამ საქართველო ძალით დაიპყრო, ხოლო 1921 წლის 16 მარტს, რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების დადების მომენტში, რომლითაც გაიყვეს ქართული მიწები, ბათუმში ჯერ კიდევ, საქართვე-

---

<sup>1</sup> ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 103.

ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმყოფებოდა. როდესაც მოსკოვში რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება დაიდო, იმავე დღეს, ბოლშევიკების წარმომადგენელმა კრასინმა, ლონდონში ინგლის-რუსეთის სავაჭრო შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომლის რატიფიკაცია მოსკოვში 20 მარტს მოხდა და ანკარაში 22 ივლისს, მაშინ, როცა ბერძნები ამ ქალაქიდან 50 კილომეტრში იმყოფებოდნენ.<sup>1</sup> 1921 წლის 13 ოქტომბერს, ბოლშევიკებმა ე. წ. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, ყარსში, ოსმალეთთან ხელშეკრულება დაადებინეს, რითაც დაამტკიცეს მოსკოვის ხელშეკრულების მუხლები. ოსმალეების საკუთრებაში გადავიდა ყარსის, არტანის და ართვინის ოლქები მთლიანად და ბათუმის ოლქის ნაწილიც. თურქებმა საქართველო ისევე იოლად გაწირეს, როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი, ხოლო ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამ, მისთვის არტანისა და ართვინის ოლქების დათმობის ხარჯზე, ოსმალეთის მხრიდან ნეიტრალიტეტი მოიპოვა. თურქ ნაციონალისტებსა და ბოლშევიკებს შორის პირველ კონტაქტებს ადგილი, ჯერ კიდევ, 1919 წლის მაისში ჰქონდა. ოფიციალური პირი, ვინც საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, პირველმა დაამყარა ურთიერთობები თურქულ ჯგუფთან და ხელი მოაწერა ოფიციალურ ხელშეკრულებას, ეროვნებით ქართველი, რუსი ბოლშევიკი შალვა ელიავა იყო.<sup>2</sup>

1921-1925 წლებში საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლად კონსტანტინოპოლში კონსტანტინე გვარჯალაძე იყო. ამ ხნის მანძილზე, მან მოლაპარაკება აწა-

---

<sup>1</sup> Serge Afanasyan, L'Arménie, l'Azerbaïdjan et la Géorgie de l'indépendance à l'instauration du pouvoir Soviétique 1917-1923, Paris, 1981, p. 181.

<sup>2</sup> ჩაჩხიანი ა., რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკური ენიგმა (1920-1922), თბ., 2015, გვ. 160-161.

რმოა ოსმალეთში მყოფ 22 ქვეყნის ოფიციალურ პირთან. მას უფრო დიდი ნდობით უყურებდნენ თურქები, ვიდრე ბოლშევიკების ელჩს – კ. მოდებამეს. 1921 წლის 27 აპრილს, კ. გვარჯალაძე შეხვდა ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს იხეთ ფაშას და უსაყვედურა ქიაზიმ ბეის თავხედურ საქციელზე, რომელმაც რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ისარგებლა ქვეყნის ურთულესი მდგომარეობით და თავი ბათუმის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა. იხეთ ფაშამ ქართველ დიპლომატს უპასუხა: „ქიაზიმ ბეი საქართველოდან გამოიწვიეს, შეიძლება ის კარგი მეომარია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის კარგი დიპლომატი არ არის“.<sup>1</sup>

1923 წლის 23 იანვარს, თავისი დიპლომატიური მუშაობის შესახებ ანგარიშში კ. გვარჯალაძე წერს: „მეტად ცუდ პირობებში დაიწყო მუშაობა სტამბოლის წარმომადგენლობამ 1921 წელს. ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ, საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თავისი ტერიტორია და წამოსულიყო ევროპაში. ევროპაში ჩამოსვლისას ჩვენ დავინახეთ, რომ ბოლშევიკებს მიეღოთ ყოველნაირი ზომა, ევროპა დაერწმუნებია იმაში, რომ საქართველოში მოხდა შინაური გადატრიალება, ქართველ ხალხს უნდოდა ბოლშევიზმი და ახლანდელი ბოლშევიკური მთავრობა ხალხის სურვილებს და სიმპათიებს ეყრდნობაო. სტამბოლში 22 სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენელია. პირველი ორი თვის განმავლობაში (აპრილი-მაისი 1921 წ.) სანამ ყველა ამ წარმომადგენელს ვეცნობოდი, დავრწმუნდი, რომ ბოლშევიკებს ერთნაირად თავისი მიზნისათვის მიეღწიათ: სწირად ვხვდებოდი აზრს, რომ საქართველოში ვითომ ბოლშევიკური გადატრიალება მომხდარიყო. როგორც მოგეხსენებათ, სტამბოლი

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 71, ფურც. 3.

ევროპისათვის აღმოსავლეთის საკითხებში დიდად თვალყურ-სადევნებელი პუნქტია. აქედან მიდის უმთავრესად ყოველგვარი ინფორმაცია აღმოსავლეთის შესახებ, ცენტრალურ მთავრობებთან. ამიტომ აუცილებელი იყო მკვიდრი კავშირი სტამბოლის ყველა წარმომადგენელთან და მათი დაჯერება იმაში, რომ საქართველოში არ მომხდარა არავითარი შინაურული ბოლშევიკური გადატრიალება, არამედ საქართველო დაპყრობილ იქნა გარედან, უცხო ჯარებით, რომ ღღეს იქ უცხო ჯარების ოკუპაცია არსებობს. კონსტანტინეპოლის მაშინდელი მთავრობა ანგორას შეეყურებდა და, რადგანაც ამ უკანასკნელს ბოლშევიკებთან ჰქონდა კავშირი, კონსტანტინეპოლის მთავრობა ჩვენთან ოფიციალურ კავშირს გაურბოდა. თან ჩვენი ტერიტორიის დაკარგვის შემდეგ, ძნელი შეიქმნა ჩვენს წარმომადგენლობას ჰქონოდა შესაფერი ადგილი კონსტანტინეპოლის დიპლომატიურ კორპუსში. აქ, ჩვენ ძლიერ გვიშლიდა ხელს ინგლისელები, რომლებიც რუსეთთან საკომერციო ხელშეკრულებაზე სშირად უთითებენ და ბოლშევიკების მომდურებას ერიდებოდნენ... როგორც ვიცით, ბოლშევიკები საქართველოში, ანგორის დასტურით და შემწეობით შემოვიდნენ. ასაწონ-დასაწონი იყო ყველა ის პირობები, რომელშიდაც ოსმალები აწარმოებდნენ თავის პოლიტიკას რუსეთის და კავკასიის მიმართ. ჩვენი წარმომადგენლობა, როგორც ოსმალებში მყოფი, პირველი ღღეებიდან შეუდგა კონსტანტინეპოლის ოფიციალურ და კერძო გავლენიან პირებთან კავშირის დაკავებას. მართალია, კონსტანტინეპოლი ანგორას მოწყვეტილი იყო და ანატოლიაში მას არავითარი გავლენა არ ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც საჭირო იყო აქ ნაცნობობის ქონა იმ პირებთან, რომლებიც შემდეგში დიდ როლს ითამაშებდნენ...“<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არ-



ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ოსმალებთან მოლაპარაკების გააქტიურების მიზნით, გადაწყვიტა კონსტანტინოპოლში გიორგი მაჩაბელი გაეგზავნა. მას, ჯერ კიდევ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, მჭიდრო კავშირში ჰქონდა გერმანულ პოლიტიკოსებთან და პირველი მსოფლიო ომის დროს, მათ მოკავშირე თურქებთან. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, გ. მაჩაბელი ემიგრაციაში წავიდა. იგი მჭიდრო კავშირში იყო 1914 წელს შექმნილ ჟენევის „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“. ცნობილმა ეროვნულმა მოღვაწემ, პეტრე სურგულაძემ, ჟენევაში, შემოიკრიბა ქართველ პატრიოტთა მცირე ჯგუფი და 1913 წელს გამოსცა ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, რომელთანაც თანამშრომლობდნენ მიხაკო წერეთელი, ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები და სხვ. ჟურნალ „ერი“-ს (ჟურნალი 1909-1910 წლებში თბილისში სხვადასხვა სახელწოდებით გამოიცემოდა და ეროვნული მიმართულების გამო, ცენზურისა და ხელისუფლებისაგან იდევენებოდა – ლ. ს.) პოზიციას აგრძელებდა, მეტიც, პროპაგანდას უწევდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას.

ჟენევის ჯგუფის მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. ქართველი მოღვაწეები დიდ იმედს ამყარებდნენ გერმანიაზე. ისინი ფიქრობდნენ, რომ პირველ მსოფლიო ომში მონარქისტული რუსეთის დამმარცხება, საქართველოს დამოუკიდებლობას გაუხსნიდა გზას. ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი ალექსანდრე ასათიანი აღნიშნავს: „მსოფლიო ომი დაიწყო და მრავალ დამონავებულ ერს გაუღვიბა და გაუცხოველა განთავისუფლების იმედი. ეროვნულ-დემოკრატიულ წრეებს ღირსეულად აქვთ შეფასე-

---

ქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 27, ფურც. 1-2.

ბული ეს ახალი ვითარება. მათ ფიცხელი მზადება და მარა-  
გი აქვთ როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ეს წრე-  
ები ორი მიმართულებით მუშაობდა, რომ საქმე სავსებით და-  
ზღვეული ჰქონოდათ. ერთია ლეგალური გზა და ლეგალური  
საშუალებების გამოყენება, ეს გამოდგებოდა უკვე თუ რუსე-  
თი გამარჯვებული გამოვიდოდა ომიდან. მეორე მიმართულე-  
ბით მუშაობა ეწყობოდა იმ შემთხვევისათვის, უკეთუ რუსეთი  
დამარცხდებოდა მსოფლიო ომში. ამ შემთხვევისათვის მუშა-  
ობას აწარმოებდა უცხოეთში ჟენევის ჯგუფი და საქართვე-  
ლოში კი „საქართველოს“ გარშემო თავმოყრილი ახალგაზრ-  
დობა“.<sup>1</sup>

ჟენევის კომიტეტის დავალებით, 1915 წელს, გიორგი  
მაჩაბელი საქართველოში ჩამოვიდა. მან ეროვნულ-დემოკრა-  
ტიული მიმართულების წრეებში აქტიური მუშაობა გააჩაღა.  
ქუთაისში, გ. ფალავანდიშვილის ბინაზე შეხვედრა მოეწყო,  
რომელსაც ესწრებოდნენ: სოციალ-დემოკრატებიდან: ნ. ჟორ-  
დანიას და ე. გეგეჭკორი, სოციალ-ფედერალისტებიდან: ს. ფი-  
რცხალავა და გ. რცხილაძე, ეროვნულ-დემოკრატებიდან: შ.  
ამირეჯიბი და რ. გაბაშვილი<sup>2</sup>. გ. მაჩაბელმა მათ გააცნო კო-  
მიტეტის მუშაობა ევროპაში და სურვილი გამოთქვა ყველა  
ეროვნული ძალა ერთად დარაზმულიყო, რათა ხელსაყრელ  
შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ.

ილო მაჩაბელი (გ. მაჩაბელის ძმა, იგი ჩეკისტებმა  
1938 წელს, თბილისში, დახვრიტეს, – ლ. ს.) იგონებს:  
„1915 წლის დასაწყისში, პეტროგრადში საზღვარგარეთიდან

---

<sup>1</sup> ალექსანდრე ასათიანი, „ძველი და ახალი მექვიდრობა“, გვ. 139-140, პარიზი, 1928.

<sup>2</sup> ალექსანდრე მანველიშვილი, რუსეთი და საქართველოს დამოუ-  
კიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984, გვ. 107.

ჩამოდის ჩემი ძმა. გულშიც არ გამივლია, რომ იგი ამ დროს, ჩამოყალიბებული გერმანოფილი იყო. ბერლინის სამთო აკადემიის კურსდამთავრებულმა, ჭკვიანმა, ნაკითხმა, მშვენიერი შესახედაობისამ, პეტროგრადის მაღალ საზოგადოებაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. აქ იგი შეხვდა თავის ძველ მეგობარს, ვასო ღუმბაძეს, რომელიც „დაამუშავა“ და დაიყოლია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად, ხელი შეეწყო ომში რუსეთის დამმარცხებისათვის (იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი, – ლ. ს.). სამხედრო აღჭურვილობაზე ყველა შეკვეთა ხომ ვ. ღუმბაძის ხელში იყო! გიორგიმ ვასოსთან ერთად შეიმუშავა მზაკვრული გეგმა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ყველა ჭურვი, რომელიც მის მიერ შეკვეთილი და დამზადებულია რუსეთის არმიის გენერალური შეტევისათვის, სხვა კალიბრისაა და არ ერგება ჩვენს ქვემეხებს... დაიწყო ამერიკიდან რუსეთის არმიისათვის ღუმბაძის შეკვეთების მიღება... ფრონტზე საშინელი კატასტროფა ხდება, რუსეთის არმია გენერალური შეტევის წინ, ჭურვების, შესაბამისი აღჭურვილობის გარეშე რჩება. დაიწყო რუსეთის არმიის კატასტროფული უკანდახევა კარპატებიდან...“.<sup>1</sup>

გიორგი მაჩაბელი საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო ოსმალეთში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, როდესაც საქართველოს მთავრობის ოფიციალური დელეგაცია პარიზში გაემგზავრა, რათა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება მოეპოვებინა, წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან, ის დელეგაციის მეთაური ეგონათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს დელეგაციის მეთაური კარლო

---

<sup>1</sup> ა. ასლანიშვილი, მისი უდიდებულესობის საიდუმლო დესპანი, გაზეთი „7 დღე“, ყოველკვირეული გაზეთი“, 1991 წ., №14 (32), 5 აპრილი, გვ. 4-5,

ჩხეიძე წერს: „...დელეგაცია მთელი თავისი შემადგენლობით გამოვიდა ბათუმიდან 18-ს ამ თვეს (იგულისხმება 1919 წლის 18 იანვარი - ლ.ს.) და 20-ს ჩამოვიდა ნაშუადღევს ორ საათზე. სასტუმროში გადმოვედით საბარგო ავტომობილებით, რომელიც ინგლისის საელჩომ გამოგვიგზავნა. ჩვენს გემზე შემთხვევით იყო გიორგი მაჩაბელი, რომელიც აქვე ჩამოვიდა. მეორე დღესვე გაზეთებში დაიბეჭდა ჩვენი ჩამოსვლის ამბავი, ზოგან ყალბი, ზოგან ტენდენციური. ერთში ნათქვამი იყო, რომ დელეგაციას მეთაურობს გიორგი მაჩაბელი...“<sup>1</sup>.

გიორგი მაჩაბელმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. მისი კონსტანტინოპოლში წარგზავნის იდეა ძალიან მოეწონა იქაური მისიის ხელმძღვანელს - კ. გვარჯალაძეს. 1923 წლის 11 მაისის წერილში, იგი აკაკი ჩხენკელს წერს: „...აზრი, რომ გიორგი მაჩაბელი გაიგზავნოს ანგორაში, მე მომწონს. ის არის პარტიულად ფინანტიკოსი, ჩვენთან ნამუშევარი არის, რამდენადაც ვიცი დისციპლინის კაცია, დირექტივებსაც დაიცავს, ინიციატივა აქვს, მოხერხებული და მოქნილი კაცია, თან ამას წინათ თურქებთან ჰქონდა საქმე და ნაცნობობა. ყველა აქეთ მყოფ სხვა პარტიების კაცებიდან ის საუკეთესო კანდიდატი არის, ჩემის აზრით. ნაციონალ-დემოკრატები, ვინც კი აქ ჩამოვიდნენ, გ. გვაზავადან დაწყებული და სპირიდონ კედიათი გათავებული, იმის ცდაში იყვნენ მუდამ, რომ ცალკე პარტიულად ემუშავათ. მათმა ცდამ არც ერთჯერ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო, რომ რამე შედეგი მოყოლოდა მათ ცდას, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ისინი დღემდინ ჩვენ გამოგვეთიშებოდნენ. ამას გ. მაჩაბელი არ იზამს, ის

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 148, ფურც. 15.

მთავრობას გინებას არ დაუწყებს აქ. რაც შეეხება დროს მისი ანგორაში გამგზავრებისა, ვგონებ, რომ ეს უნდა მოხდეს ზავის შეკვრის შემდეგ. შეიძლება და ეგებ კარგიც იყოს, თუ ახლავე წავა და აქედანვე დაიწყებს იქ ნიადაგის მზადებას, მაგრამ საფიქრებელია, რომ ახლა იქით არ შეუშვებენ და უარს ეტყვიან, მასთან კერძოთაც რამე საქმე დაიჭირონ. ხომ იცით დღეს როგორ ფრთხილობენ. ამ სამი დღის წინათ აქ ვნახე ანგორის წარმომადგენელი აღნან ბეი და მანაც დიდი სიფრთხილე გამოსთქვა, არ გვინდა რითიმე დღეს რუსების ყურადღება მივიპყროთო, საამისო დრო მოვაო, მაგრამ საუკეთესო იქნება, თუ მაჩაბელი იზმეთს ინახულებს და მის აზრს გაიგებს და ამისდა მიხედვით იმოქმედებთ. თუ იზმეთი არ იქნება უარზე, მაჩაბელი დაუყოვნებლივ წამოვიდეს, როცა სათანადო ნებართვა არის, მგზავრობა შეიძლება სტამბოლიდანაც და სმირნიდანაც“.<sup>1</sup>

კ. გვარჯალაძე, როგორც ვხედავთ იმედის თვალით უყურებდა გ. მაჩაბლის თურქებთან ძველ ნაცნობობას, ამას ემატება გ. მაჩაბლის პიროვნული თვისებები, პირად, ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა საქვეყნო საქმის კეთების სურვილი, რაც მან არაერთხელ დაადასტურა თავისი ერთგულებით საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავდადებულ ბრძოლაში. როგორც კ. გვარჯალაძის შემდგომი წერილებიდან ჩანს, გ. მაჩაბელი ჩავიდა კონსტანტინოპოლში, მაგრამ ის იზმეთ ფაშამ არ მიიღო შეხვედრაზე. რასაკვირველია, მათი შეხვედრა მნიშვნელოვნად ვერაფერს შეცვლიდა, ვინაიდან ქემალ ფაშა ერიდებოდა ბოლშევიკების წყენინებას. 1923 წლის 13 აგვისტოს წერილში, კონსტანტინე გვარჯალაძე აკაკი ჩხენკელს წერს: „...აქაური ჩემი ცნობებით, ანგორის

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 72, ფურც. 31.

მთავრობის თავმჯდომარედ რაუფ ბეის ადგილას, ფეტი ბეი იქნება. როგორც გადმომცემენ, ფეტი ბეი კავკასიის საკითხს, კარგად არ უნდა უყურებდეს და არ სწამს იგი. რაუფ ბეი, ჩვენს საკითხს კარგად უყურებდა. ამბობენ, რომ ის ელჩად იქნება დანიშნული ინგლისში, ან ამერიკაშიო. უფრო მგონი ინგლისში. მას ექნება დიდი მნიშვნელობა, როგორც წინა წერილში ვიწერებოდი. იმ შემთხვევაში, კიდევ უფრო საჭირო იქნება ვინმეს მუდმივად დაჯდომა ლონდონში, რომ სისტემატურად იმუშაოს ინგლისელებთან და ოსმალეთის იქაურ წარმომადგენელთან. არ არის, რასაკვირველია, მართალი ის, რომ მაჩაბელი იზეთმა არ მიიღო მიტომ, რომ ის ძველი მთავრობის წარმომადგენელია. თქვენც ხომ ძველი მთავრობის წარმომადგენელი იყავით, მაგრამ ხომ მივიღოთ! მე ვიცი, აქ კონსტანტინოპოლში, ფაქტი, როცა ჩვენი მთავრობის არა წარმომადგენლებს უთხრეს, დღეს თქვენ ყველანი ერთად უნდა იყოთ და პარტიულად და ცალკე გამოსვლები გაუწიოთ; უმჯობესია ყველამ ერთად იმუშავოთო...“<sup>1</sup>

რუსეთ-ოსმალეთის კავშირზე კ. გვარჯალაძე, 1923 წლის 30 ოქტომბრის, წერილში ამბობს: „...ცნობილია, რომ რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა თეთრი ძაფებით არის შეკერილი და ამ მეგობრობას არასოდეს მტკიცე საფუძველი არ ქონია. ამ მეგობრობით უფრო, რასაკვირველია, ოსმალეთმა ისარგებლა ყოველივე მხრივ, ვიდრე რუსეთმა, მაგრამ ზოგიერთი ხელშეკრულების ძალით, რუსებსაც უნდოდა ესარგებლათ. მაგალითად, მოსკოვის ხელშეკრულების ძალით, ოსმალეთს არ ჰქონდა უფლება რკინის გზებზე ან სხვა რამეზე დიდი კონცენსიები რუსების გარეშე და უდასტუროდ გაეცა სხვებზე. ზავის ჩამოგდების შემდეგ კი ოსმალეთში თავისუფ-

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 72, ფურც. 43.

ლად მოდიან უცხო ქვეყნის დაუკითხავად. რუსებს ეს ძლიერ აღიზიანებს. მთელი ორი წელია, რუსები აწარმოებენ სავაჭრო საქმეებზე მოლაპარაკებებს თურქებთან და დღემდე ვერაფერი მოათავეს და გააკეთეს... ოსმალეთს არავითარ შემთხვევაში არ სურს სტამბოლში იცნოს ბოლშევიკების ვნეშტორგი (რუსეთის საგარეო ვაჭრობა, – ლ. ს.), რუსები კი მეტად დაინტერესებული არიან ვნეშტორგით, ეს ხომ მათი საპროპაგანდო ორგანიზაციაა... ოსმალეთს ყარსის ხელშეკრულების ძალით აქვს უკვე კავშირი კავკასიის რესპუბლიკებთან და მათთან ურჩევნია მოსაზღვრეობა, ვიდრე რუსეთის კავშირთან, სადაც კავკასიის რესპუბლიკებს გავლენა არ ექნებათ. თან დღეს რუსეთი ნათლად ხედავს, რომ ოსმალეთი მას თანდათან შორდება, უნდობლობის თვალთ უყურებს, მაინცდამაინც არც კი ერიდება მისი და დასავლეთს უფრო და უფრო უახლოვდება... ოსმალეთის დღევანდელი შინაური მდგომარეობა არ არის ისეთი, რომ ამ კონფლიქტის ინიციატორობა მან იკისროს. ქემალის და მისი მთავრობის ცდა დღეს ის არის, რომ შინ მომაგრდეს და არ წაიქცეს. რუსეთთან ღია კონფლიქტს ის არ დაიწყებს...“<sup>1</sup>

კონსტანტინე გვარჯალაძე 1921-1925 წლებში, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი იყო კონსტანტინოპოლში, ხოლო 1925-1930 წლებში დიპლომატიური საქმიანობა ლონდონში გააგრძელა<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 20, ფურც. 46.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური ქივი, კონსტანტინე იაგორის ძე გვარჯალაძის (1883-1954 წწ.) პირადი ფონდის აღწერა, ფონდი 2114, აღწერა 1.

1923 წლის ბოლოს, გიორგი მაჩაბელი ამერიკაში გადასახლდა, სადაც 1924 წელს გახსნა ანტიკვარული მაღაზია, სახელწოდებით: „წითელი და შავი“. ამასთან, არ ივიწყებდა თავის ძველ გატაცებას – სუნამოების შეზავებას. 1926 წელს დაარსა საკუთარი კომპანია. იგი თვითონვე ქმნიდა, ამზადებდა, აფორმებდა სუნამოებს და რეკლამასაც თვითონ უკეთებდა<sup>1</sup>.

1935 წელს იგი ნიუ-იორკში 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. გიორგი მაჩაბლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ემიგრაციაში გამომავალი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანო, გაზეთი „სამშობლო“ წერს: „მისი მოკლე, მაგრამ გასაოცარი ღირსებებით დაჯილდოვებული სიცოცხლე, მტკიცეაა ჩაქსოვილი საქართველოს განთავისუფლებასთან; და თუ აქამდის ღირსეულად არ არის შეფასებული, აიხსნება მხოლოდ მისი თავმდაბალი მოკრძალებით და ღრმა შეგნებით, რომ დიდი საქმეები არ კეთდება კვეხნით, ბრახუნით და ბრჭყვიალა სიტყვებით. „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, განთავისუფლებული საქართველო და მომავალი თაობანიც იამაყებენ იმ თავგადასავლით, რომლითაც ძვირფასმა გიორგიმ დაამშვენა ერთ-ერთი ულამაზესი, უსაშიშროესი და უღრმესი განცდებით სავსე ფურცელი ჩვენი ახალი ისტორიისა“.<sup>2</sup> გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ კი იუწყებოდა: „კვირას, 31 მარტს, ნიუ-იორკში, თავის ბინაზე, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი. ისედაც მცირერიცხოვან აქაურ ქართველებს, მოგვაკლდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი

---

<sup>1</sup> რუსუდან დაუშვილი, „გიორგი მაჩაბელი სუნამოების პრინცი“, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი: „ისტორიანი“, თბილისი, 2011, №2, თებერვალი, გვ. 41-46.

<sup>2</sup> გაზეთი „სამშობლო“, №17-18, პარიზი, 1935 წ., გვ.55-56.



წვერი. განსვენებული ცნობილი იყო, როგორც პატრიოტი და პოლიტიკური მოღვაწე. აქ, ამერიკაში, განსაკუთრებით, ნიუ-იორკის საზოგადოებაში, მას კარგად იცნობდნენ. სახელი მოიხვეჭა, უმაღლესი ხარისხის პარფიუმერიის გამოშვებით, რომლის განყოფილება პარიზშიც არის. თავის ხელით დაწყებული პატარა სარდაფის კუთხეში ეს საქმე გაზარდა ფასდება ნახევარ მილიონ დოლარზე მეტად. უკანასკნელ ხანებში აპირებდა განყოფილების გახსნას შანხაიში (ჩინეთში) და კალიფორნიაში. ამ უკანასკნელი ადგილიდან ჰაეროპლანით ჩამოფრინდა ნიუ-იორკში. გზაში გაცივდა და ერთი კვირის ავადმყოფობის შემდეგ, მოულოდნელად გარდაიცვალა... დიდი დანაკლისია სამშობლოსთვის, ისეთი ადამიანის დაკარგვა, როგორც იყო გიორგი მაჩაბელი, ჯერ მხოლოდ 49 წლის, სავსე ენერგიით, კარგი ქართველი. რომაელები იტყობდნენ, რომ მკვდარზე ან კარგი თქვი, ან არაფერიო, მაგრამ ჩვენს პატარა ერს, ერს მუდამ განსაცდელში მყოფს – ყოველი სალი ქართველი სათვალავში ყავს და სიკვდილის დროს, მას ანგარიში მოეთხოვება. სიკვდილი ჩვენთვის არის ერთგვარი გამოცდა, გამოცდა სამშობლოს წინაშე, ვინ რა გააკეთა, ვის როგორი გული ჰქონდა. დიდს მეტი მოეთხოვება, უბრალოს თუნდაც კეთილი გული, კეთილი სურვილი თავის სამშობლოსადმი. ვაი ორგულს, ვაი იმ ქართველს, ვინც თავის სიცოცხლეში ქართველი არ იყო. მის სამარესთან ქართველს ენა გაეკმინდება. გიორგის საფლავზე კი ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა... სამშობლოში და სხვაგანაც ბევრი კარგი ქართველი დაკარგეთ... მომენტი იქაც და სხვაგანაც ჩვენთვის მეტად სევდიანია... მაგრამ ქართველი ხალხი იმედით ცხოვრობს, იმედით და მასთან დაუღალავი მეცადინეობით,

გამჭირაზობით, სამშობლოსათვის ბრძოლით და ამით ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს“.<sup>1</sup>

მიუხედავად დიდი სიძნელებისა, ემიგრაციაში მოღვაწე, ქართველი პოლიტიკოსები, აქტიურად აგრძელებდნენ ბრძოლას და იმედის თვალთ უყურებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

### **დამოწმებანი:**

ასათიანი ა., ძველი და ახალი მემკვიდრეობა, პარიზი, 1928.

მანველიშვილი ა., რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984.

ჩაჩხიანი ა., რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922), თბილისი, 2015.

ასლანიშვილი ა., „მისი უდიდებულესობის საიდუმლო დესპანი“, გაზეთი: „7 დღე“, თბილისი, 1991, №14 (32), 5 აპრილი.

გაზეთი „სამშობლო“, №17-18, პარიზი, 1935 წ.

გიორგი მაჩაბლის კერძო წერილები აკაკი ჩხენკელს, რუსუდან კობახიძის პუბლიკაცია, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, თბილისი, 2014. №2(5).

გვაზავა გ., პეტრე სურგულაძე, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, №69, პარიზი, 1931.

ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი, 1989.

დაუშვილი რ., გიორგი მაჩაბელი სუნამოების პრინცი, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი: „ისტორიანი“, თბილისი, 2011, №2, თებერვალი.

---

<sup>1</sup> პ. კვარაცხელია (ნაური), წერილი ამერიკიდან, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1935, №113, გვ. 6.

ჯანელიძე ო., გიორგი მაჩაბელი დიპლომატიურ ასპარეზზე, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, თბილისი, 2013, №1 (4).

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ასლები, საქმე 711.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 610.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2113, აღწერა 1, საქმე 31.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 71.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 27.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 72.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 20.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 148.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, კონსტანტინე იაგორის ძე გვარჯაღაძის (1883-1954 წწ.) პირადი ფონდის აღწერა, ფონდი 2114, აღწერა 1.

Afanasyan S., L'Arménie, l'Azerbaïdjan et la Géorgie de l'indépendance à l'instauration du Pouvoire Soviétique 1917-1923, Paris, 1981.

კვარაცხელია (ნაური) პ., წერილი ამერიკიდან, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1935, №113.

*Lela Saralidze*  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,*  
*Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*  
**MISSION OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF  
GEORGIA IN CONSTANTINOPLE  
AND GEORGE MACHABELI  
RESUME**

The work is based on the new archive documentary materials and it's about history of the activitie's of emigration Georgian Democratic Republic mission in Constantinople. The work is displayed the struggle of emigration government of the Democratic Republic of Georgia for the restoration of Georgia's territorial integrity. After the Georgia's forced occupation by russian bolshevik troops, In March 1921, The national government of Georgia, has gone to Europe and continued to fight abroad for the restoration of the lost independence. In February, 1921, after the attack on Georgia, the Ottoman Empire promised to give a hand to the government of Georgia and under this pretext came with its army in the southern part of the Georgia Democratic Republic. In parallel of these developments, during the negotiations in Moscow, Russia and Ottoman Empire were looking for the agreement on the future divide of Georgia's territory.

Set out on the reports of the Constantine Gvarjaladze – the diplomatic representative of the Democratic Republic of Georgia in Constantinople, showing the Ottoman Government's evil plans, which led to the loss of independence of the Transcaucasian Republics. It is emphasized that the national government of Georgia has paid special attention to the cooperation with in the Ottoman Empire. Constantine Gvarjaladze were negotiations with the 22 representatives of

various countries in Constantinople. Of the time, the Constantinople's government watching to the Angora Government, which had the active relations with bolshevik Russia yet. They deliberately avoided the conversation with the representatives of emigration government of the Democratic Republic of Georgia.

The National Government of Georgia decided to send George Machabeli to negotiate with the members of Angora's Government. K. Gvarjaladze agreed with the national government's decision, because G. Machabeli had a direct connection with germans and their allies, the turks even before the declaration of independence of Georgia. As the documents show, that Izet Pasha the foreign minister of Government of Angora did not accept the georgian diplomat admission.

Georgian politicians in exile continued actively to fight and were hoping to watch the restoration of independence of Georgia.

*მარიამ ხატიაშვილი*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**„პრინცი მაჩაბელის“ სახელობის ჯილდოები**  
**ამერიკის შეერთებულ შტატებში**

„სუნამოების პრინცად“ წოდებულმა ცნობილმა ქართველმა-ამერიკელმა, გიორგი მაჩაბელმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლიდან 4 წლის შემდეგ, 1926 წელს დააარსა პარფიუმერული მაღაზია „Prince Matchabelli“. მისმა პარფიუმერულმა ნაწარმმა ამერიკული საზოგადოების მხრიდან დიდი აღიარება დაიმსახურა, ფირმა წარმატებულად განვითარდა, თუმცა 1936 წელს აღნიშნული ბრენდი სუნამოების მწარმოებელმა სოლ გენცმა შეისყიდა. 1987 წლიდან კი ბრენდის მფლობელი გახდა ანგლო-ჰოლანდიური კომპანია „უნილევერი“. ამ ფაქტებმა პარფიუმერული ფირმის პროდუქციის სახელის შეცვლაზე არ იმოქმედა და დღემდე პარფიუმერული ნაწარმი კვლავ დამფუძნებლის, პრინცი მაჩაბელის სახელით გამოდის.

1970-80-იანი წლების ამერიკული პრესის მიმოხილვისას ჩვენთვის დიდი აღმოჩენა გახდა ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობდა „პრინცი მაჩაბელის“ სახელობის ჯილდოები.

1972 წლის 13 იანვრით დათარიღებული „St. Petersburg Times“ იუწყება, რომ 21 წლის საიბილ შეფარდისა და სხვა ქალებისათვის 1972 წლის 25 იანვარს უნდა გადაეცათ

„პრინცი მაჩაბლის“ ჯილდო სუნამოების კომპანიისგან „კარიერაში 1971 წელს მიღწეული ახალ სიმაღლეებისათვის“. ცერემონია „თანამედროვე ამერიკული ხელნაკეთი ნივთების მუზეუმში“ გაიმართა. საიბილ შეფარდის, ცნობილი ამერიკელი მსახიობის, მოდელისა და მომღერლის ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ 1971 წელს მან მონაწილეობა მიიღო ფითერ ბოგდანოვიჩის ფილმში „უკანასკნელი კინოსეანსი“ და კრიტიკოსებისაგან საუკეთესო შეფასებები დაიმსახურა. იმავე წელს ის ოქროს გლობუსის ნომინაციაზე იყო წარდგენილი, როგორც ყველაზე პერსპექტიული დამწყები მსახიობი ქალი.

თემაზე მუშაობისას აღმოვაჩინეთ, რომ პრინცი მაჩაბლის ჯილდო „Sun Shower Award“ „1971 წელს კარიერაში მიღწეული წარმატებისათვის“ ასევე მიიღო აფრო-ამერიკული პოეზიის პრინცესად წოდებულმა ამერიკელმა მწერალმა ნიქი ჯიოვანმა, ქალაქ ნიუ-იორკის საბალეტო დასის პრიმა ბალერინა ქეი მაზომ და დიზაინერმა ბეთსი ჯონსონმა. 1970-იანი წლების დასაწყისში საზოგადოებამ დაიწყო ბეთი ჯონსონის ნიჭისა და შრომის დაფასება. 1972 წლის 25 იანვარს „ამერიკული ხელნაკეთი ნივთების საბჭოში“, ნიუ-იორკში, „პრინცი მაჩაბლის“ კომპანიის მიერ დაფინანსებულ წვეულებაზე მან მიიღო პირველი ყოველწლიური ე.წ. „მზის საჩუქარი“. ამ სამ ქალბატონს ჯილდო გადასცა „პრინცი მაჩაბლის“ კომპანიის პრეზიდენტმა ფრანკ სტამბერგმა. ასე რომ, მაჩაბლის ჯილდო გადაეცათ გამოჩენილ ქალბატონებს 1971 წელს კარიერაში მიღწეული ახალი წარმატებებისათვის.

„მზის საჩუქარი“ (Sun Shower) „პრინცი მაჩაბლის“ კომპანიის მიერ 1972 წელს გამოსული ქალის სუნამო იყო.

1980-90-იან წლებში ასევე არსებობდა „პრინცი მაჩაბლის სახელობის ეროვნული გმირის ჯილდო“ (Prince Matchabelli National Hero Award) მამაკაცებისათვის. როგორც სა-

ზოგადოებრივი ურთიერთობების ამერიკელი სპეციალისტები აღნიშნავენ, ეს ჯილდო საუკეთესო საშუალება იყო კომპანიისათვის – შეექმნა ახალი პროდუქცია განსაკუთრებული მოვლენებისა და შეთავაზებების შემთხვევაში. „პრინცი მაჩაბლის“ კომპანიის განყოფილებამ „Chesebrough-Pond's USA“-მ მომხმარებლებს წარუდგინა მამაკაცის ახალი ოდეკოლონი სახელად „გმირი“. იმისათვის, რომ ეს ახალი შეთავაზება იმავე წელს გამოსული 21 სახეობის მამაკაცური სუნამოს არომატისაგან განესხვავებინათ, ფირმამ შეიმუშავა „ეროვნული გმირის ჯილდოს პროგრამა“ ნამდვილი ამერიკელი მამაკაცი გმირებისათვის და დახმარება სთხოვა ამერიკის „დიდ ძმებსა და დიდ დებს“ დახმარებოდნენ პროგრამის განხორციელებაში. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია 1904 წელს ნიუ-იორკში დაარსდა, რომლის მიზანია დაეხმაროს ყველა ბავშვს წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები პროფესიონალ მოხალისე მენტორთა დახმარებით.

როგორც ირკვევა, ეროვნული გმირის ჯილდოს პროგრამა ამოქმედებულია 1988 წელს და „ამერიკის დიდ ძმებთან და დიდ დებთან“ ერთად აჯილდოვებდა ნამდვილ გმირებს, რათა გაეცნოთ ამერიკელი ბავშვებისათვის და დახმარებოდნენ მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და სამომავლო კარიერის დაგეგმვაში. 1989 წელს აღნიშნულ პროგრამას მოუგროვებია 180.000\$ მეტი და 33%-ით მეტ მოხალისე მოზარდისთვის მიუცია სტიმული გმირული ძალისხმევისათვის, რომ ბავშვების ცხოვრება პოზიტიურად შეეცვლა. „პრინცი მაჩაბლის“ ეროვნული გმირის განსაკუთრებულ ჯილდოზე წარადგინეს პიტერ გელიორდი – აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე.

1989 წელს პრინცი მაჩაბელის სახელობის ეროვნული გმირის ჯილდო ხელოვნებისა და საესტრადო ღონისძიებების



დარგში მიიღეს: ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა, სცენარისტმა ჯიმ ჰენსონმა, „მაკდონალდსის“ ყოფილმა დირექტორმა, სახელოვანმა ამერიკელმა ქველმოქმედმა ედვარდ რენსიმ, ხოლო 1990 წელს ეს ჯილდო მუსიკის დარგში ამერიკული ქანთრის, სამხრეთული როკისა და ბლუგრასის შემსრულებელ მუსიკალურ ჯგუფ „ალაბამას“ გადაეცა.

საყურადღებოა ისიც, რომ როგორც 1990 წლის 26 ივლისის „ვესთ ლიონ ჰერალდი“ იუწყება, „პრინცი მაჩაბლის“ სახელობის ეროვნული გმირის ჯილდოს“ მოსაპოვებლად წარდგენილ კანდიდატებს შორის იყო ამერიკის შეერთებული შტატების 41-ე პრეზიდენტი ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუში; ამერიკელი მსახიობი, მოცეკვავე, მომღერალი ბობ ჰოუფი; ამერიკელი ბეისბოლისტი გერი კართერი და ამერიკელი კომიკოსი, სცენარისტი, მსახიობი ჯერი ლიუისი. „ვინ მოიგებს 1990 წლის ეროვნული გმირის ჯილდოს? ჩვენ ამას მალე შევითვით, როგორც კი ათასობით ამერიკელი ხმას მისცემს „პოპლენ მაგაზინეს“ გამოკითხვის მეშვეობით საკუთარ რჩეულს“, – ვკითხულობთ ამავე გაზეთში: „მეორედ ყოველწლიური ეროვნული გმირის ჯილდოს აფინანსებს ოდეკოლონ „გმირის“ შემქმნელი „პრინცი მაჩაბლის“ კომპანია და ეხმარება „BBBS America“-ს, რომ „გმირი“ ბავშვებს გააცნოს. ამ წელს ყველას შეუძლია დაეხმაროს ამ ეროვნულ ბავშვთა ორგანიზაციას ფასდაუღებელი საქმიანობის გაგრძელებაში. „პრინცი მაჩაბელი“ შესწირავს 50 ცენტს BBBS-ს და 1\$ თუკი ასევე შეიძენთ ოდეკოლონს. მონაწილეობის მისაღებად, იხილეთ ანკეტა 30 ივლისის „პოპლენ მაგაზინეს“ ნომერში, ან ადგილობრივ მაღაზიაში, სადაც იყიდება ოდეკოლონი „გმირი“, – ვიგებთ გაზეთში აღნიშნული ინფორმაციიდან.

„პრინცი მაჩაბელის სახელობის ეროვნული გმირის ჯილდო“ არა მარტო საუკეთესო მენეჯმენტური გათვლა იყო პარფიუმერიული კომპანიისთვის, არამედ ბრწყინვალე ჰუმანიტარული და საქველმოქმედო მიზნების გახორციელება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „პრინცი მაჩაბლის“ სახელობის ჯილდოები, როგორც ცნობილი და გამოჩენილი ამერიკელი ქალების, ასევე მამაკაცებისათვის, იმავე სახელწოდების სუნამოების სახელებს უკავშირდებოდა. პირველ შემთხვევაში ეს იყო ქალბატონების სუნამო “Sun Shower”, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მამაკაცის ოდეკოლონი “Hero”. ერთი რამ ამკარაა: ამ ჯილდოებმა ამერიკულ საზოგადოებაში „პრინცი მაჩაბლის“ სახელის უკვდავყოფას შეუწყო ხელი და მათ მფლობელ ცნობილ ამერიკელ მოღვაწეთა ბიოგრაფიებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

***Mariam Khatishvili***

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**PRINCE MATCHABELLI AWARDS IN THE UNITED STATES RESUME**

The paper reports the particular information on the history of Prince Matchabeli perfume company founded by Georges Vasili Matchabelli, Georgian-born American perfumer. The report is mainly developed on the evaluation of the 1970-80s American digital magazines and journals and through the primary and secondary sources the author discovers the unknown and the newest data about Prince Matchabeli awards in Georgian scientific field. The document reads a role of

Prince Matchabelli special awards in the U.S. The research reports the examples about the annual „Prince Matchabelli” „Sun Shower Award” for outstanding women who „have achieved new heights in their careers in 1971” and a „Prince Matchabelli” „National Hero Awards Program” honoring authentic male heroes. According to the media sources the author gives names of upon mentioned prizewinners. Finally the author also reports that National Hero Awards Program was a real marketing success in the public relations field with humanitarian aim that benefited „Big Brothers Big Sisters of America”, aiding it in its efforts to provide real-life „heroes” for thousands of America's at-risk children during the 1980-1990s.

## **ქართული ემიგრაციის მემარჯვენე ფრთა 1921-1924 წლებში (გიორგი მაჩაბლის წერილების მიხედვით)**

ტერმინით „ქართული ემიგრაციის მემარჯვენე ფრთა“ 1921 წლის გაზაფხულიდან უცხოეთში გახიზნულ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასა და მსოფლმხედველობრივად მასთან დაახლოებული ადამიანების ერთობას აღვნიშნავთ. ამ წრის მემარჯვენე მიმართულება, ისე როგორც ზოგადად პოლიტიკაში, ცნებები - „მემარჯვენეობა“ და „მემარცხენეობა“ პირობითია. მიუხედავად ამისა, მასზე ცალკე მსჯელობა გამართლებულია და იგი მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ქართულ ემიგრაციაში არსებული რეალობითაა განპირობებული. ქართული ემიგრაციის მემარჯვენე ფრთას ემიგრაციის სოციალისტური (უმთავრესად, სოციალ-დემოკრატიული) ნაწილისაგან სამშობლოს განთავისუფლების, მისი სახელმწიფოებრიობის განახლებისა და მოწყობის პრობლემებისადმი განსხვავებული მიდგომები გამოარჩევედა.

რადგან 1933 წლამდე ფუნქციონირებას განაგრძობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავრობა და იგი მხოლოდ ერთპარტიული იყო, ემიგრაციის მემარჯვენე ფრთა მის ოპოზიციადაც შეიძლება განვიხილოთ.

ქართული ემიგრაციის პირველ ტალღას (დაახლოებით 2500 ადამიანი), რომელიც საზღვარგარეთ საბჭოთა რუსეთის სამხედრო აგრესიამ და დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობამ გადატყორცნა, მრავალრიცხოვანი არ ეთქმის.

ვრცელი არც მისი განსახლების არეალი და გეოგრაფია ყოფილა. ლტოლვილმა ქართველებმა, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას პოლიტიკოსები, მაღალი სახელმწიფო მოხელენი, სამხედროები და მათი ოჯახების წევრები შეადგენდნენ, ბინა ძირითადად საფრანგეთში დაიდეს.<sup>1</sup> აქვე გააგრძელა საქმიანობა ემიგრირებულმა მთავრობამ ნოე ჟორდანიას (თავმჯდომარე), ნოე რამიშვილის, ევგენი გეგეჭკორის, კონსტანტინე კანდელაკისა და ნოე ხომერიკის შემადგენლობით. ეს მთავრობა 1921 წლის 16 მარტს ბათუმში გამართულმა საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელმა სხდომამ კიდევ ერთხელ აღჭურვა იურიდიული უფლებით და უცხოეთში სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა დაავალა.

განსხვავებით სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისაგან, რომლის ლიდერებმა და თვალსაჩინო წევრებმა, მთავრობისა და დამფუძნებელი კრების არაერთი დეპუტატის სახით, საქართველო დატოვეს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეთაური რგოლი საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამშობლოში დარჩა. პარტიის მთავარმა კომიტეტმა და დამფუძნებელი კრების საპარლამენტო ფრაქციამ, ერთობლივი დადგენილებით, ორგანიზაციის წევრებს საზღვარგარეთ გასვლა, ემიგრირებულ მთავრობასთან და სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან თანამშრომლობა აუკრძალა. მიუხედავად ამისა, ისე მოხდა, რომ ზოგიერთი ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი: გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი გვაზავა, რევაზ გაბაშვილი, პეტრე სურგულაძე, იოსებ დადიანი, ლელი ჯაფარიძე და სხვ. მაინც აღმოჩნდა უცხოეთში. 1920 წლის აპრილიდან, რო-

---

<sup>1</sup> საფრანგეთის პოლიციის ცნობით, ამ ქვეყანაში 1200 ქართველი ემიგრანტი ბინადრობდა. იხ. Мамулия Г., Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), Тб., 2012, стр. 5.

გორც საქართველოს ეკონომიკური მისიის წევრი, ევროპაში იმყოფებოდა ნიკო ნიკოლაძე. ბევრმა მათგანმა მალე თავი პარიზში მოიყარა. მათვე შეუერთდა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც დემოკრატიული საქართველოს მთავრობის დავალებით, საფრანგეთში ეროვნული განძეულის მცველად და საპატრონოდ გაემგზავრა. ისინი ჩაებნენ პოლიტიკურ საქმიანობაში, რომელსაც ემიგრირებული მთავრობა ევროპაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად აწარმოებდა.

ცოტა, მოგვიანებით, 1923 წლის ივნისში, პარიზში ჩავიდა ამ პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თავმჯდომარე სპირიდონ კედია. საბჭოთა რეჟიმის მიერ დაპატიმრებულ კედიას ექვსი თვე თბილისის საპრობილეში გაატარებინეს, გათავისუფლების შემდეგ კი სამშობლოდან გააძევეს. თურქეთში ჩასულს, ვიდრე საფრანგეთის ვიზას მიიღებდა, კარგა ხანს კონსტანტინოპოლში მოუწია ყოფნა. აქ ჯერ კიდევ 1922 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ცენტრალური ბიურო,<sup>1</sup> რომელმაც მომდევნო წლიდან პარიზში გადაინაცვლა და მუშაობა გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის მთავარი კომიტეტისა და მისი პრეზიდენტის სახით გააგრძელა.<sup>2</sup>

ეროვნულ-დემოკრატიული და არც სხვა პოლიტიკური პარტიის რიგებში არასოდეს ყოფილან გიორგი მაჩაბელი და მიხაკო წერეთელი, თუმცა ორივე მათგანი, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროიდან, მჭიდროდ იყვნენ დაკავში-

---

<sup>1</sup> ასათიანი ალ. თავადი იოსებ დადიანი (1863-1937), ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1937, №21-22, გვ. 36.

<sup>2</sup> სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007, გვ. 163-170.

რებულნი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმდინარეობასთან და მის ლიდერებთან. იგივე უნდა ითქვას ძმების - ლეო და გიორგი კერესელიძეების შესახებაც, რომლებიც 1904-1905 წლებში ფედერალისტურ პარტიასთან თანამშრომლობდნენ, შემდეგ ხანგრძლივად ევროპაში ცხოვრობდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის აქტიური წევრებიც იყვნენ. რაც შეეხება ვასილ დუმბაძეს, რომელიც ასევე ჩართული იყო ქართული ემიგრაციის მემარჯვენე ფრთის ფართულ მუშაობაში, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, ყველა ამათთან და, განსაკუთრებით კი, გიორგი მაჩაბელსა და სპირიდონ კელიასთან მეგობრობდა.

არჩეული თემის გაშუქება გვიხდება ძირითადად ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, რადგან, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მის შესახებ საარქივო დოკუმენტები და პერიოდული პრესის მასალები ნაკლებად მოიპოვება. ჩვენს ხელთაა გიორგი მაჩაბლის წერილები სპირიდონ კელიასა და გიორგი კერესელიძისადმი და გიორგი კერესელიძის ადრესანტისადმი გაგზავნილი პასუხები. ის გარემოება, რომ ყველა ხსენებული პირი ქვემოთ აღწერილი მოვლენების უშუალო მონაწილე იყო, აძლიერებს მათი მიმოწერის სანდოობას. სხვა მონაცემთა დეფიციტის პირობებში ამ წერილებს უფრო მეტი ფასი ედება და ისინი პირველწყაროს მნიშვნელობას იძენენ.

ცნობილია, რომ ემიგრაციაში გახიზნული ქართული პოლიტიკური ძალები თავდაპირველად კოორდინირებულად მოქმედებდნენ. 1921 წლის 22 სექტემბერს მათ პარიზში შეთანხმებასაც მიაღწიეს, რომლის ძალით: ანტიბოლშევიკური ფრონტის განსამტკიცებლად უნდა შემდგარიყო საქართველოს ინტერპარტიული ორგანო თითო პარტიიდან თითო კაცის შემადგენლობით. შეთანხმდნენ იმაზეც, რომ „ერთადერთ

კანონიერ მთავრობად, ახლის შედგენამდე დამფუძნებელი კრების მიერ, ითვლება ახლანდელი მთავრობა, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება“; და რომ: საქართველოს განთავისუფლების შემდგომ დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციურ მთავრობას.<sup>1</sup>

თბილისში მოქმედმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა ეს დოკუმენტი არ მოიწონა, დაგმო მასზე ხელმომწერ ეროვნულ-დემოკრატიულ საქციელი და უცხოეთში მყოფ პარტიის წევრებს წინადადება მისცა, გაეწყვიტათ ყოველგვარი კავშირი ნოე ჟორდანიას მთავრობასთან და მის პარტიასთან.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელთა აზრით, უცხოეთში გახიზნული მთავრობა საქართველოში კვლავ მთავრობის რანგში აღარ უნდა დაბრუნებულიყო, მუშაობა არ უნდა განეახლებინა არც ძველი შემადგენლობის დამფუძნებელ კრებას. ახალი საპარლამენტო არჩევნების დასრულებამდე ქვეყანას გაუძღვებოდა ღროებითი კოალიციური მთავრობა ან პარიტეტული ეროვნული ცენტრი, რომლის შექმნის დღიდან ემიგრირებულ მთავრობას დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება ეკრძალებოდა.<sup>2</sup> ამ მოსაზრებას

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 2417, ანაწ. 1, საქმ. №53, ფურც. 1-2.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური ქივი, ჰარვარდის ფონდის მიკროფირები, საქმ. № 1145, ფურც. 5; ასევე, საქმ. № 1319, ფურც. 4. სხვა პოზიციას გამოხატავდა ამავე პარტიის თვალსაჩინო წევრი შალვა მირეჯიბი. მისი სიტყვით: „ამ მთავრობას დამფუძნებელმა კრებამ, ესე იგი ქართველმა ხალხმა დაავალა იბრძოლოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. უღალატა მან ამ დავალებას? არა! მთავრობა დღემდე მტკიცედ სდგას დამოუკიდებლობის ნიადაგზე და იცავს მას. მაგრამ რადგან ამ ვალდებულების შესრულებაში მას ესაჭიროება პოლიტიკური დახმარება ერის ყველა ნაწილების, რადგანაც ამას



იზიარებდნენ საქართველოში მოქმედი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია და სოციალ-დემოკრატებისაგან გამოყოფილი „სხივის“ ორგანიზაცია, რომლებიც 1921 წლის გაზაფხულისათვის ეროვნულ-დემოკრატებთან ერთიან ანტიბოლშევიკურ ფრონტში გაერთიანდნენ.<sup>1</sup> სხენებულ გაერთიანებას გაემიჯნენ როგორც საქართველოში დარჩენილი, ისე ემიგრაციაში მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები, რომელთაც ქვეყნის დეოკუპაციის შემდეგაც ძალუფლების სრულად შენარჩუნება ეწადათ. ემიგრირებული მთავრობის წევრები დათმობას არ აპირებდნენ, მაგრამ ხანგრძლივი პაექრობას შემდეგ, როგორც იქნა, გამოინახა ურიერთკომპრომისული ვარიანტი.

1922 წლის 29 აპრილს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა, გაერთიანებულმა ეროვნულ-დემოკრატიულმა, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და დამოუკიდებელმა სოციალ-დემოკრატიულმა („სხივი“) პარტიებმა თბილისში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ (იგივე „პარტიტეტული კომიტეტის“) შექმნის შესახებ.<sup>2</sup> პარტიათა შეთანხმების ამ ორგანოს საქართველოს თავისუფლებისა და დამო-

---

გარდა საჭიროა კონტროლიც, თუ გნებავთ სწორედ იმ მოსაზრებით, რომ ის არის სოციალისტური მთავრობა, ჩვენი პარტია მიდის ამ მთავრობასთან და დახმარებას უწევს ამ მუშაობაში. ...თქმა იმისა, რომ ეროვნულ-დემოკრატები მენშევიკური მთავრობის სამსახურში ვართ, ვაკეთებთ მენშევიკების საქმეს და არა ქართულს – არ არის სერიოზული შეხედულება“. ქართული ლიტერატურის მუზეუმი, შალვა ამირჯვების ფონდი, საქმ. 26960/3, ფურც. 3, 11.

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქმ. №28, ფურც. 798.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური ქივი, ჰარვარდის ფონდის მიკროფირები, საქმ. №1319, ფურც. 4.

უკიდებლობისათვის გაშლილი მოძრაობის საერთო ხელმძღვანელობა დაევალა.

ხელშეკრულების თანახმად, ემიგრირებული მთავრობა განავრძობდა მოღვაწეობას უცხოეთში დამფუძნებელი კრებისაგან მიღებული მანდატის ფარგლებში, ოღონდ თავისი ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი მას ამიერიდან საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისათვის უნდა შეეთანხმებინა.

ანტისაბჭოთა პარტიების ურთიერთობაში თითქოს ყველაფერი გაირკვა და მოწესრიგდა, თუმცა იყო რამდენიმე საკითხი, რაც მათ შორის კვლავ ეჭვსა და უნდობლობას აღვივებდა. ერთ ასეთ საკითხად ფინანსების განაწილება უნდა დავასახელოთ: ცნობილია, რომ პარიტეტულ კომიტეტს საარსებო თანხით ემიგრირებული მთავრობა უზრუნველყოფდა, მაგრამ საზღვარგარეთიდან საქართველოში ფული არათანაბრად იგზავნებოდა და მეტი წილი სოციალ-დემოკრატებს ხვდებოდათ. უკმაყოფილებას იწვევდა ისიც, რომ ემიგრაციის მემარჯვენე ფრთა უცხოეთშიც არსებითად უსახსროდ იყო დარჩენილი. ხელფასით, რომელსაც დევნილი მთავრობა გასცემდა, ეროვნულ-დემოკრატთაგან მხოლოდ სამიოდე კაცი თუ სარგებლობდა: ორი წარმომადგენელი საერთო ფრონტში<sup>1</sup> და ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი.<sup>2</sup>

მემარჯვენე ემიგრაციის წარმომადგენლები იწუნებდნენ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მთავრობის მიერ არჩეულ კურსსაც, რომელიც უმთავრესად ევროპის

---

<sup>1</sup> თავდაპირველად გრიგოლ ვეშაპელი, ხოლო 1923 წლის ივლისიდან სპირიდონ კელია.

<sup>2</sup> ქართული ლიტერატურის მუზეუმი, შალვა ამირეჯიბის ფონდი, საქმ. 26960/20, ფურც. 1.

ქვეყნების სოციალისტურ და მუშათა პარტიებთან თანამშრომლობაზე იყო აგებული. მთავრობა უფრო „დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრის“ კეთილგანწყობის მოპოვებას ემუშებოდა, ვიდრე დასავლეთის სახელმწიფოების მესვეურებთან დიპლომატიურ ურთიერთობას,<sup>1</sup> რაც გაცილებით რთული იყო და, თვით ნოე ჟორდანიას აღიარებით, სათანადოდ ვერც ხერხდებოდა.<sup>2</sup>

შექმნილი რეალობის შეცვლა პირველმა სპირიდონ კედიამ განიზრახა. მან მთავრობისა და მისი პარტიისაგან მთლიანად დამოუკიდებელი მუშაობის იდეა წამოაყენა. თავისი თვალსაზრისი კონსტანტინოპოლში მყოფმა ეროვნულ-დემოკრატიულ ლიდერმა ჯერ პარიზში, თანაპარტიულ ამხანაგებს აცნობა,<sup>3</sup> შემდეგ კი რომში, გიორგი მაჩაბელს გაუზიარა. სპირიდონ კედიას იდეა ითვალისწინებდა, გამოენახათ „მოქმედების ახალი გზა“, „ზურგი აქეციათ მთავრობისათვის და ემუშავათ სრულიად განცალკევებულად“.<sup>4</sup>

პარიზში გახიზნული ეროვნულ-დემოკრატიები გაეცნენ ს. კედიას აზრს და იმსჯელეს, „გაერთიანებული ფრონტი სჯობს სამოქმედოდ, თუ მარტო ჩვენი პარტიის გამოსვლა“. განხილვისას უპირატესობა გაერთიანებულ ფრონტს მიანიჭეს, თუმცა შეთანხმდნენ, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი უფრო ფართო დისკუსიის საგნად ექციათ და

---

<sup>1</sup> ს. კედიას სიტყვით, „არც ერთი ქვეყანა იდეოლოგიური ნათესაობისთვის ჩვენ ეროვნულ პრობლემას არ გამოეჭომაგება“.

<sup>2</sup> სარალიძე ლ., საქართველოს დეოკუპაციისათვის ბრძოლის ისტორიიდან (1921-1923 წწ.), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (14), თბ., 2014, გვ. 74.

<sup>3</sup> სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007, გვ. 26.

<sup>4</sup> სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, გვ. 32.

საბოლოო გადაწყვეტილება პარტიულ კონფერენციაზე მიე-  
ღოთ.<sup>1</sup>

სპირიდონ კელიას წინადადებას დიდი ყურადღებითა და ინტერესით შეხვდა გიორგი მაჩაბელი. თუმცა ისიც კარგად აცნობიერებდა, რომ ეს მეტად „რთული და დელიკატური“, ამასთანავე, „ძალიან საშიში“ საკითხი იყო. კარგად უნდა აე-  
წონათ ამგვარი ნაბიჯის რისკი, შესაძლო საფრთხე და მო-  
სალოდნელი შედეგი. გამორიცხული არ იყო, არაფერი გამო-  
სვლოდათ, ხოლო „საგარეო საქმე“ საერთოდ დაეზარალები-  
ნათ. ყოველივეს მიუხედავად, უმოქმედობაც აღარ შეიძლებო-  
და. გამომდინარე იქიდან, რომ „ჩვენმა მთავრობამ როგორც  
საქართველოს, ისე სამზღვარ გარეთ გამოიჩინა ყოველი უვა-  
რგისობა, გასძლოლოდა როგორც თავისუფალ საქართველოს,  
ისე დაეცვა მისი ინტერესები დამოუკიდებლობის წართმევის  
შემდეგ“, საჭიროდ მიიჩნევდნენ „ახალი ორგანიზაციის შედ-  
გენას, ახალი ძალების შევსებას, ეროვნულ ნიადაგზე“.<sup>2</sup>

გიორგი მაჩაბლის სიტყვით, „ერთხელ ჩავიდინეთ ...  
გაუსწორებელი შეცდომა, ჩავაბარეთ მათ სამმართველოდ და-  
მოუკიდებელი საქართველო და სურთ კიდევ გამეორდეს ესე-  
ვე მოვლენა. ...ჩვენ ჩავიდენთ საშინელ დანაშაულობას, თუ  
ხელმეორეთ კიდევ გავაბატონებთ ამ ....ვაჟბატონებს“.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> სპირიდონ კელია. მასალები პირადი არქივიდან, გვ. 26-27. თავა-  
ზობდა რა ამგვარი კონფერენციის პარიზში მოწვევას, ექვთიმე თაყაიშვი-  
ლი, მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით, სპირიდონ კელიას წერდა:  
რადგანაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები (გულის-  
ხმობდა გ. ვეშაპელსა და საკუთარ თავს) ჩართულნი ვიყავით ემიგრირე-  
ბული მთავრობის პოლიტიკურ მუშაობაში, „მაშასადამე მონაწილე და პა-  
სუხისმგებელი ვართ ამ პოლიტიკისა“.

<sup>2</sup> სპირიდონ კელია. მასალები პირადი არქივიდან, გვ. 28.

<sup>3</sup> სპირიდონ კელია. მასალები პირადი არქივიდან, გვ. 29.

1923 წლის მაისში გიორგი მაჩაბელი იტალიიდან საფრანგეთში ჩავიდა. იგი პარიზში სათათბიროდ შეხვდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს: გრიგოლ ვეშაპელს, ექვთიმე თაყაიშვილს, გიორგი გვაზავას, იოსებ დადიანსა და სხვ. ყველამ დაგმო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომელმაც ვერ გამოიჩინა „უნარი ვერც შინ და ვერც გარეთ“ და მივიდნენ დასკვნამდე, რომ „საჭიროა გამოინახოს ახალი გზა, ახალი პირობები მუშაობისა“. თავიდან „ახალ გზად“ მთავრობისაგან მისი რადიკალური რეორგანიზაციის მოთხოვნა იქნა მიჩნეული, იმ პირობით, რომ ევროპის სახელმწიფოებში, პირველ რიგში კი საფრანგეთში, ემიგრირებულ მთავრობას შერჩენოდა „ოფიციალური ხასიათი“. ამასთან, „ეროვნული ელემენტი ახალ მთავრობაში უნდა იყვეს ნახევარი მაინც“ და „მთელი ორგანიზაცია ...უნდა გადავიდეს ახალი პირობის ხელში“.<sup>1</sup> მოთხოვნის ერთი საგულისხმო პუნქტი ფინანსებს შეეხებოდა. კერძოდ, საქართველოში სამომავლოდ გადაგზავნილი ფული ისე უნდა განაწილებულიყო, რომ ეროვნულ პარტიებს წინათ გაგზავნილი თანხის დანაკლისი შეესებოდათ. თუ ამაზე თანხმობას მიიღებდნენ, მაშინ შესაძლებლად წარმოედგინათ „საერთო ფრონტის დაცვა“, რომელსაც ევროპაში უფრო დიდ ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე დაქსაქსულ და ცალკე მოქმედ პოლიტიკურ ძალებს.

ცოტა მოგვიანებით გიორგი მაჩაბელმა მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ შეხედულება შეიცვალა. 1923 წლის 4 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში იგი სპირიდონ კედიას წერდა: „არამც თუ მთავრობა და მთავრობის პარტია უნდა გადადგეს საქმის წარმოებისაგან, არამედ აქამდე არსებული ოპოზიციონური პარტიაც, თუ პარტიები.

---

<sup>1</sup> სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, გვ. 32.

...უნდა შესდგეს ახალი, საღი, ძველი სულისაგან განთავისუფლებული მოძრაობა. შიგ უნდა მიიღონ მონაწილეობა მხოლოდ მათ, ვისაც აინტერესებთ და უნდათ დაიცვან მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს ინტერესები და არა თავიანთი პირადი“.<sup>1</sup>

სხვაგვარად ფიქრობდა გიორგი კერესელიძე. მისი აზრით, მომავალ მუშაობაში მხოლოდ უპარტიო ადამიანებზე დაყრდნობა, ძალიან შეავიწროებდა ორგანიზაციის ფარგლებს. ის მიიჩნევდა, რომ „პარტიულებისაგან“ დაცული უნდა ყოფილიყო მთავარი სტრუქტურა - ცენტრი, ხოლო, რაც შეეხება დამხმარე ორგანიზაციებს, მათში პარტიათა წარმომადგენლების მონაწილეობა საჭირო იქნებოდა. ამასთან, ცენტრი არჩევნების გზით კი არ უნდა ჩამოეყალიბებინათ, არამედ ურთიერთშეთანხმებით შეექმნათ, ისე რომ ცენტრის რეგლამენტისა და კანონების შემუშავება თვითონ ცენტრის კომპეტენციაში ყოფილიყო. ამ თვალსაზრისს იზიარებდა მიხაკო წერეთელიც.<sup>2</sup>

აუცილებლად მიაჩნდათ საკუთარი ბეჭდური ორგანოს - პოლიტიკური გაზეთის დაფუძნებაც, სავარაუდოდ, ბერლინში ან პარზში. ფიქრობდნენ, ევროპის ყველა დიდ ცენტრში ქონოდათ „ქართული ანბანი“ (ქართული შრიფტით აღჭურვილი მცირე სტამბები). ილუზია არ იპყრობდათ, რომ ქართველთა შორის ფულს იშოვნიდნენ, უფრო უცხოელები ეიმედებოდათ. „უცხოელთა შორის უნდა ვეძებოთ მეგობრები; - დავაარსოთ

---

<sup>1</sup> სპირიდონ კელია. მასალები პირადი არქივიდან, გვ. 37.

<sup>2</sup> მამულია გ. „თეთრი გიორგის“ იდეოლოგიურ საწყისებთან. გიორგი მაჩაბლის და გიორგი კერესელიძის ახლად აღმოჩენილი მიმოწერა (1923-1924 წ.წ.), კრებული „ქართული ემიგრაცია“, 2011, № 2, გვ. 44-45.

საქართველოს მეგობართა ჯგუფები სხვა და სხვა ქვეყნებში და ასე ვიშოვოთ რამ“, - წერდა გიორგი კერესელიძე.

გიორგი მაჩაბელმა ლეო კერესელიძესთან ერთად შეიმუშავა „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა კომიტეტის“ მოქმედების გეგმა და სპირიდონ კედიას გარდა, იგი პირველი მსოფლიო ომის დროს არსებულ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრებს: მიხაკო წერეთელსა და გიორგი კერესელიძეს გააცნო. საერთო კომიტეტის პარალელურად, რომელიც 4-5 კაცისაგან იქნებოდა შემდგარი, განზრახული იყო „ადგილობრივი კომიტეტების“ ჩამოყალიბება სტამბოლში, ბერლინში, რომში, პარიზსა და ლონდონში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ლონდონის დაინტერესებას საქართველოს პრობლემით და მიიჩნევდნენ, რომ მთავარი მუშაობა სწორედ ამ ქალაქში უნდა გაეშალათ. გიორგი მაჩაბელი დარწმუნებული იყო, თუ ლონდონში კარგად მოაწყობდნენ საქმეს, მაშინ დასახული მიზნის 99 % შესრულებულად უნდა ჩაეთვალოს. გ. მაჩაბლის აზრით, ინგლისის სახელისუფლო წრეებთან ურთიერთობის მოსინჯვა უმჯობესი იქნებოდა თურქეთში დაეწყოთ და ურჩევდა კიდეც სპირიდონ კედიას, დაახლოვებოდა ინგლისის წარმომადგენელს სტამბოლში, დაეინტერესებინა იგი, რომ მიეღოთ სათანადო რეკომენდაცია ინგლისში გასამგზავრებლად.

კომიტეტების შექმნის კვალდაკვალ, უნდა მოეზიდათ ახალი მებრძოლები - „ეროვნული სულით გაჟღენთილი ქართველები“, რომლებიც მოწოდებისთანავე ჩადგებოდნენ საერთო საქმის სამსახურში. აქცენტი კეთდებოდა მცირერიცხოვან, მაგრამ მტკიცედ შეკრულ, დისციპლინებულ, ერთსულოვან და მონოლითურ ორგანიზაციაზე. „საჭიროა საშინელი სიფხიზლე, დისციპლინა და მაგარი ტონი. ვინც არ დაგვემორჩილება და გულწრფელად ჩვენთან არ იმუშავებს, მათი

თანამშრომლობაც ჩვენთვის საჭირო არ არის. ის უფრო მეტს ავნებს ჩვენს ორგანიზაციას, ვიდრე რაიმე ნაყოფს მოიტანს”, - წერდა გიორგი მაჩაბელი.<sup>1</sup>

გიორგი მაჩაბელი და სპირიდონ კელია თანხმდებოდნენ იმაზე, რომ „მოძრაობა” სრულ განახლებას საჭიროებდა. „ძველი წევრები სხვა და სხვა პარტიების მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან დაშვებული ამ ახალ ორგანიზაციაში, თუ ისინი გულწრფელად და საჯაროდ დაანებებენ თავს ძველ თავის პარტიას, იქნებიან ეს ნაც. დემ., ფედერალისტები, თუ სოც. დემ.” ფიქრობდნენ, შეედგინათ „ახალი მოძრაობის თანამშრომელთა” სია, მოეწვიათ კონფერენცია, შეემუშავებინათ და დაემტკიცებინათ როგორც ორგანიზაციის პოლიტიკური გეგმა, ისე მოქმედების ტაქტიკა.

სპირიდონ კელიას წარმოდგენით, მუშაობის გაშლისთანავე „ყოველ ქართველში უნდა დატრიალებულიყო ეროვნული ერთობის, დიდი ეროვნული აღორძინების სული”, მაგრამ ერთი იყო სურვილი და მეორე იყო რეალობა. ახალმა წამოწყებამ ემიგრანტულ წრეებში ცხოველი ინტერესი ვერ ჰპოვა. მაგალითად, ბერლინში ჩასული გიორგი მაჩაბელი დარწმუნდა, რომ „აქაურ ქართველებს უცნაური აპატია ეტყობა პოლიტიკურ საკითხებისადმი”. მალე გაირკვა, რომ დიდ აქტიურობას არც საფრანგეთის ქართველობა იჩენდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ საქართველოში არსებული ანტისაბჭოთა პარტიები, რეჟიმის იძულებით, „თვითლიკვიდაციის“ გზას დაადგნენ, ზოგი პასიურად ურიგდებოდა შექმნილ პირობებს, ინტელიგენცია კი „ჯგუფ-ჯგუფად“ გადადიოდა ბოლშევიკების ბანაკში და ამით ასუსტებდა „ქართველი ხალხის ბრძოლის ძალას და აავადებდა მის სახელმწიფოებრივ შეგნებას“.

---

<sup>1</sup> სპირიდონ კელია. მასალები პირადი არქივიდან, გვ. 34-35.



ყოველივე ამის ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ კონფერენციის ჩატარებაც მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული (საქართველოდან დელეგატების ჩამოსვლის თითქმის შეუძლებლობა, სათანადო სახსრების არარსებობა და სხვ.), ხოლო დრო კი არ იცდიდა (გიორგი კერესელიძის სიტყვით, „ჩვენი ერისთვის ... ყოველი მეტი დღე რუსის ჩვენში ყოფნისა გამანადგურებელია. ...თუ ხანგრძლივ გასტანა რუსის ბატონობამ, სამუდამოდ მოკვდება საქართველოს აღდგენის შესაძლებლობა“<sup>1</sup>), გადაწყვიტეს, საქმიანობა ვიწრო წრით დაეწყო.

სპირიდონ კედისათვის გაგზავნილ წერილში გიორგი მაჩაბელმა საკითხი პირდაპირ დასვა, განაცხადა, რომ იმ ცენტრალურ რგოლს, რომელმაც ქართული საქმის გაძლოა უნდა იკისროს, მთავრობა ვუწოდოთო. იგი სრულად აცნობიერებდა, რომ ამგვარად შედგენილი მთავრობა დემოკრატიულ სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებდა, მაგრამ მთავარი იყო ამ დაწესებულებას ქართველი ხალხისა და უცხო სახელმწიფოების ნდობა მოეპოვებინა. არგუმენტად პირველი მსოფლიო ომის პერიოდის გამოცდილებას იშველიებდა. მისი სიტყვით: „ახალი ორგანიზაციის შედგენა არ იქნება სრულიათ ნორმალური, მაგრამ ეს ხომ უფრო ნორმალური იქნება, ვიდრე ჩვენი კომიტეტი ომის დროს, ანუ ჩეხოსლოვაკების, პოლონელების და სხვების, რომლებსაც სცნობდენ სხვა და სხვა მთავრობები, ხელშეკრულებებსაც კი სდებდნენ და სხვა“. ეჭვი არ ეპარებოდა, თუ საზღვარგარეთის ქვეყნები, მაგალითად, იტალია მართლაც სერიოზულად დაინტერესდებოდა საქართველოს საკითხით, იმის გარკვევას არ დაიწყებდა, რო-

---

<sup>1</sup> მამულია გ., „თეთრი გიორგის“ იდეოლოგიურ საწყისებთან: გიორგი მაჩაბლის და გიორგი კერესელიძის ახლად აღმოჩენილი მიმოწერა (1923-1924 წ.წ.), კრებული „ქართული ემიგრაცია“, 2011, № II, გვ. 43.

გორი წესით იყო არჩეული ეს ორგანო. თავისთვის მონიშნული ჰყავდა მომავალი კომიტეტის (მთავრობის) წევრებიც, მაგრამ სპირიდონ კედიას ეთათბირებოდა და თხოვდა, გაეგო, დათანხმდებოდა თუ არა ზურაბ ავალიშვილი მთავრობის შედგენას იმ პირობებში, როცა „რომელიმე დიდი სახელმწიფო იკისრებდა ჩვენი საკითხის აღძვრას და დახმარებას ბოლშევიკების გაყრაში საქართველოდან“.<sup>1</sup> თუ ავალიშვილი უარს იტყოდა, პასუხისმგებლობა სპირიდონ კედიასა და გიორგი მაჩაბელს უნდა ეკისრათ. მთავრობა 5 კაცისაგან, ხოლო „მრჩეველი საბჭო“, სავარაუდოდ, 10-11 წევრისაგან უნდა შეედგინათ. მაჩაბელი მთავრობაში სპირიდონ კედიას გარდა მოიაზრებდა გენერალ ალექსანდრე ერისთავს, სამსონ ფირცხალავას ან კიდევ მიხეილ ყაუხჩიშვილს ფედერალისტთა პარტიიდან და ერთ რომელიმე სოციალ-დემოკრატს (მენშევიკს, ოლონდ, არა ძველი მთავრობიდან). „მრჩეველი საბჭოს“ წევრებად გათვალისწინებული იყვნენ ძველი დამფუძნებელი კრების პრეზიდენუმისა და პარტიების წარმომადგენლები. ექვთიმე თაყაიშვილი და კიდევ სამი ეროვნულ-დემოკრატი, კარლო ჩხეიძე და ერთიც სხვა სოციალ-დემოკრატი, სვიმონ მდივანი და ერთი წარმომადგენელი ფედერალისტებისაგან, ერთი ესერი, ერთი „სხივის“ ჯგუფიდან და ერთიც უპარტიო. გ. მაჩაბელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან „მრჩეველი საბჭოს“ შემადგენლობაში ასახელებდა გრიგოლ ვეშაპელსა და ტიტე მარგველაშვილს, ხოლო უპარტიო წევრად - მიხაკო წერეთელს.<sup>2</sup> მასვე მიაჩნდა, რომ ახალ წა-

---

<sup>1</sup> სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, გვ. 44.

<sup>2</sup> სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, გვ. 44 (გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ერისთავი - რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე, პირველი მსოფლიო ომი დაასრულა როგორც კავკასიის მე-3 არმიული კორპუსის მეთაურმა, შემდეგ მსახურობდა საქართველოს დემოკ-

წყებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა ვასო ღუმბაძე. გ. მაჩაბელი ასე ახასიათებდა ვასო ღუმბაძეს: „სანდო, თავდადებული, გულით და სულით მოწადინებული დაეხმაროს ჩვენს უბედურ სამშობლოს. ...ის არის საუკეთესოთაგანი ქართველი, ...მთელი მისი ბედნიერება აგებულია ერთ სურვილზედ, ერთ მისწრაფებაზედ - განთავისუფლება ჩვენი ქვეყნისა, მის აღორძინებასა და აყვავებაზედ“.<sup>1</sup>

რაც შეეხება კონკრეტულ საქმიანობას გიორგი მაჩაბლის, სპირიდონ კელიასა და სხვათა მიერ დასახული გეგმის განსახორციელებლად, იგი რამდენიმე მიმართულებით გაიშალა.

თურქეთის სახელისუფლებო წრეებთან ურთიერთობა გიორგი მაჩაბელმა იკისრა. მას უნდა გაერკვია, თვლიდა თუ არა ოფიციალური ანკარა შესაძლებლად ქართველებთან მუშაობას ან ქართული ორგანიზაციის დაშვებას თავის ტერიტორიაზე. 1923 წლის მაისში, ლოზანის კონფერენციის მიმდინარეობისას, მაჩაბელი ლოზანაში ჩავიდა, შეხვდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ისმეთ ფაშას მდივანსა და ადიუტანტს, შემდეგ კი საუბარი ჰქონდა თავად ისმეთთანაც.<sup>2</sup> გიორგი მაჩაბელმა მუშაობა ამ კუთხით რომშიც გააგრძელა, მაგრამ იმედგაცრუებული დარჩა: „თურქებთან არაფერი გამოვიდა. არ უნდათ დღეს ჩვენთან ლაპარაკი. მოიცადეთ რამ-

---

რატული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. 1921 წ. ქართული მისიის შემადგენლობაში გაიგზავნა თურქეთში, შემდეგ ცხოვრობდა ემიგრაციაში; მიხეილ ყაუხჩიშვილი - ქართველი ინჟინერი და მეცნიერი, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ძმა, მოღვაწეობდა გერმანიაში; ტიტე მარგველაშვილი - პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ემიგრაციაში).

<sup>1</sup> სპირიდონ კელია. მასალები პირადი არქივიდან, გვ. 42.

<sup>2</sup> ისმეთ ფაშა - ისმეთ ინენიუ 1938-1950 წლებში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო.

დენიმე თვეო, ჯერ ადრეაო“, - აცნობებდა იგი გიორგი კერესელიძეს. ეს უკანასკნელი ასე ამშვიდებდა მეგობარს: „ძალიან სამწუხაროა, რომ ჯერ თურქებთან არაფერი გამოდის. რა უყოთ. გულს ნუ გავიტეხთ, - ჩვენ ჩვენი გავაკეთოთ, საბოლოოთ ოსმალებმა უნდა ჩვენთან იმუშაონ, - არც მაგათ აქვთ უკეთესი გზა და არც ჩვენ. სამწუხაროა იმიტომ, რომ როგორც სჩანს, ჯერ რუსეთის ჩვენიდან განდევნის საკითხი არ მომწიფებულა“.<sup>1</sup>

მოისინჯა სხვა გზაც. საქართველოში მოქმედი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურმა ცენტრალურმა კომიტეტმა კონსტანტინოპოლში გაგზავნა შალვა ქარუმიძე, რომელმაც საზღვრის გადაკვეთა თბილისში გერმანიის წარმომადგენლობის დახმარებით შეძლო. მას შეხვედრა ჰქონდა თურქეთის მთავრობის ერთ-ერთ წევრთან. საქართველოსათვის ჯარითა და იარაღით დახმარების თხოვნაზე მინისტრს დადებითი პოზიცია გამოუხატავს, მაგრამ სანაცვლოდ მიუღებელი პირობები წამოუყენებია, კერძოდ: ბათუმის პორტოფრანკოდ გამოცხადება, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების თურქეთისათვის გადაცემა და სხვა, რაზეც დათანხმება შეუძლებელი იყო.<sup>2</sup>

არსებობს ცნობები, რომლის თანახმადაც, ინგლისის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან კონსტანტინოპოლში შეხვედრები ჰქონია სპირიდონ კელიასაც. ეს ჩანს

---

<sup>1</sup> მაშულია გ., „თეთრი გიორგის“ იდეოლოგიურ საწყისებთან: გიორგი მაჩაბლის და გიორგი კერესელიძის ახლადდმოჩენილი მიმოწერა (1923-1924 წ.წ.), კრებული „ქართული ემიგრაცია“, 2011, №II, გვ. 43-46.

<sup>2</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქმ. №212, ფურც. 76; ასევე, ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 426.

„სტამბოლის პოლიტიკური კომისიის“ თავმჯდომარის კონსტანტინე გვარჯალაძის მიერ ნოე ჟორდანიასათვის გაგზავნილი წერილიდან, რომელშიც აღნიშნულია: „ნაციონალ-დემოკრატიები ავანტურისტობენ. ...უნდათ თურქები მოიყვანონ და კაპიტალი შეიძინონ“; „გავიგეთ, რომ ინგლისელები ეძიებდნენ ცნობებს ნ. ნიკოლაძის, ვეშაპელის და დ. ლამბაშიძის შესახებ“.<sup>1</sup> დაახლოებით იგივე აზრია გატარებული ასევე, კონსტანტინოპოლიდან საქართველოში გამოგზავნილ დავით შალიკაშვილის წერილში, რომელიც 1923 წლის 19 აგვისტოთია დათარიღებული.<sup>2</sup>

გიორგი მაჩაბლის გეგმის შესაბამისად, კონსტანტინოპოლშივე მცირე ჯგუფი ჩამოაყალიბეს მიხაკო წერეთლმა, ლეო კერესელიძემ და დავით ვაჩნაძემ, მაგრამ უსახსრობის გამო ჯგუფმა მუშაობა მალევე შეწყვიტა.

ევროპაში დაიწყო ზრუნვა ქართული გაზეთის გამოსაცემადაც. საამისოდ გიორგი კერესელიძე ბერლინიდან შვეიცარიაში გაემგზავრა, იმედი ქონდა, დააინტერესებდა თავისი ძველ ნაცნობებს და გარკვეულ თანხასაც იშოვიდა, თუმცა უშედეგოდ. გული არ გაუტეხავს, ახლა მიუნხენში გადაინაცვლა და მოლაპარაკება მემარჯვენე ორიენტაციის გერმანელ მოღვაწეებთან გამართა. აქაც არ ელოდა თვალსაჩინო წარმატება: „რუსების გავლენა ჯერ კიდევ დიდია, ...თუ ჩვენ შევქმენით მძლავრი ორგანიზაცია, იმედი მაქვს შევძლოთ ჩვენი საკითხის წამოყენება და რუსთა გავლენის ცოტათი მაინც

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქმ. 959, ფურც. 20, 22.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქმ. 1145, ფურც. 12.

შესუსტება“, - აცნობებდა ამ შეხვედრის შესახებ გიორგი მაჩაბელს.<sup>1</sup>

გიორგი კერესელიძემ გაარკვია, რომ საქართველოს საკითხისადმი გარკვეული ყურადღება შეიმჩნეოდა რუმინეთის სახელისუფლო წრეებში. მოეთათბირა მიხაკო წერეთელსა და ლეო კერესელიძეს და მათი რჩევით დაუკავშირდა გერმანიაში მყოფ რუმინეთის სამხედრო ატაშეს. ატაშეს სერიოზული ინტერესი გამოხუხატავს და ქართველ მოღვაწესთან ურთიერთობა გაუგრძელებია. „თუ ღმერთმა ქმნა და მოხდა რუსეთ-რუმინეთის ომი, – ვინ იცის, რა შედეგები მოჰყვებიან. შეიძლება ამ კონფლიქტმა გამოიწვიოს სხვა და სხვა კომბინაციები და მასთან ...რუსეთ-ოსმალეთის კონფლიქტიც“, - პროგნოზს გამოთქვამდა გიორგი კერესელიძე, რომელსაც სჯეროდა, რომ საქართველოს საკითხი სწორედ რუსეთ-ოსმალეთის შეტაკებით გადაწყდებოდა. ძნელი გამოსაცნობი იყო, როდის დაიწყებოდა ეს კონფლიქტი, მაგრამ მის გარღვევალობაში დარწმუნებული ქართველი ემიგრანტი თანამოაზრეებსაც არწმუნებდა: „ჩვენ რუმინიასთან უნდა დავიჭიროთ კავშირი და ვემზადოთ ამ მომენტი სთვისო“.<sup>2</sup> გიორგი კერესელიძეს ძალისხმევა არ დაუკლია, მაგრამ უფულოდ ვერას გახდა. 1924 წლის ზაფხულში იგი გიორგი მაჩაბელს ატყობინებდა: „სამწუხაროდ ჯერ ჯერობით კიდევ იმ საფეხურზე ვართ, დაახლოებით, რომელზედაც შენს აქ ყოფნის დროს ვიყავითო“. მიუხედავად ამისა, გიორგი კერესელიძეს

---

<sup>1</sup> მამულია გ., „თეთრი გიორგის“ იდეოლოგიურ საწყისებთან: გიორგი მაჩაბელის და გიორგი კერესელიძის ახლად აღმოჩენილი მიმოწერა (1923-1924 წ.წ.), კრებული „ქართული ემიგრაცია“, 2011, №II, გვ. 54-55.

<sup>2</sup> მამულია გ., „თეთრი გიორგის“ იდეოლოგიურ საწყისებთან, გვ. 61.

არ ტოვებდა საქართველოს ეროვნული თავისუფლების იმედს: „სურს თუ არ სურს ქართველ ერს დამოუკიდებელი არსებობა, – რუსეთი მაინც დაჰკარგავს საქართველოს. ქართველი ერი აღარ არი გადამწყვეტი თავისი ბედისა. საქართველო გადაიქცა საკითხათ საერთაშორისი ინტერესებისა. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთს არ დასტოვებენ ამიერკავკასიაში“,- წერდა იგი.<sup>1</sup>

გიორგი მაჩაბელმა მონღოლებით იმუშავა რომში და კავშირი გააბა იტალიის როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებთან. მუსოლინის გარემოცვას მაჩაბელმა პირდაპირ დაუსვა საკითხი, რომ თუ იტალიის თანადგომა ექნებოდათ, თვითონ და მისი ამხანაგები შეადგენდნენ საქართველოს ახალ მთავრობას, რომელიც რეგიონში იტალიის ინტერესებს უზრუნველყოფდა. აღუთქვა რამდენიმე კონცესია, კერძოდ: ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო, ფოთის ან ბათუმის ნავსადგურის მოდერნიზაცია, ასევე ხელშეწყობა აზერბაიჯანის ნავთობის ექსპლუატაციაში და სხვ. აზრი მოეწონათ, მუსოლინიც დაინტერესდა, ალბათ, ამ დღეებში თავისთან მიმიწვევს და ყველაფერი გაირკვევაო, - წერდა გ. მაჩაბელი ს. კედიას 1923 წლის 20 ოქტომბერს, მაგრამ მაჩაბლის მოლოდინი არ გამართლდა. მუსოლინის იტალიამ საქართველოს დეოკუპაციის მხარდაჭერას, საბჭოთა კავშირის ცნობა ამჯობინა, რასაც 1924 წლის თებერვალში ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მოჰყვა.

ქართული მემარჯვენე ემიგრაციის წამოწყებული საქმიანობა ევროპაში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და ახალი კომბინაციების ფონზე მიმდინარეობდა. სა-

---

<sup>1</sup> მამულია გ., „თეთრი გიორგის“ იდეოლოგიურ საწყისებთან, გვ. 68.

ერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელ ნიშნად 1922-1923 წლებში დასავლეთის სახელმწიფოების სსრ კავშირთან ურთიერთობების ნორმალიზაცია და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე გადასვლა იქცა. მსოფლიო რევოლუციაზე ორიენტაციის წარუმატებლობამ, მოსკოვს დასავლეთთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიკური პარტნიორობის გზის არჩევისაკენ უბიძგა. ეს კურსი ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების ინტერესებსაც პასუხობდა, რომლებმაც ბოლშევიზმის იზოლაციას ახლა მასთან დაახლოება ამჯობინეს. დაიწყო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ცნობა-აღიარების პროცესი,<sup>1</sup> რაც ქართული ემიგრაციის გეგმებს სრულიად განუხორციელებელს ხდიდა.

გიორგი მაჩაბელი დარწმუნდა, რომ წამოწყებულ საქმეს ახლო მომავალში წარმატება არ ეწერა. იგი დაემშვიდობა თანამოაზრეებს და მეუღლესთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა. გაეცნო იქაურ სიტუაციას, მაგრამ მალევე გაარკვია, რომ საქართველოს განთავისუფლებისათვის სამოქმედოდ ამერიკაშიც პირობები შეუსაბამო იყო და არც მუშაობა ჩანდა „ნაყოფიერი შედეგის მომტანი“. „პლატონიური ანუ აკადემიური მუშაობა თუ შეიძლება, თორემ რამე გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა ყოვლად მოუხერხებელია“, წერდა გულდაწყვეტილი.

გიორგი მაჩაბელი პოლიტიკას სავსებით ჩამოშორდა, თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრი და ოცნება არ შეუწყვეტია. მიიჩნევდა, რომ „ყველა ჩვენი გეგმები დარჩებიან უბრალო ოცნებებათ, თუ არ დავიწყეთ ზრუნვა ჩვენის ეკონომიურ გაუმჯობესებისათვის. უნდა ვიმუშაოთ ამ ნიადაგზედ, უნდა მოვკიდოთ ხელი ვაჭრობ-მრეწველობას და იმის-

---

<sup>1</sup> მარტო 1924 წელს სსრ კავშირი 10-ზე მეტ სახელმწიფომ აღიარა.



თანა სახეირო საქმეებს, რომ ჩვენი თავიც შევინახოთ და საერთო საქმესაც მოვუაროთ“. თვითონაც გულმოდგინეთ ზრუნავდა და თავის მეგობრებსაც ურჩევდა: „ვეცადოთ ახალგაზრდობაში გავაძლიეროთ და გავაღრღმავოთ სიყვარული და ერთგულება სამშობლოსადმი, ენისადმი, მიწა-წყლისადმი. უნდა აღვზარდოთ მომავალი მებრძოლნი საქართველოს თავისუფლებისა, მისი დამოუკიდებლობისა“.<sup>1</sup>

სტატიაში განხილული ქართული ემიგრაციის მემარჯვენე ფრთის ძალისხმევა სამშობლოს გასანთავისუფლებლად 1921-1924 წლებში არ ყოფილა უგეგმო, აფექტური და მოუმზადებელი წამოწყება. ეს იყო, როგორც თვითონ მიიჩნევდნენ, „აწონ-დაწონილი, და წინდახედული“ მოქმედება, რომელიც რამდენიმე წლის წინანდელ გამოცდილებას ემყარებოდა. ოღონდ, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ხოცშესხმული იდეა, - საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ჩამოყალიბება-საქმიანობა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის პირობების შემზადებაში გამოიხატა, ახალ, მშვიდობიან დროსა და შეცვლილ რეალობაში არ გამოდგა წარმატებული. არახელსაყრელი საერთაშორისო კონიუქტურის ვითარებაში, როდესაც გარედან სერიოზული დახმარების შესაძლებლობა გამოირიცხა, ვერ გამოიძებნა საჭირო ფინანსური რესურსები და ვერც წამოყენებული გეგმა იქცა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შემაკავშირებელ ფაქტორად, როგორც გიორგი კერესელიძე შენიშნავდა, „დარჩა ჩვენი პროექტი ლამაზ პროექტად; - უშედეგოდ“.

---

<sup>1</sup>მამულია გ., „თეთრი გიორგის“ იდეოლოგიურ საწყისებთან: გიორგი მაჩაბლის და გიორგი კერესელიძის ახლად აღმოჩენილი მიმოწერა (1923-1924 წ.წ.), კრებული „ქართული ემიგრაცია“, 2011, №II, გვ. 64.

### **დამოწმებანი:**

ასათიანი ალ. თავადი იოსებ დადიანი (1863-1937), ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1937, № 21-22.

მაჟულია გ., „თეთრი გიორგის“ იდეოლოგიურ საწყისებთან: გიორგი მაჩაბლის და გიორგი კერესელიძის ახლად აღმოჩენილი მიმოწერა (1923-1924 წ.წ.), კრებული „ქართული ემიგრაცია“, 2011, №II.

სარალიძე ლ., საქართველოს დეოკუპაციისათვის ბრძოლის ისტორიიდან (1921-1923 წწ.), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (14), თბილისი, 2014.

სპირიდონ კელია. მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბილისი, 2007.

ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

Мамулия Г. Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), Тб., 2012.

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 2417, ანაწ. 1, საქმ. № 53.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქმ. 959.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ჰარვარდის ფონდის მიკროფირები, საქმ. №1145.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ჰარვარდის ფონდის მიკროფირები, საქმ. №1319,

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქმ. № 212.

ქართული ლიტერატურის მუზეუმი, შალვა ამირეჯიბის  
ფონდი, საქმ. 26960/3.

ქართული ლიტერატურის მუზეუმი, შალვა ამირეჯიბის  
ფონდი, საქმ. 26960/20.

*Otar Janelidze*

*Gori State Teaching University*

**RIGHT WING GEORGIAN EMIGRATION IN 1921-1924**

**(ACCORDING TO THE LETTERS**

**BY GEORGE MACHABELI)**

**RESUME**

The article considers the emigrant members of Georgian National Democratic Party and ideologically close to them community (Spiridon Kedia, George Machabeli, Michael Tsereteli, Vaso Dumbadze, George and Leo Kereselidze, etc.). who emigrated abroad from the spring of 1921 as “The Right Wing Georgian emigration”. This group rejected the course for liberation of the country by its government in exile, which was mainly based on cooperation with European socialist and workers’ parties and chose a completely independent from its party way for their activities.

George Machabeli and Leo Kereselidze worked out a plan of the future government – “Fighters Committee for Independence of Georgia”. The plan envisaged by the support of England, Italy or Turkey de occupation of Georgia from the Soviet Russia and restoration of its independence. In this regard, works were commenced in Istanbul, Berlin, Rome, Paris and London, though with no significant results.

Activities started by the patriots developed at the background of important geopolitical changes taking place in Europe. These were the years when Western States started the process of the normalization of relations and partnership policy with the Soviet Union. Soon began the processes of international recognition of the Soviet Union that made the plans of the Georgian rightist emigration impossible to realize.

*მიხეილ ბახტაძე*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია**

1918-1921 წლებში ქართულ შეიარაღებულ ძალებში მრავალი თავდადებული ოფიცერი მსახურობდა. მათ შორის იყო პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურიაც.

ირაკლი ბესარიონის ძე ცაგურია, სავარაუდოდ, 1915 წელს პრაპორშჩიკის წოდებით დაამთავრა პეტროგრადში<sup>1</sup> მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი (სასწავლებელში სწავლა სამწლიანი იყო. ამიტომ ცაგურია 1912 წელს უნდა გამხდარიყო სასწავლებლის იუნკერი). სამხედრო სამსახური მან კავკასიის ფრონტზე განაგრძო, კავკასიის მე-2 სამთო-საარტილერიო ბატარეაში.

კავკასიის არმიის გენერალ-კვარტირმაისტერი მასლოვსკი ორჯერ მოიხსენიებს ირაკლი ცაგურიას თავის წიგნში - „მსოფლიო ომი კავკასიის ფრონტზე 1914-1917 წწ.“,<sup>2</sup> როლიც 1933 წელს პარიზში გამოიცა. პირველად, როდესაც 1915 წელს სომხების საბრძოლო რაზმების მეთაურებთან გამართულ შეხვედრაზე საუბრობს და იგონებს შეხვედრის მონაწილეებს - „ბრიუსელში, ბელგიაში ცხოვრობდა პოლპოლ-

---

<sup>1</sup> ასე ეწოდებოდა პეტერბურგს 1914-1924 წლებში.

<sup>2</sup> Масловски Е. М., Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 гг.

[http://gwar.ru/library/Eliseeff-Kazaki/KK\\_04.html?PHPSESSID=d957af7ecb2039793abec1e767dde069](http://gwar.ru/library/Eliseeff-Kazaki/KK_04.html?PHPSESSID=d957af7ecb2039793abec1e767dde069)

კონიკი ირაკლი ბესარიონის ძე ცაგურია. მაშინ კავკასიის მე-2 სამთო-საცხენოსნო საარტილერიო ბატარეის ახალგაზრდა პრაპორშჩიკი. იმ ხანებში გამოშვებული სამხედრო საარტილერიო სასწავლებლიდან“. მეორედ, როდესაც აღწერს იმავე წლის 8 მაისს გამართულ აღლუმს. „ჩვენ შორის არიან ახალი მეგობრები. არა კაზაკები, არამედ სამთო არტილერისტები. პრაპორშჩიკი ირაკლი ცაგურია, მაღალი, წერწეტი, ყოველთვის მოწესრიგებული, ნამდვილი ქართველი თავად-მართვე, ჩვენი ბრიგადის ხარუნჟების<sup>1</sup> ჯგუფის ცენტრში ღვას.“

უნდა ვივარაუდოთ, რომ გენერალ-კვარტირმაისტერს პრაპორშჩიკი ცაგურია მხოლოდ სიმაღლისა და მოწესრიგებულობის გამო არ დაამახსოვრდა. მთავარი ალბათ ირაკლი ცაგურიას პირადი თვისებები იყო.

1916 წელს ირაკლი ცაგურია სპარსეთის ფრონტზე იმყოფება. როგორც ჩანს, ის გენერალ ბარათოვის<sup>2</sup> საექსპედიციო კორპუსში იბრძოდა. აქ მან ორჯერ გამოიჩინა თავი.

14 ნოემბერს კავკასიის მე-2 სამთო-ცხენოსანი ბატარეის ოცეულის მეთაურობის დროს ნამაკურომთან (სპარსეთის ფრონტზე) ბრძოლისას, გავიდა რა ღია პოზიციაზე, გაუხსნა ცეცხლი მოწინააღმდეგეს და ზუსტი სროლით ჩაჩუმა მტრის

---

<sup>1</sup> სორუნჯი, სამხედრო წოდება, შესაბამებოდა პოდპორუჩიკს.

<sup>2</sup> გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ ბარათოვი 1915-1917 წლებში მეთაურობდა სპარსეთში მოქმედ საექსპედიციო კორპუსს. 1919 წელს იყო გენერალ დენიკინის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში. 13 სექტემბერს ვერის დაღმართზე მასზე და საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრ გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძეზე განხორციელდა თავდასხმა. ავტომანქანას, რომელშიც გენერლები ისხდნენ, ბოლშევიკმა არკადი ელბქიძემ ყუბარა ესროლა. ბარათოვი ფეხში დაიჭრა (შემდგომ გაუკეთდა ამპუტაცია), ოდიშელიძე სახეში. 1920 წელს ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში.

ბატარეა. ამ თავდადებისთვის დაჯილდოვდა გიორგის იარაღით (Георгиевское оружие).

19 დეკემბერს შტაბს-კაპიტანი ცაგურია, იმყოფებოდა რა პოლკოვნიკ ბიჩერახოვის<sup>1</sup> რაზმში და მეთაურობდა კავკასიის მე-2 სამთო-ცხენოსანი ბატარეის ოცეულს, ექვსი კაზაკის თანხლებით თამამად შეიჭრა თურქული კავალერიის მიერ დაკავებულ ქალაქ დოვლეთ-აბადოსში. გაიჭრა ბაღდადის გზაზე და კარტეჩით მოიგერია მოწინააღმდეგის ესკადრონის შემოტევა. დარჩა რა ღია პოზიციაზე, ორი თურქული ბატარეის გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ, ფეხში დაჭრილი ცაგურია არ ტოვებდა თავის ქვედანაყოფს და პირადად ხელმძღვანელობდა მას. რაზმის მთავარი ამოცანა სწორედ დოვლეთ-აბადის დაკავება იყო, რითაც კორპუსის მთავარ ძალებს ჰამადანის მიმართულებით მოქმედება უადვილდებოდათ. ამ ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის შტაბს-კაპიტანი ცაგურია წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.<sup>2</sup>

ირაკლი ცაგურიას პირადი თვისებები კარგად გამოჩნდა 1917 წელს პეტროგრადში მომხდარი ამბისას. 1917 წლის ზაფხულში შტაბს-კაპიტანი ცაგურია მივლინებით პეტროგრადში გაიგზავნა. აქ მან მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკების ამბოხების ჩახშობაში. ირაკლი ცაგურიას მოქმედებას პეტროგრადში 1917 წლის 17 ივლისს, დაწვრილებით აღწერს ბორის ნიკიტინი<sup>3</sup> თავის წიგნში „საბედისწერო წლები“,<sup>1</sup> რომელიც 1937 წელს პარიზი გამოიცა.

---

<sup>1</sup> პოლკოვნიკი ლაზარ ბიჩერახოვი.

<sup>2</sup> სათანადო წყარო მოგვაწოდა ბატონმა პაატა ვიგაურმა. ამ დასხვა ინფორმაციების მოწოდებისთვის დიდ მადლობას ვუხდით მას.

<sup>3</sup> ბორის ნიკიტინი (1883-1943), 1917 წლის მარტიდან იყო პეტროგრადის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსის მოვალეო-

1917 წლის ივლისში რუსეთის იმპერიის დედაქალაქში არსებული მძიმე ვითარება კიდევ უფრო გაართულა ე.წ. „კერენსკის შეტევის“<sup>2</sup> ჩაშლამ, ხოლო პეტროგრადის გარნიზონისათვის ფრონტზე გაგზავნის ბრძანების მიცემამ ჯარისკაცების უკმაყოფილებაც გამოიწვია. ქალაქში დროებითი მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო. 17 ივლისს დემონსტრაციაზე 500 ათასამდე კაცი გამოვიდა. მათი ნაწილი შეიარაღებული იყო. ფაქტობრივად ყველაფერი მზად იყო სახელმწიფო გადატრიალებისთვის. დააპატიმრეს მიწათმოქმედების მინისტრი ჩერნოვი. იყო მინისტრ ირაკლი წერეთლის დაკავების მცდელობაც. დროებითი მთავრობის ნაწილი გადადგა, ნაწილი კი ბედს მინდობოდა. განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყო თავრიდის სასახლესთან, სადაც პეტროგრადის დეპუტატთა საბჭო იყო შეკრებილი. სასახლეში იმყოფებოდა ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ბორის ნიკიტინიც. პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალმა გენერალ-მაიორმა პეტრე პოლოვცოვმა ცხენოსანი არტილერიის პოლკის უფროსს პოლკოვნიკ რებინდერს თავრიდის სასახლესთან მყოფი ბრბოს

---

ბის შემსრულებელი, ივნისიდან - ამავე ოლქის გენერალ-კვარტირმაისტერი, ხოლო ივლისში გენერალური შტაბის სადაზვერვო განყოფილების უფროსი.

<sup>1</sup> Никитин Б. В., Роковые годы.  
<http://www.dk1868.ru/history/nikitin4.htm>

<sup>2</sup> რუსეთის ჯარების შეტევა 1917 წლის ივნისში. ძირითადი შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე უნდა განხორციელებულიყო ლვოვის მიმართულებით. მთავარი დარტყმის მხარდასაჭერად იერიშები უნდა დაეწყოთ ჩრდილოეთის, დასავლეთისა და რუმინეთის ფრონტებსაც. დაგეგმილი ოპერაცია კატასტროფული მარცხით დამთავრდა. რუსეთის არმიამ დაღუპულების, დაჭრილებისა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა სახით 60 ათასამდე კაცი დაკარგა.



წინააღმდეგ კაზაკთა ასეულისა და ორი ზარბაზნის გაგზავნა უბრძანა.

აი, როგორ აღწერს მოვლენათა შემდგომ განვითარებას ნიკიტინი, „სასახლის მოედნიდან რაზმი ჩორთით მოდიოდა, როდესაც მოულოდნელად ლიტეინისა და შპალერნაის ქუჩების კუთხეში, ლიტეინის ხიდეზე ფინეთის პოლკის ჯარისკაცების მიერ დადგმული ტყვიამფრქვევის ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა. კაზაკები მიმოიფანტნენ. შევნიშნავ, მსგავს სიტუაციაში სხვანაირად მოქცევა შეუძლებელი იყო. ქუჩაში, ტყვიამფრქვევის პირდაპირი ცეცხლის ქვეშ პირდაპირი შეტევა მცირერიცხოვანი მხედრებისთვის უიმედო საქმეა. რჩება ერთადერთი რამე, დაიმალო მოფარებულ ადგილებში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქუჩებში, სახლების უკან. იმავე წუთს ორივე ქვემეხი გაჩერდა და კაზაკებმა მათი სასროლად გამზადება დაიწყეს. ერთ ქვემეხს ალყა შემოარტყეს აჯანყებული 1-ლი სარეზერვო პოლკის ჯარისკაცებმა. მეორემ, ზურგში მოკლული მხედრით, ლიტეინიდან გაასწრო. ამ ქვემეხიდან სამი გასროლა განხორციელდა. მას მოხალისე შტაბს-კაპიტანი ცაგურია მეთაურობდა. ცხენოსანი არტილერიის შტაბს-კაპიტანი ცაგურია კავკასიიდან მივლინებით იყო ჩამოსული, პეტროგრადში შემთხვევით მოხვდა. მან თავად გამოთქვა სურვილი რაზმს წაყოლოდა. რამდენადაც ვიცი ამჟამად ბელგიაში ცხოვრობს.

პირველი გასროლისთვის ცაგურიამ, რომელიც მარტო დარჩა ჯარისკაცების გარეშე, ქვემეხი თავად გატენა ხელში მოხვედრილი პირველივე ჭურვით. ესროლა ორასი ნაბიჯის მანძილზე მყოფ ჯარისკაცების ჯგუფს, რომლებიც პირველი ქვემეხის ირგვლივ იყვნენ შეკრებილი. ჭურვი ზუსტად მოხვდა მიზანს და მოწინააღმდეგეს, რომელიც გაიფანტა, სერიოზული ზარალი მიაყენა. ამ დროს ცაგურიასთან მისიანებმა

მიიღბინეს: გვარდიული სარეზერვო ბატალიონის ქვეასაუ-  
ლმა ფილიმონოვმა და ვახშისტრმა.<sup>1</sup> მეორე გასროლით ცაგუ-  
რიამ ჭურვი ჰოჩკისის<sup>2</sup> ქვემეხების მიმართულებით განახორ-  
ციელა, რომლებიც მას მდ. ნევას ჩრდილოეთ ნაპირიდან ეს-  
როდნენ. ბოლო მესამე ჭურვი კშესინსკების<sup>3</sup> სახლის წინ  
აფეთქდა. იქ უკვე გამოცხადებული იყო ახალი მთავრობა  
ლენინისა და როშალის მონაწილეობით. ფანჯრებთან მომხდა-  
რმა აფეთქებამ ბოლშევიკებს დაანახა, რომ ჩვენ არა მარტო  
ვარსებობთ არამედ აქტიურადაც ვმოქმედებთ. ამ ეპიზოდის  
დროს რაზმმა დაკარგა 6 მოკლული და 25 დაჭრილი. ცაგუ-  
რიამ დაიბრუნა მეორე ქვემეხიც და ნელ-ნელა ხალხიც შე-  
მოიკრიბა. ამით რაზმის საბრძოლო მოქმედება დამთავრდა ...  
რა თქმა უნდა შეუძლებელია ყველა იმ ადგილის ჩამოთვლა  
სადაც ცალკეული შეტაკებები იყო ... ცხრა საათზე მოვიდა<sup>4</sup>  
გულადი ცაგურია, მაგრამ მხოლოდ ის მთელი რაზმიდან. ის  
ნამდვილად „მოვიდა რადაც არ უნდა დაჯდომოდა“ („ДОШЕЛ  
ВО ЧТО БЫ ТО НИ СТАЛО“). ტყვიებისგან ხმლის ვადა მომძვრა-  
ლი ქონდა, ქუდი და ტანსაცმელი რამდენიმე ადგილზე გახვ-  
რეტილი. განწყობა შესანიშნავი, ტყვიამფრქვევის ცეცხლის  
ქვეშ მოხვედრის შემდეგ კი ამაღლებულიც. ის საბჭოების  
პირველივე შემხვედრ დეპუტატებს დაეძგერა და მათი გაშვე-  
ლება მომიწია. მთელი რაზმიდან ცაგურიას თან ახლდნენ

---

<sup>1</sup> ვახშისტრი, სამხედრო წოდება.

<sup>2</sup> ჰოჩკისი (Hotchkiss et Cie) ფირმა, რომელიც სხვადასხვა სახის იარაღს ამზადებდა. მათ შორის რამდენიმე კალიბრის ქვემეხებსაც. აქ, ალბათ, იგულისხმება 47 მმ-იანი ქვემეხი.

<sup>3</sup> იგულისხმება ცნობილი ბალერინას მატყილდა კშესინსკაიას სახ-  
ლი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბალერიანამ ეს სახლი დატოვა და  
ის თვითნებურად დაიკავეს ჯარისკაცებმა, ხოლო შემდეგ ბოლშევიკებმა.

<sup>4</sup> იგულისხმება თავრიდის სასახლე, სადაც პეტროგრადის დეპუ-  
ტთა საბჭოს დეპუტატებიც იყვნენ.

დანილა და პეტრე პესტრეცოვები. ორი ძმა, დონის კაზაკთა 1-ლი პოლკიდან ... გადამწყვეტ მომენტში ბრბო შეყოვნდა. შეიძლება დაეუშვათ, რომ რაღაც ეტაპამდე მათ ბუტაფორული შაშხანები აჩერებდა, რომლებსაც სასახლის კარებიდან დავანახებდით ხოლმე. სავარაუდოა, გარკვეული გავლენა იქონია, მაგრამ არა სასახლესთან, არამედ კმესინსკების სახლში შეკრებილ ხელმძღვანელებზე, ლიტვინის ხიდთან განხორციელებულმა მანევრმა, უფრო ზუსტად ცაგურიას გასროლებმა“.

მოთხრობილი ამბავი კიდევ ერთხელ თვალნათლივ აღასტურებს ირაკლი ცაგურიას სიმამაცეს, გამბედაობასა და გამჭრიახობას.

1918 წლიდან ირაკლი ცაგურია ქართული სახელმწიფოს სამსახურშია. როგორც მისი ერთი წერილიდან ირკვევა, მონაწილეობას იღებდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში და ბათუმთან მომხდარი შეტაკებისას დაიჭრა კიდევ.

სამხედრო მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილის 1918 წლის 12 სექტემბრის №538 ბრძანების თანახმად - „დათხოვნილია საარტილერიო ჯარის თადარიგში, თბილისის მაზრაში - მე-3 საარტილერიო დივიზიონის მე-3 ბატარეის უფროსი (ყოფილი სამთო ცხენოსანი ბატარეის უფროსი) - მაიორი ცაგურია ირაკლი, მუნდირის ტარების უფლებით.“<sup>1</sup>

ირაკლი ცაგურია მალევე დაუბრუნდა სამხედრო სამსახურს. 1918 წლის დეკემბერში ის აქტიურად მონაწილეობს სომხეთთან ომში, როგორც სამთო-ცხენოსანი საარტილერიო ბატარეის უფროსი. აქ მან კიდევ ერთხელ გამოავლინა შენაერთის კარგი ხელმძღვანელობის უნარი და საოცარი პირადი ვაჟკაცობა.

---

<sup>1</sup> სათანადო წყარო მოგვაწოდა ბატონმა პაატა გიგაურმა.

ირაკლი ცაგურიას ბატარეა გენერალ-მაიორ გიორგი წულუკიძის ხელმძღვანელობით მოქმედ ქვედანაყოფში შედიოდა. ეს შენაერთი, ომის დაწყების პირველივე დღეებიდან, მძიმე თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდა გაცილებით მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სადგურ სადახლოსთან მიმდინარე ბრძოლა. შექმნილი ურთულესი ვითარების გამო გენერალმა წულუკიძემ 21 დეკემბერს 23 საათსა და 30 წუთზე უკან დახევის ბრძანება გასცა.<sup>1</sup>

აი, როგორ აღწერდა გაზეთი „სახალხო საქმე“ ქართველი არტილერისტების უკანდახევას 22 დეკემბერს: „ყველაზე მეტად გაჭირვება გამოეგლო არტილერისტებს და მათ რაზმს. ბრძოლა ზარბაზნებით 5 საათამდე გაგრძელებულიყო და როდესაც პოლკ. ცაგურიას და ქარუმიძეს შეეტყვოთ, რომ ყუმბარები ელეოდათ, წინდაწინვე გამოეგზავნათ სამი ზარბაზანი, ხოლო ბოლომდე იქ ერთი ზარბაზანი დაეტოვებინათ. მაშინ, როცა საჭირო იყო შრაპნელით მოქმედება მოსულ მტერზე, უკმარისობის გამო, გრანატებს ესროდნენ. როდესაც ქარუმიძეს უნახავს საშიში მდგომარეობა ცაგურიასი, ისიც შეშველებია, ერთად შეკუმშულან 80 მეომარი პ. ცაგურიას მეთაურობით და მგლის ხროვასავით გარს შემორტყმული მტრისთვის თავზარდამცემი შეჭყვივლებით ჰკვეთებინან. პოლკ. ცაგურიას მიუგდია ცხენი მოიერიშე სომხებზე, გაუკაფავს ხმლით რამდენიმე კაცი და ასე ბრძოლით უვნებლად გამო-

---

<sup>1</sup> ჩაჩხიანი ა., დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბ., 2007, გვ. 348.

სულან სამშვიდობოზე. დაჭრილა ცაგურია ბარძაცსა და ხელში ხიშტით.“<sup>1</sup>

მიუხედავად ჭრილობებისა, ირაკლი ცაგურიას საბრძოლო მოქმედებები არ შეუწყვეტია. 30 დეკემბერს ის თავის ბატარეასთან ერთად ბოლნის-ხაჩინის მიმართულებაზე მებრძოლ ქართულ შენაერთებს უერთდება.<sup>2</sup>

საგაზეთო სტატიაში ირაკლი ცაგურია პოლკოვნიკის წოდებით მოიხსენიება. თუმცა აქ სტატიის ავტორს, სავარაუდოდ, უზუსტობა მოსდის. პოლკოვნიკობა ირაკლი ცაგურიას მოგვიანებით მიენიჭა. სამხედრო მინისტრის 1919 წლის 1 ივნისის №546 ბრძანების თანახმად - „მიენიჭება პოლკოვნიკის სახელწოდება უფროსობით საარტილერიო ჯარში, თანახმად მრავალწამებულ და ძღვევამოსილ წმ. გიორგის ორდენის სტატ. მე-49 მუხლისა - სამთო-ცხენოსანი ბატარეის უფროსი პოლპოლკოვნიკი ცაგურია ირაკლი ამ წლის 31 მარტიდან.“<sup>3</sup>

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ შევძელით დაგვედგინა ირაკლი ცაგურიას სამხედრო სამსახურის სხვა კონკრეტული დეტალები 1919-1920 წლებში. 1921 წელს კი ის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის. თბილისთან მიმდინარე ბრძოლის დროს, 24 თებერვალს მე-11 არმიის სარდლობამ ქართული შენაერთების მარცხენა ფრთის შემოვლა განიზრახა. ამ მიზნით საბჭოთა მე-18 საკავალერიო დივიზიამ სოფლების: ლილოსა და ნორიოს გავლით ავჭალაზე იერიში სცადა. პოლკოვნიკმა ირაკლი ცაგურიამ საკუთარი ინიციატივით

---

<sup>1</sup> ჩაჩხიანი ა., დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, გვ. 367.

<sup>2</sup> ჩაჩხიანი ა., დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, გვ. 368.

<sup>3</sup> სათანადო წყარო მოგვაწოდა ბატონმა პაატა გიგაურმა.

კონტრშეტევა განახორციელა და წითლების ეს მანერი ჩამალა.

ქართული კავალერიის ეს კონტრშეტევა ირაკლი ცაგურამ თავად აღწერა აკაკი კვიციანიშვილისადმი<sup>1</sup> გაგზავნილ პირად წერილში. ეს წერილი ჩვენ მოგვაწოდა და მის წაკითხვაში დაგვეხმარა საფრანგეთში მოღვაწე ისტორიკოსი გიორგი მამულაია, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

წერილი, ცხადია, სუბიექტურია და წარმოადგენს ირაკლი ცაგურაიას პირად მოსაზრებასა და ვითარების მისეულ ანალიზს. ავტორი ძალიან კრიტიკულია ცალკეული პიროვნებების მიმართ და ზოგჯერ არც თუ სასიამოვნო გამოთქმებს იყენებს. ჩვენ ბევრს ვფიქრობდით, დაგვეტოვებინა ეს ადგილები ტექსტში თუ არა. გადავწყვიტეთ, რომ ეს მცირე ფრაგმენტი ამოგვეღო. ჩვენთვის ირაკლი ცაგურაი პირველ რიგში საინტერესოა და დასაფასებელი, როგორც სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი თავდადებული ოფიცერი. მისი დამოკიდებულება სხვადასხვა პიროვნებებისადმი კი ამ შე-

---

<sup>1</sup> აკაკი კვიციანიშვილი პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა კაპიტნის ჩინით. 1918 წლიდან ქართულ ჯარშია. იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ. 1919 წელს არდაგანის დაკავების შემდეგ იყო ამ ქალაქის გარნიზონის უფროსი. 1920 წლიდან გადავიდა გვარდიაში. 1921 წლის თებერვალში იყო გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონის უფროსი. მისი ბატალიონი იცავდა ფოილოს ხიდს. 16 თებერვალს მე-11 არმიის შეტევის დაწყების შემდეგ ააფეთქა ხიდი და დღის ბოლომდე ახერხებდა მოწინააღმდეგის შეკავებას. უკან დაიხია მთავარსარდლის ბრძანების შემდეგ. თბილისთან ბრძოლის დროს მისი ბატალიონი იმყოფებოდა ორხევის მიმართულეზაზე. 24 თებერვალს საღამოს განახორციელა კონტრშეტევა (სენაკისა და ზუგდიდის ბატალიონებთან ერთად) და დაიბრუნა დღისით დაკარგული პოზიციები, შეძლო ფრონტის აღდგენა. 1921 წელს არ წასულა ემიგრაციაში, მაგრამ, რადგან საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ღვენას განიცდიდა, მოგვიანებით მაინც იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო.

მთხვევაში მთავარი არაა. გასათვალისწინებელი ის ზოგადი სამწუხარო ფაქტიც, რომ ემიგრაციაში მყოფი პირველი რესპუბლიკის მოღვაწეები, თითქმის ყველანი, ძალიან მკაცრად და აგრესიულად აკრიტიკებდნენ ერთმანეთს.

წერილის დასაწყისში ირაკლი ცაგურია წერს, „ძვირფასო მამულიშვილო, მივიღე თქვენი წერილი. რაც შეეხება ჩვენ ცხენოსან ჯარს, ის იყო მოფარებული დიდ-ლილოსთან. გოგი ხიმშიაშვილი<sup>1</sup> გადაყენებული ბრიგადის უფროსობიდან მთავარსარდლის ბრძანებით წასული გახდათ თბილისში. ბრიგადის უფროსად დანიშნული გახდათ არმიის პოლკის უფროსი სიღამონ-ერისთავი, დღეს ბოლშევიკების ერთგული მონა. გოგი ხიმშიაშვილი გადაყენებული გახდათ გენ. კვინიტაძის მიერ ... მშინშარა, დაბნეული ერისთავი გამოდგა უინიციატივო ოფიცერი. სურათი იყო შემდეგი, რომ უფრო სწო-

---

<sup>1</sup> პოლკოვნიკი გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1916 წელს იყო გენერალ დავით ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ქართველ ცხენოსანთა ათასეულის წევრი და მონაწილეობა მიიღო სპარსეთის ფრონტზე განხორციელებულ ცნობილ რეიდში (სპარსეთიდან მესოპოტამიაში). 1918 წელს მონაწილეობდა სომხეთთან ომში, ხოლო 1919 წელს სამხედრო ოპერაციებში აფხაზეთში თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. 1921 წლის თებერვალში, რუსეთთან ომის დაწყების წინ ის სომხეთთან საზღვრის ერთ-ერთ მიმართულებას (ბობკაირის მთა) იცავდა. 1921 წელს არ წავიდა ემიგრაციაში, დარჩა საქართველოში. იყო ანტისაბჭოთა აჯანყების მოსამზდებლად შექმნილი „სამხედრო ცენტრის“ წევრი. სხვებთან ერთად ისიც დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. როდესაც 1923 წლის 20 მაისს პატიმრები გამოიყვანეს და საბარგო მანქანაში ჩასვეს, გოგი ხიმშიაშვილმა გენერალ კოტე აფხაზისა და მაიორ დიმიტრი ჩრდილელის დახმარებით ხელეები გაიხსნა, ბადრაგს იარაღი წაართვა და მანქანიდან გადახტა. სამწუხაროდ, გადახტომისას რევოლვერი გაუკარდა ხელიდან. ცხენოსნები დაედევნენ, სროლისას ფეხში დაჭრეს. ორმა ჯალათმა, ამიროვმა და აბაზოვმა, დაცხრილეს და 31 წლის პოლკოვნიკი გოგი ხიმშიაშვილი წინასწარ გამზადებულ ორმოში ჩააგდეს. ეს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე მოხდა.

რად გადმოგცე ის რაც მოხდა დავწერ რუსულად.“ აი, რა დაწერა მან რუსულად: „24 თებერვალს ცხენოსანი ბრიგადა (სახალხო გვარდიის პოლკი და არმიის) სოფელ დიდ-ლილოსთან იდგა. გიორგი ხიმშიაშვილის წასვლის შემდეგ, მე როგორც უფროსი პოლკოვნიკი ავტომატურად პოლკის მეთაური გავხდი. სადილის შემდეგ, ჩვენი მზვერავებისგან (разведчობ) შევიტყვეთ, რომ წითლების ცხენოსანი კოლონები წისქვილიდან შორიახლოს, დიდი ლილოს შემოვლით ავჭალისკენ მიდიოდნენ. ინფორმაცია სასწრაფოდ ეცნობა ბრიგადის შტაბს, ხოლო პოლკს ებრძანა სასწრაფოდ დაძრულიყო, რათა ბოლშევიკებისათვის ავჭალის დაკავებაში ხელი შეეშალა. გადავწყვიტე, საბჭოთა კავალერიის თამამ მანევრზე ჩვენი საკავალერიო იერიშით მეპასუხა. პოლკოვნიკი ერისთავი ისე დაიბნა, რომ მისი დანახვა საცოდაობა იყო. აზერბაიჯანში სამსახურის დროს, ძლივს გადაურჩა სისხლიან ჩეკისტებს და ეს ფსიქოლოგიური დათრგუნვა არ ტოვებდა. დიდი ლილოს შორიახლოს სახალხო გვარდიის პოლკი თავის ბელადს ვალიკო ჯუღელს შეხვდა, რომელსაც თან პოლკოვნიკი კარგარეთელი<sup>1</sup> ახლდა - სახალხო გვარდიის ბატარეამ დიდი ლილოს მახლობლად მიგვატოვა და ერთი ყუმბართაც კი არ დაგვეხმარა - მათმა მეთაურმა (ყანჩელმა ?) სასწრაფოდ უკან დაიხია. ის ძალიან ცუდი პიროვნებაა და დამატებით დიდი ლაჩარიც. ცხენოსანი ბატარეის არყოფნა მძაფრად იგრძნობოდა. მალეობიდან, სადაც ჩვენი ბელადი ვალიკო ჯუღელი იდგა, შესანიშნავად ჩანდა ბოლშევიკების კავალერიის მოძრაობა. მისი ავანგარდი უკვე სოფელ ნორიოში შედიოდა - როგორც შემდეგ გაირკვა, მეწინავე რაზმები (разведчики) უკვე ავჭალაში იყვნენ. ბევრი არ მიფიქრია. ნებართვა

---

<sup>1</sup> სახალხო გვარდიის არტილერიის მეთური.



ვალეკო ჯუღელს ვთხოვე, ამოვარჩიე ორი საუკეთესო ესკა-  
დრონი, 1-ლი და მე-4 და ისე, რომ ერისთავისთვის ნებართ-  
ვაც არ მითხოვია, ჩორთით დავეშვი წისქვილისკენ, რათა  
ჟლობას<sup>1</sup> არიერგარდისთვის შემეტია. ჩემი მანევრი ნათლად  
ჩანდა და ის წითელმა სარდლობამ შეამჩნია. სოფელ ნორი-  
ოსთან დავეწვი ბოლშევიკებს, მაგრამ, სამწუხაროდ, იერიშის  
დასაწყისშივე დავიჭერი თოფის ტყვიით. ჟლობა დაიბნა. მას,  
როგორც ჩანს, ყირიმის ისტორიის გამეორების შეეშინდა,  
როდესაც მისი ცხენოსანი კორპუსი გენერალ ვრანგელის კა-  
ვალერიამ გაანადგურა.<sup>2</sup> ის ალბათ ფიქრობდა, რომ ჩვენი კა-  
ვალერიაც ასეთივე ბედს უმზადებდა - მიატოვა ავჯალა, მთე-  
ლი ცხენოსანი მასა სოფელ ნორიოსთან შეკრება და ჩამოაქ-  
ვეითა. ჩვენ სარდლობას უნარი რომ გამოეჩინა, ტფილისიდან  
ავჯალაზე გამოიყვანდა ძლიერ ქვეით ნაწილებს. ერისთავის  
ნაცვლად რომ ენერგიული უფროსი ყოფილიყო, ჟლობა კა-  
ტასტროფას ვერ გადაურჩებოდა. გენერალ კვინიტაძის შტაბი  
დაიბნა, შეიტყო რა ქართული გენერალური შტაბის პოლკოვ-  
ნიკ გედევანიშვილისგან [ჟლობას მანევრის შესახებ], რომე-  
ლიც მთავარსარდლად<sup>3</sup> დაინიშნა მეორე მხდალის, გენერალ

---

<sup>1</sup> დიმიტრი ჟლობა. წითელი კავალერიის ერთ-ერთი ყველაზე ცნო-  
ბილი მეთაური. 1918-1920 წლებში მონაწილეობდა ბრძოლებში გენერალ  
კრასნოვის, ნესტორ მახნოსა და გენერალ ვრანგელის წინააღმდეგ. სა-  
ქართველოსთან ომში თავის გამოჩენისათვის დააჯილდოვეს წითელი  
დროშის ორდენით. 1923 წელს თავი დაანება სამხედრო სამსახურს.  
1937 წელს დააპატიმრეს და ერთი წლის შემდეგ დახვრიტეს.

<sup>2</sup> ეს 1920 წლის 2-3 ივლისს მოხდა ჩრდილოეთ ტავრიაში.

<sup>3</sup> პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი გენერალმა გიორგი კვი-  
ნიტაძემ 24 თებერვალს დიდი ლილო - ნორიოს მიმართულების სარდ-  
ლად დანიშნა. გენერალური შტაბის უფროსისი გენერალ ალექსანდრე ზა-  
ქარიაძის ცნობით, პოლკოვნიკ გედევანიშვილს დაექვემდებარა: გვარდიის  
სამი ბატალიონი, მოხალისეები, არმიისა და გვარდიის ცხენოსანი რაზმე-  
ბი.

ჯიჯიხიას<sup>1</sup> ადგილზე. ჟღერს კავალერიის შემოვლითმა მანევრმა გენერალი კვინიტაძე აიძულა ტფილისი დაეტოვებინა - ეს შემოვლითი მანევრი უვნებელყოფილი იყო ჩვენი მამაცური შეტევით. გენერალ კვინიტაძის ადგილზე [სხვას], მეკავშირე ოფიცრად რომ არ ყოლოდა დამფრთხალი გედევანიშვილი და ერისთავის ადგილზე ენერგიული უფროსი [ყოფილიყო], მე ვამტკიცებ, ნორიოსთან ჟღერს განადგურდებოდა. გვარდიის პოლკში იყო 4 ესკადრონი. თითოეულში 80-90 მებრძოლი და 2, 4 ტყვიამფრქვევი. ესკადრონებში კარგი ხალხი იყო, მაგრამ არა საკმარისად გაწვრთვნილი. არმიის პოლკს არ ყავდა სრული შემადგენლობის ესკადრონები. მათი ოფიცრების უმეტესობა, ასე ძვირფასი და ახლობელი გენერალ ჩხეიძის<sup>2</sup> გულისათვის, გასაგდება იყო არმიიდან. აი

---

<sup>1</sup> გენერალმა არტემ ჯიჯიხიამ დაწყებითი განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში. 1907 წელს დაამთავრა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემია 1-ლი თანრიგით. პირველი მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ პრუსიაში მიმდინარე ბრძოლების მონაწილე. ჩავარდა ტყვედ, როდესაც კორპუსი ალყაში მოექცა. 1918 წლიდან ქართულ არმიაშია. იბრძოდა გაგრის ფრონტზე. საქართველო-სომხეთის ომში მონაწილეობდა პოლკოვნიკის ჩინით. 1919 წელს გენერალ მაზნიაშვილთან ერთად, რომლის შტაბის უფროსიც იყო, იბრძვის ახალციხის მახრამში თურქების წინააღმდეგ. 1921 წელს თბილისის დაცვის დროს მარცხენა ფრთის (ორხევი-ლილო) სარდალი. ემიგრაციაში არ წასულა. დახვრიტეს 1938 წელს.

<sup>2</sup> ალექსანდრე ჩხეიძემ დაამთავრა თბილისი კადეტთა კორპუსი. პირველი მსოფლიო ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ჯვრით. 1919 წლიდან იყო ქართული სამხედრო სკოლის უფროსის თანაშემწე. 1921 წელს მეთაურობდა სამხედრო სკოლას ტაბახმელას ფრონტზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1923 წელს გახდა ბრიგადის გენერალი. იყო „ქართველ მხედართა კავშირის“ გამგეობის წევრი და „ქართველ იუნკერთა კავშირის“

მოკლედ თუ რა მოხდა იმ დღეს - მე დავიჭერი იერიშის და-  
წყებისას და ამან ხალხზე იმოქმედა. დაიჭრა მხოლოდ სამი  
კაცი. ჟღობა დაბნეული იდგა მთელი ღამე და ადგილიდან  
დაძვრას ვერ ბედავდა - ტფილისის არც ერთი მატარებელი-  
სათვის, რომელიც ავჭალისკენ და უფრო იქით მიემართებო-  
და არ იყო გახსნილი ცეცხლი, ისე გამაოგნებლად იმოქმედა  
ჟღობაზე ჩვენმა მანევრმა. რა მოხდებოდა, ჩვენ რომ იქ უფ-  
რო ენერგიული ვყოფილიყავით და ვითარების გამოყენება შე-  
გვძლებოდა, ამის შესახებ პირუთვნელი ისტორიკოსი იტყვის.  
ბოლშევიკების კავალერია ცხენოსანი არტილერიის გარეშე  
იყო, 2500 კაცის შემადგენლობით. შეიარაღებული ხმლებით,  
შუბები არ ქონდათ. ცხენსა და ხმალს უკეთ ფლობდნენ, ვი-  
დრე ჩვენი პოლკის მხედრები, რომელთაგან მხოლოდ 1/3 თუ  
ჩაითვლებოდა ნამდვილ მხედრად. ამ დღეს ბევრი ოფიცერი,  
ასეულების მეთაურებიც კი, როგორც ლოლუა, ამილახვარი  
და სხვანი წასული იყვნენ ტფილისში - ორივე ასეული შე-  
ტევაში თავის მეთაურების გარეშე მონაწილეობდა. მე მათ  
სასამართლოს გადაცემდი და დახვერეტას მოვითხოვდი, მაგ-  
რამ ბედმა სხვა ბედი გვარგუნა“. წერილს ბოლოში ირაკლი  
ცაგურიას ქართული ხელმოწერა ახლავს.

პოლკოვნიკ ირაკლი ცაგურიას მიხედვით, წითელ კავა-  
ლერიას დიმიტრი ჟღობა მეთაურობდა. 24 თებერვალს შე-  
მოვლითი მანევრი ავჭალაზე საბჭოთა რუსეთის მე-18 საკავა-  
ლერიო დივიზიამ განახორციელა, რომლის მეთაურადაც  
ჟღობა 1 მარტს დაინიშნა. გამოდის, რომ ცაგურიას აქ მცი-  
რე უზუსტობა მოსდის. ამის მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი  
- ცაგურიამ იცის, რომ შემოვლითი მანევრი მე-18 დივიზიამ

---

საპატიო თავმჯდომარე. 1939 წელს წითელი არმიის მიერ ლვოვის დაკა-  
ვებისას ტყვედ ჩავარდა. დახვერეტეს კატიწში 1940 წელს. (სხვა ვერსი-  
ით, მოსკოვში გადაიყვანეს და იქ დახვერეტეს 1941 წელს).

განახორციელა და ისიც იცის, რომ ამ დივიზიას რაღაც მომენტში (ოფიციალურად 1 მარტიდან) ჟღერა მეთაურობდა. დაუკავშირა ეს ორი მომენტი ერთმანეთს და ამიტომ მოუვიდა შეცდომა (შესაძლოა სხვა ვარიანტებიც: შემოვლითი მანევრისათვის შეიქმნა საგანგებო ჯგუფი და სავსებით შესაძლებელია ჟღერას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და სახელმძღვანელო წითელ კავალერისტ მეთაურს მართლაც ესარდლა შემოვლითი მანევრისათვის და არაა აუცილებელი ამ დროს ოფიციალურად ყოფილიყო დივიზიის მეთაური. არც ისაა გამორიცხული, რომ ჟღერა რეალურად ასრულებდა დივიზიის მეთაურის მოვალეობას, რაც ოფიციალურად ანუ ფორმალურად მოგვიანებით გაფორმდა).

ვინ სარდლობდა რუსების შემოვლით მანევრს საინტერესოა, მაგრამ არა გადამწყვეტი. მთავარია, რომ მე-18 დივიზიის სარდლობა დაახნია ცაგურიას შეტევამ. ამას დამატა ავჭალაში მისული წითელი კავალერიის მეწინავე ნაწილების მარცხი. შედეგად რუსების ეს მანევრი ლიკვიდირებული იყო და იმ მომენტში საფრთხე აღარ არსებობდა.

რა მოხდებოდა ქართული სარდლობა რომ უფრო ენერგიული და გამბედავი ყოფილიყო? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია და დიდ ანალიზს მოითხოვს, რაც ამჯერად ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს. ამიტომ მხოლოდ მოკლე დასკვნას გავაკეთებთ. არსებობდა გარკვეული შენაერთები (ცხენოსანი ბრიგადის ნაწილი და პოლკოვნიკ გედევანიშვილის დაქვემდებარებაში არსებული გვარდიის ბატალიონები), რომლებითაც შესაძლებელი იყო წარმატებული შეტევის გაგრძელება. ეს მინიმუმ გაართულებდა რუსების მდგომარეობას, თუ მართლაც არ გამოიწვევდა წითელი კავალერისტების შენაერთის განადგურებას. დარწმუნებული ვართ, თავად ცაგურია რომ არ დაჭრილიყო, ბრძოლა გაგრძელდებოდა.

ცხადია, ირაკლი ცაგურიას ეს მონათხრობი გადამოწმებას საჭიროებს. ქართული წყაროებით ეს ძნელი გასაკეთებელია. ყველა, ვინც ამ კონტრშეტევას ეხება, საგარაუდოდ, სწორედ ირაკლი ცაგურიას ინფორმაციას ეყრდნობა. სახალხო გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონის უფროსი აკაკი კვიციანიშვილი საკუთარ მოგონებებში წერს, რომ, როდესაც 24 თებერვალს რუსების კავალერიამ ჩვენი მარჯვენა ფრთის შემოვლა და ავჭალაში გაჭრა განიზრახა, „ჩვენი ცხენოსანი ბრიგადა პასიურ მდგომარეობაშია, ვინაიდან მათი ახალი უფროსი პოლკოვნიკი სიღამონ-ერისთავი დაიბნა და ინიციატივას ვერ იჩენს. ყოველივე ამის მიუხედავად, თავისი პირადი ინიციატივით, პოლკოვნიკი ს. ცაგურია თავისი ორი ესკადრონით ეკვეთა მტერს სოფელ ნორიოსთან. აქ პოლკოვნიკი ს. ცაგურია დაიჭრა, მაგრამ მისმა მანიოვრმა მთლიანად შეაჩერა ჟღობას მოძრაობა. მხოლოდ ერთი პატარა თარეში გამოჩნდა სოფელ ავჭალასთან, რომელიც განდევნილ იქნა“.<sup>1</sup> აკაკი კვიციანიშვილი კიდევ ერთხელ შეეხო ამ საკითხს, როდესაც 1934 წელს დაწერა „პასუხი ბატონ გენერალ ჩხეიძეს“. ამ წერილში ის აღნიშნავს, რომ რუსებს სულ 700-800 კაცი ყავდათ, რომლებიც ჯაგლაგ ცხენებზე იყვნენ ამხედრებული.<sup>2</sup> საპასუხო წერილში გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე მხოლოდ ერთ რამეს აცხადებს: „ნახეთ რას წერს

---

<sup>1</sup> კვიციანიშვილი ა., რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ, ჟურნალი „განთიადი“, 1990, №2, გვ. 127-128.

<sup>2</sup> კვიციანიშვილი ა., პასუხი ბატონ გენერალ ჩხეიძეს, წიგნში შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 6, თბ., 2003, გვ. 95.

ამაზე ცაგურია.<sup>1</sup> რას გულისხმობს გენერალი ჩხეიძე ძნელი სათქმელია, რადგან ჩვენს მიერ ნანახ წყაროებში ირაკლი ცაგურიას რაიმე სხვა წერილი 24 თებერვლის კონტრშეტევასთან დაკავშირებით ვერ ვნახეთ. პოლკოვნიკ ცაგურიას ცნობების გადამოწმება იმ რუსული საარქივო მასალის მიხედვით შეიძლება, რომელიც ამჟამად ჩვენთვის მიუწვდომელია.

ერთი რამ კი ცხადია, თბილისთან 18-24 თებერვლის ბრძოლების დროს ქართული სარდლობა ფაქტობრივად არ იყენებდა კავალერიას. მართალია, ქართული კავალერია მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ გარკვეული ამოცანების გადაჭრა რა თქმა უნდა შეეძლო. გენერალ ანდრონიკაშვილის სექტორში, კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებაზე ცხენოსნების გამოყენება, ალბათ, არაეფექტური იქნებოდა. სოღანლულისა და ორხევი-ლილოს მიმართულებაზე კი ნამდვილად შეიძლებოდა. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ გენერალ მაზნიაშვილის სიტყვები, როცა ის 19 თებერვალს გამთენიისას რუსების შეტევის მოგერიების შემდეგ კონტრშეტევის აუცილებლობაზე საუბრობს - „მოწინააღმდეგის დახეულ ჯარებს თოფის ტყვია ვეღარ სწვდებოდა და ვესროდით მხოლოდ ზარბაზნებს. რეზერვში არ მყავდა დასვენებული არც ერთი ნაწილი, რომელსაც კი შეეძლო მტერს დასდევებოდა. ლაშქრის შტაბმა, არ ვიცი რა მიზეზით, საჭიროდ არ ჩასთვალა, გამოეზავნა ჩემთვის კავალერიის ერთი ესკადრონი მაინც, ცხენოსანი ჯარი კი იდგა იმ დროს სოფელ ლილოსთან უსაქმოდ.“<sup>2</sup> ჩვენი აზრით, ქართული კავალერიის ფაქტობრივად

---

<sup>1</sup> ჩხეიძე ა., ჩემი მოგონებების განმარტებანი, წიგნში შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 3, თბ., 2003, გვ. 471.

<sup>2</sup> მაზნიაშვილი გ., მოგონებანი ბათუმი, 1990, გვ. 167-168.

სრული იგნორირება მთავარსარდლობის სერიოზული შეცდომა იყო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ირაკლი ცაგურია ემიგრაციაში არ წავიდა. ბუნებრივია, რომ ისეთი მამულიშვილი და პროფესიონალი სამხედრო როგორც პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობდა.

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ირაკლი ცაგურია დაეპატიმრებინა. ჩეკამ ამ მიზნით პოლკოვნიკ გიორგი ხიმშიაშვილის ძმის, ალექსანდრეს გამოყენებაც კი სცადა. თავად ირაკლი ცაგურია ასე აღწერს შეხვედრას ალექსანდრე ხიმშიაშვილთან, „1923 წლის 21 მაისს<sup>1</sup> დახვრიტეს 15 ქართველი ოფიცერი და მათ რიცხვში ჩემი მეგობარი პოლკ. გიორგი ხიმშიაშვილი. ივნისის შუა რიცხვებში მაცნობეს, რომ პოლკ. ხიმშიაშვილის ძმას სურს ჩემი ნახვა. დავნიშნეთ პაემანი საამისოდ არჩეულ საიმედო ადგილას. როდესაც დავინახე ის, ოდესღაც სიცოცხლით სავსე 22 წლის ახალგაზრდა, ძლივს ვიცანი. მის თვალებში კიდევ შეიძლებოდა ამოეკითხა ადამიანს განცდილი წამების ნიშნები. აი სიტყვა-სიტყვით მისი ნაამბობი: „მე ვიმყოფებოდი სოფელ ფასანაურში და შენ კარგად იცი, თუ რა აღფრთოვანებით ვმუშაობდი ბოლშევიკური ძალაუფლების წინააღმდეგ ... დამიგდე ყური კარგად - მე იმათ გამათავისუფლეს პირობით. მოროზმა<sup>2</sup> მომცა ორი კვირის ვადა, რომ გაგცე შენ ... ჩემი თავისუფლება შენი დატყვევების სამაგიეროა. მოროზმა იცის, რომ შენ საწყალი ჩემი ძმის დიდი მეგობარი იყავი, რომ ამისთვის არ უნდა გამიძნეულდეს შენთან ძველი დამოკიდებულების აღდგენა და

---

<sup>1</sup> გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი და „სამხედრო ცენტრის“ სხვა წევრები 1923 წლის 20 მაისს დახვრიტეს.

<sup>2</sup> მოროზი - ჩეკას ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

რომ შემდეგ გადაგცემ მას ... უშველე თავს გემუდარები. მომეცი საშუალება, რომ ავიცლინო ამ საშინელ პირობის ასრულება და შემდეგ გადავიძალო. ჰო, მოიქეც ეგრე ჩემი ძმის ხსოვნისთვის, რომელიც შენ ეგრე გიყვარდა. მე მას ვურჩიე, გამოიჩინოს იმდენი მოხერხება, რომ ვითომ მე დამსდევს და ამით მოატყუოს მტარვალები. მართლაც ეს მან შეძლო და დღეს ის იმყოფება საზღვარგარეთ.“<sup>1</sup> (ალექსანდრე ზიმშიაშვილი 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ირაკლი ცაგურიასთან ერთად წავიდა ემიგრაციაში).

საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ შეძლო პოლკოვნიკ ცაგურიას ხელში ჩაგდება.

ირაკლი ცაგურია 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო. თავდაპირველი გეგმის თანახმად, მას ვაზიანი უნდა აეღო და აქედან შეეცა თბილისისთვის. აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი სოლომონ ზალდასტანიშვილი იგონებს: „ამ ხანებში ვაზიანის მიდამოებში დაბანაკდა მთელი ამიერკავკასიის არტილერია 120 ზარბაზნით. ამ ძაღის ხელში ჩაგდება ნახევრად მაინც წყვეტდა თბილისის ბედს. ამისთვის საჩქაროდ ავმუშავდით. დავამუშავეთ გეგმა, რომლითაც მთელი არტილერია ხელში გვივარდებოდა. ამ რაიონის სარდლად დაინიშნა არტილერისტი პოლკ. ირაკლი ცაგურია, მის განკარგულებაში იყო ამ რაიონის სოც.-დემ. რაზმი. დამუშავებული გეგმით მათ უნდა ჩამოერთმიათ რუსებისთვის ზარბაზნები და მოსდგომოდნენ თბილისს ნავთლუღის მხრივ“.<sup>2</sup>

ირაკლი ცაგურიამ 1926 წელს ბელგიურ ჟურნალში, „La Revue Belge“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „საქართველო“.

---

<sup>1</sup> შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4, თბ., 2003, გვ. 559-560.

<sup>2</sup> ზალდასტანიშვილი ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, 1989, გვ. 30.



ველოს გოლგოთა“,<sup>1</sup> სადაც საუბრობს 1924 წლის აჯანყებაზე და დაწვრილებით ყვება თავის მონაწილეობაზე. „აჯანყების გეგმა იყო შემდეგი: ტფილისის ხელში ჩაგდება, სადაც დაგროვილი იყო წითელი არმიის მთელი ძალა, ძნელი საქმე იქნებოდა, მაგრამ ქართველობამ გულადობითა და უსათუო გამარჯვების სურვილით გატაცებულმა, გადაწყვიტა ტფილისის აღება, პროვინციაში გამარჯვების შემდეგ. აჯანყებულები უნდა მისდგომოდნენ ტფილისს სამი მხრიდან: კოჯორიდან მოდიოდა პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი<sup>2</sup> თავისი რაზმით. საწინააღმდეგო მხრიდან უნდა გამოვსულიყავი მე და პოლკ. ჩოლოყაშვილთან შეერთების შემდეგ, ორივენი ტფილისზე მივ-

---

<sup>1</sup> ამ წერილის ქართული თარგმანი 1930 წელს დაბეჭდა ჟურნალმა „მხედარი“ (№3 და 4).

<sup>2</sup> ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი პირველ მსოფლიო ომში ლეიტენანტის ჩინით იბრძვის ჯერ ავსტრიის, შემდეგ კავკასიის ფრონტზე. თავი გამოიჩინა სარიყამიშის ბრძოლის დროს. დააჯილდოვეს ოქროს ხმლით. მძიმედ დაჭრილი ჩამოიყვანეს თბილისში. 1916 წელს გახდა გენერალ დავით ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ქართველ ცხენოსანთა ათასეულის წევრი და მონაწილეობა მიიღო სპარსეთის ფრონტზე განხორციელებულ ცნობილ რეიდში (სპარსეთიდან მესოპოტამიაში). 1918-1920 წლებში მსახურობს სახალხო გვარდიის ცხენოსან ნაწილში. მონაწილეობდა სომხეთთან ომში, სამხედრო მოქმედებებში სოჭის ოლქში. 1921 წლის ომის დროს გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად გაიგზავნა დასავლეთ საქართველოში საკავალერიო ნაწილების ჩამოსაყალიბებლად. მოხერხდა ორი ესკადრონის შექმნა და ერთის მეთაურად დაინიშნა კიდევ. თუმცა ამ დროისთვის ქართულ ჯარს აღმოსავლეთ საქართველო უკვე დატოვებული ჰქონდა. მონაწილეობა მიიღო ბათუმიდან ქემალისტების განდევნაში. ემიგრაციაში არ წასულა. გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. ჩამოაყალიბა „შეფიცულთა“ ცნობილი პარტიზანული რაზმი. 1922 წელს წამოიწყო აჯანყება კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მეთაური. აჯანყების მარცხის შემდეგ „შეფიცულებთან“ ერთად წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში.

დიოდით. რაც შეეხება მესამე მიმართულებას, დუშეთისას, იქ მეთაურობს გლეხი ლაშქარაშვილი. ყველაზე ძნელი ამოცანა მე მერგო. უნდა ამელო, ტფილისიდან 25 კერსის მანძილზე დაცილებული ვაზიანის პოლიგონი, სადაც იდგა წითელი ჯარი 98 ზარბაზნით. ასეთი გეგმა შემცდარი და მიუღებელი იყო. აჯანყების მომწყობთ არ გაუთვალისწინებიათ ტფილისის მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა. საქართველო უპყრია მას, ვისაც ტფილისი აქვს ხელში. სწორედ ამისთვის აუცილებელი იყო პირველი დარტყმა მომხდარიყო ტფილისზე, კომუნისტურ ძალთა სიმაგრეზე. ტფილისის აღებისას წითელი არმია, მოკლებული ცენტრალურ მართველობას, დევნილი მთელ საქართველოში, ხალხის სიძულვილით გარშემორტყმული, უნდა დანებებოდა გამარჯვებულს.

მაშინ, როდესაც პირველი გეგმის მიხედვით, ჩვენი ძალები, დაქსაქსულნი მთელ მხარეში, ვერ შეიკრიბნენ თავის დროზე, ჩვენ დავმარცხდით ძალიან უსწორო ბრძოლაში.

მეორე მიზეზი ჩვენი დამარცხებისა იყო ჭიათურის დასწრებული გამოსვლა - დანიშნულ დროზე 24 საათით ადრე ... ჭიათურის ნაადრევა გამოსვლამ საშუალება მისცა საბჭოთა უფროსებს, დროზე მიეღოთ ენერგიული ზომები აჯანყების ჩასაქრობად. მთელ საქართველოში გამოცხადდა სამხედრო წესები.

უმთავრესი ჩემი დავალება ე.ი. ვაზიანში მყოფი წითლების განიარაღება, ვერ მოვიყვანე სისრულეში. მე ვყოყმანობდი იმ ბრძოლის პერსპექტივის გათვალისწინებით, რომლის შედეგი იქნებოდა ტყუილ-უბრალოდ ჩემი ხალხის სამსხვერპლოზე მიტანა.

ჩემს განკარგულებაში მყავდა 300 გლეხი, ყოჩაღნი და ამაყნი, რომელთა საშუალებით, შესაძლებელია, სხვა ვინმე შესძლებდა სასწაული მოეხდინა და გმირობა გამოეჩინა, მაგ-

რამ აღვიარებ, რომ მე ვერ გავამართლე პარტიათა კომიტეტის ჩემზე დამყარებული იმედები, რადგან მას ჰქონდა უფლება მოეთხოვა ჩემგან სასწაული. დიახ, ჩემს სამშობლოს ჰქონდა ბევრი შემთხვევა ჩემი ნერვების დაცვისა: ბათომი, სადახლო, ნოია<sup>1</sup> - სადაც მტრის ტყვეით დაჭრილი მაინც განვაგრძობდი ჩემ ადგილას ყოფნას და როდესაც ვამბობ: ჭიათურის ნაადრევმა გამოსვლამ შემიშალა ხელი-თქო, ამით არ ვიმართლებ თავს. ვინაიდან, შესაძლებელია მაკლდა რევოლუციონური აღმაფრენა, მე ვიმოქმედე იმ ღამეს, როგორც პატიოსანმა ჯარისკაცმა, როგორც მხედარმა.“<sup>2</sup>

ზემოთ მოტანილი სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ირაკლი ცაგურიას ვაჟკაცობას, პატიოსნებასა და სამშობლოსადმი მის დიდ სიყვარულს. 1918-1921 წლებში ქართულ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისას პოლკოვნიკმა ცაგურია არაერთხელ დაღვარა სისხლი სამშობლოს თავისუფლების დაცვისათვის. მას ვერავინ ვერაფერს წამოაყვედრიდა. 1924 წლის 29 აგვისტოს კი ვაზიანის სამხედრო ბაზის აღებას, იმ ვითარებაში და იმ ძალებით, რაც ირაკლი ცაგურიას ყავდა, ვერავინ შეძლებდა. მის პიროვნულ ღირსებაზე მიანიშნებს ისიც, რომ წარუმატებლობისათვის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს.

თუ რა მოხდა უშუალოდ ვაზიანის პოლოგონთან, ამის შესახებ პოლკოვნიკი ცაგურია წერს: „ჩემი შტაბი იმყოფებოდა პატარძელში. ვაზიანის კომისარი მოვიდა ჩემთან და მთხოვა გამოვსულიყავი დანიშნულ ღროის თორმეტი საათით უფრო ადრე, რადგან სამხედრო წესი გამოცხადდა და ჩვენს მოულოდნელ თავდასხმას შეეძლო გამოეწვია არევ-დარევა

---

<sup>1</sup> ივულისხმება სოფელი ნორიო.

<sup>2</sup> შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4, თბ., 2003, გვ. 568-569.

მოწინააღმდეგეში. დავთანხმდი ამ წინადადებაზე და საღამოს შვიდ საათზე თორმეტ სოფელში ძალაუფლება გადმოვიდა ჩვენს ხელში - კომუნისტების უფროსობა იქნა დატუსაღებული - ადგილი არ ჰქონია არც ერთ უსამართლობას მათ მიმართ.

ჩვენი პროგრამის პირველი ნაწილი ჩინებულად შევასრულეთ. დაგვრჩა მეორე - უფრო ძნელი და უფრო თავალებული ნაბიჯის გადადგმა - უნდა წავსულიყავით ტფილისზე. საჭირო იყო მთელი არტილერიის ხელში ჩაგდება. ჩვენ ვუახლოვდებოდით მტრის ბანაკს, როდესაც ჩვენი სვლა შენიშნა მტერმა პროჟექტორების საშუალებით. ბატარეიდან ათი კილომეტრის მანძილზე ავუტეხეთ სროლა უკანა მცველებს. გაჩაღდა ბრძოლა. ამ მომენტში მაცნობეს მტრის კავალერიის სამი პოლკის ჩვენსკენ გამომგზავრება, წითლების გასაძლიერებლად.

მდგომარეობა გართულდა. ტყვია-წამალი გვითავდებოდა. იძულებული ვიყავი ჩემიანებისთვის უკან დახევა მებრძანებინა და ღამის სიბნელის გამოყენებით ტყეში შევიხიზნეთ, მაგრამ გვიანდა იყო ... მთელი ეს საერთო აჯანყება ჩაქრობილ იქნა საშინელ სისასტიკით“.<sup>1</sup>

აჯანყების მარცხის შემდეგ ირაკლი ცაგურია ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში. აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებთან. აქვეყნებდა წერილებს საკუთარი სახელით და ფსევდონიმებითაც. გარდაიცვალა 1969 წლის 11 ნოემბერს.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4, თბ., 2003, გვ. 569-570

<sup>2</sup> Незабывтые могилы... М., 2007, т. VI, кн. 3  
<http://rosgenea.ru/?alf=23&serchcatal=%D6%E0%E3%F3%F0%E8%FF&r=4>

### **დამოწმებანი:**

კვიტაიშვილი ა., რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ, ჟურნალი „განთი-ალი“, 1990, №2.

კვიტაიშვილი ა., პასუხი ბატონ გენერალ ჩხეიძეს, წიგნში შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 6, თბ., 2003.

ზალდასტანიშვილი ს., საქართველოს 1924 წლის ამბო-ნება, თბ., 1989.

მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი, 1990.

შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ის-ტორია ტ. 4, თბ., 2003.

ჩაჩხანი ა., დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბ., 2007.

ჩხეიძე ა., ჩემი მოგონებების განმარტებანი, წიგნში შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 3, თბ., 2003.

Масловски Е. М., Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 гг.

<http://gwar.ru/library/Eliseeff>

Kazaki/KK\_04.html?PHPSESSID=d957af7ecb2039793abec1e767dde069

Незабытые могилы... М., 2007, т.VI, кн. 3

<http://rosgenea.ru/?alf=23&serhcatal=%D6%E0%E3%F3%F0%E8%FF&r=4>

Никитин Б. В., Роковые годы.

<http://www.dk1868.ru/history/nikitin4.htm>

*Mikheil Bakhtadze*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**COLONEL IRAKLI TSAGURIA  
RESUME**

Irakli Tsaguria finished Artillery School. He participated in the World War I, fought in the Caucasus front, served in the Caucasus II Mountain Artillery Battery; in July, 1917 while being on a secondment in Petrograd he took part in the battle against Bolsheviks insurgency, at that time he took the post of a staff-captain; in 1917 he was awarded the George Cross of the Fourth Degree.

He served in Georgian state service from 1918. I. Tsaguria took part in the fight against Osman;

he was wounded in the attack near Batumi. In December, 1918 Colonel Tsaguria already takes part in the war with Armenia where he takes the post of the commander of the Mountain-Mounted Battery; in the capacity of the mentioned position he revealed the skill of the unit leadership and excellent personal courage; on December 22 he led the unit in the attack and despite the wounds, managed to break the siege.

In 1921 he participated in Russian-Georgian war; he distinguished himself in the fight for the defense of Tbilisi; on February 24 with his own initiative he organized the counterattack against Soviet divisions which planned to bypass Georgian positions. I. Tsaguria was seriously wounded during the attack though his maneuvers stopped the Red Cavalry attacks and foiled the plan of the Soviet Command. What would happen if the Georgian leadership had been more energetic and courageous? It seems difficult to answer this question, but one thing is obvious: during the fights in Tbilisi

Georgian Command factually did not use the cavalry and this was a serious mistake.

After the occupation of Georgia Irakli Tsaguria stayed in his motherland; he participated in preparation of anti-Soviet uprising; he was one of the leaders of the rebellion in 1924. According to the initial plan of the rebellion he had to take over Vaziani base as well as he was responsible for the capture of anti-aircraft guns and organization of the attack to Tbilisi. Unfortunately by that time, taking into consideration the forces Colonel Irakli Tsaguria had it was impossible to occupy Vaziani base.

After the failure of the rebellion he emigrated. Irakli Tsaguria lived in Belgium. He died in 1969.

*გია გელაშვილი*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*  
*სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის*  
*ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი*

**ზოგიერთი ცნობა საქართველოში გერმანული  
წარმომადგენლობის შესახებ**

როგორც ცნობილია, გერმანიის პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან კავშირი დაამყარა 1914 წელს შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში დაარსებულმა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ (პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები, ნესტორ მაღალაშვილი). პირველი მსოფლიო ომის გამოცხადებისთანავე, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით, ჟენევიდან ბერლინში გადმოსახლებული „კომიტეტი“ დებს ხელშეკრულებას გერმანიის მთავრობასთან, რომელიც იძლევა დაპირებას, რომ მსოფლიო ომში გამარჯვების შემთხვევაში, ცნობდა და გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამ შეთანხმების დადების შემდეგ კომიტეტის წევრები გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლში, გერმანიის მოკავშირე ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ეს ხდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. გერმანიამ საქართველოს „დე ფაქტო“ დამოუკიდებლობა ცნო 1918 წლის 10 ივნისს, ოსმალეთმა – 3 ივნისს.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> სალია კ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962, №13.



რუსეთში რეჟიმის შეცვლის გამო, რუსეთი სცილდება ძველ მოკავშირეებს და უახლოვდება გერმანიას. ბოლშევიკური რუსეთი ბრესტ-ლიტოვსკის ზავს დებს გერმანიასთან. 1918 წლის 27 აგვისტოს მათ შორის ხელმოწერილ იქნა დამატებითი ხელშეკრულება, რომლის მე-13 მუხლით „რუსეთი თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ გერმანია სცნობს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად“. გერმანიამ თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი (ბარონი ფონ კრესი) დანიშნა საქართველოში და მათი ჯარიც შემოვიდა, თუმცა, მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, გერმანია ტოვებს საქართველოს (1918 წლის დეკემბერში საქართველოში ინგლისის ჯარი შემოდის). 1919 წლის 28 ივნისის ვერსალის ზავის 116-ე მუხლით გაუქმდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში, ფონდი 1831 (აკაკი ჩხენკელის ფონდი), აღწერა 2, საქმე 96, ფურც. 1 - დაცულია საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის ვლადიმერ ახმეტელის ხელნაწერი წერილი ბერლინიდან ა. ჩხენკელისადმი 1921 წლის 26 თებერვლის თარიღით:

„დიდად პატივცემულო აკაკი

თქვენი გამოგზავნილი წერილები, როგორც პარიზიდან, ისე იტალიიდან მივიღეთ. შესაფერი ყურადღება მივაქციეთ. ამჟამად განსაკუთრებით სოციალისტურ წრეებში მხურვალედ ვმუშაობთ. უკანასკნელები მეტისმეტად სიმპათიურად შეხვდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის და პროფესიონალური კავშირების მოწოდებას, ამათი მთელი თანაგრძნობა ჩვენსკენ არის. სიმპათიას არ გვაკლებენ ბურჟუაზიული წრეებიც. აქ უკვე განმტკიცებულია ის აზრი, რომ ჩვენ წინააღმდეგ ომს აწარმოებს საბჭოთა რუსეთი.

ჩვენი მუშაობა მარტო სოციალისტური წრეებით არ განისაზღვრება, ვმოქმედებთ აგრეთვე მთავრობის წრეებშიც. 22 თებერვალს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ წევრებთან ერთად ვინახულეთ პრეზიდენტი ებერტი. ჩვენ მას მოვთხოვეთ, რომ იგი და გერმანიის მთავრობა დაუყოვნებლივ (რასაკვირველია საიდუმლო მიწერ-მოწერით) ჩარეულიყო საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ატეხილ ომის საქმეში და ამით შესაფერი გავლენა მოეხდინათ მოსკოვზე. ებერტი სრული თანაგრძნობით შეხვდა ამ საქმეს და თავს იდო კაბინეტზე ემოქმედა. ჩვენ პრეზიდენტს სამი მუხლიდან შემდგარი მოთხოვნა წავუყენეთ: 1) დაუყოვნებლივ იქნას გამოწვეული ბერლინში მყოფი ბოლშევიკების წარმომადგენელი და მას წინადადება მიეცეს, რომ საჩქაროდ ამცნოს მოსკოვის მთავრობას ომი შეაჩერონ; 2) ემცნოს რადიოთი მოსკოვში მყოფ გერმანიის წარმომადგენელს (ყავთ ასეთი წარმომადგენელი), რომ მან იქ იქონიოს გავლენა ლენინზე და ომი შეაწყვეტოს; 3) ემცნოს აგრეთვე ულრიხ რაუშერს, რომ მან აქ ყოველმხრივ იმოქმედოს გერმანიის მთავრობის სახელით ომის შეჩერებისთვის.

25 თებერვალს შედგა გერმანიის მთავრობის კაბინეტის სხდომა. კაბინეტს ებერტმა ჩვენი წინადადებები წაუყენა და უკანასკნელმაც ერთხმად მიიღო დაუყოვნებლივ გადაეღა ნაბიჯები. გუშინ რაუშერთან ვერ მოვახერხეთ რადიოთი დაკავშირება, ვინაიდან გადაბმა მოუხერხებელი იყო. დღეს კვლავ ცდიან და იმედი აქვთ გამოელაპარაკებინან. სხვათა შორის, კაბინეტის სხდომაზე სამხედრო სპეციალისტიც დაესწრო და უკანასკნელის აზრით, ახლა საქართველოს სტრატეგიულად საფრთხე აღარ მოეღისო. თავად ბოლშევიკებთანაც გვინდა საიდუმლოდ მოლაპარაკების გამართვა. არ ვიცი, მოვახერხებთ, თუ არა. ადგილობრივ პრესაში ამათთან ხშირად

გვეკონდა მწვავე შეხლა-შემოხლა, ამან თუ არ შეგვიშალა ხელი. ყოველ შემთხვევაში ვეცდები. სოციალ-დემოკრატები შეგვეპირდნენ მიტინგების და დემონსტრაციების მოწყობას. ჩვენ სასარგებლოდ პროტესტს განაცხადებენ.

ეკონომიკურ კითხვებზე მოგწერთ ვრცელ მოხსენებას.

ულრმესი პატივისცემით ვლ. ახმეტელი. მოკითხვა მაკრინეს და სანდროს.“

ამ წერილს თან ერთვის ასლები გერმანულ ენაზე შედგენილი ორი წერილის – ერთი გერმანიის პრეზიდენტ ფრიდრიხ ებერტისა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი<sup>1</sup> ბერლინიდან 1920 წლის 10 ნოემბრის თარიღით და მეორე დოქტორ სიმონისა საქართველოში ელჩად დანიშნული ულრიხ რაუშერისადმი 1920 წლის 16 ნოემბრის თარიღით. პირველ წერილს ქართულით აქვს წარწერილი, რომ შენახულ იქნას უაღრესად საიდუმლოდ (ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 96):

(№1 წერილი)

ასლი

უაღრესად საიდუმლოდ უნდა იქნას შენახული

ფრიდრიხ ებერტი<sup>2</sup>

გერმანიის იმპერიის პრეზიდენტი

მის აღმატებულება, საქართველოს რესპუბლიკის ბ-ნ პრეზიდენტს.

ბატონო პრეზიდენტო!

მას შემდეგ, რაც გერმანიის ხელისუფლებამ აღიარა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, გადავწყ-

---

<sup>1</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას უცხოეთთან მიმოწერაში ხშირად პრეზიდენტად იხსენიებოდა.

<sup>2</sup> ფრიდრიხ ებერტი (1871-1925) გერმანიის პრეზიდენტი 1919-1925 წლებში. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი.

ვიტე იმპერიის დროებითი (წინა) წარმომადგენლის, ვიცე-კონსულის დრ. ფონ დრუფელის მაგიერ საქართველოს რესპუბლიკაში გერმანიის იმპერიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაენიშნო მინისტერიალ-დირექტორი დ. ულრიხ რაუშერი. მას ექნება პატივი, თქვენს აღმატებულებას გადმოსცეს წერილი, რომლითაც დასტურდება მისი აკრედიტება.

იმ თვისებებისა და საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის გამო, რითიც ის გამოირჩევა, ვიმედოვნებ, რომ ის მუდამ ეცდება დაიმსახუროს თქვენი აღმატებულების პატივისცემა და ნდობა და გერმანიის იმპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობები კიდევ უფრო გააღრმავოს და განამტკიცოს. ამაში დარწმუნებული, მე ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, მიიღოთ ის კეთილგანწყობით და ყველაფერში, რაშიც ის გერმანიის მთავრობის დავალებითაა მოწოდებული და თავად მოგახსენებთ, სრული ნდობა გამოუცხადოთ.

ამავე დროს ვისარგებლებ შემთხვევით, რათა ბ-ნო პრეზიდენტო გამოვთქვა ჩემი საუკეთესო სურვილები რესპუბლიკის აყვავებისა და განვითარებისთვის, რომლის ბედის სამართავადაც თქვენ ბრძანდებით მოწოდებული, და ამით დაგიმტკიცოთ ჩემი სრული პატივისცემა.“

ბერლინი, 10 ნოემბერი, 1920.

ხელმოწერილი: ებერტი

დრ. სიმონსი.

(№2 წერილი)

ასლი

ბერლინი, 16 ნოემბერი, 1920.

თქვენო მაღალკეთილშობილებავ, უმორჩილესად გაცნობებთ, რომ თქვენ წარდგენილი ხართ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საქართველოს რესპუბლიკაში.

მე გთხოვთ თქვენ, როგორც უკვე ზეპირად მოგესაუბრეთ, რაც შეიძლება დროულად გაემართოთ ტფილისისკენ და ვეცე-კონსულ ფონ დრუფელისგან, რომელიც გახლავთ საქართველოში იმპერიის ამჟამინდელი წარმომადგენელი, გადაიბაროთ მისი საქმეები. ეს უკანასკნელი ტელეგრაფის მეშვეობითაა გაფრთხილებული და რჩება საელჩოში დროებით ამ ვითარებაში.

თქვენი მაღალკეთილშობილებისთვის მომზადებულ სარეკომენდაციო წერილს ვურთავ დახურულ ორიგინალს და ღია ასლს შუამდგომლობით; დედანი უნდა გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, რათა მიიღოთ ნათხოვნი აუდიენცია და მიღებული შეხვედრის შესახებ აქეთ შეგვატყობინოთ. ჩაბარება თუ წინასწარ განსაზღვრული მიმართვის შედეგები, ყოველივე თქვენმა მაღალკეთილშობილებამ გეგმის სახით აქ უნდა გადმოგზავნოს.

ამასთან, მე თქვენ გადმოგცემთ კონსულის უფლებამოსილებას საქართველოს რესპუბლიკის მხარისთვის. მე ასევე გთხოვთ, ამის შესახებ სათანადოდ აცნობოთ საქართველოს მთავრობას.

გამგზავრებამდე პირადად უნდა შეესმიანოთ ბ-ნ იმპერიის პრეზიდენტს. მიღების დროის თაობაზე გთხოვთ შეუთანხმდეთ რაინხსპრეზიდენტის ბიუროს.

თქვენი თანამდებობისთვის საჭირო ახალი სამსახურის ბეჭედსა და შტემპელს აქედან გამოგიგზავნი. ტფილისში თქვენი სამსახურებრივი ხელფასის რაოდენობა ჯერჯერობით მტკიცედ დადგენილი არ არის, რადგან უცნობია საქართველოში საცხოვრებელი პირობების და ფასების შეფარდება.

ამიტომ თქვენს მაღალკეთილშობილებას გეძლევათ უფლება შემდგომ ვითარებამდე თქვენი ცხოვრებისთვის და სამსახურებრივი საქმეების შესრულებისთვის საჭირო თანხა ავანსად აიღოთ თქვენთვის განსაკარგავად გამოყოფილი სამსახურის ფონდიდან, მაგრამ იმპერიის საფინანსო არასასურველი მდგომარეობის გამო რეკომენდებული მომჭირნობით.

გთხოვთ ორ თვეში ამ ხნის მანძილზე გაცემულ თანხასა და ტფილისში გაბატონებულ ცხოვრებისა და ფასების ვითარებაზე დაწვრილებით გვაცნობოთ.

ამ მითითების მიღების შესახებ, ისევე როგორც თქვენი გამგზავრებისა თუ ტფილისში ჩასვლის დროის შესახებ სიამოვნებით ველოდები თქვენს შეტყობინებას.“

დრ. სიმონსი.

საქართველოში ულრიხ რაუშერის ელჩად დანიშვნისა და შემდგომ მისი ტფილისში ჩამოსვლის შესახებ ცნობა უმაღლეს გავრცელდა. აი, რას გვაცნობებს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1920 წლის 6 ნოემბერს (გვ. 2): „საქართველოს დიპლომატიური მისიის წარმომადგენელმა ბ-ნ ვ. ახმეტელაშვილმა ბერლინიდან ოფიციალურად აცნობა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ გერმანიის რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წლის 24 სექტემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ოფიციალურად „დე-იურე“-დ აღიარა<sup>1</sup> და თავის ელჩად საქართველოში დანიშნა ბ-ნი ულრიხ რაუშერი, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი წევრი“.

იგივე „საქართველოს რესპუბლიკა“ 1921 წლის 6 იანვარს (გვ. 1) იტყობინებოდა: „ულრიხ რაუშერი, გერმანიის

---

<sup>1</sup> მაშინ, როცა ანტანტის ქვეყნებმა საქართველო „დე-იურე“-დ 1921 წლის 27 იანვარს აღიარეს, – გ.გ.

სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში, თბილისში ჩამოვიდა 1921 წლის 4 იანვარს, საღამოს 10 საათზე. მას დახვდნენ: კ. საბახტარაშვილი – საქართველოს საგარეო მინისტრის მოვალეობის აღმსრულებელი; გ. გედევანიშვილი – სამხედრო მინისტრის ამხანაგი; ზაქარიაძე – გენერალური შტაბის უფროსი; ჭიჭინაძე – გზათა დეპარტამენტის დირექტორი; ფონ დრიუფელი – გერმანიის დროებითი წარმომადგენელი საქართველოში.“

გარდა ზემოაღნიშნულისა, გვსურს კიდევ ერთი ფაქტი გავიხსენოთ გერმანია-საქართველოს ურთიერთობიდან:

1922 წლის 16 აპრილს, გენუის კონფერენციის მიმდინარეობის დროს (10 აპრილი-19 მაისი) იტალიის ქალაქ რაპალოში ბოლშევიკურ რუსეთსა და გერმანიის ვაიმარის რესპუბლიკას შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. ხელშეკრულებას რუსეთის მხრიდან ხელს აწერდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი, ხოლო გერმანიის მხრიდან რაიხსმინისტრი ვალტერ რატენაუ. რაპალოს ხელშეკრულებით გერმანიამ უკან წაიღო მის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ამ ფაქტის გამო 1922 წლის 21 დეკემბერს მიხეილ წერეთელმა და გიორგი კერესელიძემ „ქართული ეროვნული კომიტეტის“ სახელით წერილი გაუგზავნეს სამხედრო მაღალჩინოსან კრეს ფონ კრესენშტაინს: „რაიჰსტაგის კომისიის მიერ რაპალოს ხელშეკრულების რატიფიკაციის შედეგად, რომელიც ასევე ვრცელდება საქართველოზეც, გაუქმებულ იქნა გერმანიის მიერ ჩვენი სამშობლოს იურიდიული ცნობა. გერმანიის თვალსაზრისით, ამავე დროს, ანულირებულ იქნა მისი არსებობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი... ჩვენ ასევე დარწმუნებული ვართ, რომ დღესაც კი, მომენტის არასასურველი პოლიტიკური გარემოებების მიუხედავად, გერმანიაში მოიპო-

ვება ბევრი საუკეთესო პიროვნება, რომელთა გული საქართველოსადმი მეგობრობით არის გამსჭვალული...“<sup>1</sup>

საინტერესოა ერთი მომენტი: გენუაში ჩასულ ევროპის ქვეყნების დელეგატებს ინფორმაცია საქართველოში არსებულ ვითარებაზე მიეწოდებოდათ უშუალოდ საქართველოდან მათი წყაროს მეშვეობით. გერმანიის დელეგაციამ ინფორმაცია მიიღო, საქართველოში გერმანიის ყოფილი ელჩის ულრიხ რაუშერის ცოლისგან, რომელიც თბილისიდან ჩავიდა გენუაში. მისი მტკიცებით, საქართველოში სრული სიმშვიდე იყო. ასევე თბილისიდან პირდაპირ ჩავიდა კომპანია „შელის“ წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ბოილი. ამგვარი ცნობები ხელ-ფეხს უკრავდა გენუაში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არაოფიციალურ დელეგაციას, რომლის წევრებიც, თავის მხრივ, ცდილობდნენ რეალური ვითარების ამსახველი ცნობების მიწოდებას იქ მყოფი დელეგაციებისთვის.<sup>2</sup>

### **დამოწმებანი:**

სალია კ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962, №13.

გიორგი კერესელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). პუბლიკაცია გიორგი მამულიასი, ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, 2013, №1 (4).

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 64.

---

<sup>1</sup> გიორგი კერესელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). პუბლიკაცია გიორგი მამულიასი, ჟურნალში „ქართული ემიგრაცია“, 2013, №1 (4), გვ.173.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური ქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 64, ფურც.5.



*Gia Gelashvili*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,*

*Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

**SOME INFORMATION ABOUT GERMAN  
REPRESENTATION IN GEORGIA  
RESUME**

In our report there is given a short survey of Georgian relations with German political representation in 1914-1919; recognition of Georgia „de facto” and „de jure” by Germany and its abolition by the Rapallo treaty.

Besides we brought out three letters from the Georgian National Archives: 1) Vladimir Achmeteli's letter sent from Berlin on 26.02.1921 To akaki Chhenkeli Georgian manuscript); 2) Our translation of a German letter sent by Reichspräsident Fridrich Ebert to the president of Georgian Republic on 10.XI.1920, informing Him about appointment of Ulrich Rausher as an ambassador of Germany in Georgian Republic; 3) Our translation of a German letter sent by dr. Simons to Ulrich Rausher, giving him some instructions.

These letters include important information about relationships of abovementioned period.

## 1918 წელს ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაცია და ქართველი მწერლები

როგორც ცნობილია, გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან 1918 წლის 3 მარტს ბრესტში გაფორმებული სეპარატისტული ზავის შედეგად საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს საქართველოსთან და სომხეთთან ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე გადასცა ისტორიულად მათთვის კუთვნილი ისეთი რეგიონები, როგორებიცაა ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანის) ოლქები. ეს მაშინ, როცა რუსეთში იმხანად განვითარებულ მოვლენათა შედეგად, ამიერკავკასია ამ იმპერიის იურისდიქციას უკვე აღარ ემორჩილებოდა, რაც 1918 წლის 10 თებერვალს ოფიციალურადაც გააფორმა ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მოწვეულმა სეიმმა, რომლის შემადგენლობაშიც რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატები შედიოდნენ. სეიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასია დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადდა, რომლის შემადგენლობაშიც გაერთიანდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ ბრესტის საზავო შეთანხმების გაფორმებიდან ერთი კვირის შემდეგ, 1918 წლის 10 მარტს, უკვე ოფიციალურად მოითხოვა ამ ზავით

გათვალისწინებული პირობის სასწრაფოდ შესრულება და მისთვის ხსენებული რეგიონების გადაცემა. მაგრამ 11 მარტს მოწვეულმა ამიერკავკასიის სეიმმა თურქეთის ხელისუფლების ეს მოთხოვნა უარყო და დაადგინა, დიპლომატიური გზით ეცადა თურქეთთან წარმოქმნილი ამ კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება.

14 მარტს ოსმალეთისა და ამიერკავკასიის სახელისუფლებო დელეგაციებს შორის ტრაპიზონში მართლაც დაიწყო ამგვარი მოლაპარაკება, თუმცა ჩვენი წარმომადგენლობის მცდელობას, როგორმე მოეხერხებინათ სადავოდ ქცეული ტერიტორიების თუნდაც ნაწილობრივ მაინც შენარჩუნება, შედეგი არ მოჰყოლია.

ამიერკავკასიის სეიმის მიერ ბრესტის საზავო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო თურქეთის არმიამ 1918 წლის 9 აპრილს საქართველოს საზღვრები გადმოლახა და 15-21 აპრილს ბათუმი, ოზურგეთი და თითქმის მთელი მესხეთი დაიკავა ბორჯომამდე. თურქეთის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო.

ამ ტრაგიკულ მოვლენას, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ ჰკარგავდა ისტორიულად კუთვნილ დიდმნიშვნელოვან ქართულ რეგიონებს, ქართველი მოსახლეობის უმწვავესი რეაქცია და პატრიოტულ გრძნობათა კიდევ უფრო მეტად გამძაფრება მოჰყვა. ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებული აღშფოთება მაინც ოსმალთა მიერ ბათუმის დაკავებამ გამოიწვია. აჭარისა და მისი მთავარი ქალაქის ხელმეორედ დაკარგვის რეალურმა საშიშროებამ მაშინ ქართველი ხალხის დიდი ნაწილი შეაკავშირა და აღანთო ამ ძირძველი ქართული მხარისადმი სიყვარულის უმძაფრესი გრძნობით. ეროვნული შეკავშირების ეს უძლეველი სულისკვეთება ჩვენმა საზო-

გადოებამ არა მარტო მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული მასობრივი დემონსტრაციებით გამოხატა, არამედ მტრის წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო რაზმების ჩამოყალიბებითაც, რომლის შემადგენლობაში მრავალი მოხალისე ეწერებოდა საკუთარი ნება-სურვილით.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აქტიურობა მაშინ ქართველმა მწერლებმაც გამოიჩინეს. როგორც ბევრი მათგანის შემოქმედებითაც და ბიოგრაფიითაც ნათლად ჩანს, ქართული მწერლობის არაერთი წარმომადგენელი იმხანად არა მარტო თავისი ნაწერებით გამოეხმაურა ოსმალთა მიერ ბათუმის ხელმეორედ დაპყრობის ტრაგიკულ ფაქტს, არამედ პირადადაც ჩაეწერა ქალაქის განსათავისუფლებლად შექმნილ სახალხო ლაშქარში. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენებ კონკრეტულ ეპიზოდებს მათი ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან. დავიწყებ დავით კლდიაშვილით (1862-1931 წწ.).

როგორც ცნობილია, დავით კლდიაშვილი პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იგი უკვე პენსიაში იმყოფებოდა, ამ ომში მაინც გაიწვიეს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბათუმის დასაცავად გამართულ საბრძოლო ოპერაციებში. გარდა ფართოდ ცნობილი მისი მეტუარებისა, ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცნობებს ვხვდებით 1920 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ.“ თავად მწერლის მონათხრობის მიხედვით, 1918 წლის 3 მარტს 600 ჯარისკაცის თანხლებით იგი ჯერ სოფელ აჭარისწყლის საგუშაგოზე გაუძწესებიათ, შემდეგ ქელაში გაუგზავნიათ „აჭარლებთან მოსალაპარაკებლად,“ 31 მარტის ტრაგედიის პერიოდში კი ბათუმის დასაცავად გამართულ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას და

ბარცხანაში ყოფნისას კინაღამ ოსმალს მიერ ნასროლი ტყვიის მსხვერპლი გამხდარა.

31 მარტის ბათუმის ტრაგედიასთან და დ. კლდიაშვილთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ამ ტრაგიკული მოვლენის ერთ-ერთი თვითმზილველი, ოფიცერი ი. ყიფიანი ზემოთ ხსენებულ კრებულში გამოქვეყნებულ წერილში – „ძველი ჭრილობა,“ რომელშიც ქალაქის იმდღევანდელი მდგომარეობა ასეა აღწერილი: „შეწყდა ზარბაზნების გრიალი და ტყვიის მფრქვეველთა სასიკვდილო ცეკვა. ქალაქმა ოდნავ დაისვენა. მხოლოდ სამების (ახალშენის) ფორტიდან კიდევ გაისმოდა დაგვიანებული ზარბაზნის ხმა. იქ ჩვენი ახალგაზრდობა იდგა და მტერს ებრძოდა. ანარიის (ურხის) ფორტზე დილიდანვე ჩვენ დახოცილ მოძძეთა თავზე ოსმალთა დროშა ფრიალებდა.“

ნავსადგურიდან რკინიგზის სადგურისაკენ ავტომობილით მიმავალ ი. ყიფიანს ქუჩაში დ. კლდიაშვილი დაუნახავს, მანქანა გაუჩერებია, მისთვის შიგ ჩაჯდომა შეუთავაზებია და უთქვამს: „გადის უკანასკნელი მატარებელი, წამი წამზე ოსმალებს ველით, ბატონო დავით, უსათუოდ უნდა გაყვეთ ამ მატარებელს... ბათუმის ბედი გადაწყვეტილია. თქვენ მას ეხლა უკვე ვერ იხსნით. თუ საჭირო იქნება, აქ ჩვენ დავრჩებით, თქვენ კი იქიდან დაგვეხმარეთ!“

მაგრამ შექმნილი მდგომარეობით უაღრესად შეწუხებულ და აღშფოთებულ მწერალს ამ შეთავაზებაზე კატეგორიული უარი უთქვამს და თავისი ეროვნული გულისტკივილი ამ სიტყვებით გამოუხატავს: „სირცხვილი, სირცხვილი! განა მეტი საშინელება და დამცირება იქნება?“ ი. ყიფიანს მაშინ იქ მყოფი სხვა ოფიცრებიცა და ჯარისკაცებიც მიშველებიან და ცრემლმორეული მწერალი ძალით ჩაუსვამთ მატარებელში, რომელსაც ასკერთა რაზმების შემოჭრამდე რამ-

დენიშე წუთით ადრე დაუტოვებია ქალაქი. დიდი მწერლის ბიოგრაფიიდან ნაკლებად ცნობილ და უაღრესად მნიშვნელოვან ამ მონათხრობს მისი ავტორი საბოლოოდ ამ სიტყვებით ამთავრებს: „გული გაიყინა, ჰაერი დამძიმდა, სულში ათასი ყორანი ჩაფრინდა, და სასიკვდილო ჩხავილი დაიწყო. ვუყურებდი მხოლოდ ერთ ბრწყინვალე ვარსკვლავს, დავითის ცრემლს“.<sup>1</sup>

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თურქული აგრესიისაგან ბათუმის დაცვასა და საერთო-სახალხო პატრიოტულ მოძრაობაში იმდროინდელი ჩვენი მწერლობის ბევრი წარმომადგენელი იღებდა აქტიურ მონაწილეობას. „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფების ერთ-ერთი წევრის – შალვა აფხაიძის გადმოცემით, როცა 1918 წელს თურქი ასკერების შემოტევის შედეგად ბათუმს დაკარგვის რეალური საფრთხე დაემუქრა, მაშინ მის დასაცავად გამართულ ბრძოლაში „ქუთაისში მცხოვრებმა პატრიოტულად განწყობილმა, მაგრამ სრულიად მოუმზადებელმა ახალგაზრდებმაც (იგულისხმებიან „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფების წარმომადგენლები, – ა. ნ.) მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენ რაზმს მეთაურობდა ჩვენი სასიქადულო მწერალი დავით კლდიაშვილი. რაზმი იღვა ხულოსთან. თუ მეხსიერება არ მღალატობს, სწორედ ეს მომენტი აქვს აღბეჭდილი მხატვარ კროტკოვს სურათზე (ის იყო ჩვენი ხატვის მასწავლებელი რეალურ სასწავლებელში, კაცი ფრიად განათლებული და ახალგაზრდობის მოყვარული), რომელიც ოფიცრობამ დ. კლდიაშვილს იუბილეს დროს მიუძღვნა. დავითი გახარებული იყო ახალგაზრდობის პატრიოტული აღგზნებით. მაგრამ, როგორც მხედარმა, ისიც კარგად იცოდა, თუ რისი მაქნისი ვიყავით. მა-

---

<sup>1</sup> დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ (კრებული), ტფ. 1920, გვ. 13.

ლე ჩვენი რაზმი შეცვალა ჯარის პატარა ნაწილმა, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ბათუმი დაეცა“.<sup>1</sup>

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის 31 მარტს თურქი ასკერების მიერ ბათუმის აღებას პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე იმავე დღეებში დაწერილი ლექსებითაც გამოეხმაურნენ. მაგალითად, ფრაგმენტი პაოლოს ლექსიდან:<sup>2</sup>

**უკვე იწყება მრისხანე წამი,  
წამი, რომელიც ძვლებს დაახვავებს;  
უკვე შეირხა ზღვასთან ლერწამი, –  
ბათუმის ცაზე მე ვუმზერ ყვავებს...  
ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა,  
გაშალეთ მზეზე კრიალა ხმლები,  
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,  
ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები.**

რაც შეეხება ტ. ტაბიძეს, ბათუმის დაკარგვით ჩვენი ქვეყნისთვის თავსდატეხილი ეროვნული ტრაგედია მან იმავე დღეებში დაწერილი ამ სტრიქონებით გამოხატა:<sup>3</sup>

**ბათომი მისცეს და ორპირზე მოღის თათარი,  
ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი.  
ყვითელ სატურნის უბელობით ავად გამხდარი,  
პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა...  
საკუთარ თავის და სამშობლოს ახალ შერცხვენის  
ტანჯული ფიქრით საშუდამოდ მოვიქნაცები.  
ახ, მეგობრებო, ჩემი სული ჭვარტლია სხვენის,  
ცრემლით სავსეა ჩემი წილი „ჩვენი ყანწების.“**

---

<sup>1</sup> აფხაიძე შ., მახსოვს მარადის... თბ., 1988, გვ. 23.

<sup>2</sup> იაშვილი პ., პოეზია, პროზა, თარგმანები, თბ., 1965, გვ. 106.

<sup>3</sup> ტაბიძე ტ., ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1983, გვ.

აღნიშნული მოვლენა ტ. ტაბიძემ 1927 წელსაც გაიხსენა ლექსში „...და გარიბალდის წითელი ქუდი“.<sup>1</sup> პოეტი დაუცხრომელი მწუხარებით იხსენებს 1918 წლის აპრილს და თურქების მიერ ბათუმის დაპყრობის ფაქტს ჩვენს ეროვნულ სირცხვილად მიიჩნევს. ტიცციანის გულისტკივილს კიდევ უფრო ამძაფრებდა გახსენება იმისა, რომ ქართველ პატრიოტთა სურვილი მტერზე რევანშის აღებისა, იმხანად წარუმატებელი ოცნება აღმოჩნდა.

როგორც სათანადო მასალებიდან თვალნათლივ ჩანს, ოსმალთა აგრესიისაგან ბათუმის, აჭარისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონების დასაცავად გამართულ საბრძოლო ოპერაციებში, გარდა ზემოთ დასახელებული მწერლებისა, სხვებსაც მიუღიათ მონაწილეობა. მათ შორის ყოფილა კონსტანტინე გამსახურდიაც. აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით გაზეთ „სახალხო საქმის“ 1918 წლის 1 (13), 5 (18) და 10 (23) აპრილის ნომრებში კ. გამსახურდიას მიერ გამოქვეყნებულ წერილების სერიაზე – „ტფილისიდან ბათომამდის“ დაყრდნობით მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი სოსო სიგუა:

„მარტში კონსტანტინე ქართულ ლაშქარში მოხალისედ ჩაეწერა, რათა ებრძოლა თურქი ასკერების წინააღმდეგ, რომელთაც ბოლშევიკურმა რუსეთმა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, გადასცა სამხრეთი საქართველო. კონსტანტინემ აიღო კარაბინი, ჩაიცვა სამხედრო ფორმა და თბილისიდან ბათუმში მატარებელს გაჰყვა... ბათუმში რომ შევიდა, ქალაქში ყუმბარები ცვიოდა. დამფრთხალი ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა. არც თავად იცოდა, რა გაეკეთებინა. თავისი თავი ლევ ტოლსტოის დაბნეულ პიერ ბეზუხოვს აგონებდა. ბრძო-

---

<sup>1</sup> ტაბიძე ტ., ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1983, გვ. 150.



ლაში მონაწილეობა ვერ მიიღო – ბათუმის სწრაფი დაცემის გამო“.<sup>1</sup>

როგორც მემუარული ლიტერატურიდან ჩანს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის 1918 წელს გამართულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა ტერენტი გრანელსაც მიუღია. კერძოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე ტ. გრანელის თანამედროვე ალექსანდრე გაბესკირიას მკვლევარ გივი ცქიტიშვილისთვის ასეთი პასუხი გაუცია: „იყო ასეთი სამხედრო ნაწილი, ე. წ. მეშვიდე ათასეული, რომელსაც გენერალი ვაჩნაძე მეთაურობდა. მე კი კაპიტან გურამიშვილის ნაწილში ვირიცხებოდი. იქ შევიტყვე რომ ტერენტი ჯარში იყო გრიგოლ ცეცხლაძესთან, აკაკი ვასაძესთან, ჰერკულეს ყანჩელთან ერთად. ჩემს ნაწილში კი სიმონ ჩიქოვანი, კოლია ჩაჩავა და გრიშა ორაგველიძე იბრძოდნენ. მაშინ ყველა ახალგაზრდა, 16 წლის მოსწავლეებიც კი, ჯარში გაიწვიეს. ჯარი ორგვარი იყო – სახალხო, ანუ ეროვნული გვარდა, რომელსაც ვალიკო ჯუღელი მეთაურობდა და წვევამდელებისა, ანუ ჩვეულებრივი. მე და ტერენტი წვევამდელთა ჯარში ვირიცხებოდით... გამიგონია კი, რომ ტერენტი აქტიურად მონაწილეობდა ბათუმიდან თურქი ასკერების განდევნაში“.<sup>2</sup>

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საქართველოში იმხანად არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტური მასალებით ისიც დასტურდება, იმჟამინდელი მოვლენებისადმი მაშინდელ ჩვენს საზოგადოებას ერთგვაროვანი დამოკიდებულება რომ არ ჰქონია და მისი გარკვეული ნაწილი მათდამი საკმაოდ გულგრილად და ინერტულად ყო-

---

<sup>1</sup> სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, 1, თბ., 2011

<sup>2</sup> ცქიტიშვილი გ., „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“, თბ., 1990, გვ. 212.

ფილა განწყობილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა არსებობდა ჯარში, რომლის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიაში იმხანად განვითარებულ მოვლენათა შედეგად სრულიად დემორალიზებული იყო და ფაქტობრივად არაფერს აკეთებდა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელიც ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო თურქი ასკერების წინააღმდეგ გამართული საომარი ბატალიებისა: „ქართული ჯარების შესადგენად პირობები ვერ იყო კარგი... არსებული სამხედრო ნაწილები ჯერ კიდევ წინად იყვნენ გახრწნილნი და, რომ დაინახეს ეროვნული ჯარების მოწყობა, კიდევ უფრო გაიხრწნენ. ჯარისკაცები სამსახურის მაგივრად დადიოდნენ მიტინგებზე, ქეიფობდნენ და პირად საქმეებს აწყობდნენ. ყაზარმებში დადიოდნენ მხოლოდ დასაძინებლად. ქალაქი გატენილი იყო მოხეტიალე ჯარისკაცებით... ახლად შემდგარი ეროვნული ნაწილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ წილს იგდებდა ხელში სახელმწიფოს ქონებიდან. ოფიცერთა შემადგენლობაც ვერ იდგა სასურველ სიმალლეზე“.<sup>1</sup>

მთავარსარდლის ბრძანებით, სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში დაინიშნა გ. მაზნიაშვილი იმ სამხედრო რაზმის უფროსად, რომელიც სადგურ ჩაქვიდან ბათუმისაკენ უნდა გადაადგილებულიყო და „ყოველი ღონისძიებით შეეშალა ხელი ოსმალებისთვის, რომ მათ არ დაეჭირათ სამების ფორტი.“ თუმცა, გ. მაზნიაშვილის ინფორმაციით, რაზმი, რომლის უფროსობაც მას დაევალა და რომლის მიერაც განსახორციელებელი გეგმის სასწრაფოდ და წარმატებით შესრულებაზეც ბათუმის ბელი იყო დამოკიდებული, რეალურად არ

---

<sup>1</sup> მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი, 1990, გვ. 4.

არსებობდა. ქვეითი ჯარის დაუხმარებლად, მარტოოდენ არტილერიით, კი მტერზე იერიშის მიტანა შეუძლებელი იყო. „საქმის ვითარება საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა და რთულდებოდა. ყოველ საათში ერთი-ერთმანეთზე მოდიოდნენ მატარებლები, დატვირთული მოტაცებული ქონებით, და ეს მატარებელი გარედან და შიგნით მთლად გაჭვდილი იყო ფრონტიდან გამოქცეული ქართველი ჯარისკაცებით...

სადგურ სამტრედიის კომენდანტი ბევრსა სცდილობდა შეეჩერებინა გამოქცეული ჯარისკაცები, მაგრამ ვერას აწყობდა, რადგან ამისთვის საკმაო ძალები არა ჰყავდა. გამოქცეულები გარბოდნენ თავიანთ სოფლებსა და სახლებში და თან მიჰქონდათ სახაზინო ტანისამოსი, იარაღი და მოკაზმულობა. 31 მარტს გათენებისას გამოირკვა, რომ ბათუმი უნდა დაცემულიყო. მართლაც, პატარა ხანის უკან მოვიდა ცნობა, რომ ბათუმი ჩაბარდა ოსმალებს“.<sup>1</sup>

სამწუხაროდ, გ. მაზნიაშვილის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია სიმართლეს რომ წარმოადგენს და იმჟამინდელი ქართული ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც რომ არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ სახელმწიფოებრივ მოვალეობას, ამას სხვა ავტორებიც ადასტურებენ.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად და ბათუმში იმხანად შექმნილი ურთულესი მდგომარეობის მეტი სიცხადით წარმოსაჩენად რამდენიმე სიტყვა ალექსანდრე ქუთათელის (1897-1982 წწ.) ისტორიული რომანის – „პირისპირ“ – იმ ეპიზოდებზეც მინდა ვთქვა, სადაც დოკუმენტური სიმართლითაა ასახული ბათუმში 1918 წლის 31 მარტს დატრიალებული ტრაგედია.

---

<sup>1</sup> მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი, 1990, გვ. 24.

ეს ტრაგიკული მოვლენა ალ. ქუთათელის რომანში ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ორი კუთხიდანაა დანახული – ერთის მხრივ, იმ უპასუხისმგებლო და მოღალატეობრივი საქციელის ჩვენებით, რაც ბათუმის დასაცავად მიმდინარე საომარი ბატალიების მონაწილე ჯარისკაცების უდიდესმა ნაწილმა გამოიჩინა მაშინ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს და, მეორეს მხრივ, ამ მებრძოლთა მცირე ნაწილისა და ფართო საზოგადოების პატრიოტული თვითშეგნების წარმოჩენით.

ალ. ქუთათელის რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის – ბათუმის დასაცავად გამართული საომარი ოპერაციის აქტიური მონაწილის, კაპიტან ჯიბო მაყაშვილის მონათხრობის მიხედვით, „ბათუმის გარნიზონის უმეტესობა თურქების შემოტევა-მდე წავიდა და განაცხადა: რახან ამიერკავკასიის ხელისუფლებამ უარი განაცხადა საბჭოთა მთავრობის ცნობაზე, ჩვენ ვტოვებთ ბათუმს და რეგოლუციის დასაცავად მივდივართო. ამოდ ცდილობდნენ ოფიცრები და აგიტატორები, აეხსნათ მათთვის, თუ რა უდიდესი საფრთხე მოელოდა საქართველოს“.<sup>1</sup>

ჯარისკაცთა მიერ საბრძოლო პოზიციების მიტოვების პროცესმა კიდევ უფრო მასშტაბური ფორმა მიიღო უშუალოდ საომარი ოპერაციის დაწყებისთანავე და ფრონტზე დარჩენილებმაც „ჯგუფ-ჯგუფად დაიწყეს გაპარვა. გაპარვამ მასობრივი ხასიათი მიიღო... მსოფლიო ომში ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებსაც აღარ შერჩენოდათ წინანდელი სიმაძაქვე და დისციპლინა. ყველანი თავის გადარჩენაზე ფიქრობდა“.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> ქუთათელი ა., პირისპირ. რომანი ოთხ წიგნად, წიგნი I-II, თბ., 1967, გვ. 208.

<sup>2</sup> ქუთათელი ა., პირისპირ. რომანი ოთხ წიგნად, წიგნი I-II, თბ., 1967, გვ. 211.

ბათუმის დამცველი გარნიზონიდან იმხანად გამოქცეულ ჯარისკაცთა ამგვარმა ქმედებამ არა მარტო ქალაქში თურქ ასკერთა უპრობლემოდ შემოჭრას შეუწყო ხელი, არამედ მთელ ქვეყანაში შექმნა ქაოსური ვითარება. ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ შესაბამისი ეპიზოდი ა. ქუთათელის რომანიდან: „ბათუმიდან განუწყვეტლივ მოდიოდნენ ჯარისკაცებითა და ლტოლვილებით შეკუნწული მატარებლები. გამოქცეულნი ვაგონებში ვერ ეტეოდნენ, ბაქანზე, სახურავებზე ისხდნენ, კიბეზე ეკიდნენ. ყველას ნადავლი, დატაცებული სახაზინო ქონება, ჩემოდნები, კალათები, ვეება ფუთები და ბარგი-ბარხანა მოჰქონდა. ფრონტი ირღვეოდა... ჯარისკაცები შინისკენ გარბოდნენ...

რა ზომები უნდა მიგვეღო? ჯარის რომელი ნაწილი უნდა დაგვეპატიმრებინა და გაგვერეკა ფრონტზე, როდესაც ბათუმის თითქმის მთელი გარნიზონი გამორობდა? გადამლობი რაზმის ერთ ჯარისკაცზე ასი მოდიოდა. სამტრედიის სადგურის კომენდანტი და მისი რაზმი თავგამოდებით მუშაობდნენ; მაგრამ რომელი ერთი დეზერტირი უნდა დაეპატიმრებინათ? სადგურთან ზღვა ხალხი ტორტმანობდა. ვაჭრები, სპეკულანტები და ჩარჩები იქვე ყიდულობდნენ ჯარისკაცებისგან საწყობებში დატაცებულ ტანისამოსს, ფეხსაცმელსა და იარაღსაც. დილიყნები და ეტლები მახლობელ სოფლებში დეზერტირების გადაზიდვას ვერ აუდიოდნენ“<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ალ. ქუთათელის რომანი საბჭოთა პერიოდის პარტიული იდეოლოგიით განმსჭვალულ ნაწარმოებს წარმოადგენს, მწერალი, რამდენადაც იმჟამინდელი ცენზურული პოლიტიკა ამის შესაძლებლობას აძლევდა, არა მარტო მენშევიკური ხელისუფლების ანტიეროვნულ საქმიან-

---

<sup>1</sup> ქუთათელი ა., პირისპირ. რომანი ოთხ წიგნად, წიგნი I-II, თბ., 1967, გვ. 209.

ნობას აკრიტიკებდა, არამედ ბოლშევიკებისაც. მაგალითად, მისი ხაზგასმით, ნაცვლად იმისა, რომ ბათუმიდან ჯარისკაცთა მასობრივად გაქცევის პროცესი როგორმე შეეჩერებინათ და ამით თურქი დამპყრობლების აგრესიას წინ აღდგომოდნენ, „ბოლშევიკები სახელდახელო მიტინგებს მართავდნენ, ჯარისკაცებს ფრონტის მიტოვებისაკენ მოუწოდებდნენ და „რევოლუციის გასაღრმავებლად“ და სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად შინ იარაღით დაბრუნებას უქადაგებდნენ“.<sup>1</sup>

მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ბათუმის ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცების ამგვარ მოლაღატეობრივ ქმედებათა პარალელურად, ალ. ქუთათელის რომანში სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირვით მებრძოლ ქართველ მეომართა გმირობაცა და მაშინდელი ჩვენი საზოგადოების პატრიოტული სულისკვეთებაცაა წარმოჩენილი. პირველ ყოვლისა, სწორედ ამ სულისკვეთების წიაღიდან მომდინარე ეროვნული შურისძიების გრძნობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ბათუმში განცდილი სამარცხვინო მარცხიდან რამდენიმე დღის შემდეგ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით მობილიზებულმა სახალხო ლაშქარმა და ქართულმა ჯარმა ჩოლოქთან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და მტერი უკუაქცია.

1918 წლის 31 მარტის ბათუმურ ტრაგედიას უაღრესად საგულისხმო შეფასება მისცა პოეტმა კოლაუ ნადირაძემაც (1895-1990 წწ.) თავის ერთ-ერთ ბელეტრისტულ ჩანაწერში – „ნადირობის დროს მოყოლილი ამბები.“ ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენებ ფრაგმენტებს დასახელებული ოპუსიდან. სანადიროდ წასული სამი მეგობრიდან ერთ-ერთის თქმით, როცა ბრესტის ხელშეკრულების ძალით ოსმალებმა ბათუმის

---

<sup>1</sup> ქუთათელი ა., პირისპირ. რომანი ოთხ წიგნად, წიგნი I-II, თბ., 1967, გვ. 209.

მათთვის გადაცემა მოითხოვეს, „ჩვენ იძულებული გავხდით, ბათუმი იარაღით დაგვეცვა... ყველას გახსოვთ ის წვიმიანი და უმხიარულო დღე ქუთაისში – ზარების რეკვა და მქუხარე სიტყვები ბაღში! გიმნაზიელით დაწყებული და გათავებული ჩვეულებრივი ვაჭრით, რომლის ყოველდღიურ ბედნიერებას სავსებით უზრუნველყოფდა მოგების ერთი მეათედის მწვანე ბაზარზე დახარჯვა, ყველა გაიძახოდა:

– ვუშველოთ ბათუმს! – დავინხსნათ ბათუმი! – დავეხმაროთ ბათუმს!

არ დარჩენილა არც ერთი ახალგაზრდა, რომელიც არ ჩაწერილიყო რაზმში, რომელსაც სურვილი არ განეცხადებინოს ბათუმის დასაცავად წასვლაზე. ყველა ხედავდა და დარწმუნებული იყო, რომ ბათუმის დაკარგვა საქართველოსთვის დიდი უბედურება იქნებოდა, რომ უბათუმოდ წარმოუდგენელი იყო მისი არსებობა.

ეს იყო საერთო ენთუზიაზმი, რომელმაც, მართალია, ვერ გადაარჩინა ბათუმი, მაგრამ შეაკავშირა მრავალი და ნათლად დაანახა ყველას, რომ მხოლოდ ენთუზიაზმით შესაძლებელია გამარჯვების მოპოვება...

მე მახსოვს ხალხით გაჭედილი ქუთაისის ბაღი, ქუთაისის ქუჩები. მეც ქუჩაში ვიყავი ხალხში გარეული. სხვებთან ერთად ჩავეწერე მოხალისეთა რაზმში და მოუთმენლად მოველოდი იმ წუთს, როცა წაგვიყვანდნენ ბათუმში მტრის წინააღმდეგ. მე ვერ წარმომედგინა ისეთი ქართველი ახალგაზრდა, რომელიც არ აენტებოდა ბრძოლის წყურვილით და ქვეყნის დაცვისათვის არ მიატოვებდა თავის სახლს, თავის ცოლ-შვილს და დედ-მამას“.<sup>1</sup>

სამწუხაროდ, ამ საერთო ეროვნულ ენთუზიაზმს მაშინ წარმატება არ მოჰყოლია და ამ სახალხო რაზმების მეტობა

---

<sup>1</sup> ნადირაძე კ., რაც ლექსად ვერ ვთქვი, თბ., 1984, გვ. 129.

ლებს მტერმა დაასწრო ბათუმის ალება. ასე რომ, ომში წასვლა მათ უკვე არა ქალაქის დასაცავად და შესანარჩუნებლად მოუხდათ, არამედ მის უკან დასაბრუნებლად.

კ. ნადირაძის ხსენებული პუბლიკაციის პერსონაჟები გულისტკივილით იმაზეც საუბრობენ, რომ ოსმალთა ჯარი მაშინ მხოლოდ ბათუმის დაუფლებით არ დაკმაყოფილებულა და იგი ჩვენი ქვეყნის სხვა ადგილების დასაპყრობადაც აქტიურად მოიწვედა წინ. ქართველი მებრძოლენი თუ უკვე გურიასში შემოჭრილ მტერს იქაური უღელტეხილებისა და ბუნებრივი სიმაგრეების გადმოლახვის შესაძლებლობას მისცემდნენ, მაშინ მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი გახდებოდა და ოსმალეთა ჯარი ორიოდე დღეში ქუთაისსაც დაეუფლებოდა.

კ. ნადირაძის დოკუმენტური ნოველის პერსონაჟები უდიდესი გულისტკივილით უსვამენ ხაზს იმ გარემობას, რომ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მყოფ ქვეყანას მაშინ „ისეთი მთავრობა, ან ისეთი პიროვნება არ ჰყავდა,“ რომელიც სამშობლოს დასაცავად გულანთებული საზოგადოების ზემოთ მოხსენიებული ნაწილის პატრიოტულ სულისკვეთებას, ინიციატივასა და ენთუზიაზმს „მტკიცე ხასიათს მისცემდა“ და წინ წარუძღვებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ „ჩვენი ჯარი – თუკი მას შეიძლებოდა ეს სახელი წოდებოდა – შედგებოდა ცუდად გაწვრთნილი, ცუდად შეიარაღებული ახალგაზრდებისგან, რომელთაც აკლდათ საჭმელი და ყოველივე ის, რაც საჭიროებას წარმოადგენს. დისციპლინას ჩვენ თავად ვქმნიდით. ნამდვილად კი ის არ არსებობდა. ხელმძღვანელობის უმრავლესობა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ რამე მოეპარა“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ნადირაძე კ., რაც ლექსად ვერ ვთქვი, თბ., 1984, გვ. 133.



ოსმალეთის წინააღმდეგ გამართულ ამ ომში დამარცხების განმაპირობებელ მიზეზებზე საუბრისას, კ. ნადირადის ხსენებული ნოველის პერსონაჟები იმ გარემოებასაც უსვამენ ხაზს, ზემოთ აღნიშნული პატრიოტული სულისკვეთებით სინამდვილეში საზოგადოების მხოლოდ ნაწილი რომ იყო გულანთებული, ქვეყნის მართვა-გამგებლობის სათავეებთან მდგარი ელიტის უმეტესობა კი ამგვარ ტრაგიკულ ეროვნულ მოვლენებს გულგრილად აღეგნებდა თვალს.

მაგალითად, აი, რას ათქმევინებს მწერალი ხსენებული ნოველის ერთ-ერთ პერსონაჟს ამასთან დაკავშირებით: „ჩემის ღრმა რწმენით, ამ საშინელ მომენტში მთელი ჩვენი თავადაზნაურობა ფრონტზე იყო. ეს მე მჯეროდა აბსოლუტურად. არავითარ ძალას არ შეეძლო ამ რწმენის შერყევა. ჩემი ოცნება ხედავდა მათ იარაღში ჩამსხდართ და ხმლით ხელში იარაღით გაქროლილთ მტრებზე.“

თუმცა რეალურად არსებული მდგომარეობის უნებურმა ხილვამ კ. ნადირადის პერსონაჟის ეს რომანტიკული პატრიოტული წარმოსახვა ერთბაშად დაამსხვრია, რითაც მწერალმა თავისი ნოველის პერსონაჟთა მიერ გამოხატულ ეროვნულ სექპტიციზმს განზოგადების ფართო მასშტაბები შესძინა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ნაწარმოებიდან: ფრონტიდან მშობლიურ ქალაქ ქუთაისში დაბრუნებული ერთ-ერთი პერსონაჟი, ღამით ქალაქში სეირნობის დროს, გასართობ კლუბში მოხვდა და, მისდა მოულოდნელად, სრულიად განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდა: მის წინ „მხიარული და უდარდელი სახეებით იდგნენ ჩვენი თავადები – ჩოხებში გამოწყობილნი და ჩვეულებრივად თამაშობდნენ კარტს... ისმოდა მათი ოხუნჯობა, სიცილი, დარბაისლური ლაპარაკი...“

ჯარისკაცის დანახვაზე გაიკვირვეს, მათმა სახემ უსიამოვნო გამოძეტყველება მიიღო... მე საჩქაროდ შემოვბრუნდი და ჩქარი ნაბიჯით გავვეშურე კიბისაკენ. უკან დარჩა თავადების სიცილი, თამბაქოს კვამლი, მხიარული სახეები, კარტის შრიალი. არ მახსოვს, როგორ ჩამოვედი კიბეზე, როგორ მოვედი სახლში. ჩემში უეცრად რაღაც გაწყდა; თითქოს ვიღაცამ სილა გამაწნა, თითქოს ვიღაცამ გათელა ჩემი ბავშვური სიყვარული, ჩემი ბავშვური ოცნება“.<sup>1</sup>

სამწუხაროდ, მწერლის მიერ ესოდენი ემოციური სიმძაფრით გამოხატული ეს პატრიოტული გულისტკივილი განზოგადებული ფორმითაც რომ წარმოაჩენს ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის ეროვნულ ინდიფერენტისმსა და გულგრილ დამოკიდებულებას ქვეყნის საჭირობოროტო პრობლემებისადმი, აფხაზეთში განვითარებული ქართულ-რუსული სისხლიანი კონფლიქტის დროსაც ნათლად გამოჩნდა. ჩვენდა სავალალოდ, ქართული სახელმწიფოს გადასარჩენად გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლების პერიოდში ქართველთა გარკვეული ნაწილი მაშინაც მხოლოდ პიროვნულ მიწიერ კეთილდღეობაზე ზრუნვით უფრო მეტად იყო დაკავებული და უცხო ქვეყნების გასართობ ცენტრებში დადიოდა დროის ფუქსავატურად გასატარებლად.

1918 წლის 31 მარტის ტრაგედია გამონაკლისი არ ყოფილა და ბათუმსაც და მთელ აჭარასაც ამ დროიდან მოყოლებული 1921 წლამდე სხვა დროსაც დამუქრებია დედასამშობლოსგან ფიზიკურად მოწყვეტის საფრთხე. თუმცა საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის მოწინააღმდეგეთა ყველა ეს მცდელობა საბოლოოდ მათი სრული კრახით დამ-

---

<sup>1</sup> ნადირაძე კ., რაც ლექსად ვერ ვთქვი, თბ., 1984, გვ. 137.

თავრდა და ბათუმიცა და აჭარაც უკვე სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის ღვიძლ და განუყოფელ ნაწილად.

**დამოწმებანი:**

- აფხაიძე შ., მახსოვს მარადის... თბილისი, 1988.  
დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ (კრებული), ტფილისი, 1920..  
იაშვილი პ., პოეზია, პროზა, თარგმანები, თბ., 1965.  
მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი, 1990.  
ნადირაძე კ., რაც ლექსად ვერ ვთქვი, თბ., 1984.  
სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, 1, თბ., 2011.  
ტაბიძე ტ., ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1983.  
ქუთათელი ა., პირისპირ. რომანი ოთხ წიგნად, წიგნი I-II, თბ., 1967.  
ცქიტიშვილი გ., „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების,“ თბ., 1990.

*Avtandil Nikoleishvili*

*Akaki Tsereteli State University*

**THE OCCUPATION OF BATUMI BY THE OTTOMANS  
IN 1918 AND THE GEORGIAN WRITERS  
RESUME**

In order to actually take possession of the Georgian regions given to Turkey as result of the terms of the Brest Treaty on April 9, 1918 the Turkish army crossed the border of Georgia and on April 15-21 it occupied Batumi, Ozurgeti, and almost all Meskheta as far as Borjomi. The Georgian army was

able to stop Turkey only at the Choloki River. The tragic national event caused a sharp reaction among the Georgian population. In this respect Georgian writers were particularly active. Many of them responded to the tragic fact of the Ottoman Conquest of Batumi for the second time not only by their works but they personally joined the People's Army to liberate the city. In particular, D. Kldiashvili, P. Iashvili, T. Tabidze, K. Gamsakhurdia, T. Graneli and others took an active part in the battle to protect Batumi.

*დოდო ჭუმბურიძე*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*  
*სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის*  
*ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი*

**აკაკი ჩხენკელის შეხვედრები გერმანულ დიპლომატებთან –  
მიუღერთან, ბარენბერგ-გოსლართან და შტამერთან  
1921 წლის მაის-ივნისში**

საქართველოს გასაბჭოების წინ, 1921 წლის 28 იანვარს, გადაწყდა, რომ აკაკი ჩხენკელი საფრანგეთში საგანგებო ელჩად და სრულუფლებიან მინისტრად დანიშნულიყო. კავკასიაში საფრანგეთის რესპუბლიკის კომისარი აბელ შევალე ამას ატყობინებდა პარიზში ანდრე ზიგფრიდს, ლაროშს, სტივს, ლეფვერსა და ვიგნონს.<sup>1</sup>

ამასვე ატყობინებდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის – ევგენი გეგეჭკორის მოადგილე კონსტანტინე საბახტარაშვილი ევროპის ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებს, ის აკონკრეტებდა ჩხენკელის უფლებამოსილების საკითხს ევროპაში.

რთული იყო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საქართველოდან ემიგრირებული პოლიტიკოსების მდგომარეობა.

ევროპაში წასული საქართველოს კანონიერი მთავრობა და მისი ყველა წევრი შეურიგებლად იბრძოდა რუსული ბოლშევიკური ხელისუფლების აგრესიის წინააღმდეგ და ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დიპლომატიურ გზებს ეძებდა

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, ანაწ. 2, საქმ. 463, ფურც. 1-7.

ამ საკითხის საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით დასაყენებლად. ჩხენკელი ამ საქმის აქტიური ხელმძღვანელი და კოორდინატორი იყო. მას, როგორც ევროპაში საქართველოს ელჩს, კანონიერი ხელისუფლების რწმუნებულს, ჰქონდა უამრავი შეხვედრა ევროპელ ლიდერებთან, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მომავალი ბედის საკითხზე. მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამო, საკუთარი პრობლემებითა და ინტერესებით დატვირთული ევროპის დიდი სახელმწიფოები ქართველ პოლიტიკოსთა მოთხოვნებს ნაკლებად ითვალისწინებდნენ, მას მხოლოდ მაშინ აქცევდნენ ყურადღებას, როდესაც მათი ქვეყნისა და ქართველი ხალხის ინტერესები ერთმანეთს ჰკვეთდნენ.

თუ რას ცდილობდა ქართული დიპლომატია, რა ურთულეს პირობებში იბრძოდა ქართული სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად, კარგად ჩანს იმ შეხვედრებისა და დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველი მასალების გაცნობისას, რაც 1921 წელსვე, ჩხენკელისა და მისი თანამებრძოლების მიერ განხორციელდა.

მიყვებთ მოვლენებს 1921 წლის მაისიდან, როდესაც ელჩმა ინახულა დამოუკიდებლობის წლებში ევროპაში ყველაზე ახლო პოლიტიკური მოკავშირის – გერმანიის ელჩები ევროპის ქვეყნებში, რათა გაეცნო მათთვის საქართველოში შექმნილი ვითარება, ამასთანავე მიეცა გერმანიის მთავრობისათვის წარსაღგენი ღირექტივები. ამ შეხვედრის დეტალებს თავად ჩხენკელი აზუსტებს საკუთარ ჩანაწერში. აი, ეს ჩანაწერიც (სტილი უცვლელია):

„19. V. ა. ჩხენკელმა ინახულა გერმანიის ელჩი რომში, რომელმაც დიდის მხურვალეობით და პატივით მიიღო ის. გერმანიის ელჩს ფ. ბარენბერგ-გოსლარს არ ქონია მაინცდა-

მანც ნამდვილი წარმოდგენა საქართველოზე და კავკასიაზე საერთოთ, ჩხენკელმა გააცნო შექმნილი მდგომარეობა იქ. ჩხენკელის კითხვაზე მან მიუგო, რომ ბერლინი უშუალოთ აწარმოებს პოლიტიკას მახლობელ აღმოსავლეთთან და კავკასიასთან, რაზედაც ჩხენკელმა გამოთქვა აზრი, რამდენად უკეთესი იქნებოდა, რომ რომშიც გამოეჩინა საელჩოს მეტი აქტივობა, რადგან აქედან მიმოსვლა კავკასიასთან არსებობს და ანგორაც აქ აწარმოებს საქმეს ანტანტანსთან.

შემდეგ ჩხენკელი შეეხო ლოიდ-ჯორჯის უკანასკნელ სიტყვას სილუხიის შესახებ და გამოთქვა აზრი, შესაძლოა ინგლისმა სცნოს ბოლოს საჭიროდ გერმანიის თანამშრომლობა რუსეთის საქმეებში და აქედან არაა მოსალოდნელი, რომ გერმანიის ტეხნიკა, ორგანიზაცია გამოეყენებულ იქნას კავკასიაში. ჩხენკელი იმასაც კი დასძენდა, რომ ინგლისი იძულებული იქნება რამე კომპენსაცია მისცეს გერმანიას და უკანასკნელს, ვინაიდან მან დაჰკარგა ბალდადის გზა და სხვ., შეუძლია მოითხოვოს თავისთვის ეკონომიური მუშაობა კავკასიაში, აგრეთვე ამ გზით ნედლი მასალის გამოზიდვა წინა აზიიდან. ბარენბერგ გოსლარს ჭკუაში დაუჯდა ეს მოსაზრება და თქვა, რომ ის მიაქცევს მასზე ბერლინის ყურადღებას.

საზოგადოთ ჩხენკელმა მოითხოვა მეტი აქტივობა გერმანიის მხრით, თუ მას უნდა კავკასიელების სიმპატია შეირჩინოს, მას ყავს თავისი ინტიმური მეგობრებიც ლონდონში, რომელთა დახმარებით შეუძლია შესინჯოს ნიადაგი; ინგლისი, რომელიც დატვირთულია ამდენი საქმეებით, მიიღებს გერმანიის თანამშრომლობას კავკასიაში და ამ შემთხვევაში ის დაეხმარება კავკასიელებს შეკავშირდენ, გამაგრდენ და თავი დააღწიონ რუსეთის უღელს. გერმანიის ელჩმა ხმაამაღლებით წამოიძახა: ჩვენ არცა როდის არ ვყოფილვართ

პასიური, აქტივობა ჩვენი სტიქია არის, იყავით დარწმუნებული, ჩვენ არ დავაკლებთ ცდას თქვენი საქმე გამოსწორდეს და ჩვენც სარგებლობა გვექნეს.

ბოლოს ბარენგებერგ-გოსლარმა ალუთქვა ჩხენკელს, რომ ის იქნება მჭიდრო დამოკიდებულებაში მის მოადგილესთან – მაჩაბელთან და რაც შეიძლება ხელს შეუწყობს მის მუშაობას რომში. მაჩაბელს იცნობდა ის წინათაც, აგრეთვე სხვა წევრებს საელჩოსას.

ა. ჩხენკელმა თხოვა გერმანიის ელჩს, გაეთვალისწინებია, რომ საქართველოს მთავრობას არ შეუძლია აშკარათ იმოქმედოს, რადგან ანტანტამ არ დასწამოს მას გერმანიის მიკერძება, მან ცოტა დასჯა არ განიცადა ამისათვის.<sup>1</sup>

ჩხენკელის შემდგომი ჩანაწერი ეხება მის შეხვედრას გერმანელ დიპლომატ ავგუსტ მიულერთან. ეს ჩანაწერი ასეთია:

„27. V. 21. ბერნიდან 13 კილომ. მიუსინგენში „სასტუმრო ლოში“ მოხდა შეხვედრა ა. ჩ.-სა და გერმანიის ელჩს ბერნში ავგ. მიულერს შორის. მუსაიფმა სამ საათზე მეტი გასტანა (ერთათ ივანშმენ), ეხებოდა ბევრ სხვა და სხვა საგნებს, აქ მოკლეთ მოყვანილია მხოლოდ დიალოგი მახლობელ თემაზე.

**ჩხენკ.** მე ჩამოვედი ბერნში სპეციალური მიზნით – ეს იყო თქვენი ნახვა და ზოგიერთ საჭირობოროტო კითხვაზე მოლაპარაკება. ვიცი თქვენი წარსული, აგრეთვე ისიც, რომ თქვენს აზრს ანგარიშს უწევს თქვენი მთავრობა.

**მიულერი.** მეც ბევრი ვიცი თქვენს შესახებ, ამიტომ განსაკუთრებულ სიზარულს ვეძლევი, რომ მაქვს შემთხვევა პირადათ გელაპარაკოთ. მე თქვენს განკარგულებაში ვარ.

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1831, ანაწ. 2, საქმ. 101, ფურც. 1-2.



**ჩხენკ.** მე არ მინდა შორიდან დავიწყო, თქვენ იცით ჩვენი ვითარება, ვიცი გაინტერესებთ იგი. რაუშერი, სანამ თფილისს წავიდოდა, თქვენ გესაუბრათ აქ. გერმანიას კარგი ატმოსფერო აქვს საქართველოში, კავკასიაში, მცირე აზიაში, – მინდა ვიცოდე, ფიქრობს თუ არა ის ახლა ჩვენს შესახებ, აქვს თუ არა რამე განზრახვები ჩვენს მიმართ.

**მიულ.** მე ყოველთვის მაინტერესებდა კავკასია, მომიარია ბევრი ქვეყნები, ანატოლიაც, ჩემი ნატურა იყო, როგორც ალპინისტის, მოზხვედროდი თქვენს მშვენიერ ქვეყანაშიც, მაგრამ ამოდ. მართალი გითხრათ, მე ცოტას ვფიქრობდი ამ ჟამად კავკასიაზე, იმდენი თავსამტვრევი კითხვები გვაქვს უფრო ახლო, მაგრამ ახლა კი ისევ გამიცხოველდა საქართველოს საქმე და ამის მიზეზი თქვენთან შეხვედრა არის.

**აკ. ჩ.** მე აკი გითხარით, გერმანიას სიმპატიით უყურებს არა მარტო საქართველო, სხვა რესპუბლიკებიც კავკასიისა, ამიტომ საჭიროა მეტი ინტერესი და ყურადღება გამოიჩინოს მისმა მთავრობამ ჩვენს მიმართ. სიმპატია–ანტიპატიას თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მე მოგახსენებთ იმ მგლურ ინტერესებზე, რომელიც გერმანიას აქვს და უნდა ჰქონდეს კავკასიაში და მის იქითაც, ჩვენის გზით. იმავე დროს ჩვენ ვიცით, რომ თქვენ საშიში არა ხართ პოლიტიკურათ! ახლა მაინც. თქვენ შეგიძლიათ თქვენი ცოდნა, კაპიტალი, ტექნიკა მოახმაროთ კავკასიას, რაიც ღიდათ მოსაგები იქნება თქვენთვისაც.

**ა. მიულ.** სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ როგორ და რა გზით? შეგვეძლება განა თქვენამდე მივწვდეთ? ანტანტა ხომ გადაგველობება წინ? ინგლისი?!

**ა. ჩ.** დიახ, დაბრკოლებები ბევრია, განსაკუთრებით, სანამ ოსმალეთი ფორმალურათ ჯერ კიდევ ომშია ანტანტასთან. შემდეგაც სრუტეების კლიტე ალბათ ისევ ინგლისს ექ-

ნება კარგა ხანს. მეორე გზა, უფრო შორი, სანამ ბალკანეთის და ყოფილ ავსტრო-უნგრეთის საქმეები ასე ასვრილია, თითქმის გამოუსადეგარია. მაგრამ მე სახეში მაქვს არა იმდენათ თქვენი დაპირისპირება ანტანტასთან ჩვენს შესახებ, რაიც შესაძლოა საბელისწეროც კი გამოდგეს ჩვენთვის, – რამდენადაც თქვენი შეთანხმება ანტანტასთან (ჩვენს შესახებ). ჩემი საქმე არაა, როგორც პატარა სახელმწიფოს წარმომადგენლის, დიდ სახელმწიფოზე ვილაპარაკო, მაგრამ თქვენთან, როგორც ამხანაგთან, შემიძლია უფრო თამამი ვიყო. გერმანიას, ჩემის აზრით, ახლო მომავალში არ ძალუძს სრულიად დამოუკიდებლათ იმუშაოს მის საზღვრების გარეთ; არ დაანებებენ მას გამარჯვებული სახელმწიფოები თავისუფალ მუშაობას თვით ეკონომიურათაც. ამიტომ საჭიროა, ჩემის ფიქრით, ის გაუამხანაგდეს ერთ ან ორ გამარჯვებულ სახელმწიფოს და მასთან ერთათ იმუშაოს ჩვენში.

**ა. მიულ.** ეგ აზრი ძალიან საინტერესოა, ვინა გყავთ სახეში? რა არის თქვენი გეგმა?

**ა. ჩ.** მე გეგმა არა მაქვს მზამზარეული, მინდა თქვენთან ერთათ ვითათბირო ამაზე. მე ვიცი, ინგლისში ტრიალებს ერთი აზრი: გერმანიის თანამშრომლობა რუსეთის აღსადგენათ. რუსეთი დანგრეულია არა მარტო როგორც ეკონომიური ორგანიზმი, არამედ როგორც სახელმწიფოც. საეჭვოა სხვა ძალა არსებობდეს, გარდა გერმანიისა, რომელსაც შეეძლოს რუსეთის აღდგენა. ინგლისში უკვე ამჩნევენ ამას და შესაძლოა შესაფერი დასკვნაც გააკეთონ, თუ თქვენც მეტი აქტივობას გამოიჩინთ. ინგლისს არ სურს, რა თქმა უნდა, ძლიერი რუსეთი, მისი ხელშეკრულებაც მასთან უფრო იმ მიზნითაა დადებული, რომ ბოლშევიკებმა შესძლონ უფრო საფუძვლიანათ დაამზონ იგი; მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც საჭირო გახდება ნორმალური მდგომარეობა გაჩნდეს იქ

ინგლისის აპეის ქვეშ და გერმანიის გამრჯელობის მეოხე-ბით. ინგლისს არ სურს, ცხადია, კავკასია დაუბრუნდეს რუსეთს, მაგრამ იმავე დროს ის უხერხულათ თვლის და ან კიდევ არ სცალია, პირდაპირ აიღოს ხელში მისი საქმეები; ამიტომ, თუ გამოჩნდა სხვა ძალა, რომელიც ამას იკისრებს, ინგლისი ალბათ ისარგებლებს ამ თანამშრომლობით. თქვენ იცით, ინგლისს არ სურდა ჩვენი დანგრევა, მაგრამ არც შეძლო ჩვენი დახმარება, მაგრამ, თუ გერმანიის დახმარებით კავკასიის ხალხები შეკავშირდებიან, დაირაზმებიან და გადაიგდებიან მოსკოვის უღელს, ინგლისი, მე ვფიქრობ, ძლიერ კმაყოფილი დარჩება. ჩვენ უკვე გვაქვს მოლაპარაკება მეზობლებთან და ძალიან ჩქარა საერთო დეკლარაციით გამოვალთ, ერთგვარ პატარა ანტანტას შევადგენთ კავკასიისა (ხაზი ყველგან ჩვენია) – დ. ჭ.), მაგრამ ჩვენ გვეჭირება გერმანიის ორგანიზატორული დახმარება, მისი სპეციალისტები, რომ მართლა შევძლოთ მოვემზადოთ განმათავისულებელ მოქმედებისათვის. მეორეს მხრით, ინგლისმა, რომელმაც ყველაფერი წაგართვათ, განსაკუთრებით ბაღდადის გზა, შესაძლოა თვითონ იგრძნოს კომპენსაციის საჭიროება თქვენს მიმართ, სახელდობრ კავკასიაში, რომელიც თავის საზღაპრო ბუნებრივ სიმდიდრით და როგორც წინა აზიისაკენ, თქვენ საშუალებას მოგცემთ მოზიდოთ თქვენთვის აუცილებელი ნედლი მასალა. ერთი სიტყვით, კავკასიის განთავისუფლება თქვენის დახმარებით სწორეთ შეეფერება ინგლისის პოლიტიკის ხასიათსაც: სხვისი ხელით წაბლის ღადარიდან ამოღება. მერმე თქვენ ეხლა საშიში არა ხართ მისთვის: სამხედ. ფლოტი წაგართვეს! რას იტყვით?

**ა. მიულ.** კომბინაცია სერიოზულია, სასარგებლოა მისი აწონ-დაწონვა, მაგრამ, ვინაიდან ჩვენ ვერ ზოგადათ ვლაპარაკობთ, მეც მომდის თავში მეორე კომბინაცია: საფრანგეთ-

თან გაამხანაგება და პოლონეთის (რომლის არსებობის უნარი ჯერ გამოურკვეველია ჩემთვის) შეყვანა ამ საქმეში! გერმანია კონკურენტია ინგლისისა მსოფლიო ბაზარზე, არის წინააღმდეგობა ეკონომიური მათ შორის. ზავის საკითხში ინგლისი უფრო შეუბრალებელი მოპირდაპირე იყო ჩვენი, ვინემ საფრანგეთი, თუმცა უკანასკნელი უფრო მეტს ხმაურობდა. საფრანგეთი არა გრძნობს ჩვენს ეკონომიურ კონკურენციას, სამაგიეროთ ის გრძნობს ინგლისის გეგმონიას; თან მას არ სურს შრომა, უნდა გერმანია გაიხადოს საწოველ ფურად, როგორც რუსეთი ოდესმე, ჩვენც, რა გაეწყობა, თანახმა ვართ, ვიშრომებთ მისთვის და ჩვენთვის; ის იძულებული იქნება საწარმოო თანხა თვითონ მან გაგვიჩინოს, რომ ჩვენ იქიდან მისი ვალის გასასტუმრებელი საშუალებაც გავიჩინოთ. ჩვენ და საფრანგეთის ასპარეზი იქნება უმთავრესათ ყოფილ ავსტრო-უნგრ. ტერიტორია და ბალკანეთი, ინგლისსაც არაფერი ექნება ამის წინააღმდეგი.

**აკ. ჩ.** თქვენს კომბინაციაში თითქოს მიღებული არაა სახეში კავკასია, რომელიც ინგლისს აინტერესებს. თქვენი საფრანგეთთან გაამხანაგება სიმპატიურია ჩვენთვის, ამას სამხედრო მნიშვნელობა აქვს დღეს, მაგრამ მდგომარეობა თითქოს ხელს არ უწყობს ამას. ჯერ კიდევ დიდი ხანი გაივლის, სანამ ფრანგნი განთავისუფლდებიან უნდობლობისადმი თქვენდამი, მათ საგარეო პოლიტიკას აქვს თავისი ლოლიკაც: განა იმისათვის შექმნეს სამი ახალი სლავიან. სახელმწიფო (პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია, იუგო-სლავია) და მეოთხესაც იკავშირებენ (ბოლგარია), რომ გერმანიას გაუამხანაგდნენ? სანამ რუსეთი ფეხზე არა დგას, საფრანგეთი იქნება ტონის მიმცემი კონტინენტზე, შემდეგ კი რუსეთი შემოიკრებს ამ მოძმე სახელმწიფოებს და გაჩნდება პანსლავიზმის საფრთხე. საფრანგეთი, სანამ რუსეთში ბოლშევიზმია, კარგის თვალით

უყურებს კავკასიას, შეიძლება კიდევ დაეხმაროს მას და ამით ჩვენც ვისარგებლებთ, მაგრამ საბოლოოთ იგი არ არის ჩვენთვის საიმედო, ვინაიდან, როგორც კი გამოიცვლება რეჟიმი რუსეთში, უკანასკნელს საჩუქრად შესთავაზებს ის კავკასიას. რუსეთის მომდურება საფრანგეთს არ ძალუძს თქვენი შიშით და ეს შიში მთლათ უსაფუძვლოც არ არის, ვინაიდან თქვენც მოისურვებთ ალბათ ზოგიერთ უსამართლობის გასწორებას აღმოსავლეთით (დანცივი, სილეზია), აგრეთვე ვალების შეკვეცას...

**ა. მიულ.** საფრანგეთს მართლა შიში აქვს ჩვენი, მაგრამ ჩვენ ვეცდებით ეს შიში გაუქროთ მას, ჩვენ ვებრძვით რევანშის სულისკვეთებას; აგრეთვე ჩვენ დავაჯერებთ საფრანგეთს, რომ მეცადინეობა და სურვილი არ გვაკლია გადავიხადოთ მისი ვალი და, თუ მთლათ გადახდა ვერ შევძელით, ისიც შეურიგდება ამ აუცილებლობას. მაგრამ თქვენი მოსაზრებანიც საფუძვლიანია, მე გადაწყვეტით არ შემიძლია ვთქვა, რომ შესაძლოა საფრანგეთთან ერთათ მსვლელობა, ამ საქმეში მთავარ როლს თამაშობს ინგლისი, დამოკიდებულია როგორ მოექცევა ის საფრანგეთს. ინგლისს სურს ამოუვსებელი ორმო გათხაროს ჩვენსა და საფრანგეთს შორის, სილეზიის საკითხშიც ბევრს არ გამოველით მისგან, მიუხედავად ლ. ჯორჯის გამოსვლისა. რუსეთის ძველ ფარგლებში აღდგენა ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, არაა სასურველი. ერთი სიტყვით, კითხვა არც ისე მარტივია. თქვენი აზრი ჩვენი ვისმესთან შეთანხმების შესახებ მართალია, მაგრამ ვისთან?

**აკ. ჩ.** მე ერთი კომბინაციაც მომდის თავში. გავიგე, რომ თქვენი სტინესი და ამერიკის მორგანი რაღაც მოლაპარაკებაში არიან ერთმანეთთან, უნდათ ერთათ გააჩაღონ საქმეები. ეს თითქოს მოასწავებს იმას, რომ თქვენი და ამერიკის თანამშრომლობა შესაძლოა და, ვინაიდან ამერიკას ცოტა

აქვს ნავთი და თქვენ კი სულაც არა გაქვთ და ბევრი სხვა გაკლიათ, შესაძლოა ორივემ დაიწყოთ მუშაობა კავკასიაში. გახსოვთ, ინგლისი ცდილობდა ამერიკას აელო სომხეთის მანდატი, მაგრამ ვერ დაითანხმა, ახლა, თუ კითხვა კავკასიაზე დაისვა, ვინ იცის, იქნებ ამერიკამ ჩასჭიდოს მას ხელი. ამით ინგლისი ერთგვარ კომპენსაციას მისცემს მას მესოპოტამიის ნავთის მაგიერათ. ამერიკა-გერმანიის მუშაობა ხელსაყრელია ჩვენთვის.

**ა. მიულ.** თუ ამერიკას დავუახლოვდით, საფრანგეთიც შეძოვა პარტნიორად მაშინვე (ა. ჩ. აგრეთვე იტალიაც!), ჰო, იტალია ყოველ კომბინაციაში შევა! მე მქონდა შემთხვევა გავცნობოდი ამ დღეებში ფრიად საყურადღებო მოხსენებას, გერმანიის უდიდეს სამრეწველო ფირმებისთვის დაწერილს. და იქიდან სჩანს, რომ ამერიკა განიცდის საშინელ კრიზისს მრეწველობაში, ამიტომ ის ერთი წლის განმავლობაში, სულ უკანასკნელი, გამოუდგარია სხვა ქვეყნებისთვის. ყოველ შემთხვევაში ყველა ამ კომბინაციებს შესწავლა უნდა, განჭვრეტა, ამას კიდევ შვრებიან რამდენათმე გერმანიაში.

**ა. ჩ.** დიახ, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მუშაობთ ამ ნიადაგზე, მხოლოდ ჩვენ გვინდა, რომ გერმანიამ თავის მომავალ კომბინაციებში არ დაივიწყოს კავკასიაც. მე გულახდილად გეტყვით, რომ კავკასიაზე უფრო ხელსაყრელი ქვეყანა სხვა არ მეგულება თქვენი ეკონომიურ და ტექნიკურ საშუალებების გამოსაყენებლად. თავი და თავი ისაა, რომ თქვენ თვითონ გამოიჩინოთ ინიციატივა, მეტი აქტივობა ჩვენ მიმართ. კარგათ იცით, ჩვენ არ შეგვიძლია კრინტიც დავძრათ გერმანიის შესახებ ანატანტას ქვეყნებში – მაშინვე გერმანოფილობას დაგვწამებენ – და ისედაც ბევრი უსიამოვნება გვხდა წილად 1918 წ. ამბების გამო. თქვენა გყავთ, მე ვიცი, ინტიმური მეგობრები ინგლისშიც, ამერიკაშიც, საფრანგეთ-

შიც, იტალიაშიც, საჭიროა ამ მეგობრების საშუალებით შესინჯოთ ნიადაგი, დაიწყოთ მოლაპარაკება კავკასიის პერსპექტივების შესახებ, რა თქმა უნდა, ჩვენ დაუსახელებლათ. თქვენ, მე დარწმუნებული ვარ, შესძლებთ ჩქარა გამოარკვიოთ, ვისთან შეგეძლებათ მუშაობა და, როცა თქვენი პარტნიორი მოისურვებს ჩვენთან ლაპარაკს, ვეცდებით თქვენ სასარგებლოთ მოვატრიალოთ საქმე, კავკასიის ხალხები გენდობიან ისედაც.

**ა. მიულ.** სრული სიმართლეა, თქვენ არ შეგიძლიათ ჩვენზე ილაპარაკოთ ანტანტასთან, ეს ჩვენი საქმეა. დარწმუნებული ვართ თქვენს მეგობრობაშიც, ჩვენ ისიც ვიცით, რას მოასწავებს თქვენი დანიშვნა ელჩად ანტანტას ქვეყნებში! მე დიდ მნიშვნელობას ვაწერ ჩვენს შეხვედრას აქ, მაღლობელიც ვარ რომ, ასე მიაპყარით ჩემი ყურადღება თქვენს პრობლემას. მე ამ ორ-სამ კვირაში წავალ უთუოთ ბერლინში და სერიოზულათ დავსვამ თქვენს საკითხს, ვისთან ჯერ არს. ვფიქრობ, ბერლინი მას ანგარიშს გაუწევს და თქვენც იმედია, სასურველ პასუხს მოგცემთ. მე ვიზრუნებ თქვენთან კავშირზე, მოგაწვდით საჭირო ცნობებს.

**ა. ჩ.** მე უკვე გითხარით, რომ ჩემი შვეიცარიაში ჩამოსვლა გამოწვეულია თქვენი ნახვის მიზნით. დრო არ იცდის, საჭიროა დაჩქარება. ბოლშევიკები არ ცხრებიან, ისინი, მგონი, ჩქარა საშიში იქნებიან საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის, შესაძლოა ეს გართულება კავკასიაში დაიწყოს და ეს გვავალებს მომზადებას. თქვენ შეგიძლიათ გავლენა მოახდინოთ ოსმალებზე, რომ მან იკმაროს ამდენი სირეგვენე ჩვენს მიმართ, თორემ სამუდამოთ დაჰკარგავს იმასაც, რაც ახადია. აუცილებლათ საჭიროა, რომ გერმანია ხშირ-ხშირათ ახსენებდეს საქართველოს და კავკასიას თავის თავს. მაგ; განზრახვა იყო რეიხსტაგს მიეღო საპროტესტო დადგენილება ბოლ-

შევიკების მიერ საქართველოს დაკავების წინააღმდეგ. აქ არის ეხლა ჩვენი წარმომადგენელი ბერლინში, მე მას მივცემ შესაფერ დერექტივებს ვისთან და როგორ უნდა იმოქმედოს.

**ა. მიულ.** დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ ვეცდებით, რაც შეგვიძლია. (მან ჩაიწერა მისამართები, გვარები, აგრეთვე მთავარი მუხლები, რაზედაც ელჩი ეუბნებოდა).

საინტერესო იყო ჩხენკელის დარბაზობა გერმანიის ელჩთან ლონდონში.

**„ა. ჩხენკელი 23. VI. 21 იყო სადარბაზოთ გერმ. ელჩთან ლონდონში, შტამერთან, და დარბაზობამ გასტანა ერთი საათი და 10 წუთი“.** მოვიტანთ ჩხენკელის ჩანაწერს ამ შეხვედრის შესახებ: „აღმოჩნდა, რომ გერმანიის ელჩს შორეული წარმოდგენაც კი არ ჰქონებია კავკასიის საქმეებზე, არც ბერნის ელჩს (გერმანიისა) მიუღერს მოუწერია არაფერი ჩემი მასთან მოლაპარაკებაზე. ჩხენკელს შეუხვდა ხელახლავ მბობა ყველა იმისა თითქმის, რაც მიუღერს უთხრა. ვინაიდან გერმ. ელჩი ჰამბურგელი ყოფილი კომერსანტია, ის დიდის ყურადღებით და მოთმინებით ისმენდა. ჩხენკელმა გადასცა დეკლარაციის ასლი კავკასიის კავშირისა, აგრეთვე ასლი იმ მემუარისა, რომელიც მან დასწერა რომში და გადაეცა იქაურ მთავრობას. ჩხენკელი უმტკიცებდა მას, რომ გერმანიის მხრივ დიდი შეცდომა, თითქმის დანაშაული იქნებოდა, მან რომ არ მიაქციოს სათანადო ყურადღება კავკასიას. უკანასკნელი საუკეთესო ადგილია გერმანიის ეკონომიურ მოქმედებისთვის, ის მისცემს მას აგრეთვე საშუალებას გამოზიდოს წინააზიდან ნედლი მასალა და სხ. ვინაიდან გერმანია პოლიტიკურათ სუსტია დღეს-დღეობით, მას არ შეუძლია, ამბობდა ჩხენკელი, დამოუკიდებლად იმოქმედოს იქ, ამისათვის საჭიროა შეთანხმება ერთ-ერთ, თუ ყველასთან არა, მოკავშირე სახელმწიფოსთან, პირველ რიგზე ინგლისთან. ამიტომ,



ჩხენკელის აზრით, გერმან. ელჩის ფხიანობა ამ საქმეში სწორეთ ლონდონში დიდ შედეგებს გამოიწვევს მის ქვეყნისათვის. ჩხენკელს არ დაუმაღავს ისიც, რომ გერმანია დაინტერესებულიცაა ახლო აღმოსავლეთის და რუსეთის საქმეების გართულებაში, ვინაიდან ეს ასუსტებს მის მოპირდაპირეთ, მაგრამ პასიურათ ყურება და ხსენებულ გართულებათა გადაჭარბებული შეფასება ავნებს მის საარსებო ინტერესებს. მოსკოვის და ანგორას ნაციონალისტებთან საქმის დაჭერა, მათზე დაყრდნობა ავნებს მას თვითონ. საჭიროა გერმანიამ ისარგებლოს იმ კარგი სახელით, რომელიც მას აქვს მოხვეჭილი ოსმალეთში და კავკასიაში და ეცადოს მათი ეკონომიურათ აღდგენასთან ერთათ თავის თავს მოუტანოს უდიდესი სარგებლობა. ერთად ერთი პირობა, რომელიც უნდა აღასრულოს გერმანიამ, არის ის, რომ მან არ გასწიროს კავკასიის დამოუკიდებლობა, არ გამოეჭომავოს რუსეთის გაბატონებას იქ. ეს ავნებს მას პოლიტიკურათ, ვინაიდან ძლიერი რუსეთი ხელსაყრელი არ არის მისთვის, ხოლო სიმპატიას ოსმალეთისა და კავკასიის ხალხებისა სამუდამოთ დაჰკარგავს. გერმანიის ელჩი მხოლოდ ისმენდა, მხოლოდ კითხვებს სვამდა დრო-გამოშვებით და გამოთხოვებისას უთხრა ჩხენკელს: „თქვენ გამინათეთ ფრიად საყურადღებო საკითხი, მე მას შევისწავლი უთუოთ და იმედი მაქვს კიდევ გნახავთ ლაპარაკის განსაგრძობათ.“ ელჩს ჩაუწერია ჩხენკელის მისამართი და ტელეფონი.

ჩვენ გერმანელ დიპლომატებთან ჩხენკელის ეს საშიშვებედრა შევარჩიეთ, თანაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის პირველივე თვეებში. სინამდვილეში, გერმანია ამ დროს დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესებს არც იცავდა და ვერც დაიცავდა. ის ამას სიტყვით აღიარებდა, ქართველებთან საუბარში. ომში დამარცხებული გერმანელები

საკუთარ ინტერესებს იცავდნენ და სხვა ქვეყნების პრობლემები მათთვის სასხვათაშორისო იყო. ამის შესახებ აკაკი ჩხენკელს ბერლინიდან ჯერ კიდევ 1919 წლის ბოლოს წერდა ვლ. ახმეტელი. მისი აზრით, გერმანულ პრესაში ქვეყნდებოდა წერილები, სადაც რუსული ორიენტაცია ჩანდა. გერმანელები მონარქისტებთანაც თანამშრომლობდნენ და ბოლშევიკებთანაც. ამავე დროს, გერმანულ „ფორშე ცეიტუნგ“-ში გამოქვეყნდა წერილი კაკი (ირაკლი) წერეთელზე, სადაც, ახმეტელის თქმით: „მისი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ მოღვაწეობა თითქოს გამასხარებულიც კი იყო“. ახმეტელი დასძენდა: ერიკ ბერშტეინის ძმამ დამირეკა და ისე იყო გაბრაზებული, რედაქციაში მისვლა და რედაქტორის გალანძვაც კი გადაწყვიტაო.

ბერშტეინის მიმართვაზე რედაქტორს და თანამშრომლებს „უხეში წერილისთვის“ ბოდიში მოუხდიათ და უთქვამთ: „სამწუხაროდ შემთხვევით გაგვეპარა წერილი და გადაეცით საქართველოს წარმომადგენელს, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლები მათ განკარგულებაში იქნება, საპასუხო წერილი დასწერონო“.<sup>1</sup>

ახმეტელი ჩხენკელს ატყობინებდა დეტალებს, რა იწერებოდა და ითქმოდა გერმანიაში საქართველოზე, ქართველ პოლიტიკოსებზე, მათ შორის კაკი წერეთელზეც.

„გერმანიის გაზეთებში ჩენს შესახებ სხვადასხვა ცნობებს ათავსებენ. განსაკუთრებით პროვინციულ პრესაში. ჩვენმა მუშაობამ გასჭრა, ბიულეტენებით სარგებლობენ. გიგზავნით ზოგიერთ ამონაჭრებს... საზოგადოდ, ჩვენ გერმანელებს არ ვავიწყდებით და როცა კი საშუალება მიეცემათ სიმპათიურათ გვიგონებენ. ჩვეულებრივად, ძალიან კარგად გვიგონე-

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, ანაწ. 2, საქმ. 180, ფურც. 180-181.

ბენ საქართველოდან ჩამოსული გერმანელები, რომლებიც ესესის ჯარში მსახურობდნენ. ესენი გაზეთებში ხშირად სწერენ ჩვენს შესახებ. აქვე არ შემიძლია არ მოვიყვანო ედ. ბერნშტეინის გატაცება კაკი წერეთლითა და ჩვენი ხალხით. კაკი წერეთლის შესახებ მითხრა: ასეთი დიდი პოლიტიკოსები ჩვენ, გერმანიას უნდა გვყავდესო. მეტად მოსწონებია მისი სეიმში წარმოთქმული სიტყვები. აღტაცებულია კაკის ლუცერნში რუსულად წარმოთქმული სიტყვით, განსაკუთრებით კი მისი მოსწონებული შენიშვნით, რომელიც მას ლონგესტვის მიუძახებია დიდი სახელმწიფოების დაარსების შესახებ. ეს ამბავი ბერნშტეინმა ბერლინის ერთ-ერთ სახალხო კრებაზე გაიხსენა. წერეთლის სახელის გაგებაზე კრების დიდი უძრავლესობა „ვამას“ ძახილით შეხვდა... ბერნშტეინი დიპლომატიური და ხალხთა კავშირის შესახებ ყურნალის გამოცემას აპირებს და გვპირდება, საქართველოს შესახებ ბევრ რამეს დაწერო, ხშირად ვნახულობ ხოლმე საგარეო საქმეთა მინისტრ ჰერმან მიულერსაც“...<sup>1</sup>

ერთ წერილში ვ. ახმეტელი ეგვენი გეგეჭკორს წერდა, რომ პირველი შეხვედრისთანავე ჰერმან მიულერმა მას უთხრა, რომ გერმანია ამწუთსვე გალიარებთ თქვენ როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მაგრამ ეს არც თქვენ გარგებთ და არც ჩვენო. ახმეტელმაც დაუდასტურა, მისი აზრით, გერმანიის აღიარება ანტანტის აღიარებას დააბრკოლებდა და გაუფუჭებდა საქართველოს მასთან ურთიერთობას.<sup>2</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ გერმანელ დიპლომატებთან ჩხენკელის შეხვედრების შინაარ-

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, ანაწ. 2, საქმ. 180, ფურც. 154.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, ანაწ. 2, საქმ. 180, ფურც. 197-201.

სით შეიძლება დავასკვნათ: 1. ქართული დიპლომატია თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ღრმა ანალიზით ცდილობს იპოვოს ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის პარტნიორი, რომელიც დაეხმარება მომავალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ორგანიზებისათვის იმ ინტერესების სანაცვლოდ, რაც შეიძლება მისთვის კავკასიაში იყოს; 2. საქართველომ შეიძლება დააინტერესოს დიდი სახელმწიფოები გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით; 3. ქართველმა დიპლომატებმა ამ ეტაპზე, ევროპის დიდი სახელმწიფოების ყურადღების მისაქცევად, აუცილებლობად ჩათვალეს „კავკასიური ანტანტის“ შექმნა, დაძლიეს შინაგანი წინააღმდეგობანი, მათ შორის სასაზღვრო დავები და ჩამოაყალიბეს ერთიანი კავკასიის გეგმა; 4. წარმოდგენილი მასალიდან, განსაკუთრებით მიუღწერათან შეხვედრის სტენოგრამიდან, ჩანს ქართული დიპლომატიის მცდელობა, უჩვენოს გერმანელ დიპლომატს სხვადასხვა კომბინაცია, რაც საქართველოს ინტერესებშიც შედიოდა, ჩანს გერმანელი დიპლომატის არა მართო დაინტერესება შეთავაზებული საკითხებით, არამედ გაკვირვებამდე მისული მოწონება ქართველი დიპლომატის ნააზრევისა თუ პოლიტიკური ჩანაფიქრის გამო. თუმცა, ისტორიას თავისი დინების კალაპოტი აქვს და იშვიათად გაექცევა საკუთარ გზას, ისტორიიდან გაქცევას ვერც ადამიანები ახერხებენ. ინგლისი და ამერიკა იმდენად თანხვედრი აღმოჩნდნენ თავიანთი დინებითა და მიმართულებით, ვერც ქართველი დიპლომატის დაჟინებული ცდა და ვერც გერმანელი მიუღწერის მომავლის გეგმები ვერ შეცვლიდა მას.

### **დამოწმებანი:**

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 64.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1831, ანაწ. 2, საქმ. 101.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, ანაწ. 2, საქმ. 180.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, ანაწ. 2, საქმ. 463.

### *Dodo Chumburidze*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,*

*Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

## **AKAKI CHKHENKELI MEETINGS WITH GERMAN DIPLOMATS: MULLER, BANERBERG-GOSLAR AND STAMMER RESUME**

In the first months of the establishment the Soviet system in Georgia, the georgian diplomat Akaki Chkhenkeli met with german diplomats in Europe. The meeting took place in different countries of Europe .

The georgian diplomat tried to interest the Germans with Caucasian countries, In order to obtain their support for the restoration of the state independence of the coming battle.

## **გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული ცხოვრებიდან**

გრიგოლ რობაქიძემ რთული ემიგრანტული ცხოვრება გაიარა. განსაკუთრებით მძიმე იყო ბოლო, შვეიცარიის პერიოდი. ამის შესახებ ერთ-ერთ წერილში ასე წერს: „ბერლინის მოშორება ჩემთვის ძნელია არა მარტო იმის გამო, რომ ჩემი ყოფნა ბერლინში ჩემი სამწერლო მუშაობისათვის მეტად საჭიროა, არამედ იმის გამოც, რომ იქ გადმოხვეწილ ქართველთა კერაა, ქართველთა სათვისტომო. მოვცილდები ბერლინს - დაკარგავ ამ უკანასკნელ ნატეხს საქართველოსას“.<sup>1</sup> ამ დროს იგი განმარტოებული აღმოჩნდა. ბერლინის იძულებითმა დატოვებამ გრიგოლ რობაქიძე მოწყვიტა აქტიურ საზოგადოებრივ და შემოქმედებით მოღვაწეობას. მას ურთიერთობის ერთადერთ საშუალებად მიმოწერა დარჩა. ამ წერილებში ის ღიად წარმოაჩენს თავის სულიერ მდგომარეობას, თავის აზრებსა და ფიქრებს ამა თუ იმ საკითხზე. თითოეულ ადრესატთან მიმართებაში ის სხვადასხვა თემაზე ამახვილებს ყურადღებას. გამორჩეული იყო მისი ურთიერთობა მიხეილ წერეთელთან. ასევე გამორჩეულია ქართული ეპისტოლური

---

<sup>1</sup> გრიგოლ რობაქიძე, პირადი მიმოწერა, შეადგინა წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბ., 2012, გვ. 340.

უანრის შედეგად მისაჩნევი მისი 11 წერილი მიხეილ წერეთელთან.

ეს წერილები ხელნაწერთა ინსტიტუტმა გასული საუკუნის 80-იან წლებში მიიღო ნინო და კალისტრატე სალიეზისგან. არ შემონახულა მიხეილ წერეთლის არცერთი საპასუხო წერილი.

გრიგოლ რობაქიძის ეს წერილები ნათლად გვიჩვენებს, რა სითბო და სიყვარული აკავშირებდა ამ ორ დიდ მოაზროვნეს. წერილები ნინო და კალისტრატე სალიებთან ადასტურებს, როგორი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გრ. რობაქიძისთვის მიხეილ წერეთლის აზრს. „ჰკითხე მიხეილს“, „გაუგზავნე მიხეილს“; „წააკითხე მიხეილს“; „როგორც მიხეილი იტყვის“; „მხოლოდ მიხეილის აზრს მივიღებ“; „მიხეილის სიტყვა საბოლოოა“; - ასეთი ფრაზებით არის გაჯერებული ეს ბარათები.

გრიგოლ რობაქიძისთვის ხელი არ შეუშლია დროის ფაქტორს, მომავლიდან დაენახა თავისი თანამედროვე და ასეთი თამამი, უმაღლესი შეფასება მიეცა მისთვის: „მიხელ წერეთელი მესახება, როგორც გიორგი მთაწმინდელი XX საუკუნეში“.

შემთხვევის წყალობით გადარჩენილი ეს წერილები არა მხოლოდ მათი გამორჩეული ურთიერთობის, გრიგოლ რობაქიძის სხვადასხვა პრობლემისადმი დამოკიდებულების რეკონსტრუირების საშუალებასაც იძლევა. მათგან გამოვყოფთ რამდენიმე საკითხს.

მწერლის დამოკიდებულება ისტორიული წარსულისა და მითებისადმი სრულიად განსაკუთრებულია, რაც ძალუმაღ აისახა მის შემოქმედებაში. ერთ-ერთ წერილში იგი მიხეილს სწერს: „მითოსი ჩემს ნაწერებში ჩაკვეტებული კი არაა, რაცა ხშირია მსოფლიო ლიტერატურაში - იგი სახეობით

ცნდების, როგორც მორჩი მცენარისა“: მითოსთან მწერლის დამოკიდებულება ეყრდნობოდა მის დიდ წარმოსახვით ნიჭს და ამიტომ ადვილად ახერხებდა მითის აწმყოში რეალიზებას (იგულისხმება მხატვრული ნაწარმოებები).

მითის რეალიზაციის იდეა პიროვნების, ერის და მთლიანად კაცობრიობის მითში დავანებულ ღირებულებებზე სწორებაა. მითში კონდენსირებულია კაცთა მოდემის საფიქრალის საუკეთესო ნაწილი. ამიტომ გრიგოლ რობაქიძის ნაწერების ქვეტექსტების თანახმად, ცხოვრება მითების გაცოცხლებისა და ახალი მითების შექმნის უწყვეტი პროცესი უნდა იყოს. მისი აზრით, ამას „სამყაროში შემოქმედებით პროექტად გატყორცნილი ადამიანი“ წუთისოფლის საიდუმლოებებში ჩაღრმავებით, ღვთიურ იდუმალებასთან მიახლოებით, საკუთარი პიროვნების მარადლე წვრთნით შეძლებს. „მე თუ რამეს მივაღწიე, მხოლოდ და მხოლოდ „წვართის წყალობით“.<sup>1</sup> მითოსი გრიგოლ რობაქიძისთვის ცხადდება ქართულ სიტყვაში. სიტყვა მითის სახლია. მითოლოგიაში ჩაღრმავების სურვილი მისთვის შემთხვევითი არ იყო. გრიგოლ რობაქიძე დროს განუსაზღვრელად აღიქვამდა, ერთ დროში აერთიანებდა წარსულს, აწმყოს და მომავალს. გაერთიანებულ დროში კი ღირებულებები თითქოს უფრო ნათლად გამოიკვეთებოდა და ამიტომაც რეალური ცხოვრების მითად კორექტირებას ესწრაფვოდა. შესაბამისად, მისი ხედვა დედუქციური იყო, უკვე ჩამოყალიბებულ ღირებულებით პოსტულატებს ექვემდებარებოდა ცალკეული ცხოვრებისეული დეტალი, ამაღლებული იყო ის, თუ რიგითი, უმნიშვნელო. მარადიულობის განცდა მისი ყოფის თანამდევი იყო. ერთ-ერთი წერილიდან: „ეს სო-

---

<sup>1</sup>გრიგოლ რობაქიძე, პირადი მიმოწერა, შეადგინა წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბ., 2012, გვ. 308.



ფელი სადგურია მხოლოდ, სამყარო-მარადისობაა. რაც ამ სოფლად მოვიპოვეთ, ნაყოფს იგი იმ სოფლად გამოიღებს. ეს უნდა ახსოვდეს ყველას ჟამ-ყოველ. ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენც, შენ და მე, ეგზომ დატანჯულთ. მე პირადად, აი ამ უბედურების წამსაც, არ ვთვლი თავს უბედურად - უთვალავი წუთნი ბედნიერებისა მრგუნებია სიცოცხლეში. უნაყოფოდ, ვხედავ, არც დღევანდელი უბედურება ჩაივლის. გავიგე ეხლა ფესვევულად: თუ რაა სიყვარული მოყვასისადმი. კიდევ მეტი: მივხვდი ჩემი ტანჯვის გზით იდეას ვნებული ღმერთისა, მივხვდი-ძირეულად<sup>1</sup>. ასე გარდაიქმნება გრიგოლ რობაქიძის სულში ტანჯვა სიხარულად. ფიქრები მატერიალურ სიმყარეს შეიძენს და უკვდავების შეგრძნებას ამძაფრებს. მოვუსმინოთ მწერალს: „პიროვნული თვითება, საგნისაგან გამოუყვანელი და საგნამდე დაუყვანელი, არ ჰქრება როგორც „საგანი“. კოსმიურ არეში იგი არის მარად, მაშინაც კი, როცა იგი „საგნურ“ აღარ არის. აქედან „ნეტარი ტკივილი“. ნეტარი, რადგან გადასული გეგულვება მარადში. ტკივილი, რადგან მას ვეღარ აღიქმევ უშუალოდ წარმავალში. „Sehnsucht“-ის მეტაფიზიკური სათავე აქაა“<sup>2</sup>.

ყოფისა და მარადი მყოფადის საიდუმლოზე საუბრის ეს პატარა მონაკვეთი ნათლად ცხადყოფს, თუ რა იყო მწერლისთვის იდეის მარადიულობა და მარადიულობის იდეა. მისი აზრით, არაფერი ქრება წარმავალში. ყველაფერი იდეად და ფასეულობად გარდაიქმნება. გასაგნებული იდეა და იდეად ქცეული საგანი მარადიულ წრებრუნვაშია. გრიგოლ რობაქიძის ყოფაც სევდისა და წუხილის ღირებულებად გარდაქმნის პროცესი იყო, რაც შემოქმედებაში რეალიზდებოდა. როგორც

---

<sup>1</sup> გრიგოლ რობაქიძე, პირადი მიმოწერა, გვ. 318.

<sup>2</sup> გრიგოლ რობაქიძე, პირადი მიმოწერა, გვ. 307.

თვითონ ამბობდა, „მარადი მყოფადი დედიშობილას არა მართო ჩემი შემოქმედებისა, არამედ ჩემი ყოფისაც“.

ამ წერილებში იგი მარადიულობის იდეას ხშირად უბრუნდება, ერთგან წერს: „ცრემლი მომადგა, ლოცვად ვიქეც. ასეთ წუთში „მარადი მყოფადი“ ოდნავ უფენს განმცდელს ყოფის „საიდუმლოს“. ოდნავ, ვინაითგან „საიდუმლო“ არითმეტიკული გამოცანა როდია, რომელსაც ბოლომდე ახსნი“.<sup>1</sup>

ბოლომდე ახსნილი წერტილს უსვამს აზრს, ხოლო მწერლისთვის აზროვნება პროცესია, რომელიც ყოველთვის ტოვებს ღია კითხვებს და ორ წერტილს შუა ვერ მოთავსდება.

გრიგოლ რობაქიძე ერთნაირად განიცდის აზრს და სიტყვას. მისთვის სიტყვა აზრის სამოსია, აზრი კი - სიტყვის არსებობის გამართლება. ქართულ ენას „უგენიალეს“ ენად მიიჩნევს და მის დაკნინებასთან შეგუებას არ აპირებს: „ქართული ენა საუკუნეთა უკუღმართ სვლაში გადაჯიშებულია როგორც მორფოლოგიურად, ისე სინტაქსურად. უმძაფრესი მწუხარება ჩემი. ხანდახან მგონია, თითქო „ჯუნგლში“ მოვქცეოდე როგორც მწერალი და ვიკვლევდე გზას, ვითარ მართორქა: ბურღებში, ბარღებში, ჩირგვებში. გინახავს ალბათ ბევრჯერ: ეკლიან ბურღში ასხლეტილი ასკილი, უხორკლო, ხვლიკისფერი, აშვეტილი ვითარ მადლი მიწისა მზის მიმართ, ვითარ მადლი. ამ „ასკილს“ ვემბე იმ „ჯუნგლში“ ქართულის გამართვისას. ამ ჯუნგლის შესახებ სხვა დროს“.<sup>2</sup>

წერილებში იგი ქართული ენის მართლწერის კონკრეტულ საკითხებზეც მსჯელობს და საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს: „წინა წერილში შენდამი ვინმარე „უკან-

---

<sup>1</sup> გრიგოლ რობაქიძე, პირადი მიმოწერა, გვ. 307.

<sup>2</sup> გრიგოლ რობაქიძე, პირადი მიმოწერა, გვ. 312.

დაბრუნებისას“ შენც ასე გქონდა ნახმარი. ჯერ დავსწერე „გაბრუნებისას“, შემდგომ განი ღონად შევასწორე. ეხლა რომ ვუკვირდები, პირველი რედაქცია მეჩვენება უფრო მართებულად. დაუკვირდი - გავბრუნდი მიუნხენისკენ და დავბრუნდი მიუნხენში. „გ“ უჩვენებს მიღწევას, ჯერ კიდევ არ დაბოლოებულს, „დ“ კი მიღწეულს. თუ ჩემი მოსაზრება მართლად მიიჩნე, გთხოვ ჩემს წერილში ღონი ისევ განად მოხაზო. რთულია უაღრესად ქართული ენა და ამით უაღრესად მდიდარი ნიუანსებით და ამის გამო ძალიან ძნელი“.<sup>1</sup>

ქართულ ენასთან მისი დამოკიდებულება ორმხრივია. ქართული ენის ფენომენი ფართოდ ესმის, როგორც ზოგადად ენა - ლიტერატურის, აზროვნების, ლოგოსის ნაწილი, და ენა, როგორც პრაქტიკული იარაღი აზრის გადმოსაცემად, რაც გრამატიკული წესების აუცილებელ დაცვას ითხოვს.

„მე სიტყვის-მოყოლის განფენისას სიმფონიური თაური-თგან გამოვდივარ. ჩემთვის გადამწყვეტია მუსიკალური პლასტიურობა. მე გამოვდივარ სიტყვის ლოგოური ფესვევულისგან, ვინაიდან იქაა მოქცეული წყაროსთვალის ენისა. რომელი ენის წყაროსთვალის უნდა ვადარო ქართულისას? ასეთი, დამეთანხმები, არ მოიპოვება. საუბედუროდ ქართველთა ეს უგენიალესი თვალის ჩვენი ჩვენ მიერვე შელახულია, შერყვნილია, შელანძღულია - თითქმის ამოშრეტამდეცაა დაყვანილი და წერისას მიხდება ათასგვარი ოღო-ჩოღო ფენების მინგრევ-მონგრევა, რათა ვიხილო ის ციალა, ხასხასა, ხალასი თვალის ქართული სიტყვისა“.<sup>2</sup>

აქ იგი ქართულში დამკვიდრებულ ორ სიტყვაზე საუბრობს. როგორ არასწორად ვიყენებთ „ამოცანას“ „არხის

---

<sup>1</sup> გრიგოლ რობაქიძე, პირადი მიმოწერა, გვ. 319.

<sup>2</sup> გრიგოლ რობაქიძე, პირადი მიმოწერა, გვ. 326.

გაყვანა ჩვენი ამოცანაა“. ამოცანა კი არა, საქმე. კომიტეტი კი არა, სათაოსნო და ა.შ.

ეს არის ერთი რიგი საფიქრალისა, რომელსაც ერთ აღრესატთან გაგზავნილი მხოლოდ ეს 11 წერილი აღძრავს. გრიგოლ რობაქიძის წერილები ზოგადად ამოუწურავი წყაროა მისი შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი პრინციპებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

### **დამოწმებანი:**

გრიგოლ რობაქიძე, პირადი მიმოწერა, შეადგინა წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბილისი, 2012.

*Eter Kavtaradze*

*Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts*

## **FROM GRIGOL ROBAKIDZE'S LIFE IN EMIGRATION RESUME**

Grigol Robakidze's life in emigration was indeed very hard. The last period in Switzerland was especially heavy. At that time he was alone. He had to leave Berlin and this prevented him from extensive public and creative work. The only means of communication were the letters. In these letters he frankly described his mental situation, his thoughts and ideas about number of issues. He had been discussing different issues with each of his addressees. His relations with Mikheil Tsereteli were indeed distinguished. His 11 letters to Mikheil Tsereteli should be regarded as masterpieces of Georgian epistolary genre.

**ქართველი მწერალი ევროპის სარბიელზე გრიგოლ რობაქიძის რამდენიმე პირადი წერილის მიხედვით**

უცხოეთის ცის ქვეშ საქართველოდან ემიგრირებულ მწერალთა ბედისწერა მეტად რთულ, უკომპრომისო თუ ქედმოხრილ ყოფას ემსგავსება, სადაც მთავარია არამცთუ თავის გატანა, არამედ გამარჯვებაც, საკუთარი, ეროვნულის თვითდამტკიცებაც და ნიჭის აღიარებაც. ალბათ, ამიტომ უწოდებს გრიგოლ რობაქიძის დრამატურგისადმი მიძღვნილი წიგნის „ბედისწერის სიყვარული“ (Amor fati) გერმანელი ავტორი თომას ჰოიზერმანი X თავს: „გაგვეხსნება კია მოქმედების ასპარეზი ევროპაში?“ ჰოიზერმანს აქვე მოჰყავს გრ. რობაქიძის მიერ მიხეილ ჯავახიშვილისადმი გაგზავნილი წერილის ნაწყვეტიც: „აქ დიდი კრიზისია: მდგომარეობა თანდათან უარესდება, განსაკუთრებით ლიტერატურულ ფრონტზე... ნურავინ იფიქრებს, რომ ევროპის სარბიელზე გასვლა (ამჟამად) მწერლისათვის მაინცა და მაინც სახარბიელო იყოს. მშობელი მიწა და მისი წიაღი ყველაფერია. ჩვენში მიწას ჯერ კიდევ აქვს ჯიქანი. ჩვენში წიაღი უშურეტა“.<sup>1</sup> (1931 წლის 11 დეკემბერი). მწერალს თან წაღებული ხელნაწერები კი გამოადგებოდა, მაგრამ მათი გატანა იყო საჭირო“ „მსუბუქი ლიტერატურით“ გატაცებული ევროპელი მკითხველისათვის“.

---

<sup>1</sup> ბაქრაძე ა., კარდუ, თბილისი, 1999, გვ. 98.

გრ. რობაქიძე აქტიურად ადევნებს თვალს ევროპასა თუ საქართველოში (მის გარეშე) მიმდინარე პროცესებს, თავის წარმატებას და წარუმატებლობასაც. ყოველივე ეს ამოფრქვევას ითხოვდა ქართული სულის წინაშე. ერთ პერიოდში დღიურის წერაც დაუწყია, მაგრამ წერილები მეგობართან მაინც სხვა დატვირთვას იძენს. სწორედ აღნიშნული ეპისტოლარული მემკვიდრეობის ნაწილის შესწავლა წარმოადგენს ჩვენი სტატიის მიზანსაც. ამისათვის მეტად მნიშვნელოვანია კრებული, რომელიც შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ და მოიცავს 16 ადრესატთან გაგზავნილ 303 წერილს 1910 წლიდან 1962 წლის 18 ნოემბრამდე (მხედველობაში გვაქვს გრიგოლ რობაქიძის „პირადი მიმოწერა“, „არტანუჯი“, 2012).

ჩვენთვის საყურადღებოა უცხოეთში მოღვაწე ქართველი პოეტის, გიორგი გამყრელიძის (1903-1975) (რომელიც „ამერიკის ხმის“ ქართულ განყოფილებაში წერდა „გრიგოლ ზოდელის“ ფსევდონიმით) მიმართ გაგზავნილი წერილები, რომლებიც თარიღდება 1952-1962 წლებით. ფაქტობრივად, ეს ათწლიანი პერიოდი მწერლის შემოქმედების ბოლო პერიოდია, მაგრამ ძალზე ნაყოფიერი და საინტერესო, თანაც მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ, თუმცა „პირად მიმოწერაში“ ყველაფერი თითქოს მოცემულია თავისი კომენტარებით, ზემოთ აღნიშნული საკითხის გამოკვეთა საკვლევა, რადგან ლიტერატურული ცხოვრება „იქ“ და „აქ“ გრ. რობაქიძის მიერ განსჯილი და გააზრებული წარმოგვიდგება.

როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს, გრ. რობაქიძის წერილების ადრესატი გიორგი გამყრელიძე მეტად საინტერესო პიროვნებაა. ამკარაა, მწერალიც ენლობა მის გემოვნებას და,

მიუხედავად „ბოლო გაუგებრობისა“, მათი ურთიერთობაც ბევრ მნიშვნელოვან ფაქტზე იძლევა წარმოდგენას.

წერილები გიორგი გამყრელიძისადმი, როგორც ეთერ ქავთარაძე შენიშნავს, ავტოგრაფების ქსეროასლებიდან 1979 წელს კარლო ინასარიძეს შეუტანია კრებულში ხელნაწერის უფლებით. მისი დედნები ითვლება დაკარგულად, ბოლო წერილი კი შევიდა გრ. რობაქიძეზე პირველად გამოსულ კრებულში „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია...“ (1999 წ.) და დათარიღებულია 1962 წლის აგვისტოთი. იგი ეხება სწორედ იმ „გაუგებრობას“, რაც წერილის ადრესტთან მოხდა და ერთგვარი ბოდიშის მოხდაცაა გრ. რობაქიძის მხრიდან.

რაც შეეხება წინამდებარე სტატიის მიზანს, ასაა გაშუქდეს „ლიტერატურული ცხოვრება“ ევროპასა და საქართველოში გრ. რობაქიძის თვალთ, შევნიშნავდით, რომ როგორც თომას ჰოზერმანი წერს, „იგი ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა, რომ გერმანია მას ჯერ გაუხსნიდა ჭიშკარს მსოფლიო ასპარეზზე გასასვლელად და რომ სულ მალე ეს ქვეყანა ემიგრაციაში გაისტუმრებდა საკუთარ მწერლებსაც... ფალესტრამში დაწყებული ბრძოლა „ამერიკანიზმთან“ - მხატვრულ შემოქმედებაში აღარ გაგრძელებულა, თუმცა კი საამისოდ უხვი მასალა ჰქონდა. „ამერიკანიზმს“ მაშინ მკაცრად შეუტეის ბრეხტმა და დიობლინმა, იმ ქვეყნის მწერლებმა, რომელსაც რობაქიძემ შეაფარა თავი. ეს ქვეყნები 1931-1945 წლების გერმანია და 1945-1962 წლების შვეიცარიაა, სადაც ის გარდაიცვალა კიდევ, არ ასახულა რობაქიძის შემოქმედებაში. წარმოიდგინეთ, თუ რა ძნელი იქნებოდა (და ამას ის ყოველთვის ვერც ახერხებდა), საკუთარ თავში ხელუხლებლად შემოენახა **კარდუს სამზეო**.

მისებურად ესეც გახლდათ ხსენებული ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა“.<sup>1</sup>

გრიგოლ რობაქიძე ძირითადად იმ პროცესებზე მსჯელობს თავის მიმოწერაში, რომელიც ეხება მაინც მასთან ან ქართველ მწერლებთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს საკითხებია: რა იბეჭდება უცხოურ პრესაში უცხოელ მწერლებსა თუ ქართველებზე, რა იბეჭდება მის შესახებ, როგორია მისეული შეფასება „ბელი ქართლისაში“ დაბეჭდილ ნაწარმოებებსა თუ პუბლიცისტიკაზე, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ქართული ენისადმი და რამდენად სწორია იგი, როგორია თავად გრ. რობაქიძის როლი ამ საქმეში, როგორ აფასებს იგი უცხოელთა გამოკვლევებს ქართულ ლიტერატურაზე, საკუთარი აზრი ქართულ ლიტერატურაზე და სხვ.

გრ. რობაქიძე აქტიურად ადევნებს თვალს არა მარტო უცხოეთში გამოსულ პრესას, არამედ ქართულსაც: „თვალს ვადევნებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს (შესაძლებლობა მომეცა ამისა)“.<sup>2</sup> გრიგოლს გული სწყდება, რომ არ იხსენებენ იმ წერილის ავტორს, რომელიც დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1909 წელს ვაჟას შესახებ მოხსენებიდან. „მე არ მახსენებენ. წვდებოდნენ მაინც ნამდვილად შუაგულს ვაჟას პოეზიისა!! „უახლოვებიან“ მხოლოდ-ცოტანი, ვაპირობ დავწერო მოზრდილი ნარკვევი „ვაჟას ენგადი“.<sup>3</sup> ეს წერილი 1961 წლის 21 სექტემბრით არის დათარიღებული, და სულ რაღაც 2 თვეში (1961 წ. ნოემბერი) გამოდის „ვაჟას ენგადი“. „ვაჟას ენგადი“ გამოვიდა 39 გვ. (სამანქ. ფურც.) თითქმის ყოველ გვერდზე თქმულია ისეთი – რამ, რაც ქართველობას ჯერ არ

---

<sup>1</sup>პიიზერმანი თ., ბელისწერის სიყვარული (ლონდა-კარდუ-მალშტრემი-ლამარა), თანამედროვეობა და მემკვიდრეობა, თბ., 2006, გვ. 47-48.

<sup>2</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, თბ., 2012, გვ. 52.

<sup>3</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 52.



სმენია: არამარტო ვაჟაზე, არამედ სხვებზეც და სხვაზეც ვა-  
ჟას ირგვლივ“.<sup>1</sup> სალიებს მალალი შეფასება მიუციათ „ვაჟას  
ენგადისათვის“, სამწუხაროდ, იმ პერიოდში მხოლოდ კალე  
და ნინო სალიები არიან გრ. რობაქიძის შემოქმედების პირვე-  
ლი შემფასებლები: „გავიდა დრო. გამოვიდა ჩემი „ვაჟას ენ-  
გადი“. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წარმოიდგინე იქაც:  
საქართველოში. ეს ჩემმა დამ მაცნობა, აქ, ემიგრაციაში, ვი-  
ეთნი გამოეხმაურნენ – ალფრთოვანებით“,<sup>2</sup> თუმცა გრიგოლ  
რობაქიძის გერმანულ თუ სხვა ენებზე გამოცემულ ნაწარმო-  
ებებსაც არ მოჰკლებია შემფასებელი. ამაზე მეტყველებს ლე-  
ოპოლდ ციგლერის წერილი, რომელიც სრულად მოჰყავს  
გრ. რობაქიძეს გ. გამყრელიძისადმი მიწერილ ბარათში. ციგ-  
ლერის აზრით, „...რევოლუცია, როგორც ისტორიული პრო-  
ცესი, ისტორიულად ქცეულ თანამედროვე ადამიანებზე აკე-  
თებს ფსონს. თქვენ, როგორც ქართველმა, შეძელით ის, რომ  
ისტორიული ადამიანები, რომლებიც რევოლუციონერები გახდ-  
ნენ, წინაისტორიულ ადრეულ ადამიანებს დაუკავშირდნენ,  
რომელიც თავიანთი არსებით ტრადიციის მატარებლები არი-  
ან. თანდათან შეიქმნა აპოთეოზი საქართველოსი და, რადგან  
„გველის პერანგი“ ამ ორივე წიგნის პრელუდიაა, მომავალში  
სამივე ერთად უნდა გამოიცეს, ვითარცა „ქართული ტრილო-  
გია“. ეს ტრილოგია, ამავე დროს, იქნებოდა საოცარი ძლევა  
რევოლუციისა, ესე იგი ბოლშევიზმისა“.<sup>3</sup> ამაზე უფრო ადრე  
შვეიცარულ გაზეთში „Die Tat“ (1952 წ. 9/XII) „ავალონ  
ქართველის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში გამოკ-  
ვეთს გრიგოლ რობაქიძე ერთ ადგილს, ფანქრით აღნიშნულს,  
რომელიც ისე უნდა იქნეს გაგებული, როგორც ავტორს მია-

<sup>1</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 53-57.

<sup>2</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ.55.

<sup>3</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 54-55.

ჩნია: „მაშინ ვერავინ მონახავს საერთო ენას, „ბოლშევიტის-ით დაავადებულ საბჭოეთის ადამიანთან თუ ხალხთან – ვერ მონახავს: ვერც ქართული ემიგრაცია, ვერცა რომელიმე სხვა: რუსული თუ არა – რუსული, ვერც ევროპა, ვერც ამერიკა – ვერა-ვინ! ფუჭი გამოდგება მთელი ანტიბოლშევიტური ფრონტი – ფსიხოლოგიური ხაზით. წიგნი „Das Nessus – Hemd“ ჯერ გერმანულად უნდა გამოვიდეს და შემდეგ ინგლისურად ამერიკაში. ასეთია ჩემი განზრახვა (მოვათავე ამ ზაფხულში ერთი ახალი წიგნიც: Georgian in seinem Weltbild“. ეს აღმოჩენაა უცნობი სამყაროსი მთელი მსოფლიოსათვის. ვამბობ ამას არა სიმაყით“.<sup>1</sup> აშკარაა სწორედ ციკლერის მიერ გაგებული ფრაზა მარტო ანტიბოლშევიტებს არ გულისხმობს, ეს ქართულის, საქართველოს გატანაა ევროპასა თუ მერე მსოფლიოში. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, სადაა ორიგინალი და რომელი ადგილებია განაზრახული გრ. რობაქიძის მიერ. ერთი კი აშკარაა, ავტორი მთელი ძალით ცდილობს გააცნოს მსოფლიოს საქართველო. ამიტომ სწორად არ მიიჩნევს მინდია ლაშაურის ნაშრომს „ქართული სული“, რადგან „არ არის ასახული დამახასიათებელი ნიშანი ქართული სულისა“<sup>2</sup>.

გრიგოლ რობაქიძე, სალიების უშუალო ჩარევით, მიუწვევიათ პარიზში განსაზღვრულ ემიგრანტ-მწერალთა კონფერენციაზე: „ვამზადებ მოხსენებას რუსულად-გერმანულად. მზად მაქვს - „თუ ინებეს“ - ჩემი ქართული სიტყვის ირგვლივ – სხვა დროს“.<sup>3</sup> ამ კონგრესის თაოსანი ყოფილა „ამერიკის კომიტე“, რომლის ფილიალი მიუნხენში მდებარეობდა, „გასული თვის“ 5-ს (იგულისხმება 1955 წლის ივნისი, -

<sup>1</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 35-36.

<sup>2</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 42.

<sup>3</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 43.

თ.გ.). ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოებამ პარიზში ერთხმად დაადგინა ემიგრანტ-მწერალთა კონგრესზე წარმომადგენლობა და მეთაურობა ქართველთა დაევალოს გრიგოლ რობაქიძეს. „გახარებული ვარ, როგორც მწერალი და როგორც ქართველი – ხმა მომესმა, კონგრესი მოხსნესო, არ იციან რის გამო, არც ის იციან, შესდგება ოდისმე თუ არა“.<sup>1</sup> აღნიშნულ კონგრესზე გ. გამყრელიძეს შემდეგ აღარაფერს სწერს, თუმცა საინტერესო იქნებოდა გრ. რობაქიძის წერილი რუსულ (სავარაუდოდ, გერმანულ) ენაზე.

გრიგოლ რობაქიძე თვალყურს ადევნებს უცხოეთში გამოცემულ წიგნებსაც საქართველოზე. ერთი ასეთის, კურტ ჰოპოფის, წერილია, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალში „Atlantis“. აქ საუბარია ქართულ ლიტერატურაზე რუსთაველიდან დავით კლდიაშვილის ჩათვლით. „ილია და აკაკი გაკვირით არიან ხსენებულნი, რუსთაველი და „ვისრამიანი“ ეს ნაწილი ძალიან კარგადაა შედგენილი. ამის გარდა, რაც არის მოთხრობილი – ნამდვილად „დომზალია“. ჩემზე „მიქარვაა“<sup>2</sup> [შვეიცარიელი მწერლის, ლიტერატურათმცოდნის ჰოპოფის წერილიდან ნაწყვეტი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ატლანტისის“ 1961 წლის №10-ში, წარმოდგენილია წიგნში „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (ტ. II), ხოლო წერილი ნ. კაკაბაძისა და ნ. რუხაძისა „საქართველო „ატლანტისის“ ფურცლებზე“ დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 1967 წლის 14. IV. №16 (1549)]. ამას ერთგვარი აღშფოთება გამოუწვევია გრ. რობაქიძეში. მომდევნო წერილში იგი ატყობინებს ადრესატს, რომ გაგზავნა შენიშვნები ორ მისამართზე, კიბა ჩხეკნელთან და ვინმე ბელმონტთან ასეთი მინაწერით: „ციურისში ამზადებენ საქარ-

---

<sup>1</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 49-50.

<sup>2</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 52-53.

თველოს რვეულს და გრიგოლ რობაქიძეს ქართულ ლიტერატურაზე არ ეკითხებიან?! როგორ გესმით ეს თქვენ. თქვენ – მრჩეველს?!“ ალბათ, „მოხვდა“: არ მიპასუხა. მიპასუხა Belmont-მა. პასუხი ცხადია: კ. ჩ. მიერ არის ნაკარნახევი“.<sup>1</sup>

გრიგოლ რობაქიძე ხშირად გრძნობს თავის განუძეორებლობას. ამაზე მიგვანიშნებს ერთი წერილი, რომელშიც „გველის პერანგში“ მის მიერ გამოთქმული აზრი დაემთხვა დიდ ავგუსტინზე რომელიღაც წიგნიდან ამონარიდს (იგულისხმება სცენის მთავარი მუხლი, რომელიც თითქმის სიტყვასიტყვით იმსახითვე იმეორებს თხრობილს... „ახსნა ამ საარაკო ამბისა მხოლოდ გონის (Esprit Geist) ერთს მუხლში – ჩემი შეხვედრა ავგუსტინთან. გრიგოლ რობაქიძე ამბობს ხოლმე: დააკვირდით ამ სიბრძნეს ქართული სიტყვისა: „შეხვედრა“, „მიხვედრა“, „ხვედრი“ ორ ასეთს ამბავს კიდევ ვინსენებ, სხვაგან „სწავლა აქ ვერ გიშველის – თუ ნიჭი არა გაქვს „მომადლებული““.<sup>2</sup>

აღნიშნული სტრიქონები მარტოდდარჩენილი ავტორის ერთგვარი თვითალიარებაა, ჩვენი აზრით, და არა გადაჭარბებული წარმოდგენა საკუთარ თავზე.

აქვე შევჩერდებით ქართულ ენასთან ავტორის დამოკიდებულებაზე. ისევ და ისევ ეფერება ქართულ ენას, მის თაურსაწყისს გრ. რობაქიძე, რომელიც სუფთა ლიტერატურული ენით წერს რუსულად და გერმანულად. „ერთს ღრმად ჩახედულ გონმეტყველ ქართველს მეათე საუკუნეში უთქვამს (იგულისხმება იოანე-ზოსიმე, – თ. გ.) თუ რა არის ქართული: „რამეთუ ყოველი საიდუმლოდ ამას ენას შინა დამმარხულ არს. (თუ ყოველი არა, მრავალი მაინც). ცნაურება ამ საიდუმლოთა ისტორიამ მე მარგუნა: მე, როგორც გამომა-

---

<sup>1</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 53.

<sup>2</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 58.

ვალს ქართულის შუაგულიდგან, ...ღვიძლი – ამოვხსენი პრომეთეს ფენომენზე. „ხელ-მწიფე“ - ერთ სიტყვაში: მთელი კონცეპტი „Priester – König“-ისა. ნაყოფი – წარსული-არგარდასული“.<sup>1</sup>

ვფიქრობთ, ჯერ კიდევ ღრმა შესწავლას ითხოვს გრიგოლ რობაქიძისეული კვლევა ქართული ენისა, რაზედაც ბევრ ნაშრომსა თუ წერილში მსჯელობს ავტორი სიტყვის „მსოფლხატის“ განჭვრეტით. ამას თვით ავტორიც შენიშნავს: „ქართველოლოგიაში ბევრი რამ გაკეთებულა და კეთდება: მნიშვნელოვანი, ღირსშესანიშნავი. გარნა საუკუნეთა მანძილზე ერთდაერთი ავტორი მე ვარ, რომელიც აცნობიერებს ამ მსოფლხატს“. ბოლომდე გაგება საქართველოსი გარე ამ „ხატისა“ ჩემთვის წარმოუდგენელია. (Nota bene. ჩემი შემოქმედების ამ „მსოფლხატის“ ფარგლებში არიან მოქცეულნი. ესეც უნდა გაიგონ ჩემმა თანამემამულეებმა, რომ არსებითად ჩემი ღირიკა სხვაა, ვიდრე ღირიკა „ცისფერ-ყანწელებისა“.<sup>2</sup>

საკუთარი განსხვავებულობა ღირიკისა „ვასაკასა“, „აქლემსა“ და „ორღობის ემაფოტში“ ვლინდება ნაწილობრივ, რაზედაც იგი მსჯელობს გ. გამყრელიძისადმი 1955 წლის 25 მაისით დათარიღებულ წერილში. „აქლემი“, „ვასაკა“, შენი აზრით, ამ ორ სონეტში „პირველი პირველობს“. ჩემი აზრით „ვასაკა „აქლემს“ არ ჩამოუვარდება. არ მეთანხმები, რომ „აქლემშიაც“ და „ვასაკაში“ ბოლოა თავი და თავი. ამბობ: „სონეტის რვა ბწკარში გამოქანდაკებულია მართლა „კლასიკური ასხმით“ აქლემის ფორმა...“ შესაძლოა ეს ასეც იყო – ხოლო ეს „ასხმა“ „ხატვაა“ და „ახატვა“ ვერ ქმნის თავისთავად „მაღალ“ პოეზიას. იგი ხშირად „აღწერად“

---

<sup>1</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, თბ., 2012, გვ. 62.

<sup>2</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 63.

რჩება“.<sup>1</sup> გ. გამყრელიძის მინიშნებას, რომ შემდგომ 6 ბჭკარში ავტორი ანიჭებს მას მეტაფიზიურ აზრს“, ეთანხმება გრ. რობაქიძე: „ეს მართალია, რადგან ჩემთვის „მეტაფიზიურის“ გამოვლინება ყველაფერია – გამოვლინება, რასაკვირველია, არა აბსტრაქტული – ამიტომ ვიმეორებ ახლაც: „ბოლო იქ თავი-და-თავია. „ვასაკაც“ ასევეა შეთხზული“.<sup>2</sup>

ამაშია სწორედ მისი ლირიკის სპეციფიკაც და განსხვავებულობაც ავტორის აზრით. მაგრამ, რაც შეეხება „ორლობის ეშაფოტს“, გრ. რობაქიძე მას მიიჩნევს წინასწარმეტყველურ ლექსად, რომელიც თავისი დროისათვის ნიკოლო მიწვილიანისთვის წაუკითხავს ყავახანაში „ძმური ნუგეში“. აქვე საინტერესო დეტალია ტექსტოლოგიებისათვის, როგორ შეცვალა „ორლობის ეშაფოტში“ „გველის წიწილები“ „მელამურათი“ „შაირს ეჭირვება“ „ხელოსნური“ გადამუშავებაო.

არაიშვიათად გ. გამყრელიძისადმი გაგზავნილ წერილებში იელვებს პაოლო იაშვილის სახე. თვით ადრესატის ლექსების განხილვისას გრ. რობაქიძე თავს ვერ იკავებს და ამბობს: „გ. გ. ნათესავია პაოლო იაშვილის არა მარტო სისხლით – პოეტური გზებითაც“. ხოლო 1955 წლის 11 ივლისით დათარიღებულ წერილში შენიშნავს: „იგი მართლაც ყოველთვის „ერთს ხომალდზე“ იდგა. „თითქმის“ - მივუმატებდი. რით აიხსნება ესე? პაოლოს, გეცოდინება სანადიმო სიტყვა შეეძლო „ზმებით“ (რითმებით) წარმოეთქვა. ხოლო შაირს იგი ასე „უცბურად“ არ ექცეოდა. შაირი მისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო სიცოცხლისა: (ხაზი ავტორისაა) დიდხანს, ძალიან დიდხანს, ამუშავებდა მას შინაგან. აქეთგან: მისი „ერთს ხომალდზე“ დგომა. ასე ვხსნი მე ამას“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 46-47.

<sup>2</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, თბ., 2012, გვ. 47.

<sup>3</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 49.

წერილებში იკვეთება ერთი ინციდენტის ისტორიაც, როცა გრ. რობაქიძემ არ აპატია გ. გამყრელიძის ნათესავს, მწერალ აკაკი ბელიაშვილს, „ბლაცუნიას“ პირით ნათქვამი ქრისტეზე: „ისეთი საძაგელი“ რამ უთქვამს ქრისტეზე „ბლაცუნიას“ პირით, რომლის მსგავსი არც ერთ ქრისტეს-უარყოფელს არ უთქვამს საუკუნეთა განმავლობაში. რა ყოფილა!!<sup>1</sup> აღნიშნული წერილი უარყოფითად მიუღია გ. გამყრელიძეს და 1961 წლის სექტემბრიდან მოყოლებული 1962 წლის 30 ივლისამდე აღარ პასუხობდა. ეტყობა, ეს თვითონაც უკვირდა გრიგოლს, ბოლოს, კალისტრატე სალიამ აცნობა, რა ეწყინა თურმე გიორგის: „ვაცნობეო: რომ წერილი მზად იყო, როცა ჩვენ ეს ამბავი გავიგეთო. მე კალეს მაშინვე მივწერე: კიდევ რომ მცოდნოდა – ნათქვამს წერილითგან არ ამოვიღებდი-მეთქი. რატომ? განა სიკვდილი ათავისუფლებს ადამიანს პასუხისმგებლობისაგან-მეთქი?! გწერ ამას და თან ვუმატებ: დაღუპული ძმა რომ ყოფილიყო ჩემი – მე ერთი სიტყვითაც არ შევალბილებდი იქ თქმულს. ნათესაობა ერთია და სიმართლე კიდევ სხვა. განუზომელ უფრო მეტი! ალბათ შენ სხვანაირად ფიქრობ“.<sup>2</sup>

აღნიშნულ ინციდენტზე საუბრობს აკაკი ბაქრაძე „კარლუში“ (ა. ბაქრაძე „კარლუ“, გვ. 207). მასვე მოჰყავს ზემოთმოყვანილი ამონარიდი წერილიდან. (1961 წლის 14 დეკემბერს მცხეთიდან თბილისში მომავალი თინათინ გამყრელიძე და მისი მეუღლე აკაკი ბელიაშვილი ავტოგარიაში დაიღუპნენ).

გ. გამყრელიძისადმი მიწერილი პირადი წერილები არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ პირადად. იგი უამრავ ინფორმაციას გვაწვდის არამარტო გრიგოლ რობაქიძის შემოქმე-

---

<sup>1</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, გვ. 52.

<sup>2</sup> რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, თბ., 2012, გვ. 56.

დებით ლაბორატორიაზე ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, არამედ იმ ლიტერატურულ პროცესებზე საქართველოს და ქართველ მწერლებთან მიმართებაში ევროპაში, რომელშიც იკვეთება მწერალი, დიდოსტატი, თავისი ქვეყნის ჭირისუფალი და მისი კულტურის, წარსულის ინტერესების დამცველი მოქალაქე, გულატკივებული ქართველი, უცხოეთის მიწას მიბარებული.

#### **დამოწმებანი:**

ბაქრაძე ა., კარდუ, თბილისი, 1999.

რობაქიძე გრიგოლ, პირადი მიმოწერა, „არტანუჯი“, თბილისი, 2012.

ჰოიზერმანი თ., ბედისწერის სიყვარული (ლონდა-კარდუ-მალშტრემი-ლამარა), თანამედროვეობა და მემკვიდრეობა, თბილისი, 2006.

*Tamar Gogoladze*

*Gori State Teaching University*

**A GEORGIAN WRITER ON THE EUROPEAN WALK  
OF LIFE ACCORDING TO SOME LETTERS BY  
GRIGOL ROBAKIDZE  
RESUME**

An emigrant writer living under the sun of a foreign country, often trusts his feelings and mood to the letters written to his friends. From this point our attention was drawn by an emigrant writer Giorgi Gamkrelidze (1903-1975), dated by 1952-1962.



In these letters Griogol Robakidze talks over the processes going in the literary fields in Georgia and abroad that he learns from press materials. He feels his prominence and at the same time he remains the defender of Georgian culture and the interests of Georgia abroad.

*რუსუდან დაუშვილი*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი აშშ-ს კონგრესში  
1920-იან წლებში**

საქართველო-ამერიკის ურთიერთობები ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი არ იყო. ამერიკის დამოკიდებულება კავკასიისა და საქართველოს მიმართ გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა შექმნილ საერთაშორისო მოვლენათა ფონზე – იმისდა მიხედვით, თუ რა ინტერესები უჩნდებოდა ამ ზესახელმწიფოს რეგიონის მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულო ბათუმში XIX საუკუნის ბოლოს გაიხსნა.<sup>1</sup> 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, საკონსულო თბილისში გადავიდა. ამერიკის პირველი კონსული, 1919 წლის მაისამდე, იყო ფელიქს უილოუბი სმითი, ცოტა ხანს მის ადგილზე მუშაობდა ჯონ ქიუ ვუდი. ახალი კონსული ჩარლზ მოზერი სახელმწიფო დეპარტამენტმა გაიწვია მას შემდეგ, რაც ფაქტების დამდგენმა მისიამ რუსეთის სამხრეთ ნაწილში მოქმედი აღმირალ კოლჩაკის დახმარების რეკომენდაცია გასცა, რაც აშკარა დარტყმა იყო საქართველოს მცდელობაზე – მოეპოვებინა საერთაშორისო აღიარება. მოზერი თავად სიდამონ-ერისთავის ქალიშვილზე დაქორწინდა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> ახალი ამბები. ამერიკის კონსულის დანიშვნა ბათუმში, გაზ. „ივერია“, 1886, №88, გვ. 2.

<sup>2</sup> Sidamon-Eristoff S. For My Grandchildler, New-York, 2002, p.207.

ოკუპაციის შემდეგ ცოლის ნათესავები ქვეყნიდან გაიყვანა, ბოლო ანგარიშები კი ამერიკაში სტამბოლიდან გაგზავნა.

პოლიტიკური თვალსაზრისით ამერიკამ კავკასიას ყურადღება რუსეთში 1917 წ. ოქტომბრის გადატრიალების, რუსეთის ომიდან გამოთიშვისა და ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნის შემდეგ მიაპყრო. ამერიკა ცდილობდა არ ეღიარებინა „დე ფაქტო“ მთავრობა, სანამ ნათელი არ გახდებოდა, რომ ეს ხელს არ შეუწყობდა რუსეთის დაშლას, ან სამოქალაქო ომს.

1918-1919 წლებში ანტანტამ არ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. არც ამერიკას გამოუხატავს თავისი პოზიცია საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ. 1919 წლის 10 აგვისტოს გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის ნოტა, რომელშიც ამერიკის რუსეთისადმი დამოკიდებულება იყო ჩამოყალიბებული და რომლის ძირითადი პრინციპი – მისი ტერიტორიის დაურღვეველობა იყო. ამერიკა მარტო რუსეთის მიერ დაპყრობილი პოლონეთის, ფინეთისა და სომხეთის დამოუკიდებლობას ცნობდა. მხოლოდ დენიკინის განდევნის შემდეგ, 1920 წლის 12 იანვარს, ანტანტის სახელმწიფოებმა, ამერიკის გამოკლებით, აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა. შემდეგ ცნეს აზერბაიჯანი და სომხეთიც, რომლებსაც რუსეთის წინააღმდეგ სამხრეთის ბუფერის როლი უნდა შეესრულებინათ.

I მსოფლიო ომმა დაამსხვრია 4 იმპერია – გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, რუსეთისა და ოსმალეთის. გამარჯვებულ სახელმწიფოთა წინაშე მსოფლიოსა და ამ იმპერიათა გადანაწილების პრობლემა დადგა. ვერსალის საზავო მოლაპარაკებებზე აშკარა თუ კულუარული ბრძოლა სწორედ ამის გამო მიმდინარეობდა – ანტანტის ქვეყნებს შორის სამანდატო სისტემით გავლენის სფეროების გადანაწილებაზე. პრეზიდენტ

გუდრო ვილსონის „14 პუნქტი“ ამერიკის საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებს განსაზღვრავდა. მე-8 პუნქტი კავკასიას შეეხებოდა. ის უნდა განხილულიყო, როგორც თურქეთის პრობლემების ნაწილი. რუსეთისაგან ეს გამოცალკეება კავკასიისათვის უკვე დიდი მხარდაჭერა იყო, რადგან ინგლისი და საფრანგეთი მას რუსეთის ნაწილად მიიჩნევდნენ. 1919 წლის ზაფხულში, როცა ინგლისის ჯარმა დატოვა საქართველო და აზერბაიჯანი, ინგლის-საფრანგეთმა ამერიკას სომხეთზე მანდატის აღება შესთავაზა. მაგრამ პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ კონგრესსა და სენატში იზოლაციონისტთა მძლავრი ოპოზიცია ჩამოყალიბდა სენატორ ჰენრი ქებოტ ლოჯის მეთაურობით. ისინი თვლიდნენ, რომ ამერიკას კავკასიაში მარტო სომხეთზე უნდა აეღო მანდატი, ამისათვის 20.000-იანი კორპუსიც საკმარისი იქნებოდა. ოპოზიციის წინააღმდეგ არგუმენტების მოსაპოვებლად პრეზიდენტმა ვილსონმა ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში ჯეიმს ჰარბორდის სამხედრო მისია და სადაზვერვო ექსპედიცია, კინგ-კრეინის კომისია გაგზავნა.

გენერალი ჯეიმს ჰარბორდი და მისი თანმხლები პირები საქართველოს 1919 წლის 2 მაისს ეწვიენ. მისია გულდასმით უნდა გასცნობოდა ვითარებას და ამერიკის მთავრობისათვის საგანგებო მოხსენება წარედგინა. ქართული პრესა („საქართველოს რესპუბლიკა“, „სახალხო საქმე“) დაწვრილებით აღწერდა ამ ვიზიტს: ამერიკელთა შემოსვლას, ქართველთა დახვედრას ცხენოსანი რაზმით, საპატრიო ყარაულითა და სამხედრო ორკესტრის ჰანგებით; ამერიკელთა შეხვედრას მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგენი გეგეჭკორთან, დამფუძნებელი კრების წევრებთან, შინაგან და საგარეო საქმეთა მინისტრებთან; მონაწილეობას ოფიციალურ საუბრებში; აგრეთვე სამთავრობო სადილს, რომელსაც ქართველ მინისტრ-

რებთან, მთავრობის წევრებთან და გენერლებთან ერთად პოლკოვნიკი ჰასკელი, გენერალი ჰარბორდი და მისი თანმხლები 50 კაციც დაესწრო. ვანშამი, რომელსაც დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩი დავით ლამბაშიძე თამაძობდა, დილის 4 საათამდე გაგრძელდა და სტუმრები დიდად კმაყოფილი დარჩნენ.<sup>1</sup>

ჰარბორდი მოგონებებში დიდი სიმპათიით აღწერდა თბილისსა და ქართველ ხალხს, წერს საქართველოს ისტორიაზეც და აღნიშნავს, რომ კავკასია წარმოადგენს ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას მსოფლიოში: „ეს რეგიონი იყო ერთდროულად მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი გზაცაა და ბუნებრივი ბუფერიც ევროპასა და აზიას შორის“. ხაზს უსვამს იმჟამინდელ ეთნიკურ, ეკონომიკურ პრობლემებს, ინფლაციას.<sup>2</sup> ვილსონისადმი წარდგენილ მოხსენებაში ჰარბორდი წერდა, რომ საქართველოს მოსახლეობა თანახმაა სამანდატოდ თავისი სახელმწიფო ამერიკას გადასცეს. მისი 27 არგუმენტიდან 14 დადებითი იყო, 13 – უარყოფითი. ამით აირიდა მსცოვანმა გენერალმა მანდატის აღების პასუხისმგებლობა. ქართველები 1919 წლის 11 ივნისს პარიზში შეხვდნენ ვილსონის უახლოეს მეგობარსა და მრჩეველს, პოლკოვნიკ ჰაუზს. 11 აგვისტოს სტამბოლში საქართველოს წარმომადგენლობა კინგსა და კრენს ეწვია. მათი ცნობით, ქართველ პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს მეურვედ ამერიკა სურდა.

მდიდარი სომხური დიასპორა ამერიკის დახმარებით სომხური სახელმწიფოს აღდგენას ცდილობდა. რაკი ამერიკა

---

<sup>1</sup> გენერალ ჰარბორდის ჩამოსვლა, გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №644-645, გვ.2-3; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №223-224, გვ. 2.

<sup>2</sup> ჩოხელი ა. ამერიკა და დამოუკიდებელი საქართველო, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №21, გვ. 14.

მხოლოდ პოლონეთის, ფინეთისა და სომხეთის დამოუკიდებლობას ცნობდა, სომხეთის დელეგაციამ მოითხოვა სამხრეთ საქართველოს ტერიტორია და შავ ზღვაზე გასასვლელი. პარიზში სომხეთის რუკაც კი დაიბეჭდა, რომელშიც ქვემო ქართლის გარდა შესული იყო შიდა ქართლი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, გორი და თბილისიც კი. უპატრონოდ დარჩენილი საქართველო-აზერბაიჯანი გაერთიანდნენ და პარიზში ერთ კონგრესმენს ფულიც კი მისცეს ამ საკითხის ლობირებისათვის, მაგრამ კონგრესის ახალ, 1919 წლის არჩევნებში იგი ვეღარ გავიდა.<sup>1</sup> ვილსონმა კონგრესს მისიათა ანგარიშები დაუმალა, მაგრამ 1920 წელს იძულებული გახდა კინგ-კრეინისა და ჰარბორდის მოხსენებები გაესაჯაროებინა, რაც ოპოზიციამ თავისი პოზიციების გასამაგრებლად გამოიყენა. ვილსონმა ვერც ის რეზოლუცია გაიტანა, რომლითაც შეეძლო ერთპიროვნულად გამოეყენებინა საექსპედიციო კორპუსი, ამიტომ უარი სომხეთის მანდატზეც თქვა. იზოლაციონისტთა მიერ კავკასიაში ამერიკის ჯარის გაგზავნის ჩაშლა საბედისწერო აღმოჩნდა უმეკავშირეოდ დარჩენილი კავკასიის რესპუბლიკებისათვის. განწირული სამივე რესპუბლიკა მალე რუსეთის ექსპანსიის მსხვერპლი გახდა.

ამერიკამ გაწირა საქართველო პარიზის საზავო კონფერენციაზეც. 1918 წლის ოქტომბერში შვეიცარიაში ქართველ დელეგატთა თხოვნაზე – ამერიკელ დიპლომატებს სპონსორობა გაეწიათ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დასასწრებად, კატეგორიული უარი მიიღეს. ასევე დააბრკოლეს სტამბოლში ჩასული საქართველოს მრავალპარტიული დელეგაცია. ერთი თვის შემდეგ პარიზში ჩასვლის უფლება მხოლოდ კარლო ჩხეიძეს და ირაკლი წერეთელს მისცეს. იქ

---

<sup>1</sup> ჩხენკელი აკ. მემუარი საქართველოს სრულუფლებიანი ელჩისა დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-22 წლებში, პარიზი, 1922.

მათ შეუერთდა მე-3 წევრი, ლონდონიდან ჩასული პროფესორი ზურაბ ავალიშვილი.<sup>1</sup>

ქართულმა დელეგაციამ კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც ასაბუთებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის კანონზომიერებას და მოითხოვდნენ მის აღიარებას.<sup>2</sup> სამანდატო სისტემის გარდა, საქართველოს საკითხიც ნაწილობრივ გადაწყდა – 1921 წლის 27 იანვარს, პარიზის კონფერენციაზე გაერთიანებული უმაღლესი საბჭოს წევრმა 4 ქვეყანამ (საფრანგეთი, ბრიტანეთი, იაპონია, იტალია), აღიარა, რომ საქართველოს ჰქონდა დამოუკიდებელ ქვეყნად არსებობის უფლება, მეხუთე წევრმა, აშშ-მ უარი თქვა ამ აღიარებაზე, თუმცა კი თებერვალ-მარტში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია დაგმო.

ამ ფაქტის საქართველოს დელეგაციამ ერთა ლიგაში ჩვენი ქვეყნის მიღებაზე ზრუნვა დაიწყო და 1919 წლის 14 მარტს წარუდგინა „მემორანდუმი“, რომელსაც ერთვოდა დამატებანი საქართველოს საზღვრების შესახებ, რუკა და 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი.<sup>3</sup> ერთა ლიგის 1920 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს მიღების საკითხი განიხილვაზე საქართველოს 6 ხმა დააკლდა და განხილვა მომავალი წლისათვის გადაიდო. ხმები დააკლდათ ბალტიის ქვეყნებსაც. ჰარდინგის მთავრობამ რუსეთის მიმართ პოზიცია შეიცვალა. ამერიკა მზად იყო ბალტიის რესპუბლიკები ეცნო. მაგრამ საქართვე-

---

<sup>1</sup> ავალიშვილი ზ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში (მოგონებები, ნარკვევები), პარიზი, 1925, გვ. 238.

<sup>2</sup> საქართველოს საზავო დელეგაციის მემორანდუმი ამერიკის ნოტაზე, გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 3 X, №953, გვ. 3.

<sup>3</sup> Delegation Georgienne a la Conference de la Paix. Memoire presente a la Conference de la Paix, Paris, 1919.

ლოს მხოლოდ მაშინ ცნობდა, როცა რუსეთისგან გათავისუფლდებოდა. მოგვიანებით ამერიკამ ბალტიის რესპუბლიკები მართლაც ცნო და რომ არა ქვეყნის ოკუპაცია, ალბათ, დაპირებას საქართველოს მიმართაც შეასრულებდა.

მიუხედავად აშშ-ს უარყოფითი პოზიციისა რუსეთის დანაწილებისა და რუსეთისგან გამოყოფილი ერების მიმართ, 1921 წლის შემოდგომაზე, ქართველ ლტოლვილთა დასახმარებლად, საქართველოს მთავრობის მიერ ვაშინგტონში გაგზავნილი ილია გოლდმანის ვიზიტს ამერიკელთა დახმარება მოჰყვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ქართულ-ამერიკული ურთერთობები საქართველოს სასარგებლოდ ვერ წარიმართა. ქართველმა პოლიტიკოსებმა ვერ შეაფასეს სათანადოდ შეერთებული შტატების ადგილი და მზარდი როლი სართაშორისო ასპარეზზე.<sup>1</sup> ამერიკის ადმინისტრაციაც სამხრეთ კავკასიაში საქველმოქმედო საქმიანობით შემოიფარგლა, რაც საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც გაგრძელდა.

ბოლშევიკურ რეჟიმს გაქცეული მრავალი ქართველი თავს თურქეთს აფარებდა. საქართველოს საელჩომ „ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტის“ შემწეობით, რომელმაც ევაკუაციის ხარჯების ნაწილი გაიღო, 1921 წლის ბოლოს სამოქალაქო ომის ალში გახვეული სტამბოლიდან ლტოლვილთა გადაყვანა დაიწყო ევროპის ქვეყნებში.<sup>2</sup> 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, სტამბოლში დარჩენილ ქართველთა საფრანგეთში გასაყვანად 1925 წელს საქართველოს ლეგაციამ კვლავ „ერთა

---

<sup>1</sup> ჯანელიძე ო. საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში, ჟურნ. „ანალიზი“, 2012, №8, გვ. 21-43.

<sup>2</sup> კვინიტაძე გ. მოგონებები, ტ II, თბ., 1999, გვ. 234.



ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკულ კომიტეტს“ მიმართა და კომისარ ჯონსონის საშუალებით ლტოლვილთა სტატუსზე მოლაპარაკება გამართა საფრანგეთის მთავრობასთან, სახელმწიფო მინისტრ ელუარდ ერიოს საგანგებო დავალებით – საგარეო საქმეთა მინისტრთან ჟან პოლბონკურთან, დასაქმების თაობაზე კი – უცხოური მუშახელის სამსახურის უფროსთან პუიოსთან. ამჯერადაც, ამერიკული კომიტეტის დახმარებით, სტამბოლიდან საფრანგეთში კიდევ ერთი დიდი ჯგუფი გაიყვანეს.<sup>1</sup>

მცირერიცხოვან ქართულ ემიგრაციას ამერიკაში საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლტოლვილები შეემატნენ. რაკი ამერიკამ არ ცნო დამოუკიდებელი საქართველო, მას საელჩო, საკონსული და დიპლომატიური წარმომადგენელი არ ჰყოლია, რაც ართულებდა ქართველ ემიგრანტთა უფლებების დაცვას. საქართველოს საკითხის წამოწევას ამერიკის სახელმწიფო პოლიტიკასა და ქართველ ლტოლვილთა დასახლება-მოწყობის საქმეს დიდი ამაგი დასდო მორგანების ბანკის ფინანსისტმა ვასილ ღუმბაძემ, რომელიც ამერიკაში 1924 წელს ჩავიდა.

1925 წელს ღუმბაძემ, საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლობის ეგიდით, გამოსცა ნაშრომი „კავკასიის რესპუბლიკები“.<sup>2</sup> წიგნმა მიიპყრო როგორც ამერიკული საზოგადოების, ასევე ქართველ ემიგრანტთა ყურადღება. 1926 წელს, როგორც ამერიკულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წრეებთან დაკავშირებული, საფრანგეთში გახიზნულმა საქართველოს მთავრობამ ღუმბაძე რწმუნებებით აღჭურვა, თავის

---

<sup>1</sup> საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის არქივი წიგნში: შარაძე გ., ისტორიული მეხსიერების დაბრუნება, თბ., 1998, გვ. 580.

<sup>2</sup> Dumbadze V. The Caucasian Republic, New-York, 1925.

წარმომადგენელად დანიშნა და ისიც ენერგიულად შეუდგა საქმეს. მას მხარში ედგა ძველი მეგობარი გიორგი მაჩაბელი. თუმცა თვლიდა, რომ საქართველოს საკითხისათვის საბრძოლველად ჯობდა მას ჯერ მილიონები დაეგროვებინა. მიუხედავად ამისა, ამ საქმიანობაში ვასოს თავდადებას გიორგი სპირიდონ კელიასადმი მიწერილ წერილი მაღალ შეფასებას აძლევდა.<sup>1</sup>

დუმბაძემ ამერიკაში შეირთო უმდიდრესი ქალი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი, დღეში 8-მილიონი ტირაჟით გამოშვებული გაზეთის, „ჩიკაგო ტრიბუნის“ მეწილე იყო. თანამდებობის, ცოლისა და გაზეთის წყალობით ვასო ყველა უწყებაში შეღწევის ადვილად ახერხებდა. როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს, მას დიდ მხარდაჭერას უწევდა ილია გოლდმანის მეუღლის ბიძა – ყველაზე ცნობილი ნიუ-იორკული გაზეთის „ფორვერსტის“ რედაქტორი.<sup>2</sup>

ვასილ დუმბაძე საქართველოს არაოფიციალური და არააკრედიტირებული ელჩის როლს ამერიკაში დიდხანს ასრულებდა. ეს საშური იყო, რადგან 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ ემიგრანტთა რიცხვი გაიზარდა. დუმბაძე შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა არა მარტო ამერიკაში ჩასულ, არამედ ევროპაში მცხოვრებ ლტოლვილებსაც. განსაკუთრებით ეხმარებოდა პარიზში მცხოვრებ ქართველებს და იქ არსებულ სხვადასხვა ორგანიზაციებს. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატი დავით ლოლობერიძის ცნობით, 1927 წელს ვასო პარიზში ცოლით ჩასულა, მას არგენტინის

---

<sup>1</sup> სპირიდონ კელია, მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007, გვ. 42.

<sup>2</sup> ლოლობერიძე დ. მოგონებები, ჟურნ. „ივერია“, პარიზი, 1981, №23, გვ. 8-31.

საკონსულოში ვიზის მიღებაში დახმარება და საზარჯოდ 200 ლლარი უჩუქებია, ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ „სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებისათვის“ კი ამერიკის უნივერსიტეტებიდან საცხოვრებლით, სტიპენდიითა და კვებით უზრუნველყოფილი 4 ადგილი ჩაუტანია.<sup>1</sup>

სტუდენტთა სტიპენდიებზე ზრუნავდნენ გიორგი მაჩაბელი, მინის მრეწველი მილიონერი გრიგოლ კობახიძე და ნიუ-იორკის სიტი-ბანკის ფინანსისტი ალექსი მდივანი. ევროპაში კრიზისისა და იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ, ამერიკაში ჩასულ და იქ მცხოვრებ ქართველებს დამხმარედ და ადმინისტრაციასთან შუამავლად ვასო ღუმბაძე ეგულებოდათ. 1931 წ. ქართული სათვისტომოს დაარსების ინიციატორი, პავლე და თამარ კვარაცხელიებთან, ვანო კობახიძესთან და გიორგი მაჩაბელთან ერთად, ვასო ღუმბაძეც იყო. სათვისტომოს 8 წელი ხელმძღვანელობდა. იყო აისლიპში სათვისტომოს სახლის შექმნის ინიციატორიც და ქართველთა დასახლოებლად შეკრებების ორგანიზატორიც.<sup>2</sup>

საქართველოს საკითხის გასახმაურებლად, საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად 1926 წელს ვ. ღუმბაძის თაოსნობით, პოლიტიკოსის, დიპლომატის, ჰენრი ვილსონის თავმჯდომარეობით და ცნობილი მოღვაწთა მონაწილეობით დაარსდა „ამერიკული საზოგადოება კავკასიისათვის“. მისი მიზანი იყო: „საქართველოს და აგრეთვე მისი მეზობელ კავკასიის რესპუბლიკების საკითხის გაცნობა ამერიკის საზოგადოებრივი აზრისათვის“, რისთვისაც იმართებოდა მოხსენებე-

---

<sup>1</sup> ლოლობერიძე დ. მოგონებები, ჟურნ. „ივერია“, პარიზი, 1981, №23, გვ. 8-31.

<sup>2</sup> დაუშვილი რ. ქართველი მრეწველები და გამოძგონებლები ამერიკაში, თბ. 2002, გვ. 70-81.

ბი, წარმოებდა ფართო პროპაგანდა პრესაში და სხვა. საზოგადოებამ მიიწვია ცნონილი იურისტთა კომისია, რომელმაც განიხილა „საქართველოს წარსული და თანამედროვე მდგომარეობა და ერთხმად დაასკვნა მისი დამოუკიდებლობის უღაო უფლება და ევროპაში გახიზნულ დემოკრატიულ მთავრობის კანონიერება“, – იუწყებოდა ჟურნალი „ბრძოლა“.<sup>1</sup>

გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ნიუ-იორკელმა სენატორმა სამუოლ კოპლენდმა და ვირჯინიის შტატის დეპუტატმა რობერტ ვალტონ-მურმა, ჰენრი ვილსონის მცდელობით, 1926 წლის 11 მარტს სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში ერთდროულად შეიტანეს წინადადება ამერიკაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნასა და ხაზინიდან ხარჯების გაღებაზე. რეზოლუციაში მითითებული იყო, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე საქართველომ სახელმწიფოს შენარჩუნება და IV საუკუნეში მიღებული ქრისტიანული რჯულის დაცვა მოახერხა, 1918 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შექმნა კონსტიტუცია, რუსეთმა კი, ცნობის მიუხედავად, დაიპყრო და ლტოლვილი ეროვნული მთავრობა დამოუკიდებლობის აღსადგენად ახლა ევროპიდან იბრძვის. აშშ მთავრობამ რუსეთს გააკიცხვა უნდა გამოუცხადოს და საქართველოს კი – სიმპათია. კონგრესმა დაადგინა: „გაღებულ იქნას კანონით თანხა, დასაფარავად იმ ხარჯებისა, რომელიც გამოწვეული იქნება საქართველოს ეროვნულ რესპუბლიკისათვის დიპლომატიურ წარმომადგენლის დანიშვნით, როცა პრეზიდენტი ამ დანიშვნას მიზანშეწონილად დაინახავს“.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> საქართველოს საკითხი ამერიკაში, ჟურნ. „ბრძოლა“, 1926, №10-11, გვ. 18.

<sup>2</sup> გვაზავა გ. საქართველოს საკითხი ამერიკაში, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, №4, გვ. 4.

საქართველოს საერთაშორისო უფლების, მისი დამოუკიდებლობის საკითხი და 1926 წლის 11 მარტის რეზოლუცია კონგრესმა 1-2 აპრილს ხელახლა განიხილა. ჯონ სტიუარტისა და ჰენრი ობლაიკის გამოსვლების შემდეგ კონგრესმა ამ სხდომათა ოქმებით, 22 დამატებით და 17 ფოტოთი, სახელმწიფო ხარჯით საქართველოზე 361-გვერდიანი წიგნი გამოსცა, მაგრამ გადაწყვეტილება მაშინ ვერ მიიღო.<sup>1</sup>

საქართველოს საკითხი კონგრესში მეორედ 1929 წლის 23 აპრილს დაისვა, როდესაც სენატორმა კოპლენდმა მე-17 კონგრესის I სესიაზე განსახილველად კავკასიის 4 რესპუბლიკის საკითხი შეიტანა. საგარეო საქმეთა კომისიაში კანონპროექტი ორჯერ წაიკითხეს. ის კავკასიის რესპუბლიკებში: საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ჩრდილო კავკასიაში დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნას ითვალისწინებდა. ბილი მოუწოდებდა ამერიკელ კანონმდებლებს, გამოესწორებინათ წინამორბედების შეცდომა და დაედასტურებინათ ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის შეუვალი უფლება. წინადადების მიღების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლად ღუმბაძე დამტკიცდა.<sup>2</sup>

იმავე 1929 წ. აშშ-ში ცნობილი დიპლომატის ლეონ ვილსონის თავმჯდომარეობით შეიქმნა „საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტი“, რასაც შედეგად ამერიკის კონგ-

---

<sup>1</sup> დიდათ სასარგებლო წიგნი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, №8, გვ. 3.

<sup>2</sup> კავკასია და ამერიკის შერთებულ შტატებში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1929, №42, გვ. 4.

რესში საქართველოს საკითხის რამდენჯერმე განხილვა მოჰყვა.<sup>1</sup>

1933 წელს საფრანგეთმა სსრკ ცნო, საქართველოს ლეგაცია გაუქმდა და საქართველოს მთავრობის, საელჩოებისა და საკონსულოების უფლებამოსილება შეწყდა. დუმბაძე შეეცადა თავისი კავშირები საქართველოს საკითხის წამოსაწევად გამოეყენებინა. ახალარჩეულ პრეზიდენტ რუზველტის სახელზე შედგენილი წერილი მის მდივანს მაკინტიარს გადასცა. მან კი პრეზიდენტს კონგრესის გამოცემულ წიგნში შესაბამისი ადგილები მოუნიშნა. დუმბაძე ემადლიერებოდა კონსულ კოლუს, საარჩევნო კამპანიის აქტიურ წევრ ედვინ ვალდმანს – პრეზიდენტის მეგობარს, საქართველოს საკითხის კურატორ კელეის, „კავკასიის საზოგადოების“ თავმჯდომარე ჰენრი ვილსონს და სხვებს.<sup>2</sup>

სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციების მოღვაწეობას და დახმარებას მთავარი შედეგი – საქართველოს გათავისუფლება და ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება არ მოჰყოლია. ვ. დუმბაძე შემდეგაც ცდილობდა საქართველოს საკითხით აშშ-ს ხელისუფლების დაინტერესებას, მაგრამ მსოფლიოს ახალი პრობლემა გაუჩნდა – ევროპაში დიდი ომი მწიფდებოდა და ამერიკას საქართველოსათვის აღარ ეცალა. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკა-საბჭოთა კავშირს შორის გაწყვეტილი მოკავშირეობისა და „ცივი ომის“ დროს შექმნილმა ახალმა ქართულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და ქართველ ემიგრანტთა აქტიურმა ანტისაბჭოთა საქმიანობამ მიიპყრო ამერიკის ადმინისტრაციის ყურადღება

---

<sup>1</sup> საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები, გაზ. „საქართველო“, პარიზი, 1929, №1, გვ. 2.

<sup>2</sup> დუმბაძე ვ. წერილი ამერიკიდან, ჟურნ. „ბროლო“, 1929, №11, გვ. 16.

და ამერიკის კონგრესმა საქართველოს საკითხზე ახალი რეზოლუციები მიიღო.<sup>1</sup>

### **დამოწმებანი:**

1. ავალიშვილი ზ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში (მოგონებები, ნარკვევები), პარიზი, 1925.
2. ახალი ამბები. ამერიკის კონსულის დანიშვნა ბათუმში, გაზ. „ივერია“, 1886, №88.
3. გვაზავა გ. საქართველოს საკითხი ამერიკაში, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, №4.
4. გენერალ ჰარბორდის ჩამოსვლა, გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, № 644-645; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, № 223-224.
5. დაუშვილი რ. ქართველი მრეწველები და გამოძვლები ამერიკაში, თბ., 2002.
6. დაუშვილი რ. ქართული პოლტიკური ორგანიზაციები ამერიკაში 1950-იან წლებში, „ანალები“, 2012, №8.
7. დუმბაძე ვ. წერილი ამერიკიდან, ჟურნ. „ბრძოლა“, 1929, №11.
8. დიდათ სასარგებლო წიგნი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, №8.3
9. კაკასია და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1929, №42.
10. კვინიტაძე გ. მოგონებები, ტ II, თბ., 1999.
11. საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები, გაზ. „საქართველო“, პარიზი, 1929, №1.

---

<sup>1</sup> დაუშვილი რ. ქართული პოლტიკური ორგანიზაციები ამერიკაში 1950-იან წლებში, ჟურნ. „ანალები“, 2012, №8, გვ. 58-74.

12. საქართველოს საკითხი ამერიკაში, ჟურნ. „ბრძოლა“, პარიზი, 1926, №10-11.
13. სპირიდონ კედია, მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007.
14. ლოღობერიძე დ. მოგონებები. ჟურნ. „ივერია“, პარიზი, 1981, №23.
15. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის არქივი, - წიგნში: შარაძე გ. ისტორიული მენსიურების დაბრუნება, თბ., 1998.
16. საქართველოს საზავო დელეგაციის მემორანდუმი ამერიკის ნოტაზზე, გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 3 ოქტომბერი.
17. ჩოხელი ა. ამერიკა და დამოუკიდებელი საქართველო, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №21.
18. ჩხენკელი აკ. მემუარი საქართველოს სრულყოფილებიანი ელჩისა დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-22 წლებში, პარიზი, 1922.
19. ჯანელიძე ო. საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში, ჟურნ. „ანალები“, 2012, №8.
20. Delegation Georgienne a la Conference de la Paix. Memoire presente a la Conference de la Paix, Paris, 1919.
21. Dumbadze V. The Caucasian Republic, New-York, 1925.
22. Sidamon-Eristoff S. For My Grandchildler, New-York, 2002.



*Rusudan Daushvili*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**ISSUE OF GEORGIA'S INDEPENDENCE IN THE US  
CONGRESS IN 1920s  
RESUME**

The article is about Georgian- US relationships in 1920s and about issue of Georgia's independence in the US congress.

During the independence of Georgia, Georgian- American relationship didn't direct in favor of Georgia. In January of 1921 the USA refused to recognize Georgia, even though in February – March it condemned Georgia's annexation by Russia. Small Georgian emigration in the US was added by refugees after Georgia's occupation. Georgia didn't have embassy, consulate or diplomatic representative whichever made it worse to protect rights of Georgian immigrants. Making Georgia's issue matter of importance in the US state policy and taking care of Georgian refugee settlement was greatly supported by financier of Morgan's bank Vasil Dumbadze, whoever arrived in the US in 1924.

In 1925 Vasil Dumbadze published the book "The Caucasian Republics" in New York. In 1926 and 1929 on his initiative, under the chairmanship of well-known politicians and diplomats, Henry and Leon Wilsons the organizations "American society for the Caucasus" and "The committee for Georgia rights protection" that were intended to familiarize American society with the Caucasian republics were established. Thanks to the efforts of these organizations senator S. Copland and deputy R. Walton-Moor put forward a resolution in the Senate and the House of Representatives twice, and the Congress published a 361 page book about Georgia.

Unfortunately functioning of these organizations couldn't come up with most important result – liberation of Georgia. After WWII attention of American administration was directed towards newly established Georgian political organizations also towards active involvement of Georgian emigrants in anti-Soviet issues during the cold war and the US congress adopted new resolutions about Georgia's matter.

**საქართველოს ესპანეთთან და რომთან ურთიერთობის  
ისტორიიდან (XV ს. 90-იანი წლები)**

1493-1494 წლებში ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505) თავისი კარის ეკლესიის მოძღვარი ხუცესი ნილო ელჩად გაგზავნა ჯერ ეგვიპტეში, შემდეგ კი ესპანეთსა და რომში. იგი ცნობილია კირ-ნილოსის სახელითაც<sup>1</sup>. ნილო, ზოგიერთ დოკუმენტში მოხსენიებულია, როგორც წმინდა ბასილის ორდენის წევრი.

ნილოს კაიროში მოლაპარაკების შესახებ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი ეგვიპტის სულთანთან გაგზავნის უმთავრესი მიზანი, იერუსალიმში გოლგოთაზე ქართველთა ინტერესების დაცვისათვის სულთნის მხარდაჭერის მოპოვება იყო<sup>2</sup>. ქართლის

---

<sup>1</sup> რაც, ქართველი მეფის მიერ ევროპაში გაგზავნილი ბერძნულად დაწერილი სიგელების გავლენა იყო. ჩვეულებრივ, ქართველი მეფეები დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ბერძნულად დაწერილ წერილებს გზავნიდნენ.

<sup>2</sup> მკითხველს შევახსენებ, რომ საუკუნენახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველ ბერძონაზვნებს ბრძოლა ჰქონდათ გოლგოთაზე პირველობისათვის ჯერ სომხებთან, შემდეგ კი კათოლიკებთან. 1492 წელს მათ მიაღწიეს იმას, რომ ადგილობრივმა სასამართლომ გოლგოთის თხემი გაყო ორ ნაწილად: ჩრდილოეთი ქართველებს დარჩათ, სამხრეთი კი ფრანცისკანელებს. ქართველები იერუსალიმის სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი იყვნენ და ცდილობდნენ გოლგოთაზე თავიანთი სტატუსის აღდგენას.

სამეფო კარისათვის ცნობილი იქნებოდა ის დაძაბული ურთიერთობა, რომელიც ეგვიპტის სულთანსა და ფრანცისკანელებს შორის არსებობდა და კონსტანტინე II-მ ამ მდგომარეობის გამოყენება სცადა<sup>1</sup>. ვფიქრობ, წმინდა მიწის განთავისუფლებისათვის ჯვაროსნული მოძრაობის გამოცოცხლების მიზნით და არა ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად გაიგზავნა ნილო ესპანეთში<sup>2</sup>, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს.

ოსმალები როგორც XV ს. 50-70-იან წლებში არ უქმნიდნენ სერიოზულ საშიშროებას საქართველოს, მდგომარეობა რადიკალურად არ შეცვლილა არც იმავე საუკუნის 80-90-იან წლებში. აღმოსავლეთ საქართველო, კერძოდ, კონსტანტინეს სამეფო ირანის ტერიტორიაზე არსებული თურქმანების აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს აგრესიას განიცდიდა. არ ჩანს ნილოს ეგვიპტეში ელჩობის შედეგი, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ კაიროდან წამოსულმა საქართველოს ელჩმა იერუსალიმიდან ესპანეთის ელჩი მარტინ დიას დე აუქსში<sup>3</sup> საქართველოში წამოიყვანა.

---

<sup>1</sup> მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVI სს.), თბ., 2009, გვ. 100-104.

<sup>2</sup> შდრ. პაპაშვილი მ., ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ევროპული პოლიტიკის ისტორიიდან, „საისტორიო ვერტიკალები“, თბ., 2002, №2, გვ. 70, 71, 74. ანტიოსმალური კოალიციის შექმნით საქართველოს პოლიტიკოსები დაინტერესებულნი არ იყვნენ XV საუკუნის მეორე ნახევარში. იხ. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVI სს.), გვ. 39-94.

<sup>3</sup> ჩვენს ისტორიოგრაფიაში ი. ცინცაძის მიერ გამოქვეყნებული კონსტანტინე II-ის სიგელის რუსული თარგმანის მიხედვით (ცინცაძე ი., მასალები რეკ პოსპოლიტასა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 89), მიღებულია, რომ ესპანეთის მეფემ ელჩი კი არა, ელჩები გაგზავნა. ასეა ჩემს წიგნშიც (მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVI სს.), გვ. 96-

მეფემ ელჩებს გაატანა წერილები, რომელთაგან ერთი განკუთვნილი იყო ესპანეთის მეფე-დედოფალ — ფერდინანდისა და იზაბელასათვის, მეორე კი რომის პაპ ალექსანდრე VI-ისათვის. მეფემ ელჩებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, სიტყვიერადაც დააბარა. მათ სხვა საგანგებო დავალებაც მიეცათ: წმინდა მიწაზე შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორებით დაინტერესებულმა მეფე კონსტანტინემ ესპანეთში მიმავალ ნილოსს რომში პაპ ალექსანდრე VI-სთან ვიზიტაც დაავალა. ელჩს პაპი უნდა დაერწმუნებინა ქართველი მეფის მუსლიმანთა წინააღმდეგ ომისათვის მზადყოფნაში. კონსტანტინე II-მ თავის ელჩს პირდაპირ დაავალა *„რათა განეცხადებინა (პაპისათვის — ე. მ.) თავისი მორჩილება, როგორც წმინდა მიწებზე ქრისტეს ნაცვალის მიმართ და ეთხოვა მისთვის შეეგულიანებინა დასავლეთის მეფეები საღვთო ომისათვის სარკინოზების წინააღმდეგ“*. კონსტანტინე პაპს პირდებოდა, რომ აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანებთან ერთად, ისიც მონაწილეობას მიიღებდა მუსლიმანების წინააღმდეგ ომში<sup>1</sup>. ამგვარად, ქართველი მეფე კონკრეტულად ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლას ან ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობას არ პირდებოდა ესპანეთის მთავრობასა და რომის პაპს. მაგრამ იგი ესპანეთში გაგზავნილ სიგელში სრულიად გარკვევით შეახსენებს: „როგორც თქვენმა მეუფებამაც იცის, *უღვთო სპარსთაგან მარად*

---

97. ახლა ზუსტდება, რომ სინამდვილეში საქართველოში მოვიდა ერთი ელჩი.

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპილ არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984, გვ. 109.

*უამს წამებული ვართ და მათ მრავალი ბოროტება მოგვაგვს ჩვენ*<sup>1</sup>.

მეფის ამ სიტყვების შემდეგ ესპანელებისთვის გასაგები უნდა ყოფილიყო, ქართველი მეფე ვის წინააღმდეგ, სპარსელებისა თუ თურქების წინააღმდეგ ითხოვდა დახმარებას.

მეფე კონსტანტინეს მოწოდებას წმინდა მიწის გასანთავისუფლებლად ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის და არა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ, პაპი შემდეგნაირად გამოეხმაურა: „სრული აღფრთოვანებით შევხვდით თქვენს შესანიშნავ განზრახვას და გეგმას იესო ქრისტეს სარწმუნოების მიმართ ამბონებულთა წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ. ასეთი ლაშქრობა ყველგან მომზადდება და ის, რომ *შენ ამ მხსნელი წამოწყებისათვის გვთავაზობ ლაშქარს შენი შვილის მეთაურობით, პატივასხილი საფლავების გაწმენდისა და ქრისტესათვის ჩაგრული ხალხის განთავისუფლების მიზნით*, ძნელია გამოითქვას, რამდენად ალგვაფრთოვანა ამ ცნობამ და როგორ *ღირსეულ მადლობას ვწირავთ ყოვლისშემძლე უფალს იმისათვის, რომ მან შენს უდიდეს გონებაში ჩასახა ასეთი მისწრაფება და მოვალეობის გრძნობა სარწმუნოების წინაშე*; შენ იმდენად ამშვიდებ ჩვენს სულს და სურვილს *ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისათვის და მისი მოძღვრებისათვის ზრუნვით*, რომ გვახარებს ქრისტიანთა წარმატება“<sup>2</sup>. ამონარიდი სრულიად ნათელს ხდის, რომ ქართლის მეფე ოსმალეთის სახელმწიფოს და მისგან შექმნილ საშიშროებაზე არ სწერს რომის პაპს.

---

<sup>1</sup> ცინცაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტასა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 83.

<sup>2</sup> ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), გვ. 217.

კონსტანტინე II ელჩების დონეზე ურთიერთობის გაგრძელებას სთავაზობდა ესპანეთის ხელისუფლებას<sup>1</sup>.

ესპანეთის მეფეებმა საპასუხო წერილი გაუგზავნეს ქართველ მეფეს<sup>2</sup>.

წერილის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველმა ელჩებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ესპანეთის სამეფო კარზე. ისინი მოხსენიებულნი არიან, როგორც „შესანიშნავი, ღვთისმოსავი და ბრწყინვალე ორატორები“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, მეფე კონსტანტინემ გაითვალისწინა პაპის კურიის ინტერესი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კათოლიკური ეკლესიისადმი დაქვემდებარების შესახებ და მას, დახმარების სანაცვლოდ დაპირდა, რომ თუ ფერარა-ფლორენციის კრების (1437-1439) გადაწყვეტილებებს გაუგზავნიდა და მათი გაცნობის შესაძლებლობა ექნებოდა, მაშინ შესაბამის დასკვნას გამოიტანდა. ამ თხოვნით ქართველი მეფე და მისი დიპლომატები პაპს გარკვეულ იმედს უსახავდნენ ეკლესიათა შეერთების შესახებ. ამგვარად, ქართლის მეფე პაპს სთხოვდა იმ გადაწყვეტილებების გაგზავნას, რომლებიც, ერთ დროს, იმავე საეკლესიო კრების ქართველმა

---

<sup>1</sup> ცინცაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტასა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 83.

<sup>2</sup> წერილი პირველად გამოაქვეყნა ე. ხინთიბიძემ (ხინთიბიძე ე., ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ, „ცისკარი“, 1986, № 3, გვ. 148).

<sup>3</sup> ყურადღებას იპყრობს ნილოს და ზაქარიას მოხსენიება ორატორებად. ძველი რომის დიპლომატიურ სამსახურში იყვნენ სპეციალური ელჩები, რომლებსაც დანიშნულების ადგილას დანაბარები ზეპირად უნდა გადაეცათ. რადგან ქართველმა ელჩებმა, ფაქტობრივად, დიპლომატიური მოლაპარაკების უმთავრესი საკითხები წერილობითი სახით კი არ წაიღეს, არამედ ზეპირად უნდა მოეხსენებინათ, ამიტომ ესპანეთის დიპლომატიურმა უწყებამ მათ მიმართ გამოიყენა გარკვეული კატეგორიის ელჩებისათვის განკუთვნილი სახელწოდება – ორატორი.

დელეგატებმა უარყვეს. აღფრთოვანებული პაპი, როგორც მისი ეპისტოლედან ჩანს, კონსტანტინეს პასუხობს: „ჩვენ უაღრესად მოხარული ვართ, რომ შენი უდიდებულესობა მისწრაფის ნამდვილ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ჩასწვდეს და ჩვენი სახით სთხოვს ჩვენს უწმინდეს სამოციქულო ტახტს, მთელი ქრისტიანობის მეთაურს, ჩამოაყალიბოს ყველაფერი, რაც კი შეეხება ამ სარწმუნოების სწორ დაცვას... ამიტომ ჩვენ ახლა გივზავნით კრების დადგენილებას, წერილში ჩადებულს და ჩვენი ბეჭდით დალუქულს, და ვთავაზობთ შენს თავდადებულობას, უბრძანოთ: გაავრცელონ და მიიღონ იგი შენი ქვეყნის ყველა პროვინციაში, როგორც ქრისტეზე, უფლის ჭეშმარიტ შვილზე, მითითებები და დადგენილებები... მაშინ ჩვენ ყველანი ვიქნებით ერთიანი და ახლობელნი... მაშინ ვერც ერთი მტრული იარაღი ვერავითარ ზიანს ვერ მოგვაყენებს, ვინაიდან მჯერა, რომ მათზე გაიმარჯვებს მეუფება“<sup>1</sup>. რამდენადაც ცნობილი არ არის, როდის ან როგორ დაბრუნდა ნილო სამშობლოში (დაბრუნდა კი?), ამდენად არც ის ვიცით როგორი რეაქცია ჰქონდა კონსტანტინე I-ს ფლორენციის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებზე.

ესპანეთის კათოლიკე მეფეები (ასე უწოდებდნენ ფერდინანდსა და იზაბელას) დიდ სიხარულს გამოხატავენ ქართველი მეფის კათოლიკური სარწმუნოებისადმი „ერთგულებისა, მისდამი სამსახურისა და პატივისცემის გამო“. საინტერესოა რას გულისხმობდა კონსტანტინე მეფე კათოლიციზმისადმი გამოთქმულ სიტყვებში? მისი გარკვევა საჭიროა იმი-

---

<sup>1</sup> ტაბალუა ი., საქართველო ევროპილ არქივებსა და წიგნსაცავებში წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984, გვ. 207-210; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 83.



ტომაც, რომ გააზრებული იქნეს ხუცესი ნილოს მიერ კათოლიკობის „ალიარება“ ესპანეთში ან რომში.

ქართველმა საეკლესიო და საერო მოღვაწეებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ ჯერ კიდევ 1245 წელს (ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებამდე დიდი ხნით ადრე) პაპმა ინოკენტი IV-მ (1243-1254), აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანების გასაერთიანებლად, ლიონში მოიწვია XIII მსოფლიო საეკლესიო კრება. მანამდე კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, პაპმა თავისი წარმომადგენლების ხელით გაუგზავნა წერილები ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, მათ შორის „ივერიელებისა“ და „ქართველების“ იერარქებს და მათ ადრინდელი ერთობისაკენ მოუწოდა<sup>1</sup>.

საეკლესიო კრების დამთავრების შემდეგ, იმავე წლის 15 ივლისს ინოკენტი IV-მ კვლავ მიმართა საქართველოს პატრიარქს<sup>2</sup>, „რათა იგი დაუბრუნდეს ერთიან ეკლესიას“<sup>3</sup>.

პაპ ალექსანდრე VI-ის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმირებული იყვნენ კათოლიკური სახელმწიფოები, მათ შორის ესპანეთის ის სამეფოებიც, რომლებიც კათოლიციზმის გამარჯვების ლოზუნგით ჯერ კიდევ არაბებს ებრძოდნენ. ესპანეთის გაერთიანების შემდეგ კი, ფერდინანდი თავგამოდებულ კათოლიკედ აღიარეს. ყოველივე ეს ქართლის სამეფო კარზე, ცნობილი იყო იერუსალიმიდან პერიოდულად მიღებული ინფორმაციებით, ბევრ რამეს კირ-ნილოსთან ერთად საქართველოში მოსული ესპანეთის ელჩისგანაც შეიტ-

---

<sup>1</sup> Приходько Г., История христианства в Казахстане и Средней Азии в Средние века, Караганда, 2010, с. 15.

<sup>2</sup> XIII საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს პატრიარქი იყო არსენ IV (1241/2-1249/50).

<sup>3</sup> ლუის ხილი ფერნანდესი, ი. ტაბალუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1991, გვ. 88.

ყობდნენ. კონსტანტინეს მიერ კათოლიციზმისადმი გამოხატული დამოკიდებულება მხოლოდ ესპანეთის კათოლიკე მეფეების გულის მოგებისათვის იყო და მას რეალური საფუძველი არ ჰქონდა.

ესპანეთის მეფეების წერილიდან ჩანს, რომ მათთვის ცნობილია საქართველოს არასახარბიელო მდგომარეობა, მაგრამ საიმედოს არაფერს პირდებიან. მთავარია ქართველებმა კათოლიციზმის გამარჯვებისათვის იბრძოლონ: „როგორც გვიამბეს, ყოველდღიურად უსიამოვნებები გაქვთ და საფრთხე არ გშორდებათ, რასაც დიდი გულისტკივილით განვიცდით და მაინც ყველაფრისათვის მადლი უნდა შევწიროთ უფალს და შევევედროთ, რომ თქვენცა და მთელი საქრისტიანო, ურწმუნოთა ძალისა და ბატონობისაგან გამოიხსნას, დაიცვას და გამარჯვებული ატაროს. ეჭვი არ არის, უფალი ღმერთი ამ საქმეში თავის ღვთიურ წყალობას არ მოგვაკლებს, თუ თქვენი ბრწყინვალეობა კათოლიკური სარწმუნოების დაცვისა და განახლებისათვის ძველებური შემართებით იბრძოლებს და მტერს შეაჩერებს. ამის განსახორციელებლად აუცილებელია დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, რისთვისაც კვლავ თხოვნით მივმართავთ თქვენს ბრწყინვალეობას და უფლის გულისათვის ვევედრებით... დანარჩენ წინადადებებს, თქვენი სიტყვები რომ გადმოგვცეს ზემოხსენებულმა ორატორებმა, ვიწონებთ და ასეთი სიკეთისათვის დიდ მადლობას გწირავთ... სხვა რამეებზეც გულწრფელი პასუხები გავეცით ხსენებულ ორატორებს; ისინი რასაც იტყვიან, თქვენი ბრწყინვალეობა ინებებს მათთვის მფარველობის გაწევას“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ლუის ხილი ფერნანდესი, ი. ტაბალუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), გვ. 306-308.

წერილიდან არ ჩანს კონკრეტულად რა მოთხოვნები ჰქონდა მეფე კონსტანტინეს, რომლებზე პასუხიც ესპანეთის მეფეებმა ასევე ზეპირად გამოუგზავნეს.

კონსტანტინე მეფის და ესპანეთის მეფეების წერილებს როდესაც ვეცნობით, ნათელი ხდება, რომ 130 წლის შემდეგაც კი (გავიხსენოთ ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და დიპლომატის ნიკიფორე ირბანის – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ელჩობა ესპანეთსა და რომში), თითქმის არაფერი შეიცვალა ქართველი მეფის ესპანეთის სამეფო კარისადმი სათხოვარსა და ამ უკანასკნელის პასუხში. შინაარსობრივად რამდენად ახლოსაა წერილები ერთმანეთთან, როგორ ნაცნობია ქართველი მეფის პათოსი ქრისტიანობის მტრებთან ბრძოლის შესახებ, შეფარვით თხოვნა ირანის აგრესიისაგან თავდაცვაში დახმარების შესახებ და ესპანეთის მთავრობის დინჯი, დამრიგებლური ტონი.

ნილომ რომიდან წამოიღო ალექსანდრე VI-ის საპასუხო წერილი, რომელშიც ავტორი იწონებს მეფე კონსტანტინეს წერილში დასმულ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს: 1. მეფის მიერ სამოციქულო ტახტისადმი პატივისცემისა და ერთგულების გამოხატვას; 2. მუსლიმანთა წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობის მოწოდებას; 3. წმინდა მიწის განთავისუფლებისათვის ზრუნვას; 4. მისწრაფებას, ჩასწვდეს ნამდვილ მართლმადიდებლურ (ამ შემთხვევაში კათოლიკურ) სარწმუნოებას და პაპს სთხოვს „ჩამოაყალიბოს ყველაფერი, რაც კი შეეხება ამ სარწმუნოების სწორ დაცვას“; 5. პაპმა გაუგზავნოს „სარწმუნოებრივი გადაწყვეტილება, რომელიც ჩამოყალიბებულია ფლორენციის კრებაზე“.

პაპმა კონსტანტინე II-ს მხოლოდ ბოლო, მეხუთე თხოვნა შეუსრულა: მან კონსტანტინეს გაუგზავნა ფლორენ-

ციის კრების გადაწყვეტილება და ტყვეით დაბეჭდილი წერილი<sup>1</sup>.

ი. ცინცაძემ პაპის მიერ ხუცესი ნილოსთვის მიცემულ სარეკომენდაციო ბარათის მიხედვით დაასკვნა, რომ იგი ევროპიდან სამშობლოში კათოლიკედ დაბრუნდა<sup>2</sup>. ამის დაჯერება შეუძლებელია, რადგან პაპის მიერ გაცემულ დოკუმენტში მსგავსი არაფერი წერია. მასში ნილო მოხსენიებულია მხოლოდ წმ. ბასილის ორდენის წევრად. ამ დროს ბასილიანობის მიმართ რომის დამოკიდებულება კომპრომისული იყო, რადგან აღნიშნული მიმდინარეობის წევრობა, როგორც ევროპაში ელჩებად გაგზავნილი ქართველი სასულიერო პირები თავს აცხადებდნენ ხოლმე, რაღაც საშუალო რგოლი იყო მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის. ისიც უნდა ითქვას, რომ XV საუკუნეში რომის ეკლესია გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა ქართული ეკლესიის მიმართ. შეიძლება გავიხსენოთ ერთი ფაქტი: ნილოს რომში ყოფნის დროს პაპის, ალექსანდრე VI-ის კანცელარიაში 1496 წელს სპეციალურად ქართლის მეფე კონსტანტინე მეორესათვის შეიქმნა საინტერესო დოკუმენტი – „სამახსოვრო“. მასში ნაბრძანებია, რომ სიტყვა-სიტყვით გადაწერონ ალექსანდრე VI-ის წინამორბედი პაპის ევგენიუს IV-ის (1431-1447) ერთი წერილი, აღმოჩენილი მის რეესტრში (ჩანაწერების წიგნი). წერილი შეიცავდა ევგენიუს IV-ის იმ დათმობებს ქართული ეკლესიის მიმართ, „რომელიც გადმოცემულია (ეხლა, 1496 წელს – ე. მ.) ჩვენს მიერ ქრისტეს უსაყვარლესი შვილის ქართველთა უბრწყინვალესი მეფის კონსტანტინეს

---

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 891-101.

<sup>2</sup> ცინცაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტასა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 26.

მიმართ. წერილი ამტკიცებს, რომ მეფე საჭიროებს ასეთ დათმობას მის ქვეყანაში მართლმადიდებლური სარწმუნოების არსებობისათვის. მეფის ასეთი დაჟინებითი თხოვნის გამო ჩვენ ვუბრძანეთ გადასცენ (წერილის) შინაარსი, რომელიც გამოიხატება შემდეგ ში...“<sup>1</sup> ალექსანდრე VI-ის წერილში სამი წერტილია დასმული და აღარ ჩანს რაში მდგომარეობდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისადმი დათმობები. მხოლოდ ნათქვამია, რომ „ქართველი მეფე უერთდება რომის ეკლესიას. ქართველები... რომის ეკლესიასთან მათი ერთიანობის აღდგენა. 1496 წელი“<sup>2</sup>

კონსტანტინეს კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებასა და ერთიანობის აღდგენაში ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და რომის ეკლესიას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გაბათილება იგულისხმება. რამდენად გაიზიარა საქართველოს ხელისუფლებამ ეგვნიუს IV-ის წინადადებები თუ დათმობები, ამის გარკვევა დღეს შეუძლებელია. მაგრამ გვაქვს ზოგიერთი მინიშნება, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის რომსა და საქართველოს შორის ურთიერთობაზე.

საქართველოს წარმომადგენლის არგუმენტირებულმა პროტესტმა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებების გამო, აიძულა პაპი ეგვნიუს IV დათმობებზე წასულიყო ქართული ეკლესიის მიმართ. სამწუხაროდ, არ გვაქვს ის დოკუმენტი, რომელშიც კონკრეტულად აისახა ის დათმობები, რომლის საფუძველზე ნახევარი საუკუნის შემდეგ, პაპის ალექსანდრე VI-ის ბრძანებით, სპეციალურად ქა-

---

<sup>1</sup> ტაბალუა ი., საქართველო ევროპილ არქივებსა და წიგნსაცავებში წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984, გვ. 219-220.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 110.

როლის მეფე კონსტანტინე მეორესათვის 1496 წელს შეადგინეს „სამახსოვრო“.

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების შემდეგ რომ საგრძნობლად შესუსტდა ურთიერთობა საქართველოსა და რომს შორის, ამის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ 1328 წელს თბილისში გადმოტანილმა კათოლიკე ეპისკოპოსის კათედრამ, კრების შემდეგ არსებობა შეწყვიტა. კარგა ხანს თბილისში აღარ არიან კათოლიკე ეპისკოპოსები. კათედრა აღსდგა მხოლოდ 1493 წელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საეჭვოა, რომ რომში იმგვარი ზემოქმედება მოეხდინათ ზუცეს ნილოზე, რომ იგი კათოლიკობის აღიარების აუცილებლობის წინაშე დამდგარიყო, რასაც შემდგომ პერიოდში რომის პაპები ქართველებისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ.

მართალია, მღვდელი ნილოსის ელჩობის შედეგებზე ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მაშინ რაიმე სერიოზულის მიღწევა შეუძლებელი იყო. იმ სახელმწიფოებს (ეგვიპტე, ესპანეთი, რომი), რომელთა მეთაურებთანაც მან მოლაპარაკებები აწარმოა, თავიანთი პრობლემები ჰქონდათ.

### **დამოწმებანი:**

თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1995.

ლუის ხილი ფერნანდესი, ი. ტაბალუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1991.

მამისტვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბილისი, 2009.

პაპაშვილი მ., ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ევროპული პოლიტიკის ისტორიიდან, „საისტორიო ვერტიკალები“, თბილისი, 2002, №2.

ცინცაძე ი., მასალები რეჩ პოსპოლიტასა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი, 1965.

ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბილისი, 1984.

ხინთიბიძე ე., ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ, „ცისკარი“, 1986, № 3.

Приходько Г., История христианства в Казахстане и Средней Азии в Средние века, Караганда, 2010.

*Eldar Mamistvalishvili*

*Gori State Teaching University*

**FROM THE HISTORY OF RELATIONS GEORGIA  
WITH SPAIN AND ROME (90S OF 15<sup>TH</sup> CENTURY)  
RESUME**

In 1493-1494 Constantine II, the king of Kartli (1478-1505) sent Nilo, - the monk and pastor of the church in his court, - as an ambassador first to Egypt, and then to Spain and Rome.

We have no reference about Nilo's negotiations in Cairo, but we may assume that the major reason to send him to Sultan of Egypt was to receive support from the Sultan for protection the interests of Georgians in Jerusalem, on Calvary.

Nilo's ambassadorship in Spain obtained a result of expressed willingness to continue diplomatic relations of King Ferdinand and Queen Isabelle.

Georgian ambassador took the decision of Florence convention and a letter sealed with plumbum.

## ნიკოლოზ-ჯანესი ქართველი ემიგრანტი გერმანიიდან

ყოველი ადამიანის თითოეული ნაბიჯი ისტორიაა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგაც ისეთი ხანგრძლივობით განაგრძობს სიცოცხლეს, თუ რამდენად ემსახურა იგი თავისი ერის კეთილდღეობას. ამ განასერში წარმოვადგენთ ემიგრანტ ნიკოლოზ-ჯანესის (ნიკოლოზ ჯანელიძის) ცხოვრებამოღვაწეობას.

იგი 1921 წლის 12 თებერვალს დაიბადა, როცა ჯერ კიდევ ტოკავდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს თავისუფლების წუთები: „მე ძველ სამტრედიაში ვარ დაბადებული. ოთხწლელი ქალაქის სასწავლებელში სასიერნო ბალთან დავამთავრე. მერმეთ კი რკინიგზის საშუალო სკოლაში შემიყვანეს. იქ შუშანა და დავით ქართველიშვილები (ძვ. სამტრედელები) იყვნენ ჩემი მასწავლებლები. პროკლე ტაბიძე გალაკტიონის ძმაც იყო ჩემი მასწავლებელი“.<sup>1</sup>

სკოლის დამთავრებისთანავე ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც 1935 წლიდან ფუნქციონირებდა და ნ. ჯანელიძეც ამ სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველი კურსდამთავრებული გახდა.

მომავალი პედაგოგი გორის ინსტიტუტში საფუძვლიანად ეუფლებოდა საქართველოს ისტორიასა და მშობლიურ

---

<sup>1</sup> კახნიაშვილი ვ., პირადი არქივიდან, იტცეპოე, 1993.



ლიტერატურას, რომელსაც ახალგაზრდა ლექტორი, შემდგომში ცნობილი პროფესორი, ალექსანდრე ღლონტი ასწავლიდა. გორი გახდა მისი ყრმობისა და ლექსების ბუდე. 1940 წლის 18 ივნისს გორში გადაღებულ სურათზე ნ. ჯანელიძეს დაწერილი აქვს ლექსი:

„უმოკლეს დროში...

დავტოვებ ოჯახს, დავტოვებ მშობლებს,  
დავტოვებ ძვირფას ნაცნობ-მეგობრებს,  
და მთელი გრძნობით, ამასაც ვფიქრობ  
ყველა ესენი თუ მომიგონებს?!“

რა იყო ეს?!... წინასწარმეტყველება თუ წინათგრძნობა?!... გულისკარნახი თუ აფორიაქებული სულის ტკივილი?! ან რატომ უნდა ჩაძირულიყო ახლობელთა მოგონებათა ლაბირინთებში ჯერ კიდევ 20 წლის სიცოცხლით სავსე ჭაბუკი?!...

წინათგრძნობა მალე სინამდვილედ იქცა. ახალბედა მასწავლებელმა დიპლომის აღება და არჩეული პროფესიის რეალიზებაც ვერ მოასწრო, რომ მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო.

სილოვან ჯანელიძის ერთადერთი ვაჟიშვილი ომში პირველ ნაკადშივე გაიწვიეს. ერთი წლის შემდეგ ოჯახმა მისი უგზო-უკლოდ დაკარგვის მაუწყებელი სამკუთხა ბარათი მიიღო.

მშობლებს შვილის უგზო-უკლოდ დაკარგვის ცნობა გულის სიღრმეში ერთგვარ იმედსაც უსახავდა და მოსვენებას არ აძლევდა.

„სილოვან ჯანელიძე დაწოლის წინ მის ნაგრამს, როცა პირველად გადაწერდა, მუდამ ერთდაიგივე სიტყვას აყოლებდა ხოლმე: „-შვილო, კოლია, სადაცა ხარ მამა, იქ გავიმარჯვოსო...“ ხოლო დედას კი – ივლით ბაღდავაძეს აკვიატებულად,

თვალი მუდამ ჭიშკრისაკენ ეჭირა. ეტყობოდა შვილის დაბრუნების წუთებს წარმოსახვაში ელაციცებოდა კიდევ“.

საქართველოდან შორს მყოფი ნიკოლოზ-ჯანესი, მუდამ სულიერ კავშირში იყო სამშობლოსთან, მშობლებთან და ახლობლებთან: „ჩემო დედიკონა, გენაცვალე! როგორ მყავს შენი საყვარელი თავი – ჩემო ტკბილო, კეთილო, დედა! მე უამრავი სამუშაო მაქვს. ჩემი სიცოცხლის ყოველ წუთს ქართული საქმის საკეთილდღეოდ ვიყენებ. ამის გარეშე მე ალბათ სულიერად და ტანადურად მკვდარი ვიქნებოდი! მოკითხვა ყველას, გოცნი ბევრს.

შენი შვილი კოლია“

(იტყეპოე 30.11.1977).

ცნობილია, რომ დიდი ილია უცხოელთა სტუმრობას საქართველოში ფართო მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ისინი ქართული კულტურით მოხიბლულნი თავიანთ ქვეყანაში აქვეყნებდნენ ნაშრომებს საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, იჩენდნენ დაინტერესებას ქართული ენის, კულტურის, ტრადიციების მიმართ და ქართული კულტურის მონაპოვარს აცნობდნენ თავიანთ თანამემამულეებს. 1894 წლიდან ილიამ, პირველმა, შემოქმედებითი ურთიერთობის ხიდი გაღო ჯერ ინგლისელ და-ძმა უორდროპებთან, შემდეგ კი გერმანელ მწერალ არტურ ლაისტთან.

ერის საჭეთმპყრობელს „ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმნა“ დიდ სამსახურად მიაჩნდა.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ილიას გზას დაადგა და შეუერთდა კიტა ჩხენკელის მოწოდებას: „მხოლოდ ის ერი, რომელიც დაანახებს სხვა ერებს თავის მეობას, თავის ეროვნულ სულს, – მხოლოდ ისეთ ერს გააჩნია მომა-

ვალი და უკვდავება. მანამ რა პოლიტიკაზეა ლაპარაკი, თუ ერს არ იცნობენ, და ერის გაცნობა კი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მისი ერთი და მისი კულტურული ავლადიდებით. აქ, წარმოდგენაც არა აქვთ, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს არარუსების ამოქმედებას რუსეთის კომუნიზმთან ბრძოლაში<sup>1</sup>. ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთად ნიკოლოზ ჯანელიძეც ჩაება ამ დიდ ეროვნულ საქმეში, რომელიც ბედის ირონიამ, ქერხთან ტყვედ ჩავარდნის გამო, სამუდამოდ მოწყვიტა სამშობლოს.

მთელი 50 წლის მანძილზე ნიკოლოზ-ჯანესი გერმანელებს საქართველოს სიყვარულს ასწავლიდა, ისეთ სიყვარულს გერმანელ მწერალს არტულ ლაისტს რომ ჰქონდა დიდი ილიასა და მე-19 საუკუნის გამოჩენილ მამულიშვილთა მიმართ.

ომის დამთავრებისა და „წითელი საფრთხის“ გავლის შემდეგ ნიკოლოზ-ჯანესს, როგორც ყოფილ ტყვეს, კონსპირაცია უკვე აღარ სჭირდებოდა. იგი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დარჩა, რადგან აქ ეგულებოდა ყველაზე ახლობელი ქალი, რომლის სიყვარულს ვერსად გაექცეოდა.

მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველ დროში არავის სიყვარულზე ცოცხლობდა ისეთი ლეგენდა, როგორც მისი და ლილი გეგელაშვილი-პაპეს სიყვარულის ლეგენდა იყო. დაქვრივებული ლილი პატარა შვილთან ერთად იტცეპოეში ნიკოლოზ-ჯანესთან ჩავიდა. და, იმ დღიდან დაიწყო ლილი გეგელაშვილი-პაპესა და ჯანესის ერთობლივი მუშაობა დიდი ქართული საქმისათვის.

პირველი გერმანულად თარგმნილი წიგნი „ინო მოციქული“ 1961 წელს დაიბეჭდა კიტა ჩხენკელის გამომცემლო-

---

<sup>1</sup> ჟურნალი „სამშობლო“, №1, თბილისი, 2009, გვ. 117-118.

ბა „ამირანში.“ „Die Apostolin Nino“ – ამ ძველი ქართული მწერლობის ძეგლში, ლეგენდაზე დაყრდნობით მოთხრობილია წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ანუ გაქრისტიანების ამბავი. წიგნის ანოტაციით ირკვევა, რომ მას გერმანულად გადათარგმნაში ეხმარებოდა ცნობილი ქართველი მეცნიერი პროფესორი მიქელ თარხნიშვილი. ნ. ჯანელიძემ წიგნი ღირსეულ თანამემამულეს, ომის დროს და შემდგომაც მის მფარველსა და მასწავლებელს მიქელ თარხნიშვილს მიუძღვნა. სულიერი მოძღვრის კურთხევით ნ. ჯანელიძემ კათოლიკური რწმენა მიიღო და მისივე ხელმძღვანელობით დაამთავრა ვატიკანში ასპირანტურა, რითაც ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის მასწავლებლობის უფლება მოიპოვა.

თუ ვინმეს წარსულში ჩვენი სამშობლოსათვის ემიგრაციაში სამსახური გაუწევია, – სამსახური უანგარო, წრფელი, თავდადებული, – გაუწევიათ ნიკოლოზ ჯანელიძესა და ლილი გეგელაშვილ-ჰაპეს თავის ვაჟიშვილ ულისთან ერთად. მათ ღმერთივით უყვარდათ საქართველო.

სწორედ ამ სიყვარულის გვირგვინია ერთად ნათარგმნი 1970 წელს გამოცემული წიგნი „ქართული სამზარეულო“. 1981 წელს გერმანულ გაზეთში გამოქვეყნებული წერილში „ქართული სამზარეულო“ – „ასწლოვანების ქვეყნიდან“ – რეცენზენტი აღნიშნავდა: „ქართული სამზარეულოს წიგნი“, შედგენილი და ნათარგმნი ნიკოლოზ ჯანელიძის მიერ, სავსეა „ასწლოვანთა“ ჯანმრთელი კვების რეცეპტებით. სულ წიგნში 333 რეცეპტია შესული.

მრავალფეროვანი ქართული სამზარეულოდან ძნელია ამოარჩიოთ ერთ-ერთი. აქ წარმოდგენილი კერძები უცხოა ევროპულ და დასავლური სამყაროსთვის, რადგან ისინი თავისთავში ინახავენ საიდუმლოს – ესაა გემოს საიდუმლოება. თუ გსურთ იყოთ დღეგრძელნი, მაშინ მიმართეთ ჯანეს მისა-

მართზე: იტცეპოე, ქართული გამოცემა – „საქართველო“, – ნიკოლოზ ჯანელიძე საფოსტო ინდექსი 1203, 20210. წიგნის ღირებულება 30-მარკაა, რომელიც ილუსტრირებულია ნახელავთა ფოტოებით“.

1974 წელს იმავე გამოცემლობა „საქართველო“ გერმანულ ენაზე გამოცა „ქართული ზღაპრები“. კრებულში 29 ქართული ზღაპარია შესული. ქართული ხალხური ზღაპრების გვერდით წიგნში ასევე შეტანილია აკაკი წერეთლის „ყმაწვილი და პეპელა“ და ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრები“.

წიგნის მხატვრობა ქართული მოტივების მიხედვით და გარეკანი ეკუთვნის იოჰანეს კლოტცს. მასვე ერთვის გოტფრიდ დირსენის ბოლოსიტყვაობა. წიგნი ეძღვნება ულრის პაპეს დედისაგან (14. X. 1943 – 8. VI. 1973).

„ქართული ზღაპრების“ გამოცემასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანული გაზეთ „დი ველტ“-ში ჟურნალისტი ბარბარე ნიოლე მოგვითხრობს: „მომაკვდავ ვაჟთან ერთად ჩაწერა დედამ თავისი ზღაპრები. „– ჩემს ვაჟს უყვარდა ცხოვრება“, – ამბობს დედამისი. და ის იწყებს მისი ცხოვრებისა და გარდაცვალების ამბის თხრობას...“

1922 წ. ლილია (ლილი) პაპე-გეგელაშვილი გერმანიაში ჩამოვიდა ემიგრაციით საქართველოდან, კავკასიის ქვეყნიდან. 1943 წ. ოქტომბერში დაიბადა ულრიჰი, მამამისის, გერმანელი მაიორის, დაღუპვიდან მცირე ხნის შემდეგ. 1965 წელს ულიმ სკოლა დაამთავრა, ნიურნბერგში დაიწყო სწავლა სამრეწველო მეურნეობის უმაღლეს სასწავლებელში. ამ დროს შენიშნა მოახლოებული სიკვდილის სიმპტომები. თვალის ექიმმა 1968 წ. დიაგნოზი დასვა: ტვინის კიბო. 1968 წლის დეკემბერში ოპერაცია გაუკეთეს ულის. მას დაუმაღლეს, რომ ყველაზე ავთვისებიანი კიბო ჰქონდა... ოპერაციის

შემდეგ, 1969 წლის შემოდგომაზე დედა და ვაჟი იტყუპოეში ჩამოვიდნენ...

„ჩვენ უკვე ერთად დავწერეთ ჩემი სამშობლოს, საქართველოს, „სამზარეულოს წიგნი“, – თქვა დედამისმა.

„ეხლა კი ული მეტი დაჟინებით მოხოვდა: „ჩვენი ძველი ზღაპრებიც უნდა ვთარგმნოთ“...

და ისინიც ჩამოსხდნენ, მომაკვდავი ული და მისი მომღიმარი დედა, და ისინი თარგმნიდნენ, ხვეწდნენ ტექსტს, სანამ ქართული ენის ჯვადოს გერმანულად არ გადაიტანდნენ.“

უღრის პაპე მამამისივით 29 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიკვდილიდ წინ მისი სიტყვები იყო: „გაუძარჯოს საქართველოს“. იგი ვერ ეღირსა ზღაპრად ქცეული დედის სამშობლოს ხილვას, რომელიც მის აუხდენელ ოცნებად დარჩა. სამაგიეროდ, ბედნიერი იყო იმით, რომ საწუთროსაგან დათვლილ წამებს „ქართული ზღაპრებისა“ და „ქართული სამზარეულოს“ წიგნების გერმანულ თანამემამულეთათვის გაცნობის საქმეს ახმარდა.

„ახლახან ჟურნალმა „მოისმინეთ“ ჩვენი ზღაპრების გარეკანი ფერებში გამოაქვეყნა და თან კარგად აწერია. ამ ჟურნალის ტირაჟი კვირაში ერთი გამოცემით არის 4 მილიონი ცალი. ასე რომ, რამოდენიმე გერმანელმა წაიკითხა ცოტა რამ კარგი ქართული ზღაპრების წიგნზე და საქართველოზე. ლილის და ჩემი მიზანიც ეს არის – და ეს მიზანი იყო ულისიც. ამით ჩემი დედის გულსაც ვახარებ, რომელიც მეორე ომის დაწყებიდან დაჩაგრულია“, – წერდა ნიკოლოზ ჯანესი გერმანისტ ვიქტორ კახნიაშვილს.<sup>1</sup>

უცხოეთსა თუ ჩვენში დიდი გამოხმაურება მოჰყვა „ქართული სამზარეულოს“ წიგნისა და „ქართული ზღაპრე-

---

<sup>1</sup> კახნიაშვილი ვ., პირადი არქივი, იტყუპოე, 18. 11. 1993.

ბის“ კრებულის გამოცემამ, რომლებზეც მრავალი საგაზეთო სტატია თუ პირადი წერილები მოგვითხრობენ:

„დიდად პატივცემულო ბატონო ნიკოლოზ!

დიდ მადლობას მოვახსენებ „ქართული ზღაპრების“ გერმანულ ენაზე გამომცემლებს ამ წიგნის გამოგზავნისათვის. მშვენიერი გამოცემაა.

გისურვებთ შემდგომსა და შემდგომ წარმატებას. ამასთანავე გაახლებ ჩემს მიერ უკანასკნელად გამოცემულ წიგნს.

მადლობით, ა. შანიძე.  
(თბილისი. 19. IX. 75).”

სამადლობელი წერილის ასლი ნიკოლოზმა უმცროს დას ლიზეტას გამოუგზავნა სამტრედიაში თავისი კომენტარებით, რომელშიც აღნიშნულია: „ეს წერილი დაო ძვირფასია ჩემთვის. ხომ იცი პროფესორი აკაკი შანიძე ახლა 88 წლის იქნება. მისი გრამატიკის წიგნებზე გავიზარდეთ მილიონობით ქართველი ახალგაზრდობა და მილიონობით კიდევ გაიზრდებიან!

ჩვენი „ქართული ზღაპრების წიგნები“ ქალაქ ჩიკაგოში იყიდეს და ყველას მოსწონს. ეს იყო და არის პატარა საჩუქარი საქართველოს და ქართველი ხალხის, რომელშიდაც ჩვენი საყვარელი დედის მოთმენა, ცდა, ჯავრი, თბილი ცრემლები ურევია და სიყვარული!

ამ წერილის ყოველი პირველი სიტყვის ასო იწყება ხუცუროთ. ამის გამო მე გადმოვწერე მხედრული ასოთი“.<sup>1</sup>

ქართველი ხალხის მადლიერების გამოხატულებაა და მრავლისმთქმელია ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის პროფესორ დავით ჩხიკვიშვილის წერილი: „დიდად პატივცემულო ბატონო ნიკოლოზ!

---

<sup>1</sup> ჯანელიძე ნ., პირადი წერილები, იტცეპოე, 20. 10. 75.

მივიღე თქვენი წერილი და შესანიშნავად გაფორმებული ორი წიგნი გერმანულ ენაზე („ქართული ზღაპრები“ და „ქართული კულინარიის წიგნი“), – გამოცემული თქვენი გამოცემლობის მიერ, რისთვისაც გიძღვნით დიდ მადლობას.

დიდი სიამოვნებით გავეცანი თქვენს მეტად ნაყოფიერ საქმიანობას ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით. თბილისის პრესაში ხშირად იბეჭდება ცნობები თქვენი მოღვაწეობის შესახებ. დიდი მწუხარებით შევიტყვევე თქვენი უშუალო თანამოსაქმის ქ-ნ ლილი პაპე-გეგელაშვილის უდროოდ გარდაცვალების ამბავი. მიიღეთ ჩემგან ღრმა სამძიმარი ასეთი მძიმე დანაკლისის გამო.

ბ-ნო ნიკოლოზ! გიგზავნი ჩვენი უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ახალ წიგნებს. ვიმედოვნებ, რომ ეს გამოცემები გარკვეულ დახმარებას გაგიწევთ თქვენს მრავალმხრივ საქმიანობაში.

დ. ჩხიკვიშვილი  
(თბილისი, 1976 წლის 4 ნოემბერი)“.

ამ წერილსაც თან ახლდა ნ. ჯანელიძის მინაწერი, რომელშიც დედას ატყობინებდა: „გუშინ ეს წერილი მივიღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ დ. ჩხიკვიშვილისაგან. რომ იცოდეთ, რა გაუხარდებოდა ჩემს ლილის და რა ამაყი იქნებოდა იგი ყოველი სიტყვისათვის! ეს არის პირველი წერილი, რომელიც ლილის გასვენების შემდეგ მივიღე და ავტირდი. ძალიან დავეცი სულიერად. ბრონქები მქონდა და ცუდად ვიყავი. მინდა თებერვლის თვეში განსაკუთრებული მკურნალობა მივიღო. თბილისიდან 12 სამგლოვიარო დეპეშა მივიღე. ლილი სამოსახლოში ანგელოზს ჰგავდა თავის ლამაზი, კეთილშობილი სახითა და ხუჭუჭა ჟღარა თმით.“



მძიმე, ძალიან მძიმე იყო შვილმკვდარი დედის ტანჯული ცხოვრება. ლილი პაპე-გეგელაშვილი შვილის დაკარგვიდან სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ეს წლები ცოცხლობდა მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლოს წინაშე ვალი გადაეხადა.

და, როგორც ნ. ჯანელიძე მისი ახლობლების ნანა და ლევან ჩხეიძეებისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „მე პირადად ვათრევ სიცოცხლეს ცხოვრებაში ხან ისე და ხან ასე. სურვილი მრავალი და დიდი მაქვს: ჩვენი ლამაზი სამშობლო საქართველო მეტი ცნობილი იყოს ევროპაში!

ჩემი და ლილის შედგენილი „ქართული სამზარეულოს წიგნით“ ავლაპარაკეთ მრავალი გერმანული გაზეთი და ახლა ამერიკაშიც შევდივართ! წერილები მოგვდის მოქალაქეებიდან: „გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ასწლიანი ქართული სამზარეულოს წიგნი“-ო!

ახლა ტელევიზიაც მოგვადგა და ეს იყო ჩვენი მიზანიც. ჟურნალისტებს ვერ ვიცვლეთ სახლიდან. საწყალი ლილი სულ ქართული საჭმელების მზადებასა და ხარშვაში არის, რომელსაც ფერად ფერებში იღებენ და გაზეთებში ბეჭდავენ“.<sup>1</sup>

ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის მსახურნი მიუხედავად მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, მაინც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ქართული კულტურის, ლიტერატურისა და მუსიკის წარმოსაჩენად.

„მიზარია და ამაყიც ვართ იმით, რომ შვეციის კვირეულმა ჟურნალმა ლილის და ჩემი სურათი გამოაქვეყნა ფერებში 20/30 სმ. სიდიდით და თარგმნიან „ქართულ სამზარეულოს“ წიგნს შვედურ ენაზე. ამითაც საქართველოს საშვილი-

---

<sup>1</sup> ჯანელიძე ნ., პირადი წერილები, იტცეპოე, 5. 07. 1975.

შვილო საქმეც გაუკეთეთ. ზღაპრებით კი ყველანი გახარებულელები არიან“, – წერდა დედას.<sup>1</sup>

1976 წელს გამოქვეყნდა „საქართველოში“ გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ქართული პატარა მოთხრობები: ვაჟაფშაველას „შვილის ნუკრის ნაამბობი“ – თარგმანი ლუცია ქურდიანისა. „ბუნება“ თარგმნილი ლილი პაპე-გეგელაშვილისა და ნიკოლოზ ჯანელიძის მიერ.

ილია ჭავჭავაძე – ნაწყვეტი „გლახის ნაამბობიდან“ „მონადირე“ – თარგმნილი ლილი პაპე-გეგელაშვილისა და ნიკოლოზ ჯანელიძის მიერ.

მოთხრობების წიგნს ლილი უძღვნინდა დებს თინას, თამარს, შვილიშვილს – კლაუდია-თამარ პაპესა და მეგობრებს.

1983 წელს ისევ იტცეპოეს გამოქვეყნდა „საქართველოში“ გერმანულ ენაზე გამოიცა „დედა ენა“, რომელიც იაკობ გოგებაშვილის მიხედვითაა შედგენილი და ქართული ენის შემსწავლელ სტუდენტთათვისაა გამიზნული. მის შედგენაში ნ. ჯანელიძესთან ერთად მონაწილეობდნენ კიოლის უნივერსიტეტიდან ულრიკ იუნგი და ჰანს ჰაინრიჰ ნიმანი.

წიგნს წამძღვარებული აქვს ნიკოლოზ ჯანელიძის შემდეგი სიტყვები გერმანულ ენაზე: „თუ ერთი დიდი ძლიერი ერი სხვა პატარა ერების დედა ენას ავიწროვებს და ზღუდავს, მაშინ ის თავის დედა ენასაც პატივს არ სცემს და აბილწებს“.

უფრო ადრე, 1966 წელს, ნ. ჯანელიძემ დაბეჭდა შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიების, გამოსვლებისა და სურათების კრებული, სადაც შესულია ლილი პაპე-გეგელაშვილის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი ირაკლი აბაშიძის ლექსი „რუსთაველის ნაკვალევზე“ (თავისუფალი თარგმანი).

---

<sup>1</sup> ჯანელიძე ნ., პირადი წერილები, იტცეპოე, 10. 01. 1973.

1984 წელს გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული გერმანული პროზაული თხრობა, რომელიც ლილი პაპე-გეგელაშვილთან ერთად შეთანხმებული ჰქონია ასეთი სათაურით: – „Altgeorgisches epos der Recke im Tigerfell von Schota Rustaveli“.

წიგნში ჩართულია მიხაი ზიჩისა და ირაკლი თოიძის ილუსტრაციები. ასევე წიგნის წინასიტყვაობაში მოცემულია კიოლის უნივერსიტეტის პროფესორის ჰანს-ჰაინრიჰ ნიძანის მიმოხილვა.

ცნობილია, რომ გერმანელი ახალგაზრდებისათვის გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული თარგმანი ნ. ჯანელიძეს საჩუქრად მსოფლიოს გამოჩენილ მოღვაწეებისათვის მიურობოდა, მათ შორის რომის პაპისთვის. პასუხად მადლობის ბარათიც მიუღია. ამის თაობაზე ნ. ჯანელიძე წერდა: „რომის პაპმა, აი, მადლობის წერილიც მოგვწერა. რომის პაპს ვთხოვეთ. საშობაო და სააღდგომო დღესასწაულებზე მისალმების დროს ქართულ ენაზეც მისალმებოდა ქრისტეს მორწმუნეებს. რომის პაპმა ჩვენი სურვილი შეგვისრულა და ქართულ ენაზეც ესალმება ვატიკანის ქრისტიანებს.“

პაპის სახელით ვატიკანის სახელმწიფო სამდივნოს მადლობის წერილი მინაწერებითა და პაპის სურათით იყო გამოგზავნილი:

„სახელმწიფო სამდივნო ვატიკანიდან, 19 ივნისი, 1984 წ.“

დიდად პატივცემულო ბატონო ჯანელიძე! სახელმწიფო სამდივნო ადასტურებს თქვენი საყურადღებო წერილისა და მასთან ერთად გამოგზავნილ „ვეფხისტყაოსნის“ პატარა ტომის მიღებას. წმინდა მამა გულითად მადლობას გიძღვნით ამ კავშირისა და პატივისცემისათვის და გულწრფელად გთავაზობთ ღვთისმფარველობასა და მის ბრძნულ წინამძღვრობას თქვენი ცხოვრების მომავალ გზაზე.“

ნიკოლოზ ჯანელიძის ლიტერატურული მოღვაწეობის ნუსხაში შედის ასევე „გერმანულ-ქართული სასაუბრო“. მისივე მხარდაჭერითა და დახმარებით „გერმანულ-ქართული“ და „ქართულ-გერმანული“ სასაუბრო გამოსცა მისმა სტუდენტმა ვ. ლანგემ.

ნიკოლოზ ჯანელიძის დაუღალავი ღვაწლი „ორი ქვეყნის მეგობრობის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის“ 1983 წელს ალბერტ შვაიცერის სახელობის მშვიდობის მედლით აღინიშნა. ნ. ჯანელიძე პირველი ქართველი იყო, რომელმაც დიდი მეცნიერის შვაიცერის პრემია მიიღო. მედლის გადასაცემად იტცეჰოეში ჩავიდა რომის პაპის წარმომადგენელი, რომელმაც ჯილდო პირადად გადასცა და მიულოცა. გერმანიაში მოღვაწე პატრიოტი, მთარგმნელი და გამომცემელი ნიკოლოზ ჯანელიძე მთელი მისი საქმიანობის კრედიტს ლაკონურად ასახავს გერმანულ ენაზე დაწერილ ლექსში „ჩვენ და ილია“.

„უხო ცის ქვეშ ვეხეტები,  
ბედის ლახვრით დალახვრული,  
მასულდგმულებს საიდუმლო,  
ჩვენს ენაში დამარხული.  
ქართულ სტამბის გამართვაზე  
ჩემი ღონე დაილია...  
გოეთეს ხალხს გავაცანი  
ნინო, შოთა და ილია.  
მე მდიდარი არ გახლავართ -  
წლები ჯაფით დაილია...  
მთელი ჩემი სიმდიდრეა  
საქართველი და ილია“

(თარგმანი აკაკი გელოვანის)

მთარგმნელობითსა და საგამომცემლო საქმიანობასთან ერთად ნ. ჯანელიძე ასწავლიდა ქართულ ენას ჯერ ჰამბურგის, შემდეგ კიოლის უნივერსიტეტშიც.

ნ. ჯანელიძე ყველგან წარმართავდა ქართული ენის კურსებს, სადაც კი საშუალება მიეცემოდა. იგი დიდი პედაგოგიური ოსტატობითა და ორატორული ნიჭით ახერხებდა საქართველოს სიყვარულის მსმენელთათვის გადადებას: „გუშინ საღამოს მქონდა მოხსენება საქართველოზე ერთ უბანში, სადაც 65 მსმენელი მესწრებოდა. საათნახევარი დამჭირდა დროით, რომ აუდიო სურათები საქართველოს ბუნებისა და კულტურის შესახებ მეჩვენებია.“

გერმანული პრესა ნ. ჯანელიძეს „თხრობის ოსტატს“ უწოდებდა. მშობლიური კულტურის სამსახურში, როგორც იტყვიან იგი ბოლომდე მთელი არსებით იწვოდა და იხარჯებოდა.

ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად იგი საქართველოს სიყვარულს გერმანულ ნორჩ თაობასაც აზიარებდა. დგამდა პიესებს, აწყობდა გამოფენებს: „ჩემო საყვარელო დისშვილებო – ია და ლია! გიგზავნით კეთილ სურვილებს „მებადურის შვილი“-ს სურათით, რომელიც დავდგიტ გერმანულ ენაზე აქ სასწავლებელში. დამდგმელი მოსწავლეები ქართულად ვამდერე „ჭრელო პეპელა“. საუკეთესო იყო. წაქართულებული ტანისამოსით. გაზეთმა ამ სურათით კარგი წერილიც გამოაქვეყნა სათაურით: „ქართულმა ზღაპარმა მოიგო დამსწრეთა გულები!“

ლილის, ულლის და ჩემის სახელით კიდევ ერთხელ საქართველოს კარგი სახელი მოუხვეჭეთ!“.

გერმანულ ბავშვთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა სატელევიზიო გადაცემა „ჯანესის ქართული ზღაპრების საათი“, რომელსაც მრავალი მსმენელი ჰყავდა. ამის

შესახებ გერმანელი კორესპონდენტი ერთ საგაზეთო სტატიაში აღნიშნავდა: „გურიან სბეგის კათოლიკურ საბავშვო ბაღში ჯადოსნური ზღაპრული საათებია. ჯანესი, კაცი საქართველოდან, ჩაჯდა ბავშვთა წრეში თავზე ოქროს გვირგვინით, აიღო ფერადად ილუსტრირებული წიგნი და დაიწყო: „იყო და არა იყო რა“, – რადგან ასე იწყება ყველა ქართული ზღაპარი. ჯანესმა ბავშვები შორეული საქართველოს ზღაპრულ სამყაროში შეიყვანა“. გარდა ამისა ნ. ჯანელიძე იღწვოდა ეროვნული მუსიკის გერმანული ხელოვნების სივრცეში დამკვიდრებისათვის, რომელსაც პროფესორ ალექსანდრე ლლონტის სახელზე გაგზავნილი ბარათი ადასტურებს: „ჩემი დისშვილი ნანა მოგასმენინებთ ქართულად „იავნანას“ და „გაფრინდი შავო მერცხალო“-ს. ამ ორივე სიმღერით დავაინტერესე იტცეპოუს ეკლესიის გუნდის ხელმძღვანელი. ვაჩვენე ნოტები, ვასწავლე ტექსტის ზეპირად გამოთქმა და აი, მოისმინეთ თუ რა კარგად მღერიან ქართულ სიმღერებს. კონცერტი ბახის მიმართ იყო გამართული. იქ, საქართველოზე მოხსენება წავიკითხე და გერმანელებმა ქართულად იმღერენ! დამსწრეთა რიცხვი 500-მდე იყო. მწამს, რომ მოისმენთ გაგიხარდებათ“.

ქართულ-გერმანული კულტურის განვითარების საქმეში ნ. ჯანელიძეს ჩართული ჰყავდა სამშობლოდან შემოქმედებითი ინტელიგენციის ფართო წრეები. მათ შორის კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე.

„ბატონმა ანდრიამ დაწერა მუსიკა ჩვენს ზღაპარ – „ფანთელა“-ზე, რომელიც დაიდგმება საბავშვო თეატრში 1978 წლის 19 ოქტომბერს. ჩემი საყვარელი ლილისა და ჩემმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო!“.

ნიკოლოზ-ჯანესმა - ქართველმა ემიგრანტმა გერმანიიდან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მშობლიური მწერლო-

ბის საშუალებით ერთა გაერთიანებისა და ფაშიზმით განადგურებული გერმანელი ერის სულიერი კულტურის აღდგენა-გადარჩენაში.

იგი იმ მრავალმხრივი და ქართველი ერის თავშეწირული მოღვაწის სახე გახლდათ, რომელიც XIX საუკუნის საქართველომ XX საუკუნესა და ჩვენ დროს უანდერძა.

**დამოწმებანი:**

კახნიაშვილი ვ., პირადი არქივიდან, იტცეპოე, 1993.

ჟურნალი „სამშობლო“, №1, თბილისი, 2009.

ჯანელიძე ნ., პირადი წერილები, იტცეპოე.

*Mariam Marjanishvili*  
*Kutaisi State Historical Museum*  
**NIKOLAZ-JANES – A GEORGIAN EMMIGRANT  
FROM GERMANY  
RESUME**

Each person's step is a history which continues its life even after their death and lasts according to how well they served the needs of their country. In this respect we would like to present the life and creative work of an emigrant Nikoloz-Janezi (Nikoloz Janelidze).

During the World War II, he was taken hostage and stayed in Germany, far from Stalin's repressions. For 50 years he served the destroyed German nation to help it in its spiritual revival, to develop and strengthen the cultural links between Georgia and Germany.

In Itcehoe he founded the publishing house „Sakartvelo” where he regularly published German translations of the best works of Georgian writing.

The first book translated into German was „Die Apostolin Nino” which was published in 1961. In 1970, „Sakartvelo” published „The Georgian Cuisine”, translated by Lili Papegegelashvili, Ulrich Papes and Nikoloz-Janezi.

His creative list includes: the German translation of “Georgian Tales” published in „Sakartvelo” in 1974, Georgian short stories: Vazha-Pshavela’s „The story of the roebuck”, „Nature”, passages from Ilia Chavchavadze’s „The hermit”, „The Hunter” published in 1976; in 1983 – „Deda Ena” and in 1984 – a short prosaic version of „The Knight in the Panther’s Skin” in German and other.

He was the first Georgian whose great contribution was awarded a medal of Albert Schweizer in 1983.

We can certainly say that Nikoloz Janelidze belonged to the group of Georgian creative people who devoted their lives and creative work to their nation.



*მალხაზ მაცაბერიძე*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ზურაბ ავალიშვილი „დიდი სივრცეების“ პოლიტიკის  
შესახებ**

ცნობილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ზურაბ ავალიშვილის (1874-1944 წწ.) სამეცნიერო ინტერესების სფერო მრავალმხრივია. განათლებით იურისტს შესანიშნავი ნაშრომები აქვს დაწერილი ისტორიის სფეროში, ემიგრაციაში მყოფი ყურადღებით აღევნებდა თვალს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და კარგად იცნობდა გერმანულ გეოპოლიტიკურ ლიტერატურასაც. ამაზე მეტყველებს 1943 წელს ჟურნალ „ქართველ ერში“ გამოქვეყნებული მისი პატარა სტატია „დიდი სივრცეების პოლიტიკა“.

გეოპოლიტიკა ნაცისტურ გერმანიაში ფაქტობრივად ოფიციალურ იდეოლოგიას წარმოადგენდა, რომელიც განმარტავდა და ასაბუთებდა გერმანიის და მისი მოკავშირეების დეკლარირებულ მიზნებს, წარმოადგენდა მსოფლიოს „ახალი წესრიგის“ მონახაზებს. ბუნებრივია, ზურაბ ავალიშვილისთვის, რომელიც ემიგრაციაში აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას აგრძელებდა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზებს ეძებდა, გერმანულ გეოპოლიტიკოსთა ნაშრომები საყურადღებო იყო სწორედ ამ თვალსაზრისით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ზურაბ ავალიშვილი და

მისი თანამოაზრეები მიმდინარე მსოფლიო ომის შედეგად შე-  
საძლო გეოპოლიტიკურ ტრანსფორმაციას უკავშირებდნენ.

რა ადგილი განეკუთვნებოდა საქართველოს და კავკა-  
სიას გერმანულ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში? რამდენად  
შეუწყობდა ხელს გერმანიის ბლოკის ან მის მოწინააღმდეგე-  
თა გამარჯვება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას?  
აი, ის კითხვები, რაზეც პასუხის გაცემას ცდილობს ზურაბ  
ავალიშვილი ზემოთ დასახელებულ სტატიამში.

### **„დიდი სივრცის“ ცნება.**

ზურაბ ავალიშვილი სტატიის დასაწყისშივე მოკლედ  
აღნიშნავს: „გერმანულ პოლიტიკურ აზროვნებაში ამ უკანას-  
კნელ წლებში გამოჩენილი ადგილი უჭირავს დიდი სივრცის  
მცნებას“. ავალიშვილი ხაზს უსვამდა, რომ დიდი სივრცეების  
იდეას ემყარებოდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების პოლი-  
ტიკა, რომელთა ოფიციალური განცხადებების თანახმად, დი-  
დი სივრცეების კონცეფცია დაედებოდა საფუძველად „მომავალ  
საერთაშორისო წეს-წყობილებას“.

მეორე მსოფლიო ომის დროინდელი გერმანული გეოპო-  
ლიტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ცენტრალური კატეგო-  
რია „დიდი სივრცე“ იყო. დიდი სივრცის თაობაზე ბევრს წე-  
რდნენ, მაგალითად, ამ პერიოდის ცნობილი გეოპოლიტიკო-  
სები - კარლ ჰაუსხოფერი და კარლ შმიტი. 1940 წელს გა-  
მოქვეყნებულ ნაშრომში „სივრცე და დიდი სივრცე ხალხთა  
უფლებაში“ შმიტმა ასე განსაზღვრა „დიდი სივრცე“: „პლა-  
ნიფიკაციის, ორგანიზაციისა და ადამიანური მოღვაწეობის  
სფერო, რომელიც ეფუძნება მომავალი განვითარების აქტუა-  
ლურ და მოცულობით ტენდენციებს“. ამ ცოტა ბუნდოვანი  
ფორმულირების დაზუსტებისას, შმიტი მიუთითებდა „დიდი  
სივრცის“ ნებელობითი შექმნის მაგალითზე, რომელსაც ცხო-  
ვრებაში ატარებდა მონროს ამერიკული დოქტრინა. „დიდი

სივრცე”, გარკვეული აზრით, შეიძლება გავაიგივოთ სახელმწიფოსთან, უფრო ზუსტად, იმპერიასთან, თუმცა აღნიშნული კონცეფცია ჩვეულებრივი სახელმწიფოს ფარგლებიდან გამოდის. ესაა ზეეროვნული გაერთიანების ახალი ფორმა, რომელიც სტრატეგიულ, გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფაქტორებს ეფუძნებოდა. შმიტის „დიდი სივრცე” ემყარებოდა კულტურულ და ეთნიკურ პლურალიზმს, ფართო ავტონომიას, რაც იზღუდებოდა სტრატეგიული ცენტრალიზმით და უმაღლესი ხელისუფლებითი ინსტანციისადმი ტოტალური ლოიალობით.

ზურაბ ავალიშვილი თავისი სტატიის დასაწყისში მოკლედ განმარტავს დიდი სივრცის ცნებას. ეს არის სივრცე, „რომელშიაც მთელი რიგი ქვეყნებისაა მოთავსებული და ამ საერთო ფარგალში რომელიმე დიდი სახელმწიფო ანუ ერთი ხელმძღვანელობას კისრულობს, - ხელმძღვანელობას პოლიტიკურს, სამხედროს და სამეურნეოს“. „დიდი სივრცე“ განსხვავდება „საცხოვრებელი სივრცისგან“, რომელიც გერმანელი გეოპოლიტიკის ასევე ერთ-ერთი ცენტრალური კატეგორია იყო. ამ განსხვავებას საგანგებოდ ხაზს უსვავდა ზურაბ ავალიშვილიც: „ერის საცხოვრებელი სივრცე ერთია; „დიდი სივრცე“, რომელზედაც საუბარი გვაქვს, სხვა რამეა“.

თუ „საცხოვრებელი სივრცე“ რომელიმე ერის კუთვნილებაა, მას ესაჭიროება თავის განსახლებისათვის, „დიდი სივრცე“, ზურაბ ავალიშვილის აზრით, „უფრო ხალხთა კავშირად უნდა წარმოვიდგინოთ, ხელმძღვანელ სახელმწიფოთა წინამძღოლობით და არა ვისიმე ცალმხრივი ბატონობით“. თუმცა, თუ როგორ მოაწყობდა რომელიმე დიდი სახელმწიფო მის კონტროლქვეშ მოქცეულ „დიდ სივრცეს“, ამის წინასწარ თქმა შეუძლებელი იყო.

**მსოფლიო ომი - ბრძოლა „დიდი სივრცეების“ დასაუფლებლად.**

ზურაბ ავალიშვილი სტატიამი გადმოსცემს მეორე მსოფლიო ომის დაწყებისა და გამოძვევი მიზეზების გერმანულ ვერსიას. ზურაბ ავალიშვილის შეფასებით, მსოფლიო ომი მიმდინარეობდა „დიდი სივრცეების“ მოსაპოვებლად ან დასაცავად. დიდი სივრცეების მოსაპოვებლად იბრძოდნენ ის დიდი ერები, რომლებიც თავს ღარიბად თვლიდნენ და სურდათ „მდგომარეობის გამოსწორება“.

რამდენ „დიდ სივრცედ“ იყოფოდა მსოფლიო? 1940 წლის სექტემბერში გერმანიას, იტალიას და იაპონიას შორის გაფორმებული შეთანხმებით მხარეები აღიარებდნენ ევროპაში გერმანია-იტალიის დიდ სივრცეს და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის „ხელმძღვანელ და წინამძღოლ“ როლს. როდესაც ეს შეთანხმება ფორმდებოდა, აშშ და საბჭოთა კავშირი ომში არ მონაწილეობდნენ და ღერძის სახელმწიფოები სცნობდნენ მათ ხელში არსებულ „დიდ სივრცეებს“. ანუ 1940 წელს მსოფლიოში 4 „დიდი სივრცე“ ივარაუდებოდა.

1941 წელს ომში საბჭოთა კავშირი, აშშ და იაპონიაც ჩაებნენ და სავარაუდო „დიდი სივრცეების“ რაოდენობა და ფარგლები უკვე მიმდინარე უსასტიკეს ომს უნდა გადაეწყვიტა. როდესაც ზურაბ ავალიშვილი აღნიშნულ სტატიას წერდა (1943 წელი), მსოფლიო ომის ბედი გადაწყვეტილი ჯერ არ ჩანდა. ამ დროისათვის გერმანიასა და მის მოკავშირეებს მნიშვნელოვანი ტერიტორიები ქონდათ დაკავებული - იაპონიის ხელში იყო მოქცეული წყნარი ოკეანის აუზის დიდი ნაწილი, გერმანია კი ღრმად იყო შეჭრილი საბჭოთა „სივრცეში“.

მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ავალიშვილი ამ სტატიას სწორედ ამ დროს, გერმანიაში წერდა, ის ომის სავარა-

ულო შედეგებს ფრთხილად უდგებოდა და სულაც არ მიიჩნევდა, რომ ომი გერმანიისა და მისი მოკავშირეების გამარჯვებით დასრულდებოდა.

### **რამ შეიძლება მოუტანოს საქართველოს თავისუფლება.**

საქართველოს ბედი გადახლართული იყო მთლიანად კავკასიის ბედთან. ზურაბ ავალიშვილი აღნიშნავდა, რომ კავკასია მნიშვნელოვანი სივრცეა ევროპისა და წინა აზიის საზღვარზე, მაგრამ ის არ წარმოადგენს „ღიდ სივრცეს“. მიმდინარე ომს უნდა გადაეწყვიტა კავკასია დარჩებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, იმ ღიდ სივრცეში, „რომელშიაც იმყოფება არა ნებით, არამედ გარემოებათა მიზეზით“, თუ ომი მათ სხვა სივრცეს დაუკავშირებდა და „მათ თავისუფალ დამოუკიდებელ არსებობას“ განამტკიცებდა და უზრუნველყოფდა.

თუ საქართველო და კავკასია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩებოდნენ, ეს ზურაბ ავალიშვილის აზრით, საქართველოს თავისუფლების საქმეს არაფერს მოუტანდა. ამ მხრივ გამოსავალი საქართველოს გადანაცვლება იქნებოდა მომავალი ევროპის „ღიდ სივრცეში“, რაც მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების გამარჯვების შემთხვევაში შეიქმნებოდა.

ზურაბ ავალიშვილი აღნიშნავდა, რომ სავარაუდო „ღიდ სივრცეში“, რომლის მოსაპოვებლაც გერმანია იბრძოდა, ბევრი რამ გაურკვეველი იყო. მაგალითად, გაურკვეველად მიიჩნევდა, თუ როგორ განახორციელებდნენ ევროპის სივრცეში გერმანია და იტალია თავიანთ საერთო ხელმძღვანელობას, გაურკვეველად მიაჩნდა ევროპის „ღიდი სივრცის“ ფარგლებიც, რომელიც გეოგრაფიულად მკვეთრად არ იყო გამიჯნული სხვა რეგიონებისაგან. თუმცა აღნიშნავდა, რომ „მირეზულ აზრად ითვლება“ აფრიკის დაკავშირება ევროპის „ღიდ

სივრცესთან“. ისევე როგორც მოსალოდნელად მიიჩნევა წინა აზრის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქცევას ევროპის გავლენის სფეროში.

რატომ მიაჩნდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების გამარჯვება საქართველოს განთავისუფლების საფუძვლად? ასეთი მოსაზრების გამოთქმისას ზურაბ ავალიშვილზე დიდ გავლენას წარსულის გამოცდილება ახდენდა. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძველი პირველ მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხება გახდა, რაც გერმანიამ ბრესტის ზავით (1918 წლის მარტი) გააფორმა და შედეგად, ადრე რუსეთის იმპერიაში მოქცეული რიგი ქვეყნები, მათ შორის საქართველო, გერმანიის გავლენის სფეროში აღმოჩნდა. თუმცა, პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ ბრესტის ზავი გერმანიის დროებით გამარჯვებად აქცია. წარსულის ამ გამოცდილებასთან დაკავშირებით ავალიშვილი თავის სტატიაში აღნიშნავდა: „წარსულმა დიდმა ომმა კავკასიის ერებს და უმთავრესად საქართველოს თვით-გამორკვევა და დამოუკიდებლობა მოუტანა, - სამწუხაროდ დამოუკიდებლობა უგარანტო და უსაფუძვლო“.

წარსულის გამოცდილება ძალზედ შთამბეჭდავი იყო და ზურაბ ავალიშვილი სათანადო ანგარიშს არ უწევდა იმ დიდ სხვაობას, რაც არსებობდა ნაცისტურ გერმანიასა და კაიზერის გერმანიას შორის. ნაცისტური რეჟიმის ბუნება ფაქტობრივად გამორიცხავდა მასზე რომელიმე ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების იმედის დამყარებას.

*Malkhaz Matsaberidze*  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*  
**ZURAB AVALISHVILI ON THE POLITICS  
OF “BIG SPACES”  
RESUME**

The Georgian scientist Zurab Avalishvili (1874-1944), who lived in Germany during the Second World War, was well-aware of the German literature on geopolitics. His article, published in 1943, in the journal “The Georgian Nation” under the title “Politics of Big Spaces” is the testimony to this statement. In reality, geopolitics was an official ideology in the Nazi Germany, which states and justifies declared aims of Germany and its allies. Zurab Avalishvili, who kept political activism in emigration and looked for the ways for restoration of the independence of Georgia, became interested in various authors of the German geopolitics.

Zurab Avalishvili argued that the maintenance of Georgia and the Caucasus in the framework of the Soviet Union after the Second World War would not bring any positive results for the future independence of Georgia. According to him, the transfer of Georgia into the “big space” of the future Europe, emerging after the victory of Germany and his allies in the II WW, would be a solution to the problems of Georgia. It is interesting why Avalishvili considered the victory of Germany and its allies as a necessary precondition for the liberation of Georgia? Interestingly, the reflection on the past influenced on Avalishvili’s viewpoints: in 1918, the independent Georgia emerged after the defeat of Russia in the I World War, which was fixed through the Treaty of Brest (March, 1918) by Germany; this signaled the transfer of the former Russian

colonies, and that of Georgia as well, under the German protectorate.

Zurab Avalishvili does not properly assess the existing differences between Nazi Germany and the Kaiser's German Empire. The nature of the Nazi regime excluded any hopes of gaining independence by any of its allied country.



**საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური  
მართლმადიდებელი ეკლესიის ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია**

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თანამედროვე ისტორიაში ძალზე დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა საზღვარგარეთული ეპარქიების დაარსება. მათ შორის, მნიშვნელობითა და მრევლის სიმრავლით ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულს უდაოდ წარმოადგენს ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გადაწყვეტილება ხსენებული ეპარქიის შექმნის შესახებ უშუალოდ იქ მცხოვრები ქართველი მრევლის მოთხოვნითა და საჭიროებით რომ იყო განპირობებული, ამას საპატრიარქოს ოფიციალური დოკუმენტებიც ნათლად ადასტურებენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ქართველი ემიგრანტების მიერ თავდაპირველად ჩამოყალიბებული რამდენიმე სამრევლოს მმართველად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი) დანიშნა.<sup>1</sup> თუმცა, მრევლის სიმრავლითა და მათში მოპოვებული უდიდესი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე, კერძოდ, აშშ-სა და კანადაში

---

<sup>1</sup> <http://www.orthodoxy.ge/samartali.htm>

არსებული სამრევლოები, წმინდა სინოდის 2014 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით, ცალკე ეპარქიად ჩამოყალიბდა, მის ხელმძღვანელად კი არქიმანდრიტი საბა ინწკირველი იქნა დანიშნული.<sup>1</sup>

საქართველოს ეკლესიის მიერ აღნიშნულ ეპარქიათა დაარსების უმთავრეს მიზანს არა მარტო ქართველ ემიგრანტთა რელიგიური რწმენის განმტკიცება წარმოადგენდა, არამედ მათ უდიდესი ეროვნული სახელმწიფოებრივი მისიაც დაეკისრათ. სწორედ საქმისადმი ამგვარი მიდგომის შედეგია ის, რომ აშშ-ში სისტემატურად იზრდება როგორც იქ მყოფი ქართული მრევლის, ისე ეკლესია-მონასტრებისა და მათთან არსებული საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრების რაოდენობა.

მთლიანობაში, დღეისათვის, ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიაში შედის საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას დაქვემდებარებული ცხრა ეკლესია-მონასტერი, რომელთაგანაც რვა აშშ-ს ტერიტორიაზე (ქალაქებში: ვაშინგტონი – წმინდა თამარ მეფის სახელობის ეკლესია, ნიუ-იორკი – წმინდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ჩიკაგო – წმიდა კეთილმსახურ მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის ტაძარი, ლოს ანჯელესი – წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, ფილადელფია – წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, უნიონ ბრიჯი (Union Bridge) – წმინდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური მონასტერი მერილენდში, მანვილი (Manville) – **წმ გრიგოლ ხანძთელის ეკლესია ნიუ-ჯერსში** და უილკს ბარე (Wilkes-Barre) – წმინდა დავით მეფე აღმაშენებლის სახელობის დედათა მონასტერი პენსილვანიაში) მდებარეობს, ხოლო ერთიც

---

<sup>1</sup> <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/32225/>

კანადაში – ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესია ტორნტოში. რაც შეეხება სამრევლოებს, სამწუხაროდ, რაოდენობრივად თუ რამდენი ფუნქციონირებს მთლიანად ეპარქიაში, ამის დადგენა ინტერნეტით მოძიებული მასალების მიხედვით ვერ ხერხდება.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიაში არსებულ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებში მხოლოდ ღვთისმსახურება არ აღესრულება და ისინი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ საგანმანათლებლო ფუნქციასაც ასრულებენ იქ მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისათვის.

მაგალითისათვის ისიც შეიძლება დავასახელოთ, რომ ეპარქიაში სისტემატურად აღინიშნება ყველა ქართული საეკლესიო დღესასწაული, რის შემდეგაც არაერთი კულტურული სახის ღონისძიება იმართება ხოლმე. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ 2015 წლის სვეტიცხოვლობის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით ეპარქიის მიერ 5 ოქტომბერს გავრცელებულ განცხადებას, რომელშიც ნათქვამია:

„ქრისტესმიერ საყვარელო ძმანო და დანო,

ძვირფასო თანამემამულენო!

ღვინობის თვის 14 რიცხვში საქართველოში სვეტიცხოვლობა აღინიშნება, დღე „კკართისა საუფლოისა და სვეტიისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა“. ამ დღეს ათასი სავედრებელი წვდება უფალს. ალბათ, ყველაზე მეტი სანთელიც ამ დღეს ინთება სვეტიცხოველში. უკვე მეხუთე წელია ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის მონასტერში სვეტიცხოვლობის დღესასწაულს განსაკუთრებით ვზეიმობთ. საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდგომ, ქართული ტრადიციისამებრ საწნახელში იწურება ყურძენი, დუღდება თათარა, ივლება ჩუ-

რჩენილები, მზადდება ქართული კერძები და იმართება საზეიმო კონცერტი. ამა წლის 10 ოქტომბერს, ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი საბა, ეპარქიის სამღვდელთა და სტუმრებთან ერთად აღასრულეს საღმრთო სასწრაფო მსახურებას. სამეუფეო წირვა დაიწყო დილის 10:00 საათზე<sup>1</sup>.

ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქართული ემიგრაცია ეპარქიის საშუალებით, საქართველოში განვითარებულ მოვლენებსაც მყისიერად ეხმაურება და ცდილობს, ტერიტორიული სიმორის მიუხედავად, აქტიურად გაუწოდოს დახმარების ხელი სამშობლოში მცხოვრებ თანამემამულეებს. ზემოთქმულ შეფასებაში გადამეტებული რომ არაფერია, ეს 2015 წლის 13 ივნისს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმაც ნათლად დაადასტურა. კერძოდ, ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის უშუალო ინიციატივით შეიქმნა ფონდი დაზარალებულთა დასახმარებლად, ასევე ამუშავდა სპეციალური ვებ-გვერდიც ([www.gofundme.com](http://www.gofundme.com)).

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ემიგრაციაში მცხოვრებ ჩვენ თანამემამულეთა ეროვნული თვითმყოფადობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ საერო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღესასწაულთა სათანადო აღნიშვნაც, რომელსაც ასევე იქ არსებული ქართული ეკლესია უდგას სათავეში. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ სისტემატურად აღინიშნება არა მხოლოდ დამოუკიდებლობის დღედ მიჩნეული 26 მაისის დღესასწაული, არამედ, ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის სხვა, ნაკლებად საზეიმო დღეებიც, მაგალითად ისეთები, როგორებიცაა 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში, თუ 2008 წლის აგვისტოს ტრაგი-

---

<sup>1</sup> <https://www.facebook.com/Georgian-Diocese-in-North-America-ქართული-ეპარქია-ჩრდილოეთ-ამერიკაში-1450050071943713/>

კული მოვლენები. აი, რა არის მაგალითად ნათქვამი ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ეპისკოპოს საბას 2015 წლის 7 აგვისტოს მიმართვაში:

„ქართველ ერს არაერთი მტერი შემოსევია და ასობით ომი გადაუტანია საუკუნეების მანძილზე, მაგრამ ჩვენთვის, ალბათ, ყველაზე მტკივნეული ის ომები და სისხლისღვრებია, რომლებიც ჩვენს რეალობაში, ჩვენს თვალწინ მოხდა. 2008 წლის აგვისტოს ომის ჭრილობა და ტკივილი დღემდე მოუშუშებელი და გაუნელებელია ჩვენი ერისათვის. ქართველმა გმირებმა, წინაპართა მსგავსად საკუთარი სიცოცხლის ფასად იბრძოლეს მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად. მომხვედურმა მტერმა უთანასწორო ბრძოლაში ხელყო ჩვენი მამების, ძმების, დედების, დების არაერთი უმანკო სიცოცხლე. არაერთი უსახელო გმირი შეემატა ჩვენს ისტორიას: ვინაც იბრძოლა, სიცოცხლე დასდო, დაითმინა, დევნილია საკუთარი სახლიდან. ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია წლებებია ახალგორშია, სამწყსოსთან. თუკი ოკუპირებულ ტერიტორიას დატოვებს, უკან აღარ შეუშვებენ. ათასობით ადამიანი ვერ უბრუნდება საკუთარ კუთხეს... გმირებო ვლოცულობთ თქვენთვის! სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლი და ცრემლი შეგიწიროთ უფალმა! ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიაში შაბათს, 8 აგვისტოს, საღამოს 6:00 საათზე, ყველა მოქმედ ქართულ სამრევლოში ჩატარდება აგვისტოს ომში დაღუპულთა მოსახსენებელი პანაშვიდი. ლოცვა-კურთხევით ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი საბა (ინწკირველი)“.<sup>1</sup>

იგივე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულისკვეთებითაა განმსჭვალული ეპისკოპოს საბას 25 სექტემბრის მიმართვაც,

---

<sup>1</sup> <https://www.facebook.com/Georgian-Diocese-in-North-America-ქართული-ეპარქია-ჩრდილოეთ-ამერიკაში-1450050071943713/>

რომელიც სოხუმის დაცემის ტრაგიკულ მოვლენას ეხება. კერძოდ, მასში ნათქვამია:

„ვირფასო თანამემამულენო, ქრისტესმიერ საყვარელნო სულიერო შვილებო 22 წლის წინ, 1993 წლის 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ დაეცა სოხუმი და მასთან ერთად დაეცა სრულიად აფხაზეთი. ჩვენს უახლოეს ისტორიაში ეს იყო ყველაზე მძიმე და ტრაგიკული ომი, რომელიც 13 თვე და 13 დღე გრძელდებოდა. ომი - სავსე თავისი დალატითა და დაუნდობლობით; ამავე დროს სამშობლოსათვის თავგანწირვისა და გმირობის მაგალითებით. აფხაზეთის ომმა იმსხვერპლა 10 000-ზე მეტი ქართველი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე. 250 000-ზე მეტი აფხაზეთის მკვიდრი საკუთარი სახლიდან დღემდე დევნილია. ღვთის მადლითა და წყალობით დადგება ჟამი შეცდომების აღიარების, ურთიერთმიტევებისა და მონანიების. ისტორიული სამართლიანობა კვლავ აღდგება და აფხაზები და ქართველები კვლავ ერთად იცხოვრებენ, ერთიან სამშობლოში. ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ყველა ქართულ სამრევლოში, 27 სექტემბერს, საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ, აღესრულება აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულების მოსასხენებელი პანაშვიდი. ლოცვა-კურთხევით ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი საბა“.<sup>1</sup>

ზემოთ ციტირებული მიმართებები ასე ვრცლად აქ იმიტომაც მოვიყვანე, რომ მათ, ისევე როგორც ეპარქიის მიერ მოწყობილ სხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, უდიდესი როლი შეაქვთ სამშობლოსგან ფიზიკურად მოწყვეტილ ქართველ ემიგრანტთა ეროვნული თვითმყოფადო-

---

<sup>1</sup> <https://www.facebook.com/Georgian-Diocese-in-North-America-ქართული-ეპარქია-ჩრდილოეთ-ამერიკაში-1450050071943713/>

ბისა და სახელმწიფოებრი აზროვნების განმტკიცების საქმეში. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია იქ დაბადებული მომავალი თაობისთვის, ვისაც თავიანთი სამშობლო ჯერ არც კი უნახავთ.

დასასრულ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში არსებული ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია და იქ მოღვაწე სასულიერო პირები მართლაც წარმოადგენენ საიმედო დასაყრდენს არა მხოლოდ ქართველი ემიგრანტებისათვის, არამედ ზოგადად ქართული სახელმწიფოებრიობისთვისაც.

**დამოწმებანი:**

<http://www.orthodoxy.ge/samartali.htm>

<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/32225/>

<https://www.facebook.com/Georgian-Diocese-in-North-America-ქართული-ეპარქია-ჩრდილოეთ-ამერიკაში-1450050071943713/>

*Otar Nikoleishvili*

*Akaki Tsereteli State University*

**FROM THE HISTORY OF GEORGIAN APOSTOLIC  
AUTOCEPHALOUS ORTHODOX CHURCH, DIOCESE  
OF NORTH AMERICA  
RESUME**

Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church since its establishment has always been institution with highest authority and credibility among vast part of Georgian population. This is caused by the fact that Georgian Apostolic

Autocephalous Orthodox Church has always-undertaking special responsibility towards the needs of the country throughout the history of Georgia.

Georgian church also was playing decisive role during post-soviet times when Georgia restored its independence. In particular, mother church was supporting Georgian emigrants abroad providing them with spiritual power and strengthening their national identity. For this purpose eparchies of Georgian church were established in Europe, in Australia and USA under the care of Catholicos-Patriarch of all Georgia Ilia II in XXI century according to Holy Synod's decisions.

The present paper thesis refers to the one of the above-mentioned eparchies, in particular, Diocese of North America. First, it was established as a part of Eparchy of Batumi-Lazeti, according to Holy Synods decision on April 30, 2009. And then, as an independent diocese on June 3, 2014.



*პატა ნაცვლიშვილი*  
*ერივოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*

**კიდევ ერთი ქართველი ოფიცერი 1912 წლის ოლიმპიადაზე**

1912 წელს სტოკჰოლმში თანამედროვეობის მე-5 ოლიმპიური თამაშები ჩატარდა. იმის მიუხედავად, რომ წინა თამაშებთან შედარებით ოლიმპიადების პროგრამა მკვეთრად იყო შემცირებული, სტოკჰოლმში სასპარეზოდ გაცილებით მეტი სპორტსმენი შეიკრიბა, ვიდრე ოთხი წლის წინათ ლონდონში.

ეს განპირობებული იყო იმითაც, რომ წინა წელს შეიქმნა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი და რუსეთის იმპერია, რომელიც მანამდე ოლიმპიადებზე თითო-ორჯო ენთუზიასტით ჩანდა, სტოკჰოლმში დიდი დელეგაციით – 169 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. ამათგან 159 ასპარეზობებში მონაწილეობდა და მათი სახელები კარგად არის ცნობილი, ათი სპორტსმენი კი სამარქაფოდ იყო წაყვანილი და მათი ვინაობა დაზუსტებით არ არის გარკვეული. მათ შორის იყო რუსეთის ცხენოსანთა გუნდის ორი სათადარიგო მხედარი, რომელთაც ასპარეზზე გამოსვლა არ მოუწიათ. წლების წინ ჩვენ დავასაბუთეთ, რომ ერთი მათგანი გახლდათ მაშინ როტმისტრი და შემდგომში გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ნაცვლიშვილი პ., სპირიდონ ჭავჭავაძე – პირველი ქართველი ოლიმპიელი, გაზ. „სპორტი“, 16 ივნისი. 2004.

რომლის სტოკჰოლმში ჩასვლის მომენტი აღბეჭდილია „პეტერბურგსკაია გაზეტას“ 1912 წლის 1 ივლისის ნომერში დაბეჭდილ ფოტოზე.<sup>1</sup> მოგვიანებით ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ მეორე სათადარიგო მხედარი ახალგაზრდა პიატიგორსკელი ოფიცერი ალექსი ფანჩულიძე უნდა ყოფილიყო, რომელიც მაშინ გროდნოს ჰუსართა პოლკში მსახურობდა და რომელმაც მთელი 44 წლის შემდეგ კვლავ სტოკჰოლმში აისრულა ოლიმპიური ოცნება, როცა 1956 წლის ოლიმპიადის ცხენოსანთა ტურნირში გამოვიდა პოლანდიის სახელით!<sup>2</sup>

და აი, საზოგადოებას მესამე ჩვენიანიც უნდა წარვუდგინოთ. ეს გახლავთ თბილისელი ოფიცერი ალექსანდრე დობრჟანსკი, რომელიც 1912 წლის ოლიმპიადაზე არა მხოლოდ გაემგზავრა, არამედ მსროლელთა ასპარეზობის სრულყოფილებიანი მონაწილეც იყო.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე დობრჟანსკი დაიბადა 1873 წლის 19 აპრილს თბილისში, ჯერ გარუსებულ და შემდეგ გაქართველებულ პოლონელ თავადთა ოჯახში. მის ბიოგრაფიაში ხაზგასმულად არის აღნიშნული ის ფაქტიც, რომ იგი მართლმადიდებელი ყოფილა.

დობრჟანსკების საგვარეულო, რომელიც პოლონურ, რუსულ და უკრაინულ წყაროებში სხვადასხვაგვარად იხსენიება (დობრჟანსკები, დობრიანსკები) ძველი პოლონური შლი-

---

<sup>1</sup> ნაცვლიშვილი პ., ზუთი რგოლი საქართველოსთვის, თბ., 2014. ტ. 2, გვ. 136.

<sup>2</sup> ნაცვლიშვილი პ., ალექსი ფანჩულიძე – კიდევ ერთი ქართველი ოლიმპიელი, ჟურნ. „ოლიმპიელი“, № 35, 2013. გვ. 79.

ახტური წარმომავლობისაა და XV საუკუნიდან იღებს სა-  
თავეს.<sup>1</sup>

ლოკუმენტურად დადასტურებული პირველი დობრჟანსკი  
კავკასიაში 1848 წლიდან ჩანს. ეს გახლდათ მაიორი თომა  
(ტომაშ) ანტონის ძე დობრჟანსკი, რომელიც 1850 წლის  
„კავკაზსკი კალენდრის“ მიხედვით კავკასიის არმიის დაღეს-  
ტნის ქვეითა პოლკში ირიცხება. კავკასიის არქეოგრაფიუ-  
ლი კომისიის „აქტებში“ შეტანილია თავად არლუთინსკის  
1848 წლის 29 ივნისის № 222 მოხსენება მთავარმართე-  
ბელ ვორონცოვის სახელზე, რომელშიც იგი აულ გერგები-  
ლის ალყაზე საუბრობს და სხვათა შორის აქებს გრენადერ-  
თა მე-3 ოცეულის მეთაურს, კაპიტან დობრჟანსკის, რომელ-  
საც თავი გამოუჩენია ხელჩართულ ბრძოლაში.<sup>2</sup> კაპიტანი  
დობრჟანსკი ნახსენებია აგრეთვე „აქტებში“ შეტანილ კიდევ  
ერთ ლოკუმენტში. ეს არის ვორონცოვის 1853 წლის 20 ივ-  
ნისის № 123 ბრძანება, რომელშიც იგი აქებს კაპიტან დობ-  
რჟანსკის მთიელებთან შეტაკებისას გამოჩენილი მამაცობისა-  
თვის.<sup>3</sup> 1854 წლის „კალენდრის“ ცნობით, დობრჟანსკი უკვე  
პოდპოლკოვნიკია და კავკასიის ხაზის აფშერონის ქვეითთა  
პოლკში მსახურობს. 1859 წლის კალენდარში თომა დობრ-  
ჟანსკი კავკასიის ხაზის მტკვრის ქვეითთა პოლკის პოლკოვ-  
ნიკად იხსენიება. როგორც ჩანს, იგი მოქმედ არმიაში 1860-  
იანი წლების ბოლომდე ირიცხებოდა, კარიერის ბოლოს კი  
ვლადიკავკაზის კომენდანტი გამხდარა. თომას დობრჟანსკის

---

<sup>1</sup><https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%94%D0%BE%D0%B1%D1%80%D1%8F%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B5>

<sup>2</sup> Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. X. Тифлис, 1885. გვ. 477.

<sup>3</sup> Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. X. Тифлис, 1885. გვ. 547.

პარალელურად, 1861 წლიდან კავკასიის არმიის ოფიცერთა შორის გვხვდება მისი ძმის – მაიორ იაკობ დობრჟანსკის სახელიც. „კავკასიის კალენდრის“ მონაცემებით ირკვევა, რომ მას თავისი ძმის ადგილი დაუკავებია დაღესტნის ქვეითთა პოლკში, როცა იგი აფშერონის ქვეითთა პოლკში გადაიყვანეს.

დობრჟანსკების „ქართული“ შტო პოდოლსკის გუბერნიიდან უნდა მომდინარეობდეს. პოდოლსკის საგვარეულო წიგნის 1838 წლის 31 წლის დეკემბერს გაკეთებულ ჩანაწერში ნახსენებია ანტონ ბიკენტის ძე დობრჟანსკი და მისი შვილები – პეტრე, პავლე და თომა. 1841 წლის 28 მარტის ჩანაწერში აღწერილია ანტონის მეოთხე შვილი – იაკობი, ხოლო 1856 წლის 9 აპრილის ჩანაწერში – ანტონის კიდევ ერთი შვილი – მარტინი და ამ მარტინის შვილი ივანე.<sup>1</sup>

ანტონ დობრჟანსკი გალიციური ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მღვდელი ყოფილა, ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი. იგი 1810 წელს დაბადებულა და 1877 წელს გარდაცვლილა.<sup>2</sup>

როგორც ირკვევა, კავკასიაში ძირითადად სწორედ ამ ანტონ დობრჟანსკის შთამომავლები გადმოსახლებულან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში. თუმცა დღეს ძნელი დასადგენია, უშუალოდ ვინ ვისი შთამომავალია, ვინ მკვიდრია და ვინ ახალგადმოსახლებული, მაგრამ ფაქტია, რომ 1870-1880-იან წლებში კავკასიაში თომასა და იაკობის გარდა კიდევ რამდენიმე დობრჟანსკი ცხოვრობს და მსახურობს. მაიორი ნიკოლოზ თედორეს ძე დობრჟანსკი კავკასიის არმიის მთავარსარდლის, დიდი მთავრის მიხაილ ნიკოლაევიჩის ერთ-ერთი ადიუტანტია, პოლკოვნიკი ივანე მარტინის ძე

---

<sup>1</sup> <http://rodovoyegnezdo.narod.ru/Podolia/Dobrzhanskie.html>

<sup>2</sup> <http://ru.rodovid.org/wk/Запись:334705>

დობრჟანსკი 81-ე აფშერონის პოლკში ირიცხება, ხოლო თედორე ივანე ძე დობრჟანსკი იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის საგუბერნიო სამმართველოს არქივარიუსია. „კავკაზსკი კალენდარში“ ნიკოლოზ თედორეს ძე დობრჟანსკი 1891 წლიდან კოჯრის სასოფლო დუმის ხმოსნად იხსენიება.

სწორედ ამის შვილი უნდა იყოს ალექსანდრე ნიკოლოზის ძე დობრჟანსკი, რომელმაც საბაზო განათლება თბილისის კადეტთა კორპუსში მიიღო. სამხედრო სამსახური მან კადეტთა კორპუსის დამთავრებისთანავე, 1891 წლის 28 აგვისტოს დაიწყო.

1892 წლის 4 აგვისტოს მიიღო პოდპორუჩიკის ჩინი და 149-ე შავიზღვის ქვეითთა პოლკში გაამწესეს.

1893 წელს პირველი თანრიგის წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი.

1893 წლის 7 აგვისტოდან გვარდის პოდპორუჩიკია.

1893 წლის 22 ოქტომბერს მიამაგრეს კავკასიის მისი უმაღლესობის პირველ მსროლელ ბატალიონს.

1894 წლის 29 აპრილს დაბრუნდა შავიზღვის ქვეითთა პოლკში, ხოლო იმავე წლის 29 ოქტომბერს კვლავ მიაგლინეს კავკასიის მისი უმაღლესობის პირველ მსროლელ ბატალიონში.

1896 წლის 17 იანვარს გადაიყვანეს ლეიბგვარდიის ეგერთა პოლკში.

1897 წლის 7 აგვისტოს გვარდიის პორუჩიკის ჩინი მიენიჭა.

1897-1900 წლებში იყო რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტთან არსებული აღმოსავლური ენების ოფიცერთა კურსების მსმენელი. აქ იგი სწავლობდა თურქულ, სპარსულ და არაბულ ენებს. ხოლო

ქართული მან, სავარაუდოდ, ბავშვობიდანვე იცოდა რუსულ-თან ერთად.

კურსების დამთავრების შემდეგ, 1900 წლის 16 აგვისტოს, კვლავ ეგერთა პოლკში დაბრუნდა.

ერთი წლის შემდეგ 1901 წლის 16 აგვისტოს ეგერთა პოლკის პირველი ბატალიონის მეთაურის ადიუტანტი ხდება.

1901 წლის 6 დეკემბერს შტაბს-კაპიტნის ჩინი მიენიჭა.

1904 წლის 19 აპრილს კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდლის განკარგულებაში გაიგზავნა, როგორც მისი ერთ-ერთი ადიუტანტი.

1905 წლის 7 აგვისტოს კაპიტნის ჩინი მიენიჭა. ჯერ-ჯერობით ვერ დავადგინეთ, როდის მიიღო მაიორის ჩინი, 1913 წლის 14 აპრილიდან კი უკვე პოლკოვნიკია. ამ დროს ის კვლავ კავკასიის მთავარმართებლისა და კავკასიის ჯარის მთავარსარდლის ადიუტანტად მსახურობს.

1917 წლიდან ალექსანდრე დობრჟანსკი გენერალ-მაიორია.

მონაწილეობდა პირველ მსოფლიო და რუსეთის სამოქალაქო ომებში. დაჯილდოებული იყო წმინდა ანას მე-3 ხარისხის (1911), წმინდა სტანისლავის მე-3 ხარისხის (1913), წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის (1917) ორდენებით; 1916 წელს დააჯილდოვეს წმინდა გიორგის იარაღით.

ალექსანდრე დობრჟანსკი გარდაიცვალა 1937 წლის 15 ნოემბერს პარიზში. დაკრძალეს პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. მოგვიანებით მისი ნეშტი იუგოსლავიაში გადასვენეს. ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია გადასვენების მოტივი და გენერლის საბოლოო განსასვენებლის ადგილი, მაგრამ თავად გადასვენების ფაქტი არაერთი ვარაუდის საფუძველს იძლევა, თუმცა ეს სამომავლო კვლევა-ძიების საგანია.

ჩვენთვის ალექსანდრე დობრჟანსკი, პირველ ყოვლისა, მისი ოლიმპიური წარსულის გამო გახლავთ საინტერესო. თუ გიორგი ნიკოლაძეს არ ჩავთვლით, რომელიც, ჩვენი გამოკვლევით, 1900 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობდა და ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა ნიზბოსნობაში ჰოლანდიურ ეკიპაჟთან ერთად,<sup>1</sup> ალექსანდრე დობრჟანსკი საქართველის პირველი წარმომადგენელია ოლიმპიურ თამაშებში.

1912 წლის გაზაფხულზე რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც სწორედ ოლიმპიადის წინ შეიქმნა ამ ოლიმპიადისათვის სპორტსმენთა შესარჩევად და მოსამზადებლად, თამაშების დაწყებამდე განაცხადა, რომ რუსეთის სპორტსმენები ოლიმპიადაზე წარმატებით გამოვიდოდნენ.

რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის მიმართვაში რუსეთის სპორტული ორგანიზაციებისადმი ნათქვამი იყო:

„პირველ სამ ოლიმპიადაში რუსეთის სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ. მხოლოდ 1908 წელს, ლონდონში, IV ოლიმპიადაზე მიავლინა ზოგიერთმა საზოგადოებამ რუსეთის წარმომადგენელი. ხუთი მონაწილიდან ერთი დაბრუნდა პირველი პრიზით, ორი – მეორე პრიზით. ეს ფაქტი და აგრეთვე ის გარემოება, რომ რუსეთის მოყვარულ სპორტსმენებს – მძლეოსნებს, მოჭიდავეებს, მოციგურავეებს, ნიზბოსნებს, მსროლელებს, ფეხბურთელებს და სხვებს – არაერთხელ დაუმარცხებიათ მეტოქეები რუსეთში თუ მის საზღვრებს გარეთ, გვიძლიერებს იმის რწმენას, რომ სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში რუსეთი ოლიმპიურ თამაშებში თავის გამოიჩენს.“

---

<sup>1</sup> ნაცვლიშვილი პ., უცნობი ფრანგი ბიჭუნა – გიორგი ნიკოლაძე, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოცემა, თბ., 2015; ასევე, ნაცვლიშვილი პ., უცნობი პარიზელი ბიჭუნა – გიორგი ნიკოლაძე (?). ჟურნ. „ოლიმპიელი“, №36, 2013.

მაგრამ სინამდვილეში სრულიად სხვაგვარად მოხდა. რუსეთის გუნდი ძალზე ცუდად იყო მომზადებული და საერთო-გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ მე-15 ადგილი დაიკავა 28 ქვეყანას შორის. რუსეთის ფეხბურთელთა გუნდი მთავარი ტურნირში ფინელებთან 1:2 დამარცხების შემდეგ შემდეგ დამამშვიდებელ მატჩში გერმანელებს შეხვდა და 0:16 დამარცხდა. ეს რუსეთის ფეხბურთელთა ყველაზე დიდი მარცხია დღემდე. თუმცა რუსეთის ოლიმპიელები მთლად ხელცარიელი არ დაბრუნებულან შინ. ფიცხელ ბრძოლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ესტონელმა მოჭიდავემ მარტინ კლეინმა. მეორე ესტონელმა სპორტსმენმა – მიხაილ კუზიკმა რუსეთს ბრინჯაოს მედალი მოუტანა 2000 მეტრზე ნიჩბოსნობაში. 10 მეტრის კლასის იახტებში მესამე ადგილი დაიკავა ალექსანდრ ვიშნეგრადსკიმ იახტით „გალია II“.

ამჯერად უმედლოდ დარჩა პირველი რუსი ოლიმპიური ჩემპიონი ნიკოლაი კოლომენკინი, რომელიც სპორტულ სარბიელზე პანინის გვარით გამოდიოდა, როგორც მსროლელი და მოფიგურავე, და ოთხი წლით ადრე ლონდონის ოლიმპიადაზე ოქროს მედალიც მოიპოვა ფიგურაობაში. ნიკოლაი პანინი რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი იყო პისტოლეტითა და რევოლვერით სროლაში და სტოკჰოლმში სწორედ სროლაში ასპარეზობდა. ნებისმიერი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში მან მე-8 ადგილი დაიკავა, ხოლო სამხედრო პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში რუსეთის გუნდმა, რომელშიც პანინთან ერთად გრიგორი შესტერიკოვი, პაველ ვოილოშნიკოვი და ნიკოლაი მელნიცკი იყვნენ, მე-4 ადგილი დაიკავა ხუთ გუნდს შორის.

მაგრამ რუსი მსროლელები უმედლოდ მაინც არ დარჩენილან: რუსეთის ოლიმპიურმა გუნდმა სადუელო პისტოლეტით სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. გუნდის შემად-



გენლობაში იყვნენ: ამოს კაშე, ნიკოლაი მელნიცკი, პაველ ვოილოშნიკოვი და გიორგი პანტელეიმონოვი.

ხოლო რუსეთის კიდევ ერთი წარმომადგენელი გარი ბლაუ მესამე იყო აფრენილ მტრედებზე სროლაში. იგი ჩემპიონს მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩა, ბოლო წრეში კი სულაც პირველი იყო – 50-დან 49 მტრედს მოულო ბოლო.

ჩვენთვის სროლის შედეგები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ჩვენი თანამემამულე სწორედ სროლაში გამოდიოდა. თუმცა მას არც პისტოლეტით უსვრია და არც მტრედები დაუხოცავს. იგი მცირეკალიბრიანი, მსხვილკალიბრიანი და სამხედრო შაშხანით სროლაში ასპარეზობდა და პროგრამის შვიდ დისციპლინაში მიიღო მონაწილეობა.

ალექსანდრე დობრჟანსკიმ 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ერთი 78-ე, ორი 71-ე ორი 33-ე, ერთი 26-ე და ერთიც მე-5 ადგილი დაიკავა.<sup>1</sup>

463 ქულით 78-ე იყო იგი ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრზე სამი პოზიციიდან სროლაში, რომელშიც 84 სპორტსმენი მონაწილეობდა.

71-ე ადგილი დაიკავა 91 მონაწილეს შორის სამხედრო შაშხანით 300 მეტრზე სროლაში სამივე პოზიციიდან (66 ქულა).

71-ე (85 მონაწილეს შორის) იყო აგრეთვე სამხედრო შაშხანით 600 მეტრზე სროლაში ნებისმიერი პოზიციიდან (61 ქულა).

33-ე ადგილზე (41 მონაწილეს შორის) გავიდა დობრჟანსკი მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე სროლაში წილელა პოზიციიდან (172 ქულა).

---

<sup>1</sup> Bill Mallon, Ture Widlund, Olympic Games (Results for all Competitors in All Events, with Commentary). Jefferson, North Carolina and London, 2011. Pp. 257-270.

33-ე (34 მონაწილეს შორის) იყო იგი აგრეთვე „მორბენალ ირემზე“ სროლაში (22 ქუ-ლა).

26-ე ადგილი დაიკავა 36 მონაწილეს შორის მცირეკალიბრიანი შაშხანით მოძრავ სამიზნეზე სროლაში 25 მეტრიდან (190 ქულა).

დაბოლოს, მე-5 ადგილი, რომელიც ალექსანდრე დობრჟანსკიმ „მორბენალ ირემზე“ სროლაში გუნდურ ასპარეზობაში დაიკავა. მის გარდა რუსეთის გუნდში იყვნენ ვასილი სკროცკი (მე-15-19 ადგილი პირადში), გარი ბლაუ (მე-20 ადგილი) და დმიტრი ბარკოვი (31-32 ადგილი).

ეს მე-5 ადგილი ალექსანდრე დობრჟანსკის მიერ ოლიმპიადაზე ნაჩვენები საუკეთესო შედეგია, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება ყველაზე უარესადაც ჩაითვალოს, რადგან ამ დისციპლინაში გუნდურ ასპარეზობაში მხოლოდ ხუთი გუნდი გამოდიოდა და რუსეთის გუნდი 108 ქულით ბოლო იყო.

მეოთხე ადგილზე ავსტრია გავიდა 115 ქულით, მესამეზე – ფინეთი 123 ქულით, მეორეზე – ამერიკის შეერთებული შტატები 132 ქულით, ხოლო ოლიმპიური ჩემპიონები შვედი მსროლელები გახდნენ 151 ქულით.

შვედების შემადგენლობაში იყვნენ მამა-შვილი სვანები – ოსკარი და ალფრედი, აგრეთვე – აკე ლუნდბერგი და პერ-ოლოფ არვიდსონი.

მამა-შვილმა სვანებმა 1908-1924 წლებში საერთო ჯამში 15 ოლიმპიური მედალი მოიპოვეს – 6 ოქროსი, 4 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოსი. ამათგან თითოეულის ანგარიშზე სამ-სამი ოლიმპიური ოქროს მედალია. ოქროებთან ერთად მამამ ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, შვილმა კი – სამი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოსი. სტოკ-

ჰოლმში მამა სვანმა ერთი ოქრო და ერთი ბრინჯაო დაიმსახურა, შვილმა – ორი ოქრო.

მამა-შვილის გარდა სტოკჰოლმში თავი გამოიჩინეს შვედმა ტყუაბუა – ვილჰელმ და ერიკ კარლბერგებმა. გუნდურ ასპარეზობებში მათ ორ-ორი ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვეს მცირეკალიბრიანი და სამხედრო შაშხანებით სროლაში, ხოლო ვილჰელმმა ერთი ოქროს მედალი მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში ინდივიდუალურადაც მოიგო.

საერთოდ, შვედმა მსროლელებმა სტოკჰოლმში გათამაშებული მედლების 17 კომპლექტიდან 7 ოქროს, 6 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

შვედი სპორტსმენების წარმატებას ბევრი მსაჯების მიკერძოებულობას მიაწერდა. და ეს მხოლოდ სროლას არ შეხება. პროტესტები იმდენად ხშირი და მწვავე იყო, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ წევრს – ბარონ კარლ ფონ ვენინგენს ამ პროტესტების შეგროვება და გაანალიზება დაავალა. მარტლაც 1913 წელს ფონ ვენინგენმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს თავისი მოხსენება წარუდგინა, რომელიც იმავე წელს რუსულადაც ითარგმნა და სანკტ-პეტერბურგში გამოიცა.<sup>1</sup>

ფონ ვენინგენის მოხსენებაში აღწერილია სროლაში ასპარეზობის ის მომენტი, როცა სტადიონზე კოკისპირული წვიმა წამოვიდა და შეჯიბრება არ შეუწყვეტიათ, ხოლო შვედი სპორტსმენებისთვის სასწრაფოდ გააკეთეს საიმედო

---

<sup>1</sup> „Свод замечаний и предложений об улучшении в устройстве Олимпийских игр. Доклад Международному олимпийскому комитету, составленный по его поручению членом Международного олимпийского и Германского правительственного комитетов бароном фон Венингеном“. С-Петербург, 1913.

თავშესაფარი, სადაც სხვა ქვეყნის სპორტსმენებს არ უშვებდნენ.

მაგრამ რაც არ უნდა კოკისპირული ყოფილიყო ის წვიმა, რაც არ უნდა კატეგორიული იყოს ფონ ვენინგენის მოხსენება და რაც არ უნდა მიკერძოებულები ყოფილიყვნენ მსაჯები სტოკჰოლმში, რუსეთის ცუდად მომზადებული გუნდი ამაზე უკეთეს შედეგს ვერ მიაღწევდა. მათ შორის ალბათ ვერც ალექსანდრე დობრჟანსკი, რომელიც ოლიმპიადაზე სრულიად მოუმზადებელი, პირდაპირ თბილისიდან გაემგზავრა, თუმცა თბილისშიც და ყველგან, სადაც უმუშავია, საუკეთესო მსროლელად ითვლებოდა.

თავისთავად დიდად საპატიოა, ოლიმპიადაზე მამაშვილ სვანების და ძმებ კარლბერგების მხარდამხარ ასპარეზობდე და იმ გუნდში იყო, რომლის წევრიც ოლიმპიური ჩემპიონი ნიკოლაი პანინ-კოლომენკინია.

ოლიმპიური ისტორიის მკვლევართათვის კარგად ცნობილი სპორტის სტატისტიკოსი, ჰოლანდიელი ჰერმან დე ვაელი თვლის, რომ რუსეთის იმპერიის მსროლელთა გუნდში თორმეტი რუსი იყო, შვიდი უკრაინელი, ორი ლატვიელი და თითო სომეხი, ესტონელი, ქართველი, ლიტველი და მოლდოველი.<sup>1</sup>

რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ოლიმპიელთა დიფერენციაცია ოლიმპიური ისტორიის მკვლევარებმა და სტატისტიკოსებმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყეს. საქართველოში კი ეს პირველად 1988 წელს გაკეთდა, როცა საქართველოს ოლიმპიელთა შედეგები და მათი წვლილი საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ წარმატებებში ცალკე გამოვყავი და ჩემი გამოკვლევის

---

<sup>1</sup> <http://users.skynet.be/hermandw/>

შედეგები გამოვაქვეყნე კიდევ გაზეთ „ლელოში“.<sup>1</sup> ეს გამოკვე-  
ვლევა საფუძვლად დაედო ჩემს მოხსენებას,<sup>2</sup> რომელიც საქა-  
რთველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელ  
კონფერენციას წარვუდგინე 1989 წლის 6 ოქტომბერს.

მაშინ მე წარმოდგენა არ მქონდა რუსეთის იმპერიის  
სტოკჰოლმური გუნდის შემადგენლობაზე და არ ვიცოდი,  
რომ საქართველოს წარმომადგენლები და მათი წვლილი  
აქაც უნდა მეძებნა.

მოგვიანებით ეს შედარებით ადვილად გავაკეთე სპირი-  
დონ ჭავჭავაძისა და ალექსი ფანჩულიძის შემთხვევაში, იმის  
მიუხედავად, რომ არცერთი მათგანი ოლიმპიურ ასპარეზზე  
არ გამოსულა, თუმცა სტოკჰოლმში კი ჩავიდნენ, როგორც  
რუსეთის იმპერიის ოლიმპიური გუნდის წევრები.

არაქართული გვარის გამო ალექსანდრე დობრჟანსკის  
მიმართ არავითარი ეჭვი არ გამჩენია, სანამ ჰერმან დე ვაე-  
ლის უაღრესად კვალიფიციურ გამოკვლევას არ გავეცანი.  
პირველი გრძნობა, რაც გამიჩნდა, გაკვირვება იყო ჰერმან დე  
ვაელის ინფორმირებულობითა და მისი მონაცემების უაღრესი  
სიზუსტით. სხვათა შორის, ოლიმპიურ თამაშებში დობრჟანს-  
კის მონაწილეობის ამბავი ჩემთვის ცნობილ მის არცერთ ბი-  
ოგრაფიაში არ არის მოხსენიებული, თუმცა ის კი აღნიშნუ-  
ლია, რომ იგი საუკეთესო მსროლელად ითვლებოდა.

მის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ ალექსანდრე დო-  
ბრჟანსკი ცნობილი იყო, როგორც გვარდიის ერთ-ერთი  
გამორჩეული მსროლელი. 1894 წელს 74 მანეთი გადაეცა  
პრიზად, როგორც წარჩინებულ მსროლელს. 1899 და 1902

---

<sup>1</sup> ნაცვლიშვილი პ., საქართველოს ოლიმპიური პოტენცია, გაზ  
„ლელო“, 11 ივლისი, 1989.

<sup>2</sup> ნაცვლიშვილი პ., საქართველოს ოლიმპიური პოტენცია, გაზ  
„კომუნისტი“, 14 ოქტომბერი, 1989.

წლებში შაშხანით სროლაში პირველი საიმპერატორო პრიზი მოიპოვა, 1900 და 1903 წლებში კი მეორე საიმპერატორო პრიზი დაიმსახურა.

დღეს ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ მსროლელი ალექსანდრე დობრჟანსკი საქართველოს ისეთივე წარმომადგენელია ოლიმპიურ თამაშებზე, როგორც უკვე საბჭოთა ეპოქაში იქნებიან რაფიელ ჩიმიშკიანი, ვლადიმერ ლავრინენკო, ბორის ნიკიტინი, იური ოსიპოვი, ალექსანდრე ტუტაკაევი, ბორის პოლულიანი, ნადეჟდა ხნიკინა, ალექსანდრე შჩერბინა, იური დიაჩკოვი, იგორ ომელჩინკო, იგორ კუშპელიოვი, ვიქტორ სანეევი, ვიქტორ კრატასიუკი, ლუდმილა იევლევა, იგორ დელა-როსა, ალექსანდრე ანპილოვოვი, ირინა გერასიმოვა, ნიკოლოზ დერიუგინი, ოლეგ სტრიჟაკოვი, ქრისტინა ფალასანიდი, ვლადიმერ გრუზდევი, ელვირა ურუსოვა, იულია დუბინა, დავით პოლოსიანი, ლუბა გოლოვინა...

იგი უფრო მეტად და უფრო საფუძვლიანად არის საქართველოს წარმომადგენელი, ვიდრე ის ოთხი ბრზილიელი პლაუბურთელი და პოლონელი მასიეჟ როსიევიჩი, რომლებმაც ბეიძინის თამაშების წინ ისე მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა და ისე გამოვიდნენ საქართველოს სახელით 2008 წლის ოლიმპიადაზე, რომ არც მანამდე და არც შემდეგ საქართველოში საერთოდ არ ყოფილან.

ხოლო ისტორიულად ალექსანდრე დობრჟანსკი ისეთივე ქართველია, როგორებიც იყვნენ ჰენრიკ ჰრინვესკი, არტურ ლაისტი, ოსკარ შმერლინგი, გრიგოლ ვოლსკი, ალექსანდრე ნეიმანი, იაკობ ტრიპოლსკი; როგორებიც არიან ალექსანდრე სლოვინსკი, ნიკოლოზ დერიუგინი, გია ვოლსკი, ირაკლი ტრიპოლსკი...

თბილისელი მაიორი ალექსანდრე დობრჟანსკი მეორე უხუცესი ქართველი ოლიმპიელია არსენ მეკოკიშვილის შემ-

დევ. 1912 წლის ოლიმპიადაზე იგი 39 წლისა იყო. სტოკ-ჰოლმიდან დაბრუნებულმა, მან კვლავ თბილისში გააგრძელა მუშაობა კავკასიის არმიის მთავარსარდლის ადიუტანტად. 1913 წელს დობრჟანსკიმ პოლკოვნიკის ჩინი მიიღო. კიდევ ერთი წლის შემდეგ კი პირველი მსოფლიო ომი დაიწყო.

მსოფლიო ომის დაწყებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ, 1914 წლის 17 აგვისტოს რუსეთის იმპერიის სამხედრო სამინისტროში დროებით მივლინებული, ლეიბგვარდიის ეგერთა პოლკის პოლკოვნიკი ალექსანდრე დობრჟანსკი რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრმა, გენერალ-ადიუტანტმა ვლადიმერ სუხოძლინოვმა თავისთან გამოიძახა და „საავტომობილო სატყვიამფრქვევო ბატარეის“ ჩამოყალიბება შესთავაზა.

19 აგვისტოს ალექსანდრე დობრჟანსკიმ მიიღო ჯავშნოსანი მანქანების შექმნის ოფიციალური ნებართვა.

„ვაგალებ პოლკოვნიკ დობრჟანსკის სატყვიამფრქვევო საავტომობილო ბატარეის ჩამოყალიბებას. გენერალ-ადიუტანტი სუხოძლინოვი. 19 აგვ. 1914“.<sup>1</sup>

სწორედ ეს ტექსტი – ბლოკნოტის ფურცელზე სუხოძლინოვის მიერ შედგენილი და მის მიერ ხელმოწერილი ხელნაწერი ბრძანება დაედო საფუძვლად რუსეთის არმიაში ჯავშნოსანი საავტომობილო ნაწილების ფორმირებას. ხოლო ალექსანდრე დობრჟანსკი რუსეთის პირველი საავტომობილო ბატალიონის უცვლელი მეთაური გახდა.

არ არის გამორიცხული, რომ ამ საქმეში სუხოძლინოვის თანაშემწე, თავისი საერთაშორისო კავშირებით განთქმული ვასო დუმბაძეც ყოფილიყო ჩართული.

სხვათა შორის, პირველი რუსული ჯავშნოსანი ავტომობილის შექმნაც ქართველი ოფიცრის სახელთან არის დაკავშირებული. ეს გახლავთ ციმბირის მე-7 კაზაკთა პოლკის

---

<sup>1</sup> <http://rufor.org/showthread.php?t=20370>

პოდიასაული მიხეილ ნაკაშიძე, რომელიც რუსულ სამხედრო ისტორიაში „თავად ნაკაშიძის“ სახელით არის ცნობილი. იგი საავტომობილო საქმის ერთ-ერთი პიონერი იყო რუსეთის იმპერიაში და 1902 წელს გამოქვეყნებული მისი წიგნი „ავტომობილი, მისი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისათვის“, პირველი წიგნი იყო რუსეთში სამხედრო ავტომობილების შესახებ.<sup>1</sup>

კარიერის დასაწყისში იგი გროდნოს ჰუსართა პოლკში მსახურობდა. პოლკის მეთაურთან, პოლკოვნიკ ნიკოლაი გოლოვინთან და პოლონელ გრაფ ჰერნიკ პოტიცკისთან ერთად მან აქ ჩამოყალიბა საავტომობილო საწარმო „ავტომობილების დიდი საერთაშორისო გარაჟი“.

დაიღუპა პიოტრ სტოლიპინის აგარაკის აფეთქებისას 1906 წლის 25 აგვისტოს. თავადი ნაკაშიძე პრემიერ მინისტრთან აუდიენციაზე იყო მისული თავისი პროექტებით ხელში და აფეთქებამ მის მისაღებში მყოფს მოუსწრო. ამ ტერორისტული აქტის გამო რუსული სამხედრო ავტომობილების საქმე რამდენიმე წლით დამუხრუჭდა, მაგრამ ბოლოს იგი მაინც ქართველთა დასავკირგვინებელი გახდა.

აქ არ შეიძლება არ ვახსენოთ ქართული წარმოშობის კიდევ ერთი ოფიცერი, რომელიც ასევე დაკავშირებულია რუსეთში ჯავშნოსანი ტექნიკის განვითარების პირველ ნაბიჯებთან. ეს გახლავთ ვლადიმერ მღებროვი, რომლის ჯავშნოსანი მანქანა იმით იყო გამორჩეული, რომ ჯავშნოსანი მანქანების შექმნის ისტორიაში მან პირველმა დახარა მანქანის კორპუსი წინა მხარეს. შტაბს-კაპიტანი მღებროვი პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა 1915 წლის 21 აგვისტოს და იმავე წლის 13 ოქტომბერს უმაღლესი განკარგულებით წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს სიკვდილის

---

<sup>1</sup>[https://ru.wikipedia.org/wiki/Накашидзе,\\_Михаил\\_Александрович](https://ru.wikipedia.org/wiki/Накашидзе,_Михаил_Александрович)



შემდეგ. ზოგიერთ წყაროში მღებროვი სომხად არის მოხსენიებული.<sup>1</sup>

საინტერესოა, რომ ორივეს – მიხეილ ნაკაშიძისა და ვლადიმერ მღებრიშვილის მამები რუსეთის არმიის გენერლები იყვნენ. კავკასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის ომების გმირი, კავალერიის გენერალი ალექსანდრე ნაკაშიძე 1905 წელს გარდაიცვალა, გენერალ ლეინტენენტი აბესალომ (აბელ) მღებროვი კი შვილის დალუპვის შემდეგაც იმპერიის სამხედრო სამინისტროში და რუსეთის არმიის გენერალურ შტაბში მუშაობდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე.

დობრჟანსკი კი მაშინ მხოლოდ პოლკოვნიკი იყო. სუხომლინოვის დავალების შემდეგ იგი ენერგიულად შეუდგა საქმეს. მანქანების ესკიზები მან თავად შექმნა ცნობილ ინჟინერ-გემთმშენებელ ანდრეი გრაუნთან ერთად და საფუძვლად მათ „რუსო-ბალტის“ C ტიპის მანქანები დაუდო. ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი რვა ჯავშნოსანი მანქანა სწორედ „რუსო-ბალტის“ ბაზაზე შეიქმნა. კიდევ ორი ჯავშნოსანი „მანესმან-მულავის“ ბაზაზე აიგო. უკვე სექტემბერში ჩამოყალიბდა 1-ლი საავტომობილო სატყვიამფრქვევო ასეული, რომლის მეთაურად ალექსანდრე დობრჟანსკი დაინიშნა. მალე რუსეთის არმიის პირველი საავტომობილო ნაწილი და ჯავშნიანი ავტომობილების პირველი ნიმუშები ნიკოლოზ მეორეს წარუდგინეს.

იმპერატორს თავის დღიურში ჩაუწერია: „14 ოქტომბერი. სამშაბათი. მოდის სველი თოვლი. 11 საათზე სასახლის მოედანზე წარმომიდგინეს ეს-ეს არის ფორმირებული საავტომობილო ასეული 47-მილიმეტრიანი ზარბაზნებით, ტყვია-

---

<sup>1</sup>[https://ru.wikipedia.org/wiki/Мгебров,\\_Владимир\\_Авельевич](https://ru.wikipedia.org/wiki/Мгебров,_Владимир_Авельевич)

მფრქვევებით და ფოლადის ფარებით. იგი სალაშქროდ მიდის“.<sup>1</sup>

სალაშქროდ ასეული 19 ოქტომბერს გაემართა და მე-2 არმიის შტაბის დაქვემდებარებაში გაამწესეს. ასეულში თავდაპირველად ოთხი ოცეული იყო თითოეულში ორ-ორი მანქანით. საბრძოლო ნათლობა ასეულმა ლოდის მიდამოებში მიიღო 9-10 ნოემბერს. ეფექტი უალრესად შთამბეჭდავი იყო – გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს და პოზიციები დათმეს. ამ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მეორე ოცეულის მეთაური ბორის შულკევიჩი წმინდა სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენის მახვილებითა და ბაფთით დააჯილდოვეს.

ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის ასეულის არაერთი მებრძოლი დაჯილდოვდა სხვადასხვა ხარისხის მედლებითა და ორდენებით. წმინდა გიორგის პირველი კავალერიკი მეოთხე ოცეულის მეთაური პ. ვ. გურდოვი გახდა, რომელსაც წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი პაბიანიცესთან გამართულ სასტიკ ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისთვის მიენიჭა. ეს ბრძოლა 1914 წლის 20-21 ნოემბერს გაიმართა და გურდოვთან ერთად მეოთხე ოცეულის კიდევ 12 დაბალი ჩინის მებრძოლი წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა.

ამ ბრძოლაში გამარჯვებისთვის წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენზე ასეულის მეთაური ალექსანდრე დობრჟანსკიც იყო წარდგენილი, მაგრამ დაჯილდოება გაურკვეველი მიზეზების გამო გადაიდო. ასმეთაური მეორედაც წარად-

---

<sup>1</sup> 14-го октября. Вторник. Шел мокрый снег. В 11 час. на дворцовой площадке мне представилась только что сформированная автомобильная рота с 47-мм пушками и пулеметами со стальными щитами. Она уходит в поход.  
([http://www.e-reading.mobi/chapter.php/1029309/1599/Nikolay\\_-\\_Dnevnik\\_iimperatora\\_Nikolaya\\_II.\\_Tom\\_II.\\_1905-1917.html](http://www.e-reading.mobi/chapter.php/1029309/1599/Nikolay_-_Dnevnik_iimperatora_Nikolaya_II._Tom_II._1905-1917.html))

გინეს იმავე ჯილდოზე 1915 წლის 7-10 ივლისს პულტუსკთან გამართული ბრძოლისთვის, მაგრამ ორდენის ნაცვლად დობრჟანსკის მხოლოდ წმინდა გიორგის იარაღი გადაეცა. მალე სოფელ ბრომერჟთან გერმანელთა საყრდენი პუნქტის განადგურების შემდეგ, პოლკოვნიკი დობრჟანსკი გენერალ-მაიორობაზე წარადგინეს, მაგრამ იგი მხოლოდ ადრე მინიჭებული წმინდა ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენზე მახვილებისა და ბაფთების მიმატებით დააჯილდოვეს. გენერალ-მაიორის ჩინი და წმინდა გიორგის ორდენი ალექსანდრ დობრჟანსკიმ მხოლოდ 1917 წელს, იმპერატორის გადადგომის შემდეგ მიიღო. ეს მით უფრო საკვირველია, რომ უკვე 1915 წლის დასაწყისისათვის დობრჟანსკისა და მისი ასეულის სახელი და დიდება რუსეთის მთელ იმპერიას მოედო, ზოლო ხელმწიფე იმპერატორმა 13 თებერვალს თავის დღიურში ჩაწერა: „ჩვენს ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე, მადლობა ღმერთს, საქმე მნიშვნელოვნად გამოსწორდა. ლომჟიდან პრასნიშამდე წარმატებით მიმდინარეობს შეტევითი ბრძოლები; ჩვენმა ჯარებმა გერმანელთა ცოცხალი ძალის, ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების გვარიანი რაოდენობა ივდეს ხელთ; დიდად დაგვეხმარნენ ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ავტომობილები“.<sup>1</sup>

1915 წლის მარტში ასეული საავტომობილო პარკი ოთხი ახალი ჯავშნოსანი მანქანით შეივსო – ორი მათგანი „მანესმან-მულაგის“ ბაზაზე იყო აგებული, ორი – „პაკარ-

---

<sup>1</sup> 13-го февраля. Пятница. На нашем северо-западном фронте, слава Богу, дела значительно поправились. От Ломжи до Прасныша идут успешные наступательные бои; наши войска забрали порядочно пленных германцев, орудий и пулеметов; очень помогли успеху автомобили с пушками и пулеметами!  
([http://www.e-reading.by/chapter.php/1029309/1719/Nikolay\\_-\\_Dnevnik\\_iimperatora\\_Nikolaya\\_II.\\_Tom\\_II.\\_1905-1917.html](http://www.e-reading.by/chapter.php/1029309/1719/Nikolay_-_Dnevnik_iimperatora_Nikolaya_II._Tom_II._1905-1917.html))

დის“ ბაზაზე. ერთ პაკარდს „კაპიტან გურდოვის“ სახელი დაერქვა ასეულის მეოთხე ოცეულის მეთაურის პატივსაცემად, რომელიც სწორედ იმ დღეს დაიღუპა გმირულად, როცა იმპერატორმა თავის დღიურში ზემოთმოყვანილი სიტყვები ჩაწერა. თანაც – ნამდვილი მისტიკაა! – დაიღუპა სოფელ დობრჟანოვოსთან.

სხვათა შორის, მეოთხე ოცეულის მეთაურის პოსტზე შტაბს-კაპიტანი გურდოვი პორუჩიკმა ა. ი. ვაჩნაძემ შეცვალა, რომლის სახელი და წარმომავლობა, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ დავადგინეთ. ხოლო გურდოვი სიკვდილის შემდეგ უმაღლესი ბრძანებულებით წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენითა და წმინდა გიორგის იარაღით დაჯილდოვდა.<sup>1</sup>

ასეულის მეოთხე ოფიცერი, ვინც წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა (ბორის შულკევიჩის, ალექსანდრ დობრჟანსკისა და პაველ გურდოვის შემდეგ), პორუჩიკი ალექსანდრე ოდიშელიძეა, გენერალ-ლეინტენანტი ილია ოდიშელიძის ვაჟი.<sup>2</sup> ილია ოდიშელიძე იმხანად რუსეთის მე-10 არმიის შტაბის უფროსი იყო. მალე მას კავკასიის არმიის სარდლად დანიშნავენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს არმია არსებობას შეწყვეტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურში ჩადგება და ქვეყნის უმაღლეს სამხედრო პოსტებს ჩაიბარებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ილია ოდიშელიძე ემიგრაციაში წავა დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ელიტის მრავალ წარმომადგენელთან ერთად. რუსეთის სამოქალაქო ომში დამარ-

---

<sup>1</sup> [https://ru.wikipedia.org/wiki/1-я\\_автомобильная\\_пулемётная\\_рота](https://ru.wikipedia.org/wiki/1-я_автомобильная_пулемётная_рота)

<sup>2</sup> [https://ru.wikipedia.org/wiki/1-я\\_автомобильная\\_пулемётная\\_рота](https://ru.wikipedia.org/wiki/1-я_автомобильная_пулемётная_рота)

ცხების შემდეგ ემიგრაციაში წავა აგრეთვე ალექსანდრე დობრჟანსკი.

ხოლო რუსეთის 1-ლი საავტომობილი-სატყვიამფრქვევო ასეულის ისტორია სავალალოდ დასრულდა. ავტომობილების აუცილებელი კაპიტალური რემონტისათვის საჭირო სამთვიანი პერიოდის გარდა, ასეული გამუდმებულ ბრძოლებში იყო. 1916 წლის სექტემბერში იგი 1-ლ ჯავშნოსან დივიზიონად გადაკეთდა და მისი პარკი „ოსტინის“ ფირმის ინგლისური ჯავშანმანქანებით შეივსო. 1917 წლის ზაფხულამდე დივიზიონი ფინეთში იღვა და იქ დისლოცირებულ რუსულ ნაწილებს გერმანული დესანტის გადმოსხმისაგან იცავდა. შემდეგ დივიზიონი პეტროგრადში გადაიყვანეს. 1917 წლის ოქტომბერში, რევოლუციამდე რამდენიმე დღით ადრე, ჯავშანმანქანები დვინსკის, თანამედროვე დაუგავბილსის მიდამოებში გადაისროლეს, სადაც გერმანელთა შეტევა განსაკუთრებით მძაფრი იყო. რევოლუციის გამარჯვებისა და რუსეთის არმიის დეზორგანიზაციის შემდეგ 1-ლი ჯავშანდივიზიონის ნარჩენები დვინსკში შემორჩნენ და 1918 წლის მაისში, ბოლშევიკებსა და გერმანელებს შორის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შემდეგ მთლიანად მიმოიფანტნენ.

დივიზიონის მეთაური ალექსანდრ დობრჟანსკი პარიზს დამკვიდრდა, მაგრამ რუსეთის იმპერიის ბევრი სხვა გენერლისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი აქტიურობით არ გამოირჩეოდა. თუმცა პერლაშეზის სასაფლაოზე მისი დაკრძალვისა და შემდგომ გადასვენების ფაქტიდან ჩანს, რომ იგი რუსულ სამხედრო ემიგრაციაშიც გამორჩეული ფიგურა უნდა ყოფილიყო. დობრჟანსკის ემიგრანტული ცხოვრება ცალკე შესწავლის საგანია.

ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, ჰყავდა თუ არა ალექსანდრე დობრჟანსკის ცოლ-შვილი და თუ ჰყავდა, წაი-

ყვანა თუ არა ისინი ემიგრაციაში. ამ მხრივ ძიება კვლავაც უნდა გაგრძელდეს. მაგრამ ისევ მისი ნეშტის იუგოსლავიაში გადასვენების ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ იგი უმემკვიდრეოდ არ გადაგებულია, რომ მას ჭირისუფალიც დარჩა და ეს ჭირისუფალი სავარაუდოდ, მისი ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი უნდა იყოს.

ეჭვი არ არის, ალექსანდრე დობრჟანსკის პიროვნების და მისი საქმიანობის შესწავლა კიდევ მრავალი საინტერესო ფაქტის გამოვლენას გვპირდება. ავტორი მაღლიერებით მიიღებს ყველა გამოხმაურებას და მომდევნო კვლევა-ძიებაში გაითვალისწინებს დაინტერესებული მკითხველის ყველა საქმიან შენიშვნას.

ასეა თუ ისე, ჩვენთვის მთავარია, რომ საქართველოს ოლიმპიურ ისტორიას კიდევ ერთი ახალი სახელი შეემატა და იგი უფრო მდიდარი გახდა, ვიდრე აქამდე იყო.

*Paata Natsvlishvili*  
*Grigol Robakidze University*  
**ONE MORE GEORGIAN MILITARY OFFICER AT  
THE 1912 OLYMPIAD  
RESUME**

Alexander Dobrzanski (1873-1937) was a descendent of Polish Noble family. Born in Tbilisi he graduated Tbilisi Military School (Cadet Corps) in 1891. He started his military career in Tbilisi and ended as a Major General in St. Petersburg. During the years of WWI A. Dobrzanski formed armored military car battalion constantly leaded by him. After the Civil War in Russia he moved to Paris.

A. Dobrzanski was one of the most prominent shooters of the Russian Empire. In 1912 he took part in 1912 Olympic Games as a member of Russian shooting team. He appeared in seven different events. According to new Olympic standards, he is considered as a representative from Georgia. Detecting A. Dobrzanski's Olympic past and Georgian background Georgian Olympic history gained one more new name after Giorgi Nikoladze, Spiridon Chavchavadze and Alexi Panchulidze – all discovered by the Author.

**ფოტოები:**

01 – გენერალი ალექსანდრე დობრჟანსკი (1917 წ., პეტერბურგი).

02 – თავად დობრჟანსკების საგვარეული გერბი (XIX ს.).

03, 04 – რუსეთის დელეგაცია 1912 წლის ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე; სპორტსმენთა კოლონაში ერთ-ერთი ალექსანდრე დობრჟანსკია.

05 – რუსეთის სამხედრო მინისტრის ვლადიმირ სუხოძლინოვის ბრძანება პოლკოვნიკ დობრჟანსკისათვის სატყვიამფრქვევო საავტომობილო ბატარეის ჩამოყალიბების დავალების შესახებ.


06 – პოლკოვნიკ დობრჟანსკის საავტომობილო ბატარეის ჯავშნოსანი მანქანები.




01



02



03



04

Копию илго  
Писемъ илго  
илюкъ афориса  
вотъ афориса  
илюкъ афориса  
Самары.  
Теперь илюкъ  
Рубинина  
27 Авг. 1914.

05



06



*ნიკო ჯავახიშვილი*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ქართული ემიგრაცია ლატვიაში**  
**(1921-1941 წწ.)**

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის, იძულებითი გასაბჭოებისა (1921 წ.) და რეპრესიების დაწყების შემდეგ ქართველ მაშულიშვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და ემიგრაციაში გახიზნულიყო.

საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიის და სხვა ევროპული ქვეყნების გარდა, ქართველ ემიგრანტთა ერთ-ერთი ჯგუფი ლატვიაშიც ჩავიდა და იქ მანამდე ჩასულ ქართველთა მცირე დიასპორას შეუერთდა.<sup>1</sup>

1922 წლის აგვისტოში რიგაში გარდაიცვალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საპატიო კონსული ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში – გიორგი მიხეილის ძე მაჭუტაძე (1874-1922), რომელიც ამ თანამდებობაზე 1921 წლის იანვრიდან მოღვაწეობდა. საპატიო საკონსულო რიგაში მდებარეობდა. საქართველოს კონსული იმავე ქალაქში მდებარე ერთ-ერთ სასაფლაოზე („Покровское кладбище“) დაკრძალეს. ამის შესახებ იმავე წლის 13 აგვისტოს იუწყე-

---

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ნ., ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 93; ასევე, Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015, გვ. 201.

ბოდა რუსულენოვანი გაზეთი „Сегодня“, რომელიც 1919-1940 წლებში რიგაში გამოდიოდა.<sup>1</sup>

გიორგი მაჭუტაძე იყო ერთადერთი შვილი აზნაურ მიხეილ ბეჟანის ძე მაჭუტაძისა და ივლიტა გიორგის ასულ გაგუასი. მას ჰყავდა ვაჟები – დიმიტრი და ალექსანდრე გიორგის ძე მაჭუტაძეები.<sup>2</sup>

1922 წლის 20 დეკემბრიდან რიგაში ნაფიც ვეჟილად მსახურობდა იოაკიმე ბურჯანაძე (1879-1958). 1940 წლიდან ის გახდა ქალაქის I იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი. გერმანული ოკუპაციის (1941-1944) პირობებში განაგრძობდა ნაფიც ვეჟილად სამსახურს. 1944 წელს მსახურობდა ქ. სკრივერის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატად. იმავე წელს დაბრუნდა რიგაში.<sup>3</sup>

1923 წლის სექტემბერში, II ინტერნაციონალის (სოცინტერნის) ხელმძღვანელთან კამილ ჰიუისმანთან ერთად, ბელგიიდან ლატვიაში ჩავიდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამორჩენილი მოღვაწე, ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი ირაკლი (კაკი) წერეთელი (1882-1959). ისინი შეხვდნენ ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს და, მათ შორის, დიდ ლატვიელ მოაზროვნეს, პოეტს, დრამატურგს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს იანის რაინისს (1865-1929).

ი. რაინისი დაესწრო ზემოხსენებული პოლიტიკური მოღვაწეების გამოსვლებს რიგაში, ასევე მათ პატივსაცემად

---

<sup>1</sup> გაზ. „Сегодня“, Рига, 1922, № 179.

<sup>2</sup> Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князя Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю.Чиковани, М., 1998, стр.173.

<sup>3</sup> Latvijas Advokatūra, Zvērināti advokāti un zvērinātu advokātu palīgi. Biogrāfijas. 1919-1945, Biogrāfiskā vārdnīca, Sastādītāji: Ē. Jēkabsons, V. Ščerbinskis, Rīga, 2002, p. 137.

გამართულ ბანკეტს და ბალს, რომელიც მოეწყო ლატვიელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ფ. ციელენსის პატრონაჟით.

თავის დღიურებში (1923 წლის 4, 7 და 17 სექტემბრის ჩანაწერები) ი. რაინისმა შემოგვინახა ცნობები ი. წერეთელის შესახებ, რომლის მიმართაც პოეტი დიდ სიმპათიას ამჟღავნებდა. ლატვიელი მოაზროვნის შეფასებით: „წერეთელი საუბრობს ისევე მშვიდად, როგორც მე, ევექტების და აპლოდისმენტების გარეშე. და მაინც, ის კარგ ორატორად ითვლება. საუბრის შინაარსიც რაღაცას ნიშნავს. ჩვენთან, ლატვიაში ხომ მხოლოდ აწეული ხმა და სენტემენტალობაა...” (7 სექტემბრის ჩანაწერი); „წერეთელმა ხანგრძლივად ისაუბრა. ის სათნო და კეთილი ადამიანია” (17 სექტემბრის ჩანაწერი).

ირაკლი წერეთელი შეჰპირდა იანის რაინისს, რომ გაუგზავნიდა ქართველ პოეტთა ნაწარმოებების თარგმანებს.

1926 წლის აპრილში, როდესაც ი. რაინისი პარიზში ჩავიდა, ის საგანგებოდ ეწვია ი. წერეთელს, რის შესახებაც იუწყებოდა თავისი მეუღლის – პოეტ ასპაზიასადმი 26 აპრილს გაგზავნილ წერილში.<sup>1</sup>

1923 წლის 12 მაისს, მოსკოვიდან რიგის გავლით ბერლინში, მეუღლესთან, აკაკი პაპავასთან (1890-1964) ჩავიდა თამარ გოგოლაშვილი-პაპავა (1888-1976), თავის ქალიშვილებთან ერთად. ეს მოგზაურობა მან აღწერა თავის მემუარებში, რომელიც ნაწილობრივ გამოქვეყნებულია.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> Rainis J., Kopoti raksti 23-25. sējums, Vēstules; sējums, Dienasgrāmata, Rīga, 1986.

<sup>2</sup> ნაცვლიშვილი პ., თამარ პაპავას მემუარები – ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლის უმნიშვნელოვანესი წყარო, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია”, თბ., 2013, № 1(4), გვ. 194.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში ლატვიასა და ესტონეთში სამსახურებრივი მივლინებით არაერთხელ ჩავიდა გერმანიაში მოღვაწე ქართველი ქიმიკოსი რაჟდენ გრიგოლის ძე რუსიშვილი (1900-1984). იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1918-1921 წლებში). 1921 წელს, ცოდნის გასაღრმავებლად რ. რუსიშვილი მიავლინეს გერმანიაში, სადაც დაამთავრა მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1928). მისი უახლოესი მეგობარი იყო იმდროინდელ გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნება – ფიზიკოსი ალექსანდრე ნიკურაძე (1901-1981). 1939 წელს რ. რუსიშვილი საცხოვრებლად გადავიდა დიდ ბრიტანეთში და დასახლდა ქალაქ ილიში, სადაც გარდაცვალებამდე ცხოვრობდა.<sup>1</sup>

ლატვიაში მცხოვრებმა ბაბო მიხეილის ასულმა შარვაშიძემ (1859-1946), რომელიც გათხოვილი იყო ბალტიელ გერმანელ ბარონზე ალექსანდრე ფელიქსის ძე ფონ მეიენდორფზე (1869-1964), ამ რესპუბლიკის მოქალაქეობა მიიღო.

1946 წელს, ვ. შარვაშიძე-მეიენდორფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ლონდონში, ლატვიურ ენაზე გამოძავალ გაზეთში „Londonas Avize” ნეკროლოგი გამოქვეყნდა. მასში აღნიშნული იყო, რომ განსვენებულ წარჩინებულ ქალბატონს ძალიან უყვარდა თავისი მეორე სამშობლო – ლატვია და ქართველების და აფხაზების მსგავსად მცირერიცხოვანი ლატვიელი ხალხი, რომელსაც გულწრფელად თანაუგრძნობდა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ნ., რაჟდენ რუსიშვილი, ქართველი მეცნიერი უცხოეთის ცის ქვეშ, ჟურნ. „ისტორიანი“, თბ., 2014, № 48, გვ. 22-23.

<sup>2</sup> Ščerbinskis V., Lenācēji no tālienes, Rīga, 1998, p. 21.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ლატვიაში, თავის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა ქართული ემიგრაციის ცნობილი მოღვაწე შალვა მალლაკელიძე (1894-1976).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, შ. მალლაკელიძეც დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. მოგვიანებით, მას საზღვარგარეთ ემიგრირების ნება დართეს. ამის შემდეგ, იგი თავის ცოლთან, ბალტიელ გერმანელ მარია მარტინის ასულ გრასისთან (გერმანულად – გრასთან), შვილთან – გაიონთან და მოსკოვში მყოფ ცოლისდასთან ერთად წავიდა მეუღლის სამშობლოში – ლატვიაში.

შ. მალლაკელიძე იგონებდა: „მოსკოვში 6-7 თვე ვიყავი... პეშკოვა იყო ლენინის პირადი რწმუნებული, გორკის პირველი ცოლი და მას აკისრია, რომ გაისტუმროს გავლენიანი მენშევიკები აქედან... პეშკოვამ წამიყვანა ლატვიის საელჩოში. ფელდმანი იყო ელჩი. მომცა ფელდმანმა ვიზა და მკითხა რიგაში რატომ მიდიხარო? მე ვუთხარი: ცოლი გერმანელი მყავს და რიგის გუბერნიაში მამული აქვს – შერბერგში... ავიღე ვიზები... წავედით დემოკრატიულ ლატვიაში“.<sup>1</sup>

რიგაში ჩასული შ. მალლაკელიძე თავდაპირველად თავისი ცოლისძმის სახლში, ოჯახთან ერთად დაბინავდა. ერთ დროს შეძლებული მისი ცოლისძმის საკუთრებაში დარჩენილი იყო მხოლოდ ლუდხანა და წისქვილი, რადგან მამულები მას აგრარული რეფორმის შედეგად ჩამოართვეს.

---

<sup>1</sup> მალლაკელიძე შ., მოგონებანი, წგნ.: ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბ., 1994, გვ. 125-126.

ლატვიაში ყოფნის გარკვეულ პერიოდში შ. მალლაკელიძე ცხოვრობდა რიგაში, გიორგი შვანგირაძის სახლში, რომელიც 1905 წლიდან ხელმძღვანელობდა კინოთეატრს „Royal Bio”.<sup>1</sup>

1924 წლის 17 დეკემბერს, ლატვიის მოქალაქემ ლუცია გრასისმა, რომელიც იმხანად ტუბერკულოზით იყო ავად და იწვა რიგაში, სარკანკალნის საავადმყოფოში, მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება უანდერბა თავის დას – მარიას, რომელიც შ. მალლაკელიძის მეუღლე იყო. ლატვიურ ენაზე შედგენილი ამ ანდერბის ასლი დაცულია თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, შალვა და გაიოზ მალლაკელიძეების პირად არქივში.<sup>2</sup> მისი ტექსტი სრულად გამოვსვენეთ ჩვენს წიგნში დანართის სახით.<sup>3</sup>

აქვე დავსძენთ, რომ 1923-1926 წლებში შალვა მალლაკელიძე სწავლობდა პრადის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მან იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „Похищение чужого движимого имущества по уголовным кодексам 1845, 1903 и 1922 годов”. ამის შემდეგ ის დაბრუნდა რიგაში მცხოვრებ თავის ცოლ-შვილთან. 1926-1934 წლებში ის მუშაობდა რიგის ერთ-ერთ ბანკში იურისკონსულტის თანამდებობაზე.<sup>4</sup>

1929 წლის იანვარში, შ. მალლაკელიძისა და გ. შვანგირაძის ინიციატივით, რიგაში შეიქმნა პირველი კავკასიური

---

<sup>1</sup> Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015, стр. 203.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მალლაკელიძეების პირადი არქივი, დოკ. №66.

<sup>3</sup> Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015, стр. 469-470.

<sup>4</sup> Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015, стр. 204.

საზოგადოება – „ივერია“. თავდაპირველად მასში გაერთიანდა 20 ადამიანი, რომელთაგან 13 ქართველი იყო. მალე მათ შეუერთდნენ ლატვიაში მცხოვრები სხვა კავკასიელი ხალხების წარმომადგენლებიც, რის გამოც იმავე წლის ივლისიდან საზოგადოებას „კავკასია“ ეწოდა. ამ საზოგადოებას, რომელსაც მეორენაირად „კავკასიელთა დახმარების საზოგადოებაც“ ეწოდებოდა, სათავეში ჩაუდგა ჯერ ს. ელბეკი, ხოლო 1930 წლის მიწურულიდან – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი შ. მალლაკელიძე.

1931 წლის დასაწყისში კავკასიელთა საზოგადოება 70 წევრს ითვლიდა. საზოგადოება იკრიბებოდა ჯერ მერკელის ქუჩის № 8-ში მდებარე გ. შვანგირაძის ბინაში, ხოლო შემდეგ – კუპჩენსკის ქუჩის № 14-ში.

საზოგადოების მიზანი იყო ლატვიაში მცხოვრებ კავკასიელთა გაერთიანება, მათი მატერიალური დახმარება, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, კერძოდ, შემოქმედებითი საღამოებისა და ლექციების ჩატარება. მისი წევრები სადღესასწაულო დღეებში იკრიბებოდნენ. პერიოდულად ეწყობოდა ჩაის საღამოები, თვეში ერთხელ – საჯარო ლექციები კავკასიის ისტორიისა და კულტურის შესახებ, ხოლო ყოველწლიურად – „კავკასიელთა მეჯლისი“, რომლიდანაც შეგროვილი თანხა საქველმოქმედო მიზნით იხარჯებოდა.

კავკასიელთა საზოგადოების ხელმძღვანელი შ. მალლაკელიძე და მისი მეუღლე მარია მალლაკელიძე იყვნენ ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგის განყოფილების წევრები.<sup>1</sup>

შ. მალლაკელიძე იგონებდა: „ჩემი მთავარი საქმე იყო ანტისაბჭოურ საზოგადოებებთან მუშაობა და მათ შორის „ენტეესთან“. მე ვცხოვრობდი პასკევიჩის ქუჩაზე... შვანგირა-

---

<sup>1</sup> Ščerbinskis V., Lenācēji no tālienes, Rīga, 1998, p. 82-83.

ძის ბინაში, ჰყავდა ცოლად შვედი ქალი... ჰყავს შვილები. ერთი მათგანი დიპლომატს მისთხოვდა. ბიჭი ჰყავს, სტუდენტია, სტიპენდიას მე ვაძლევ, კავკასიური საზოგადოების გამგეობის წევრია. ამ სახლში ვცხოვრობ მე და ამ სახლში ცხოვრობს იაპონიის ატაშე, რომელსაც მდივნად ჰყავს შვანგირაძის გოგო ნინო. ამიტომ, მე ახლოს ვიყავი ამ ატაშესთან. რუსული კარგად იცოდა... ხშირად ვლაპარაკობდით საქართველოზე”.<sup>1</sup>

ერთ-ერთი შეხვედრის დროს იაპონელ ატაშეს შ. მაღლაკელიძისათვის უთქვამს: „Охота вам выставлять на свет Божий какое-то правительство, которое не имеет ни территории, ни народа. Мыслимо ли правительство без территории и населения? Удивляюсь, почему вам понадобилось опираться на меньшевистское или большевистское правительство, как-будто вы сегодня родились. Нет на свете ни одной царской династии, которая имела бы столько королей, культурнейших, просвещенных, как грузинская династия Багратионов. Вам надо поступить подобно венграм. Они восстановили корону Святого Стефана, не имея короля с одиннадцатого века, девять веков не имея корону. А вы потеряли недавно – в XIX веке. Вы должны настаивать на том, чтобы была восстановлена корона грузинских Багратионов”.<sup>2</sup>

1930 წლის 6 დეკემბერს, კავკასიელთა საზოგადოების მმართველობის თავმჯდომარე შ. მაღლაკელიძემ რიგაში წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ამიერკავკასიის დემოკრატიული

---

<sup>1</sup> მაღლაკელიძე შ., მოგონებანი, წგნ.: ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბ., 1994, გვ. 141-142.

<sup>2</sup> მაღლაკელიძე შ., მოგონებანი, გვ. 142.



რესპუბლიკები (1918-1921)”. მან მიმოიხილა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიელთა რესპუბლიკის ისტორია მოცემულ მონაკვეთში. შ. მალლაკელიძემ გამოთქვა რწმენა, რომ ხსენებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ახლო მომავალში აღდგებოდა. მისივე შეხედულებით, კავკასიელ ხალხებს კონფედერაცია უნდა ჩამოეყალიბებინათ. ამ მოხსენებამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.<sup>1</sup>

1931 წლის იანვრის დასაწყისში, კავკასიელთა საზოგადოებამ რიგაში რუსულ ენაზე გამოსცა ჟურნალი „Кавказ” („Сборник связи кавказцев на чужбине”).

ჟურნალში გამოქვეყნდა სარედაქციო წერილი, რომელშიც ამ გამოცემის მიზნები შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „Цель нашего издания – духовное объединение кавказцев, разбросанных по всему свету, томящихся вдали от родных гор и мечтающих снова увидеть величественные вершины Кавказа, вдохнуть его чистый воздух и ощутить в нем дым родных аулов”.<sup>2</sup>

კრებულში გამოქვეყნდა საყურადღებო მასალები, რომელთა შორისაც ქართულ თემატიკაზე იყო: ლექსი „Грузия” – А. Д-ის ხელმოწერით, ფოტოსურათი „Ледник в Верхней Сванетии”, „Каменный джигит (грузинское предание)”, ლექსი „Кавказ зовет своих сыновей” – „Сакартველა”-ს ფსევდონიმით.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015, стр. 206.

<sup>2</sup> „Кавказ”, сборник связи кавказцев на чужбине, Рига, 1931, стр. 2.

<sup>3</sup> „Кавказ”, сборник связи кавказцев на чужбине, Рига, 1931, стр. 12-32.

ჟურნალში ჭარბობდა სომხური თემატიკა,<sup>1</sup> რაც ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კავკასიელთა საზოგადოების წევრთა უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ.

სარელაქციო წერილში, რომლის სათაურიც იყო: „Привет латышскому народу” კვითხულობთ: „Острее всего чувствует и понимает человеческие отношения изгнанник, волей Провидения очутившийся на чужбине. Каждый недружелюбный взгляд, всякое неприветливое слово больно отдается в его душе. Но зато и всякое проявление внимания, участия и дружбы, малейшее движение сердца воспринимает скиталец с усиленной живостью...”

Мы, кавказцы, волею Рока заброшенные в Латвию, не можем пожаловаться на наших хозяев в отсутствии доброго чувства по отношению к нам.

Маленькая страна, сумевшая отстоять свою независимость, гостеприимно открыла свои двери для несчастных, лишившихся родного крова. Сама небогатая, в поте лица добывающая свой хлеб, она делит этот хлеб с нами по-кунацки... Здесь, среди латышского народа, мы чувствуем себя как в гостях у радушного хозяина, уделяющего своим гостям все, что он может по старой русской поговорке: „чем богат, тем и рад”.

И в сердцах наших живет теплая признательность за это к дружескому латышскому народу... И когда мы возвратимся под синее небо Кавказа, рассеемся по его долинам и бесчисленным склонам гор, мы унесем с собой это чувство к народу, разделившему с нами в годину наших несчастий кров и хлеб свой, и научим наших потомков любить латышский народ. И если судьба закинет

---

<sup>1</sup> შარაძე ვ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VIII, თბ., 2005, გვ. 408.

когда-нибудь кого-нибудь из латышей в наши горы, он будет священным гостем для нас и детей наших, дорогим кунаком, для которого, по нашим обычаям, кавказец готов на любую жертву.

Салам алейкюм, латышский народ! Да будет милость Господня с тобой, и пусть твоя родина цветет и преуспевает во всем.

Прими от сынов Кавказа этот привет, исходящий от чистого сердца, и да пребудет мир над кровом твоим”.<sup>1</sup>

ამავე ჟურნალში გამოქვეყნდა შ. მალლაკელიძის სტატია – „Грузия (исторический обзор и перспективы)”, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდებოდა: „Будет независимая Грузия, будет независимый Кавказ!”<sup>2</sup>

1931 წლის 17 იანვარს, რიგაში, ვალდემარას ქუჩის № 5-ში მღებარე არმიის ოფიცერთა კლუბში, კავკასიურმა საზოგადოებამ გამართა კონცერტი და მეჯლისი, რომელსაც ორგანიზება შ. მალლაკელიძის მეუღლემ გაუწია. ამ ღონისძიებას ლატვიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრებიც დაესწრნენ.

ადგილობრივი რუსული თეატრის რეჟისორმა და მსახიობმა, წარმოშობით თბილისელმა გიორგი სარუხანოვმა, რომელიც ცნობილი იყო ფსევდონიმით – „იური იუროვსკი” (1894-1959), დადგა დრამატურგ ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის (1857-1927) ისტორიული დრამა „ლალატი”, რომელიც საქართველოს გმირულ წარსულს ეძღვნება.

საგულისხმოა, რომ მეჯლისზე მოწვეულმა სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა ყურადღება გა-

---

<sup>1</sup> „Кавказ”, сборник связи кавказцев на чужбине, Рига, 1931, стр. 2.

<sup>2</sup> „Кавказ”, сборник связи кавказцев на чужбине, Рига, 1931, стр. 12.

ამაზვილეს კავკასიური საზოგადოების ჟურნალში გამოქვეყნებული შ. მალლაკელიძის სტატიის ზემოხსენებულ დასკვნით ნაწილზე.

ამასთან დაკავშირებით შ. მალლაკელიძე იგონებდა: ბალზე „ელჩები რომ იყვნენ, იქ საბჭოთა ელჩიც ერია და გავიგონე, იმეორებდნენ ამ ფრაზას.

მე მივედი და ვუთხარი: – „ჩტო ტაკოე?“

მიპასუხეს: „მი ჩიტალი ვაშ ჟურნალო“, იუმორით, ვითომ შენ კი გინდა „ნეზავისიმოსტ“, მაგრამ არ იქნებაო და მართლაც აღარ იქნა“.<sup>1</sup>

საუკულისხმოა, რომ კავკასიური საზოგადოების მიერ რიგაში გამართულ ზემოხსენებულ მეჯლისს გარკვეული ექსცესებიც მოჰყვა.

შ. მალლაკელიძის მოგონებებში კვითხულობთ: „მიდის წარმოდგენა და ამ დროს გარედან ატეხეს ბრახუნი – თურმე მთვრალი ლატვიელი ოფიცერია და არ შემოუშვეს. შემოუშვეს ესენი მხოლოდ დილას – ოფიცრები და სტუდენტები.

თურმე ამათში ურევია ის ოფიცერი, რომელსაც მე თავის დროზე იარალი ავყარე. ეს იყო ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, როცა საქართველოში მამისონის უღელტეხილით გადმოვიდა ღენიკინის უკანასკნელი პოლკი – „კაბარდინსკი პოლკ“. შესანიშნავი პოლკი იყო და იარალი ავყარე, საბჭოეთთან რაიმე კონფლიქტი რომ არ მოგვსვლოდა. ახლა ამათში ურევია ერთი იმ ოფიცერთაგანი და სხედან მაგიდასთან.

მე, როგორც საზოგადოების თავმჯდომარე, მივედი მათთან და მივესალმე. იმ ოფიცერმა, მთვრალია, აკრა მაგიდას ხელი და იყვირა: შენ მე შეურაცხყოფა მომაყენე!

---

<sup>1</sup> მალლაკელიძე შ., მოგონებანი, წგნ.: ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბ., 1994, გვ. 32.

– რა შეურაცხყოფა-თქო?

– გენერალი ერდელი თუ გახსოვთ, მე მისი ადიუტანტი ვიყავიო და თქვენ იარაღი აგვეყარეთო და ბოლშევიკებს უჭერდითო მხარს! უცებ ამოიღო რევოლვერი და მესროლა ფეხებში, მაგრამ ამცდა. მაშინვე ვიძრე ხანჯალი და ბრტყლად დავარტყი შუბლში. დავარტყი და წაიქცა. ეს რომ დაინახეს დანარჩენებმა, კურდღლებივით გაიქცნენ, ზოგი ფანჯრიდან გადახტა. შემრჩა ხელში ეს დავარდნილი კაცი. მერე გავუშვით და მესამე დღეს რევოლვერიც დავუბრუნე.

ახლა გავარდა ხმა და მაგას ამას ვუზამთო და იმასაო, უნდა გავასახლოთ, პოლიტიკური კაცია, ასეთ-ისეთია, რატომ ითვლება ჩვენს ჯარშიო („დვინსკი“ კავალერიის პოლკში ვითვლებოდი და მთელი რიგი პოლიტიკური ამოცანები მქონდა დასახული, საბჭოების წინააღმდეგ მიმართული).

ახლა მე გამოვიწვიე დუელში მათი ყველა სამხედრო ნაწილის წარმომადგენელი და დავუნიშნე ის „ცარსკი ლესში“ – რიგის გადაღმა დიდი ტყეა. დავნიშნე სეკუნდანტები და თვითონ ბალოდისიც დავასახელე, მათი სამხედრო მინისტრი, ჩემთან სწავლობდა. იარაღის არჩევანი თქვენზე მომინდვია-თქო. მაგრამ არცერთი ლატვიელი არ გამოცხადდა დუელზე. საქმე ისე ახსნეს, თითქოს ბალოდისმა გასცა განკარგულება, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს დუელი აიკრძალა და დემოკრატიულ ლატვიაში არავითარ შემთხვევაში არ დაგუშვებთ მასო.

ეს ამბავი ადგილობრივმა გაზეთებმაც აღნიშნეს. გაზეთი იყო იქ „ზა კულისამი“, გამოდიოდა რუსულ-გერმანულ-ფრა-

ნგულ-ინგლისურ-ლატვიურ ენებზე და არისტოკრატიულ ცხოვრებას ასახავდა, იქ იწერებოდა ამისთანა ამბები”.<sup>1</sup>

ზემოხსენებული იანის ბალოდისი (1881-1965) იყო ლატვიის რესპუბლიკის ცნობილი სამხედრო მოღვაწე, გენერალი. იგი მსახურობდა ლატვიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, ხოლო 1931-1940 წლებში – სამხედრო მინისტრად.<sup>2</sup>

1933 წელს, საზოგადოება „კავკასიაში” მომხდარი უთანხმოების გამო, ეს ორგანიზაცია დატოვეს ქართველებმა, რომლებმაც იმავე წლის ნოემბერში საკუთარი, დამოუკიდებელი საზოგადოება ჩამოყალიბეს. მას ოფისი ქვეყნის დედაქალაქში – რიგაში ჰქონდა.

ქართული საზოგადოების გამგეობა საკმაოდ აქტიურად საქმიანობდა. ის საზოგადოების წევრებს უფასო იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას უწევდა. საზოგადოებასთან დაარსდა საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი კურსებიც. ხუთშაბათობით იკითხებოდა მოხსენებები საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის საკითხების შესახებ.

გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ზემოხსენებული რეჟისორი იური იუროვსკი, წევრებად: ალექსანდრე და ნინო შვანგირაძეები (ზემოხსენებული გიორგი შვანგირაძის შვილები), მარია მაღლაკელიძე (შ. მაღლაკელიძის მეუღლე), კონსტანტინე ცინცაძე, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად: ავთანდილ ჩიკაშუა, კ. ვასაძე და სუმბატ ტერ-ხაჩატურიანი.

---

<sup>1</sup> მაღლაკელიძე შ., მოგონებანი, წგნ.: ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბ., 1994, გვ. 32.

<sup>2</sup> Энциклопедия „Рига”, Рига, 1989, стр. 178.

ამ საზოგადოების ყველაზე აქტიური წევრები იყვნენ მისი ხელმძღვანელი შ. მაღლაკელიძე და მისი მეუღლე მარია, კონსტანტინე ცინცაძე, ავთანდილ ჩიკაშუა და ალექსანდრე შვანგირაძე.

ქართველთა საზოგადოებას მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ლატვიის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის, ადმირალ თეოდორ სპადეს (1891-1970) ქართველი მეუღლე ნადეჟდა სპადე. ერთი ცნობის თანახმად, მისი გვარი იყო შველიძე,<sup>1</sup> [Bisters 2002: 18-23], ხოლო მეორე ცნობის მიხედვით – მეტრეველი.<sup>2</sup>

1934 წელს ნ. სპადემ რიგაში მცხოვრებ ქართველთათვის წაიკითხა რეფერატი თემაზე: „მარიაში – უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“.<sup>3</sup>

აქვე დავსძენთ, რომ ნ. სპადე 1937 წელს რიგაში გარდაიცვალა. იგი იმავე ქალაქში დაკრძალეს.<sup>4</sup>

1934 წლის მიწურულს, ჟურნალ „ორნატის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტის („რიგელის“ ფსევდონიმით) სტატია „ქართველთა საზოგადოება ლატვიაში“, რომელშიც ვკითხულობთ: „მართალია, მთელი შემადგენლობა საზოგადოებისა ლატვიის მოქალაქეთაგან შესდგება და ბევრი მათგანი თვით ლატვიაშია დაბადებული, მაგ-

---

<sup>1</sup> Admiralis Teodors Spade, Sastaditaji M. Bisters un J. Ciganovs, Rīga, 2002, p. 18-23.

<sup>2</sup> რიგელი, ქართველთა საზოგადოება ლატვიაში, ჟურნ. „ორნატი“, პარიზი, 1934, № 6, გვ. 31.

<sup>3</sup> Ščerbinskis V., Lenācēji no tālienes, Rīga, 1998, p. 19.

<sup>4</sup> Admiralis Teodors Spade, Sastaditaji M. Bisters un J. Ciganovs, Rīga, 2002, p. 431.

რამ მათი ინტერესი და სიყვარული დაშორებულ საქართველოსადმი ფრიად ღიღია”.<sup>1</sup>

ქართველთა რაოდენობა ლატვიაში დროთა განმავლობაში იცვლებოდა. კერძოდ, 1920 წელს აქ ცხოვრობდა 29 ქართველი, 1925 წელს – 34, 1930 წელს – 28, ხოლო 1938 წელს – 38.

რიგაში მცხოვრები შ. მალლაკელიძე ერთხანს რუსული ენის პედაგოგად მუშაობდა. 30-იანი წლების შუა ხანებიდან იგი გადავიდა პარიზში, სადაც ქართულ ემიგრანტულ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდა. მისმა ვაჟმა გაიოზ (იგივე – „Kajus Marijus”) შალვას ძე მალლაკელიძემ (1920-1989) დაამთავრა რიგის გერმანული სკოლა და სასწავლებლად გაემგზავრა პოლონეთში, სადაც სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში ჩაირიცხა. 1938 წლიდან მალლაკელიძეების მთელი ოჯახი საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა. გ. მალლაკელიძე ვერმანტში მოხალისედ ჩაირიცხა.

1938 წლის დეკემბერში ლატვიის ქართულმა საზოგადოებამ, რომელიც საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო, საქმიანობა შეწყვიტა.<sup>2</sup>

იმავე წელს, ლატვიის საზოგადოებრივ საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, დაიხურა ამ ქვეყანაში მოქმედი კავკასიური საზოგადოებაც, რომელიც, ქართულ საზოგადოებასთან შედარებით, უფრო მრავალრიცხოვანი იყო და 85 წევრისაგან შედგებოდა.

XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს, ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობა გადასახლდა ევროპის სხვა ქვეყნებში, ძირითადად საფრანგეთსა და გერმანიაში, სა-

---

<sup>1</sup> რიგელი, ქართველთა საზოგადოება ლატვიაში, ჟურნ. „ორნატი”, პარიზი, 1934, № 6, გვ. 31.

<sup>2</sup> Ščerbinskis V., Lenācēji no tālienes, Rīga, 1998, p. 19-21.



დაც თავმოყრილი იყო ქართველ ემიგრანტთა ძირითადი ნაწილი.<sup>1</sup>

ლატვიაში მუდმივად მცხოვრებ ქართველთა შორის იყო ზემოხსენებული გიორგი შვანგირაძის ვაჟი – ალექსანდრე შვანგირაძე (1905-1941). იგი დაიბადა 1905 წლის 15 ივნისს, რიგაში. დაამთავრა რიგის რუსული გიმნაზია, ხოლო შემდეგ ლატვიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი (1934) – ექიმის კვალიფიკაციით. ქირურგის სპეციალობით მუშაობდა ჯერ ლიეპაიაში (1940 წლამდე), ხოლო შემდეგ დაინიშნა კულდიგის საავადმყოფოს მთავარ ექიმად და ქირურგიის განყოფილების გამგედ. ჰყავდა ლატვიელი მეუღლე, რომელიც 1944 წლიდან ემიგრაციაში წავიდა.

გერმანული შეიარაღებული ძალების მიერ ბალტიის რესპუბლიკების ოკუპაციას, სხვებთან ერთად, ა. შვანგირაძის სიცოცხლეს შეეწირა. დაჭრილ წითელარმიელთა მკურნალობის საბაბით, 1941 წლის 5 ივლისს, კულდიგას მახლობლად, ერთად დახვრიტეს ა. შვანგირაძე და სანიტარი არნოლდ შვანი.<sup>2</sup>

II მსოფლიო ომის პერიოდში (კერძოდ – 1943 წლისათვის) ლატვიაში 28 ქართველი ცხოვრობდა.<sup>3</sup>

ამრიგად, ლატვიის რესპუბლიკაში მცხოვრებმა ქართველებმა და სხვა კავკასიელებმა ჩამოაყალიბეს საზოგადოებები: „ივერია“, „კავკასია“ და სხვა, რომლებიც ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ.

---

<sup>1</sup> Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015, стр. 212.

<sup>2</sup> Vīksna A., Pa ārstu takām, Rīga, 1990, p. 152-153.

<sup>3</sup> Н. Джавахишвили, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015, стр. 261.

## დამოწმებანი:

ნაცვლიშვილი პ., თამარ პაპავას მემუარები – ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლის უმნიშვნელოვანესი წყარო, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, თბ., 2013, № 1(4).

მაღლაკელიძე შ., მოგონებანი, წგნ.: ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბილისი, 1994.

რიგელი, ქართველთა საზოგადოება ლატვიაში, ჟურნ. „ორნატი“, პარიზი, 1934, № 6.

შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VIII, თბილისი, 2005.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების პირადი არქივი, დოკ. № 66.

ჯავახიშვილი ნ., ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2011.

Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю.Чиковани, Москва, 1998.

„Кавказ“, сборник связи кавказцев на чужбине, Рига, 1931.

„Сегодня“, Рига, 1922, № 179.

Энциклопедия „Рига“, Рига, 1989.

Admiralis Teodors Spade, Sastaditaji M. Bisters un J. Ciganovs, Rīga, 2002.

Latvijas Advokatūra, Zvērināti advokāti un zvērinātu advokātu palīgi. Biogrāfijas. 1919-1945, Biogrāfiskā vārdnīca, Sastādītāji: Ē. Jēkabsons, V. Ščerbinskis, Rīga, 2002.

Rainis J., Kopoti raksti 23-25. sējums, Vēstules; sējums, Dienasgrāmata, Rīga, 1986.  
Ščerbinskis V., Lenācēji no tālienes, Rīga, 1998.  
Vīksna A., Pa ārstu takām, Rīga, 1990.

*Niko Javakhishvili*  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*  
**GEORGIAN EMIGRATION IN LATVIA**  
**(1921-1941)**  
**RESUME**

After the occupation of Georgian Democratic Republic (1921) by the armed forces of Russian Soviet Federative Socialist Republic and starting of the repressions, big part of Georgian public patriots were forced to leave the country and emigrate. One group of Georgian emigrants went to Latvia and joined the small part of Georgian diaspora emigrated their before.

The number of Georgians living in Latvia was changeable by years. Specifically, in 1920 there were 29 Georgians living in Latvian Republic, in 1925 – 34, 1930 – 28, 1938 – 38, 1943 – 28.

Georgians together with other Caucasians living in Latvia formed societies named “Iveria” and “Caucasia”, which were mainly conducting cultural-educational activities.

At the end of the 30<sup>th</sup> of the XX century, most of Georgians living in Latvian Republic moved to France and Germany, where the main part of Georgian emigrants were settled. Because of this fact the above-mentioned societies existed in Latvian Republic stopped functioning.

*სოფიკო (ნანა) ჯერვალიძე*  
*რობერ შუმანის ევროპული სასწავლებელი*

**მეორე მსოფლიო ომი, ქართველი ტყვეები და ქართული ემიგრაცია**

(შოთა თარხნიშვილის ჩანაწერების მიხედვით)

ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობია არათუ შოთა თარხნიშვილის მემუარები, რომელიც მის საოჯახო არქივში აღმოჩნდა, არამედ თვით მისი პიროვნებაც. ის არც პოლიტიკოსი ყოფილა, არც - მწერალი, არც - მეცნიერი, არც - საზოგადო მოღვაწე, იგი მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლი იყო, რომელიც გერმანელთა ტყვეობის შემდეგ სამშობლოში მხოლოდ 25 წლის შემდეგ დაბრუნდა და რომ არა შემთხვევითობა, ალბათ, მისი თავგადასავალი და აქედან გამომდინარე, მეორე მსოფლიო ომისა და ქართული ემიგრაციის ცხოვრების მრავალი დეტალი, უცნობი იქნებოდა ჩვენთვის. შოთა თარხნიშვილი კიდევ ერთი მწარე ხვედრის ქართველია, რომელსაც წელს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

შოთა თარხნიშვილი 1915 წლის 18 მარტს დაბადებულა თბილისში, ალექსანდრე თარხნიშვილისა და ნუშო ხელაშვილის ოჯახში, დღევანდელი მაყაშვილის ქუჩის 9 ნომერში, სადაც 3 ბავშვი იზრდებოდა. ჯერ თბილისის მე-15 სკოლის შეიღწეული დაამთავრა, 1935 წელს კი - ათწლელი. მართალია, სწავლის გაგრძელება სამედიცინოზე უნდოდა, მაგრამ ბედმა კავშირგაბმულობის ინსტიტუტის დაუსწრებელ

ფაკულტეტზე მოახვედრა, პარალელურად მუშაობდა ორკესტრის ადმინისტრატორად. მალე ჯარში გაიწვიეს, შემდეგ კი, 1935 წელს, თბილისის საარტილერიო სასწავლებელში ჩაირიცხა. ამ პერიოდში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, რომელთანაც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1941 წლის ივნისში იქორწინა. ახალგაზრდა ლეიტენანტი უკრაინაში, ნოვოროდ-ვოლინსკში გაანაწილეს, სადაც 15 ივნისს გაემგზავრა, თბილისში კი სამი დღის შერთული მეუღლე დატოვა, რომელიც დაბინავების შემდეგ მასთან უნდა ჩასულიყო. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდალ... ორ კვირაში ომიც დაიწყო, განშორება ხანგრძლივ ტკივილად იქცა, ახალგაზრდა ქართველი ომის ქარ-ცეცხლში გაეხვა...

შოთა თარხნიშვილი საფრანგეთიდან არგენტინის ქართულ ემიგრაციას 1950 წელს შეუერთდა. საქართველოში დაბრუნდა 1965 წელს. საქართველოში დაბრუნებულმა ფართოდ აღწერა 25 წლიანი ემიგრანტული ცხოვრება... გარდაიცვალა 1990 წელს. დაკრძალულია მუხათგვერდის სასაფლაოზე... ემიგრაციის პერიოდში ის არაერთ საინტერესო პიროვნებასთან იყო დაკავშირებული, თავის მემუარებში სწორედ მათ შესახებაც მოგვითხრობს...

სიტყვა „მემუარი“ ფრანგული წარმომავლობისაა, რაც მოგონებას ნიშნავს, მის სათავეებს კი ანტიკურობაში, ძველ საბერძნეთსა და რომში ეძებენ. მემუარების ავტორი იხსენებს და აღწერს ისეთ ამბებს, რომელთა მოწმეც თვითონ ყოფილა; გაივლის დრო და ოსტატურად დაწერილი მემუარების გაცნობით ზოგი ცნობისწადილს დაიკმაყოფილებს, ზოგიც ძველი დროის ამბებს ღრმად ჩაწვდება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მემუარები, როგორც წყარო, ფართოდ გამოიყენება საისტორიო ხასიათის კვლევებში.

ზოგიერთ მემუარს აქვს დიდი ლიტერატურული ღირსება, ერთგვარად ბელესტრისტული ხასიათი, არსებობს ასევე ავტობიოგრაფიული სახის მემუარებიც.

მემუარების აუცილებელი ნიშანია ფაქტებზე დაყრდნობა და მათი ცოცხალი, დამაჯერებელი აღწერა. ამავე დროს, მემუარისტი მხოლოდ თავის გამოცდილებას კი არ გვაცნობს, არამედ თავის განცდებს, ფიქრებს, გრძნობებსა და დამოკიდებულებასაც გვიზიარებს. შოთა თარხნიშვილის მემუარები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა.

\*\*\*

„მრავალი წიგნი დაწერილა და კიდევ მრავალი დაიწერება მეორე მსოფლიო ომის (სამაშულო ომის) ისტორიიდან. ყველა ცდილობს მოუყვეს თავის ხალხს, თავის მამულიშვილებს, რაც უნახავს და გადახდენია წიგნის საშუალებით. თუ მოყოლის დიდი ნიჭი არ გაქვს, შეუძლებელია, ყველაფრის ზუსტად აღწერა... და მეც მსურს, ჩემს მამულიშვილებს გავაცნო, ცოტ-ცოტა ჩემი მოგონებები, რათა დე, სხვამაც იცოდეს, რა შეემთხვა ვინმე ქართველს 25 წლის განმავლობაში”, - ასე იწყებს თავის ჩანაწერებს ტყვედყოფილი შოთა თარხნიშვილი.

\*\*\*

...დაბნელებას აღარ მოუუცადეთ, უკან ვიხევთ... ზეცა გაივსო ფაშისტების ავიაციით. ეჭვით დაბობმეს ახლომახლო მრავალი ტყე, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ იყო. დიდი ზარალი ნახა ფაშისტების ავიაციამ. ღამე ერთ პატარა სოფელთან გავათენეთ. სასიამოვნო, მყუდრო სადამო იყო, მე ფიქრებმა გამიტაცა, ნუთუ სიკვდილი მიწერია? ფიქრებში ჩამეძინა კიდევ, მეტად უცნაური რამ მესიზმრა: კუკიის სასაფლაოზე

ვართ მთელი ოჯახით, შევედით წმინდა ნინოს ეკლესიაში, გვერდზე ჩემი ნინიკო<sup>1</sup> მიდგას, ორივენი ვლოცულობთ, ამ ომში ცოცხალი გადავრჩე. წირვა გათავდა, გარეთ გამოვედით.

ტადართან მოხუცებულ ქალებს თითო-თითო აბაზი მოწყალეა მივეცი, ერთ-ერთმა მიმითითა წვერებიან მოხუცებულზე, რომელიც მიმკითხავებდა. მიუახლოვდი, ვხედავ მართო თავია, ტანი არა აქვს... ცოტა შემეშინდა, მან თვალები გაახილა, გამიღიმა... ხუთი ცალი აბაზიანი დავუდე, მან კი მითხრა: „შვილო, ამ ომში მრავალი დაიხოცება, შენ ნუ გეშინია, ოდესმე დაბრუნდები შენს ქვეყანაში, შენს სახლში...“ ამ დროს ფაშისტების ნასროლი ყუმბარის აფეთქებამ გამომაღვიძა...

\*\*\*

ყველა დაბნეულია, ადამიანის გამოხედვა აღარავის აქვს, იმ წუთას მოვხსენი პოზიცია და ხიდის მიმართულებით წავედი, სოფელი სავსეა დახოცილებით, ცენტრში გდია ქალი ბავშვით ხელში, ყუმბარის ნამსხვრევი მოხვედრია შიგ მუცელში, მთელი ფაშვები გარეთ ყრია, ბავშვი ხელიდან არ გაუშვია, ალბათ ტკივილების დროს თვითონვე დაახრჩო... ამ სურათმა ძლიერ იმოქმედა ჩემზე, კინაღამ თავი მოვიკალი...

ბრძანება იყო პოზიციის დაკავების, ხიდს იქეთ გადავედი და ამ დროს თავში რაღაც დამეცა, თვალთ დამიბნელდა, უგრძობლად დავეცი. სიკოს და დოლიძეს ავუყვანივარ, ერთი სახლის ახლოს, ბაღში მთელი დამე უგრძობლად ვეგდე. ამ ორმა ბიჭმა თავი არ დამანება, როდესაც გონს მოვედი ორი ფრიცის სალდათი ფეხებით მცემდა, მერე იარაღი ამარ-

---

<sup>1</sup> ნინიკო-ნუნუ ჯავახიშვილი-თარხნიშვილისა - ასე მოიხსენიებს ჩანაწერებში მეუღლეს შოთა თარხნიშვილი.

თვეს, იქვე 200-მდე ტყვე ჰყავდათ და იმ ჯგუფს შეგვეერთეს... სოფლიდან, როგორც ძროხების ჯოგი ისე გაგვრეკეს. ფაშისტებს ჯოხები უჭერიათ და თავში ურტყავენ ყველას ვინც არ მოეწონებათ. მანქანით ბორისპოლის<sup>1</sup> აეროდრომზე მიგვიყვანეს.

ამხანაგო ლეიტენანტო, მოიხსენით ეგ პეტლიცები. სჯობს ერთად ვიყოთ თორემ დაგვაშორებენ ერთმანეთს. მეც თხოვნა შევუსრულე, თვითონ სიკომ ამაჭრა პეტლიცები და გავხდი რიგითი ტყვე.

ის ღამე ძლიერი ტკივილებით გავატარე. არც წამალი, არც რაიმე საჭმელი. ვხედავ, სიცხეც მაქვს, ვინ არის შენი პატრონი, გარდა სიკოსი (გვარი არ მახსოვს, მგონი საგურამოდან იყო).

გათენდა. ვხედავ, ტყვეები რიგში დგანან. ვთხოვე სიკოს გეგო, რის რიგია დამდგარი, მალე მობრუნდა.

– ამხანაგო ლეიტენანტო, საჭმელზე მიჰყავთ.

– ბიჭო, მე ლეიტენანტი აღარ ვარ, ახლა შოთა მქვიან.

– არა, შენ ჩემთვის შოთა არასოდეს გახდები, მაშინ მოგიკვდეს სიკო თუ ჩემს პირიდან შოთა ამოვა. აქ იყავი, იქნებ რაიმე ვიშოვო საჭმელათ და რიგისკენ გაიქცა.

საათი და ჩექმები გერმანელმა სალდათმა წამართვა. აღარც ქული მაქვს, წამოვდექი ვეძებ, იქნებ უკეთესი ადგილი ვიპოვო, მაგრამ ჰაეროდრომი როგორც წესი მართულით იყო შეღობილი. ვინც მართულს მიუახლოვდება, იმ წუთას კლამენ, ამიტომ უფრო ცენტრში ვიყავი.

შებინდებისას სიკო ხუთი ქართველი ბიჭით დაბრუნდა. ამ ბიჭებს ჯიბეები უმი კარტოფილით ქონდათ სავესე. ერთმა ამოიღო ერთი კარტოფილი და მომცა, მეც ჩავკბინე, მაგრამ

---

<sup>1</sup> ბორისპოლი - კიევის მთავარი აეროპორტი.



იმ წუთას გამოგაფურთხე, სხვები კი გემრიელათ კბეჩავდნენ. ორნი წამოდგნენ, სადღაც წავიდნენ და როცა დაბრუნდნენ მომიტანეს ძველი ფეხსაცმელი – ორივე მარჯვენა ფეხის. რას ვიზამ, ღამე ძლიერ მცოვა ფეხებზე, ახლა როგორც იყო რაღაც ძონძები დავიხვიე და ჩავყავი ფეხი შიგ. სამი დღეა რაც აქ, ჰაეროდრომზე ვართ, წყალი მწყურიან, სიცხემ მიმატა, ფეხზე ველარ ვდგები, თითქოს თავიც მისივდება ისე მტკივა. ქართველი ბიჭები სადღაც წავიდნენ, როცა დაბრუნდნენ რაღაც შავი ფაფისმსგავსი მოიტანეს.

– ამხანაგო ლეიტენანტო, აბა ცოტა წამოჯექი, შეჭამე, გემრიელია – მთხოვა სიკომ, მიშველა წამოჯდომა. რკინის ქუდი სადღაც ეშონა, ტყვეებს საჭმელს აძლევდნენ. შავი ქატო მოეხარშათ, არც მარილი, არც ცხიმი, ამას ურიგებდნენ. მშიერი ტყვეები ძაღლებივით სლაპამდნენ. მეც მოვიყუდე და უხმოდ ვსვამ ბინძურ სუფს თუ ფაფას, არ ვიცი რა დავარქვა იმ ოხერს, მხოლოდ გემრიელათ კი გეახელით, რადგან მეხუთე დღეა არაფერი ჩასულა კუჭში.

\*\*\*

ერთ დღეს, ბორისპოლში მრავალი ახალგაზრდა ესე-სელები ჩამოიყვანეს, დაახლოებით 200 კაცი იქნებოდა, არცერთი 18-19 წელზე უმფროსი, შემოვიდნენ ჰაეროდრომზე, თარჯიმანი ემიგრანტი უნდა ყოფილიყო, რადგან ძლიერ სუფთა გერმანულს ლაპარაკობდა. დაახლოებით 1000 ტყვემდე რიგში დააყენეს. თვითონ ავიდა ავტომანქანაზე და მიკროფონით განაცხადა:

– გერმანელები ძლიერ მორწმუნე ხალხია, ჩვენს კომენდანტს უნდა გაიგოს თქვენს შორის ვინ არის ნამდვილი მორწმუნე, ნამდვილ მორწმუნეს ღმერთი ყოველთვის იფარავს, ვინც ცოცხალი ჩააღწევს იმ შენობამდის, იქ მიიღებს

სამოქალაქო ტანსაცმელს, სახარჯო ფულს და დღესვე განთავისუფლებულები იქნებიან ტყვეობიდან.

აბა, სირბილით მარშ! იყვირა იმ მხეცმა... ათასზე მეტმა უბედურმა სირბილით მოუსვა დანიშნულ შენობისაკენ. ახალგაზრდა ესესელები მზათ იყვნენ „ბრძოლისათვის“... მალე ორასმა თოფმა იგრიალა, მხოლოდ 15-20 ტყვემ მიაღწია იმ შენობას. იმ წუთას დაურიგეს ბალანდა და აქ ისევ თარჯიმანმა განაცხადა:

– ვის გინდათ სცადოთ თქვენი ბედი, როგორ არ გინდათ თავისუფლება, აი, ისინი ხომ ახლა „ბედნიერები“ არიან.

ტყვეები სურვილით დგებოდნენ გასაქცევ მდგომარეობაში, მაგრამ ძლიერ ცოტამ ისურვა „თავისუფლება“, დაახლოებით 100 კაცი იქნებოდა. გაირბენდნენ 10-15 მეტრს, გაწვებიან, მოისმენენ სროლის ხმას, მერე წამოხტებიან, ისევ გარბიან... ისე მიირბინეს იმ შენობამდის არცერთი არ მომკვდარა, სხვა ტყვეებმა ისინი ტაშით დააჯილდოვეს. მთელი დღე ასე გაგრძელდა გადარბენა, იმ შენობასთან 500 ტყვემდინ მოგროვდა, ჩემი თვალთ დავინახე აჭამეს ბალანდა, მხოლოდ მისცემენ თუ არა თავისუფლებას ეს კი არ ვიცი.

ის ბედნიერი ტყვეები იქვე ყაზარმაში შერეკეს, განუცხადეს ხვალ მიიღებთ თავისუფლებასო. მეორე დღეს მეც ჩამაყენეს რიგში, 10-15 ქართველი ერთად ვდგევართ. ალბათ ჩვენც მოგვიხდება ტყვიის წვიმაში გადარბენა. მე ისეთი ფეხსაცმელი მაცვია ტყვია კი არა ბებური ქალის ნასროლი ქვაც მომხვდება, თან ძლიერ სუსტათ ვარ, ბევრი სისხლი დავკარგე, ამას გარდა 20 დღეა რაც ტყვეთ ვარ და სულ 5-6 ჯერ შევხვრიპე ქატოს ნახარში.

გაგვიყვანეს იქვე მინდორში, მოგვცეს ლაფატკები ხელში და უშველებელი ორმო ამოეთხარეთ. ვისაც ლაფატკა არ

ერგო დახოცილებს მოათრევდნენ... გუშინ ისინიც ხომ ცოცხლები იყვნენ...

ერთ მკვდარს ჩექმები ეცვა, გამეხარდა გავხდი მეთქი. ამოვბვერი ორმოდან, მიძიმეთ მივდივარ ჩექმის გასახდელათ... ამ დროს სხვამაც დაინახა, ამოვარდა ორმოდან, დამასწრო... მე ხო ჩხუბს არ დავუწყებდი, გამოვბრუნდი. არ გავიარე 7-8 ნაბიჯი სროლის ხმა მომესმა, მივიხედე უკან, ის უბედური დეეცა ჩექმებით ხელში.

დახოცილებს დახადეს შინლები, საყურეებიანი ქუდები, აგრეთვე ზამთრის ფორმა.

– რათ უნდათ მაგ ოხრებს? - იკითხა მისამ.

– სუფთა შალია, ალბათ გადაამუშავებენ და თავიანთ ჯარს ჩააცმევენ ვუპასუხე მე.

დაახლოებით 5000 კაცი დავმარხეთ. ერთი თვეა არც პირი გამიპარსავს, თავიც შეხვეული მაქვს. ვილაცამ დამიძახა „ე სტარიკ“, მოვიხედე გერმანელი სალდათი მეძახის „იდი სუდა“, რას ვიზამ, არ მივალ იმ წუთში გამაგორებს, გადავიწერე პირჯვარი და მივედი ახლოს.

– „ნა რუსო“ და ჩექმები გამომიწოდა, იმ წუთას გავიხადე ჩემი „კოხტა“ ფენსაცმელი, ჩერები გადავყარე, იქვე მკვდარს მოვაცილე პარტიანკები, ჩავიცვი, თავი დაბლა დავუკარი სალდათს და გავბრუნდი.

– „რუს, იდი სუდა“ ისევ მეძახის, „სადის სუდა“, ამოიღო ჩანთიდან ცოტა პური და ძეხვი, მომაწოდა, ნახევარი სიკოსთვის უბეში დავმალე, გერმანელმა შემამჩნია... „კუშაი რუს“, მე თავი გავუქნიე „ბრატ, ბრატ“ ვუპასუხე და ხელით ვაჩვენე ორმოსკენ.

– „იდი პრინისი სუდა“.

მეც წამოვხტი, დაუკარი თავი და გავქანდი სიკოსთან. სიკომ იმ წუთას გააქანა პური და ძეხვი პირისკენ. ორივეს

შეგვეძლო მთელი ძროხა გვეჭამა, ისეთი მშვივრები ვიყავით. ამ ღროს ამ გერმანელმა კიდევ მოგვცა სხვა ნაჭერი პური და იქვე დაგვსხა, სხვები სიცილით მარხავდნენ დახოცილებს, გუშინდელ ჩვენს მეგობრებს...

– რა აცინებთ ამ ოხრებს? - იკითხა სიკომ.

– უკვე გრძნობა აქვთ დაკარგული, ნახევრად მხეცები ხდებიან ასეთი ცხოვრებით, გავა ცოტა ხანი და ერთიმეორეს ჭამას დაუწყებთ, ასეა ცხოვრების წესდება.

დამარხვა როცა დავამთავრეთ სალდათმა შემოუარა გარშემო, როცა დარწმუნდა სისუფთავეში, მარშის ბრძანება გასცა, მერე ყველას გვაჭამეს ბალანდა და ისევ ჰაეროდრომზე გაგვრეკეს.

1941 წლის 23 სექტემბერს ჩავვარდი ტყვეთ, დღეს 9 ოქტომბერია, ჯერ ძლომაზე წყალი არ დამილევია...

25 ოქტომბერს კი ფეხით გაგვრეკეს დარნიცაში<sup>1</sup>...

\*\*\*

...ლაგერში ხმები დადის ადამიანებს ჭამენო, ჩვენ, ქართველებს რა თქმა უნდა არ გვჯეროდა, სამწუხაროდ მართალი გამოდგა. როცა ბანაკში ჩასუქებული ბიჭები მორეკეს, მძინარეები დახოცეს და შეწვეს. მალე გერმანელებმა ეს ამბავი გაიგეს. 8 იანვარი იყო, ვიღაც ჩინით დიდი მოვიდა ჩვენს ბანაკში, ბრძანება გაიცა მოვწყობილიყავით და ყოველი მერვე რიგიდან გამოსულიყო. გერმანელებს საგუშაგო კოშკები ჰქონდათ, სადაც ხელის ტყვიამფრქვევები ჰქონდათ დადგმული. უფროსმა ხელი ასწია და კოშკებიდან ჯვარედინი ცეცხლი გაიხსნა, ერთ წუთში ყველამ სიცოცხლე დაკარგა, რამდენიმე დაჭრილი კი პისტოლეტით გამოასალმეს სიცოცხლეს. გერმანელი გენერალი მანქანაში ჩაჯდა და გამოგვიცხა-

---

<sup>1</sup> დარნიცა - ადგილი კიევში, დნეპრის მარცხენა სანაპიროზე.

და, ეს მაგალითი ერთ კვირას გეყოფათ, ასეთ ამბავს გავიგებ, კიდევ დაიხვრიტებითო.

\*\*\*

1942 წლის იანვრის ბოლოს ჩვენს ბარაკებში ტიფი გაჩნდა. დარწმუნებული ვარ საჭმელში გაურიეს რაღაც საწამლავი, რადგან ჩვენი ჯგუფიდან არც ერთი ქართველი ავად არ გახდა, ეტყობა, იმ დღეს ბალანდა ჩვენ არ გვერგო... გერმანიიდან ჩამოვიდნენ სპეციალისტები, ტყვეებს შორის მოძებნეს ექიმები და ფერშლები. ერთ ქართველს, რომელსაც კაკო ერქვა, მისცეს უფროსობა. მოიტანეს ქალაქები გვარებისა და ეროვნებების აღსანიშნავად. დაგვიწყეს ზურგში ნემსების კეთება. ჩვენს ბარაკებს რკინის დამცველები ხომ ჰქონდა, ფიცრებიც მიაკრეს, რათა სიბნელესა და უჰაერობაში ვყოფილიყავით, დაკეტეს გარედან და დალუქეს. მეექვსე დღეს, დილის 10 საათისათვის გაგვიღეს კარები, პირველად ქართველები გავედით, ძლიერ გვესიამოვნა ჟანგბადი, პირდაპირ წყალთან მივედით, არ ვიცდი, რამდენი ვსვით... გერმანელები შეცვივდნენ ტყვეების გამოსარეკათ, მაგრამ ვის გამოიყვანდნენ? მათ სული დაელიათ... მოკლედ ბანაკში მყოფი 100 000 კაციდან ორ თვეში ცოცხალი 1600 კაციღა დავრჩით... ისევ ნემსების კეთება გააგრძელეს...

\*\*\*

თავბრუ მეხვევა, უნდა გავუძლო... დახოცილები ერთმანეთზე დავალაგეთ, ზედ ჩამოვსხედით, დავიწყეთ ანგლოტების მოყოლა, მალე რუსებიც შემოგვიერთდნენ... სამი დღის შემდეგ ისევ გაგვიღეს კარები, ისევ წყლის სმა, სიცილი, ხუმრობები, გერმანელები გაშტერებულები გვიყურებდნენ... ბარაკებიდან 100-120 სული თავისი ფეხით გამოვედით, 80

სულამდის შველით გამოვიყვანეთ. ვინც მაგრა ვიყავით წაგვიყვანეს აბანოში, ღეზინფექციაში გაგვატარეს, მოგვცეს ტილების საწინააღმდეგო წამალი, ახალი ტანსაცმელი და სხვა ყაზარმაში გადავიყვანეს. საბოლოოდ 25 თებერვლისათვის 20 კაციღა ვიყავით ცოცხალი, 11 ქართველი, ორი აზერბაიჯანელი, ერთი სომეხი, სამი ჩრდილოოსელი და სამიც კაზაკი.

1 მარტს ჩავესხეს საბარგო მანქანებში, შორიდან შევხედე ჩვენს ბანაკს, უამრავი ტყვე მოეყვანათ, რომლებიც ალბათ ჩვენს ბედს გაიზიარებდნენ. 5 მარტს, ქალაქ ვენის მახლობლად ბადენში ჩავვიყვანეს, ერთ გოსპიტალში დაგვაყენეს წყობილებაში, ყველა ჩვენ გვიყურებს, რადგან აინტერესებთ, ვის და როგორ ხალხს ეომებიან. მალე ვიგებთ, რომ ჩვენზე ცდები ჩაუტარებიან და გადარჩენილებს ოჯახებში დავაბრუნებთ, როცა თქვენს სამშობლოს ბოლშევიკებისგან გავანთავისუფლებთო. მოკლედ, ორფეხა საცდელი კურდღლები ვიყავით...

მაისში გამოგვიშვეს სარდაფიდან. გვითხრეს, თავისუფლები ხართ, ვის გსურთ, შოფრად მუშაობათ, ყველამ ხელი ავიწიეთ. გვითხრეს, რომ ერთ თვეს ინსპექტორებს მოგვამარებდნენ, რათა მანქანის მართვა გვესწავლა, შემდეგ კი ჯამაგირს დაგვინიშნავდნენ. გამოცდები ავსტრიაში ჩავაბრეთ. მე მანქანაზე დამსვეს, სადილებს ვანაწილებდი ქარხნებში მომუშავე ტყვეთა ბანაკებში.

\*\*\*

დილის 8 საათზე ჩავედით ბერლინში. კავკასიის კომიტეტთან ახლოს ერთ კაფეში შევედი, მალე ქართველებიც შემოვიდნენ, მათ შორის ჩემი გადამრჩენი ალექსანდრე პეტ-

რიაშვილი<sup>1</sup> და ჟორა ცქიტიშვილი, ჩაკოცნეთ ერთმანეთი, მემრე მოვუყევი ჩემი თავგადასავალი, ბერლინში ჩამოსვლის მიზეზი... ალიოშამ თავისი ლექსი წამიკითხა, ზუსტად არ მახსოვს, დაახლოებით ასეთი შინაარის „ქართველო, ქართველს ნუ მოკლავ, ისიც ამ მთების შვილია...“ მალე ჩემმა ლატიშმა (ლატვიელმა უფროსმა – ს.ჯ.) ქართველების კომიტეტში გივი გაბლიანთან<sup>2</sup> წარმადგინა...

გივი გაბლიანმა სკამი და სიგარეტი შემომთავაზა. გავიგე სომეხი ყოფილხართ, მაგრამ ტყუილია, რატომ დაგჭირდათ ამის თქმა? მე დავიბენი, არ ვიცი რა ვუპასუხო, ისევე გვიმ განაგძო, ვიცი, გძულთ გერმანელები, რადგან ლაგერში ხართ. აბა გაიცანი, როგორ შეგიყვარდება ეს ხალხი. ამიტომ აქ, ბერლინში, ერთი კვირა დარჩებით ჩვენი ნათესავის ბინაში, შემდეგ ვილაპარაკოთ. ამ ხანში გაიცნობთ საქართველოს მომავალ პრეზიდენტს, მიშა კელიას<sup>3</sup>, მის მოადგილეს მეტენხიდან მაღალაშვილს<sup>4</sup>, რომელიც მამათქვენს კარგად იცნობ-

---

<sup>1</sup> ალექსანდრე პეტრიაშვილი - ემიგრანტი, გარდაიცვალა 1964 წელს, დაკრძალულია საფრანგეთში, კარკასონის სასაფლაოზე.

<sup>2</sup> გივი გაბლიანი (1915-2001) ექიმი, II მსოფლიო ომის ტყვე, შემდეგ „ქართული სამოკავშირეო შტაბის“ სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელი. გერმანული სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღო ობერლეიტენანტის წოდება. ქართველი ტყვეები გამოჰყავდა და ქართულ სამხედრო ნაწილებში აწვევრიანებდა. ომის დამთავრების შემდეგ შეურთდა აშშ-ის ქართულ ემიგრაციას.

<sup>3</sup> მიხეილ (მიშა) კელია (1901-1954) - მექი კელიას ვაჟი. ეღბ-ისა და „თეთრი გიორგის“ წევრი. II მსოფლიო ომის დროს „ქართული სამოკავშირეო შტაბის“ ხელმძღვანელი, დეპორტაციისაგან იხსნა ქართველი მაჰმადიანები, ომის დროს გადაარჩინა მრავალი ებრაელი.

<sup>4</sup> გიორგი (გოგი) მაღალაშვილი (1904-1969) საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. ცხოვრობდა ბავარიაში, ექიმობის პარალელურად, ეწეოდა ლიტერატურულ და პოლიტიკურ საქმიანობას. იყო „თეთრი გიორგის“ და „ქართული ეროვნული კომიტეტის“ წევრი. რედაქტორ-გამომცემ-

სო. ბოლოს გასცა ბრძანება, ლილი ბრანდის<sup>1</sup> ბინაში დაევი-  
ნავებინე.....

\*\*\*

წამოვწექი, ჩამეძინა. ღამე იყო, როცა ლილიმ გამაღვი-  
ძა, სტუმრები მოვიდნენო. მე პირი დავიბანე, ჩავიცვი ჩემი  
მოკლესახელოებიანი ფინჯაკი და გავედი სასტუმრო ოთახში,  
მივესალმე ყველას... რეზო გაბაშვილი<sup>2</sup> შევნიშნე, ცრემლები  
ჰქონდა თვალებში, გადამეხვია, სულ მამას გევხარო მეუბნე-  
ბოდა, უმაღლავად ტიროდა... გამაცნეს გიორგი მაღალაშვილი  
და მიტო ანანიაშვილი<sup>3</sup>... გიორგი მეუბნება, რომ მამაჩემს  
კარგად იცნობდა, რომ ბევრჯერ უქეიფივით ერთად, ბოლოს  
კი დაამატა, თუ გერმანელთა ჯარში არ გინდა, ჩემთან წავი-  
ყვან, დიდი მამულები მაქვს, 12 ქართველს ვინახავ ოჯახ-

---

მელი ჟურნალისა „ქართველი ერი“, გაზეთისა „საქართველო“. II მსოფ-  
ლიო ომის დროს „კავკასიური კომიტეტის“ წევრი.

<sup>1</sup> ლილი ბრანდი (ზუსტი სახელი და გვარი დასადგენია) - შოთა  
თარხნიშვილის ჩანაწერების მიხედვით, ქართველი ემიგრანტი ქალი, ლა-  
პარაკობდა იმერული აქცენტით, ცხოვრობდა გერმანიაში, აქტიურად ურ-  
თიერთობდა ქართველ ტყვეებთან და „ქართულ სამოკავშირეო შტაბთან“,  
მასთან ბინაში ხშირად ჩერდებოდნენ გერმანიაში ჩასული ქართველები.

<sup>2</sup> რევაზ გაბაშვილი - (1882-1969) ეროვნულ-დემოკრატიული  
პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი, ეროვნული საბჭოსა და  
დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი ედ-  
ღან. დაკრძალულია ბანიოს სასაფლაოზე, პარიზთან ახლოს.

<sup>3</sup> დიმიტრი (მიტო) ანანიაშვილი (1892-1968) - სამხედრო პირი,  
მაიორი 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში სტამბოლში, შემდეგ შე-  
უერთდა ქართულ ემიგრაციას ევროპაში. 1933 წ. აირჩიეს პარიზში და-  
არსებულ „ქართველ მხედართა“ საზოგადოების გამგეობის წევრად. II  
მსოფლიო ომის შემდეგ შეუერთდა არგენტინის ქართულ ემიგრაციას.  
იყო არგენტინის ქართველთა სათვისტომოს წევრი. დაკრძალულია ლევი-  
ლის ქართველთა სასაფლაოზე.



შიო... მე ჩემი საბუთები ვაჩვენე, ძლიერ კარგი საბუთები მო-  
უციათო... თუ გერმანელთა ჯარში არ გინდა, არა უშავს,  
იმედია, ისინი ბოლშევიკებს უშენოდაც დაამარცხებენო.

\*\*\*

ლილიმ გემრიელი ვახშამი მოამზადა. რეზომ ბევრი  
გვაცინა თავისი ანდაზებითა და საოხუნჯო სიტყვებით. რევაზ  
გაბაშვილი მაშინ მუშაობდა ტყვეების მომარაგებაზე. მეორე  
დღეს წამიყვანა საწყობში, ბევრი ლამაზი საჩუქარი მომცა,  
მათ შორის სამართებელი სალესით და კრემით. სამართებ-  
ელი, სამწუნსაროდ, გამიტყდა, მხოლოდ სალესი მაქვს დღემ-  
დის. ერთი კვირა სწრაფად გავიდა, გაბლიანმა ისევ დამიბარა  
შტაბში...

\*\*\*

ობერვალტერდორფში<sup>1</sup> (ობერვალტერსდორფი – ს.ჯ.)  
ყოფილი ტყვეებისაგან ჩამოაყალიბეს ბრანდერბურგის ქართუ-  
ლი პოლკი. მეორე დღეს მანქანა გაგავსე სანოვაგით, ვეს-  
ტუმრე ქართველ მოხალისეებს. ბევრი თანამემამულე ვნახე,  
ვისაუბრეთ... ეს ბატალიონი დღე და ღამე ამეცადინეს, სულ  
ერთ თვეში მიაღებინეს ფიცია. რამდენიმე ასეულად დაანაწი-  
ლეს. მეექვსე ასეული მთელი ზამთარი იყო ყირიმის ფრონტ-  
ზე.

\*\*\*

ძლიერ მძიმედ მივდივართ, გერმანელები არ ჩქარობენ  
და ჩვენ ხომ სრულებით არ გვაქვს საჩქარო. ოქტომბერში  
ჩავედით პიატიგორსკში, გადმოვტვირთეთ მანქანები. ჩემს  
ბელზე სერგო, გოგია, ალექსანდრე და მე ისევ მომარაგებაზე

---

<sup>1</sup> ობერვალტერსდორფი - კომუნა ავსტრიაში, ბადენის ოლქში.

მოვხვდით... ჩვენები ორჯონიკიძის მიმართულებით გადაისროლეს, სამთო დივიზია ტანკებით გაძლიერებული ემზადება შეტევისათვის. პირველ ნოემბერს გაარღვიეს წითლების თავდაცვა, ძლიერ სწრაფად წავიდნენ წინ ორჯონიკიძისაკენ. ბრძანება მივიღეთ უფროსისაგან, წავსულიყავით ვანოსთან საწყობში და 12 მანქანა სურსათი წამოგვეღო. ვანომ ჩვენი ნახვით ძლიერ გაიხარა, გაგვაფრთხილა ჩვენ არ გვეჭამა, რადგან პროდუქტი მოწამლული იყო, ჩვენ სხვა ძეხვები მოგვცა... ჩამოვედით ელზოტოვოში<sup>1</sup>, დავარიგეთ პროდუქტი, ჩვენები გაფრთხილეთ, გერმანელებმა კი გემრიელად ახრაძუნეს ყველაფერი...

დილას სერგომ გამაღვიძა. ჩავედი მდინარესთან, დავიზილე გულ-მკერდი ჩვენი ქართული წყლით, რომელიც მამისონის უღელტეხილიდან მოდის, ამოვედი სახლში, გესტაპო დამხვდა, მოწამლული ძეხვების საქმეს იძიებდნენ... მოკლედ ჩვენ გადავრჩით, ნახევარზე მეტმა ფრიცმა ფეხები გაფშიკა. დიდი ძალა დაკარგეს გერმანელებმა, იძულებულები იყვნენ უკან დაეხიათ, ვინც ცოცხალი გადარჩა, ჰოსპიტალში მოათავსეს. ასე მოსპო ვანომ თავისი ძეხვით ედელვაისის საუკეთესო დივიზია, თვითონ კი იმ ღამესვე გადავიდა წითლების მხარეს. საწყალი, ნოემბრის თვეში შპიონაჟის ბრალდებით ჩამოხრჩობილი გვაჩვენეს სოფლის მცხოვრებლებმა, საბჭოელებს ჩამოეხრჩოთ.

\*\*\*

23 აგვისტოს საღამოთი დე გოლი ჩამოვიდა. ორღეანის გზა უკვე ფრანგებს აქვთ დაკავებული, ლიონი – მარსელის გზაც მათია, გერმანელები ძალიან მძიმედ იხევენ უკან... 25 აგვისტოს პარიზში შევედით, პირველი ეშელონი ფრანგე-

---

<sup>1</sup> ელზოტოვო - სოფელი ჩრდილოეთ კავკასიაში.

ბისა შევიდა, არავითარი ბრძოლები. ჩვენს დივიზიას გენერალი ლეკლერი<sup>1</sup> (ლეკლერკი – ს.ჯ.) მეთაურობდა. ალლუმის მოლოდინში შანხელიზე შევჩერდით... ფრანგები თითქმის ყველა ტანკსა თუ საბრძოლო მანქანაზე ქალის ან შვილის სახელს აწერენ... მიშას ტანკს აწერია ჟერმენი, ვახტანგისას – ინესი, ჩემსას – ბაზორკა<sup>2</sup>. უკვე ერთი თვეა, ამ ტანკით ვიბრძვი, არასოდეს მიკითხავს რას ნიშნავს, არც ჩხენკელს<sup>3</sup> აუხსნია. ერთხელ მითხრა, პარიზში გაიგებ ამ სახელის მნიშვნელობასო...

ტანკებიდან ბიჭებმა ამოყვეს თავი. ცხოვრებაში არაფერია ისეთი სასიამოვნო, როგორც ბრძოლის მერე ერთი ცალი სივარტის მოწვევა, გაგაბოლე...

ამ დროს ერთი ქართველი გამეცნო, ზურაბიშვილი<sup>4</sup> ვარო, ჩემი ტანკის ქვეშიდან კი ორი ქალი და ორი ბავშვი გა-

---

<sup>1</sup> ლეკლერკი (Leclerc) ფილიპ მარი. ნამდვილი გვარი დეოტკლოტი (1902-1947) - საფრანგეთის მარშალი. II მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის კამერუნის გუბერნატორი. თავისუფალი საფრანგეთის ჯარების სარდალი საფრანგეთის ეკვატორულ აფრიკაში. მონაწილეობდა ნორმანდიის ოპერაციაში (1944წ.), საფრანგეთის განთავისუფლებაში. 1944 წლის 24 აგვისტოს მისი დივიზია პირველი შევიდა პარიზში. 1945 წ. საფრანგეთის ჯარების მთავარსარდალი შორეულ აღმოსავლეთში.

<sup>2</sup> ბაზორკა - დიმიტრი ამილახვარის (1906-1942) მეტსახელი, რადგან დაბადებული იყო სოფ. ბაზორკინოში. საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის პოლკოვნიკი, საფრანგეთის ეროვნული გმირი.

<sup>3</sup> ალექსი ჩხენკელი - აკაკი ჩხენკელის ვაჟი.

<sup>4</sup> ლევან ზურაბიშვილი (1906-1975) - პარიზის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე, წმ. ნინოს ქართული მართმადიდებლური სამრევლოსა და ეკლესიის დამაარსებელი პარიზში. შაზოგადობა „თავისუფალ ქართველთა“ დამფუძნებელი და მუდმივი თავმჯდომარე. გამოსცემდა სათვისტომოს ორგანოს „ცნობის ფურცელს“, ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნას“.

მოძვრა. ზურაბიშვილმა ქალებს ჩემი თავი წარუდგინა, მე კი მითხრა, შენი ნათესავები არიან, დედით თარხნიშვილებიო. უცებ, ბავშვმა უყვირა დედას (REGARDE) შეხედო და წარწერა ბაზორკაზე მიუთითა. ქალმა გულში ჩამიკრა, ხმამაღლა ატირდა, ბავშვებიც მეხვევიან, ვერ ვხვდები, რა ხდება... ამ დროს გენერალი ლეკლერი და კენინგი<sup>1</sup> (კენიგი – ს.ჯ.) მოვიდნენ, ორივე ხელზე კოცნიან ქალს. მე და ზურაბიშვილი მარტო ვრჩებით და ისიც დიმიტრი ამილახვრის ამბავს მიყვება. ბება<sup>2</sup> (ირინე დადიანი) ჩემს გენერალს ჩემთვის შვებულებას სთხოვს, თავისთან მეპატიჟება... მე ოთარი<sup>3</sup> და თამარი<sup>4</sup> ტანკზე ავსვი... მალე დე გოლიც გამოჩნდა, გენერალმა კენინგმა ბება და ბავშვები წარუდგინა, მან ბავშვებს აკოცა, თვალებზე ცრემლი მომადგა, თამრიკომ კი თავისი ცხვირსახოცით გამიმშრალა... ამილახვრის ოჯახი სახლში მანქანით მივიყვანე.

იმ დღეს ბევრი საჩუქარი მივიღე სურსათისა და ფულის სახით ფრანგებისაგან. მიხამ და მძლოლმა მიშველეს ყუთების ატანა ბებას სახლამდე... ბებამ თავისი დები ეკა და რუსუდანი გამაცნო...

---

<sup>1</sup> მარი-პიერ კენიგი (Koenig Marie-Pierre) (1898-1970) - I და II მსოფლიო ომების მონაწილე, საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი, მარშალი.

<sup>2</sup> ირინე (ბება) დადიანი - დიმიტრი ამილახვრის მეუღლე. 1944 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში დასთან ერთად.

<sup>3</sup> ოთარ ამილახვარი (1931-2000) - დიმიტრი ამილახვარის ვაჟი, მსახურობდა ალჟირში. საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი.

<sup>4</sup> თამარ ამილახვარი, გრაფინია კინსკი - დიმიტრი ამილახვრის ქალიშვილი, საფრანგეთის ყოფილი ელჩი ატომური უსაფრთხოების სფეროში.

ის ღამე ტირილით გაგათენე. ეხ, ჩემო დედ-მამავ, ჩემო მაკრინე, ჩემო კუკუნ, ტყვედ რომ არ ჩავვარდნილიყავი, შეიძლება მეც პოლკოვნიკი ვყოფილიყავი, თანაც ორი-სამი შვილის მამა... დღეს კი აღარც სამშობლო, არც ოჯახი... ათასი ფიქრები ამერია თავში, ამოვიღე პისტოლეტი თავი უნდა მოვიკლა... ვილაცამ დამიძახა, პისტოლეტი დავდე...

\*\*\*

ბებას თხოვნით, ბაზორკას თანაშემწემ, პოლკოვნიკმა, რომელიც მის ადგილზე დაინიშნა, ჩამრიცხა უცხოელთა ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადაში და ორი დღის შემდეგ ლეგიონში საკუთარი მანქანით წამიყვანა. ჩემს ბატარეაში 80-მდე სხვადასხვა ეროვნების ყოფილი ტყვეები არიან მონალი-სეებად ჩაწერილები. ფრანგები და ამერიკელები ერთად იბრძვიან. არ მომწონს არც ერთი... სადაც ძნელი და სახიფათოა, ჩვენს ლეგიონს უშვებენ. ფრანგები უფრო ჭკვიანურად მოქმედებენ, ვიდრე ამერიკელები. უცხოელთა ლეგიონს აფრიკული ქუდები დაახურეს, გერმანელებს ძლიერ აშინებდათ ეს ქუდები, რადგან უცხოელთა ლეგიონს ტრადიციულად ავსებდნენ სხვადასხვა ეროვნების ბანდიტები, რომლებიც პოლიციას ეძალებოდნენ და, თუ ისინი ლეგიონერები ხდებოდნენ, მათი დაპატიმრება კანონით უკვე შეუძლებელი ხდებოდა, ამიტომ ისინი ძალზე გამბედავი და თავზეხელაღებული მებრძოლები იყვნენ... მალე სტრასბურგი დავიჭირეთ. ვინაიდან მე გერმანული ვიცოდი, საგუშაგოების უფროსად დამყენეს.

\*\*\*

25 დეკემბერს მთელმა ლეგიონმა მგლოვიარობის ნიშნად შავი საყელოები ჩამოიკიდა. პოლკოვნიკ ამილახვრის მეუღლე ბავშვებიანად დაპატიჟებული იყო საშობაოდ ლეგიონერებთან ორლუანში. ვილიამის ავტო იყო დიდი, წინ მძლოლი

იჯდა, გვერდით ბება, ოთარი, უკან თამარი, ბებას უფროსი და ელისო, რომელიც ინგლისელზე იყო გათხოვილი და ალექსანდრიაში ცხოვრობდა. მანქანა ძლიერ სწრაფად მიდიოდა, წინა საბურავი გასკდა, მიმართულება დაკარგა და ხეს დაეჯახა. ამ დარტყმამ მოგლიჯა მგზავრების საჯდომი... ელისომ იმ წუთას გაათავა სიცოცხლე, ბებამ ორი ღღე იცოცხლა ჰოსპიტალში და ისიც გარდაიცვალა, მხოლოდ ბავშვები გადარჩნენ. ორივე დაასაფლავეს სამხედრო წესით. დეგოლი და სხვა გენერლებიც იყვნენ გასვენების დროს რუსების სობოროში (ტაძარში – ს.ჯ.). პოლკოვნიკი მტოვებდა პარიზში, მაგრამ მე არ მოვიწლომე, არ მიყვარს მგლოვიარე ხალხის ყურება...

გზაში ფიქრისათვის ბევრი დრო მქონდა, ამიტომ გადავწყვიტე, რაც შეიძლება მალე განვთავისუფლებულიყავი ამ ტანჯული სიცოცხლისაგან...“

\*\*\*

ნადირობის შემდეგ ორშაბათს, 8 საათზე ავამუშავეთ მანქანები და პარიზისაკენ ავიღეთ გეზი. ქალაქში შესვლის წინ გავაჩერეთ, შევისვენეთ, გადაწყდა 6-ში ხუნდაძესთან<sup>1</sup> უნდა ვიქეიფოთ. პარიზში ცხოვრობდა ხანში გადასული მარუსა გოგობერიძე,<sup>2</sup> ხუნდაძეს მოუწვევია ქართული საჭმე-

---

<sup>1</sup> მიხეილ (მიშა) ხუნდაძე (1898-1983) - 1924 წლიდან პარიზის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, მუშაობდა სიტროენის ქარხანაში. აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, იბეჭდებოდა ემიგრანტულ სოც-დემოკრატიულ პრესაში. მისი წიგნი „1917 წლის თებერვლის რევოლუცია“ 1988 წელს პარიზში გამოიცა ფრანგულ ენაზე.

<sup>2</sup> მარიამ (მარუსა) ლოლობერიძე (1898-1978) - ქართველი ემიგრანტი. საფრანგეთში ქართველთა სათვისტომოს აქტიური წევრი, ახალ-

ლებისათვის. ფაშა<sup>1</sup> სულ ხელებში უყურებს რათა ისწავლოს.

დე გოლს ომის კრიმინალების სასამართლოზე ფაშასი ძალიან ეშინოდა, ამიტომ ბრალმდებლათ დანიშნა. ფაშამ მაინც გადაარჩინა მარშალი პატენი<sup>2</sup> დახვრეტისაგან, მართალია მუდმივი ციხე მისცა დე გოლმა, რადგან სასამართლომ დახვრეტა გამოუტანა განაჩენში. ფაშამ ნამდვილი საბუთები წარუდგინა დე გოლს, რომ სამხედრო ფლოტის ჩაძირვის დროს საწვავი არ ქონდათ, მთელი არ ჩაუგლო გერმანელებს, ფაშამ გაილაშქრა საგარეო მინისტრის წინააღმდეგ, ის საზიზღარი სულ პეტენს აბრალებდა. ფაშას გამოსვლების დროს დამსწრეები ტაშს უკრავდნენ, რადგან ლავალეს<sup>3</sup> ამტყუნებდა...

---

გაზრდა თაობის აღმზრდელი. II მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ ქართველთა მოამაგე და მფარველი. დაკრძალულია ლევილიში.

<sup>1</sup> ფაშა (სახელი და გვარი არ არის მითითებული მოგონებებში) - პარიზის ცნობილი ადვოკატი, ფრანგი ქალი, რომელსაც ქართველები აღმოსავლური სილამაზის გამო „ფაშას“ ეძახდნენ. მონაწილეობდა განხმარებულ სასამართლო პროცესებში, დაკავებული იყო ქართველთა საქმეებითაც. იყო შეყვარებული ბ-ნ შოთა თარხნიშვილზე.

<sup>2</sup> ფილიპ პეტენი (Pétain Philippe) (1856-1951) - დიპლომატი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მარშალი. I მსოფლიო ომის მონაწილე გენერალი. 1920-31 წწ-ში ეკავა უმაღლესი თანამდებობები. 1934 წ. საფრანგეთის სამხედრო მინისტრი. 1939-40 წწ-ში საფრანგეთის ელჩი ფრანკისტულ ესპანეთში. 1940 წ. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი. 1940-44 წწ-ში ვიშის ფაშისტური რეჟიმის მეთაური. 1945 წ. უმაღლესმა სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, რაც შეუცვალეს სამუდამო პატიმრობით.

<sup>3</sup> პიერ ლავალი (Pierre Laval; 1883-1945) - საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე. ადვოკატი, პარლამენტის დეპუტატი, პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი. 1940 წლის 12 ივლისიდან 13 დეკემბრამდე იყო საფრანგეთის მთავრობის მეთაურის მოადგილე, ხელს უწყობდა ჰიტლერელებს. 1942 წლის აპრილიდან 1944 წლის აგვისტომდე „ვიშის“ კოლაბორაციონალისტური მთავრობის პრემიერ-მინისტრი. დააპატიმრეს

\*\*\*

ერთ დღეს, ალიოშა პატრიაშვილი<sup>1</sup> შემხვდა, ხვალ ვან-თავისუფლებ ოთახს ვანსენის ტყესთან ახლო მაქვსო. მე მომეწონა ეს აზრი, გადავედი ალიოშას ოთახში, თვეში 1000 ფრანკს ვიხდი. ფრანგულ ენაში იმ ლოთ ნადეჟდა ტრუბეცკაიასთან დავდიოდი, მათემატიკაში მორისმა რუსი დამიქირავა. მე მოვინდომე ფრანგი, რადგან რუსი, რუსულად ამიხსნიდა...

შაბათი იყო, ელენეს<sup>2</sup> რესტორანში მივედი, სავსე იყო ქართველებით. სადილის შემდეგ ე. წ. „ალიანს ფრანსეს“ კლუბში გაერთიანებული კრება მოაწყვეს, მეც გავყევი ემიგრანტებს. დღეს უნდა ამოირჩიონ ქართული კოლონიის თავმჯდომარე, აგრეთვე საქართველოს მომავალი პრეზიდენტი. სამი პარტია იბრძვის ამისათვის: თეთრ გიორგელები და ორი ოფიციალური პარტია, ეროვნულ-დემოკრატიები და სოციალ-დემოკრატიები. სოციალისტების კანდიდატურების წამოყენებაზე ატყდა დიდი დავა, გინებაც გაისმა დარბაზში, სადაც ბევრი მანდილოსანი იყო. ვერ მოვითმინე, გავედი სიტყვაში „ბატონებო, სტალინმა ერთხელ გამოაცხადა ემიგრანტები სულელე, გადაგვარებულ, ხავსმოკიდებულებად, მართალი ყოფილა ის დალოცვილი... ამ სიტყვაზე გასკდა ბომბი, დედაც კი

---

ავსტრიაში, ოკუპაციის ამერიკულ ზონაში, და 1945 წელს გადასცეს საფრანგეთის ხელისუფლებას. სასამართლოს გადაწყვეტილებით ლავალი, როგორც მოღალატე დახვრიტეს.

<sup>1</sup> ალექსანდრე (ალიოშა) პეტრიაშვილი (გ. 1964) - სავარაუდოდ, ყოფილი ტყვე. დაკრძალულია კარკასონის სასაფლაოზე, საფრანგეთში.

<sup>2</sup> ელენე ფერაძე - სილამაზით ცნობილი ქ-ნი. პარიზში, სეგიეს ქუჩაზე ჰქონდა ქართული რესტორანი. ფერაძე მისი არაოფიციალური ქმრის გვარი უნდა იყოს.



შემაგინა ვილაცამ... აქ, პარიზში, დედას მაგინებ, აბა, რა გი-  
წოდოთ... გერმანიაზე ძლიერი არმია მსოფლიოში არ იყო,  
სტალინმა კი დაამარცხა... ატყდა ისევ ალიაქოთი, მე ტრი-  
ბუნაზე ვდგევარ, არ ვიძვრი, ვინც ვაჟკაცია მომიახლოვდეს.

– შენ, დაჭრილი კამბეჩივით რო ბღავიხარ, შენი სუ-  
ლელური აჯანყებით რამდენი ქართველი იმსხვერპლე და  
თითი გეგეჭკორისაკენ<sup>1</sup> გავიშვირე... ისევ გინება... აქ, პარიზ-  
ში თქვენ მიწებს ინაწილებდით ქართული სიმდიდრით შეძე-  
ნილს, აბა ვის მიეცით არა სოციალისტს, ისევ მენშევიკების  
ყვირილი... დაბლა ჩამოვედი, მეტი წილი ზიზლით მიცქერის,  
ვილაცას დაუბეზლებივარ, კარებში პოლიციელები შემხვდ-  
ნენ... იქვე ვიკტორ ხომერიკის<sup>2</sup> პირველი ნომერი მტერი  
იდგა, სვიმონი ქვიან, გვარი არ მახსოვს, მომიკადა ხელი,  
განზე გამიყვანა, ფრთხილად იყავიო, რენოს მაშინა ყავდა ჩა-  
მსვა და სადღაც წამიყვანა. ამ ხანებში ოთხი ძმა დონდუები<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> ევგენი გეგეჭკორი (1882-1954) - სოციალ-დემოკრატი, დამოუკი-  
ციდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, დიპლომატი.

<sup>2</sup> ვიქტორ ნოეს ძე ხომერიკი (1910-1994) - ქართველი პოლიტი-  
კური მოღვაწე. 1921 წელს, 11 წლის ასაკში გაჰყვა ქართულ ემიგრა-  
ციას. 1924 წელს დაუხვრიტეს მამა ნოე ხომერიკი, რომელიც დემოკრა-  
ტიული საქართველოს მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრი იყო. საფ-  
რანგეთში დაამთავრა საერთაშორისო ეკონომიკური უნივერსიტეტი პა-  
რიზში. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში იყო ჯენერალ მოტორსის  
წარმომადგენელი საფრანგეთში. იყო მსოფლიო ემიგრანტთა მთავარი კო-  
მიტეტის გამგეობის წევრი, პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ქართულ  
ეკლესიაზე ერთ-ერთი მზრუნველი. იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის  
დროს, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიხსნა ქართველი ტყვეები გესტა-  
პოს საკონცენტრაციო ბანაკიდან, რისთვისაც სამჯერ მოხვდა დასახვ-  
რეტთა სიაში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დი-  
ლუბის პანთეონში.

<sup>3</sup> ძმები დონდუები - 1924 წლის აჯანყების მონაწილის ვასო  
დონდუას ოთხი ვაჟი, ცნობილი ფეხბურთელები. სერგო (სერჟ) დონდუა

სახელგანთქმული ფეხბურთელები იყო, ორი ძმა უმფროსები პირველ გუნდში რესინგ კლუბში თამაშობდნენ, უფროსს მგონი ლეო ერქვა, მშვენიერი, პატარა რესტორანი ქონდა, კარგი საჭმელი გაგვიკეთა, აქაც ბევრი ქართველი მოდის, სვიმონმა გამაფრთხილა, ნუ გადაიკიდებ ამ ფაშისტებსო.

\*\*\*

– შოთა, შენი თავიდან მოშორება უნდათ, ფრთხილად იყავი, 1928 წელს ქართველი მოკლეს პარიზში<sup>1</sup>, რადგან კომუნისტობა დააბრალეს, შენც მოგკლავენ და იტყვიან კომუნისტი იყოო...

– რა ვქნა?

– უნდა წახვიდე პარიზიდან სადმე, ქართველმა არ იცოდეს შენი მისამართი, ეს ჩემი ძმური რჩევაა...

კვირა დღეს მამაომ<sup>2</sup> მითხრა: შვილო შოთა, ვიზა გაგიკეთე, წადი არგენტინაში, შენთვის იცხოვრე, ქართველებთან მაინც ფრთხილად იყავი... მაგათ ოცი წელია ვეჩხუბები

---

(1916-1985) - სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილე. 1953 წელს პარიზში დაარსებული „ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. ლევან (ლეო) დონდუა (1919-1975) - საფრანგეთის ემიგრაციის აქტიური წევრი. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

<sup>1</sup> იგულისხმება გრ. ვეშაპელის მკვლელობა 1926 წელს, რომელიც თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან და ქართველ ემიგრანტებში სამშობლოში დაბრუნების პროპაგანდას ეწეოდა.

<sup>2</sup> მღვდელი ნიკოლოზ ზაბახიძე (ზამბახიძე) - ძველი ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი. ორაგიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრი და ვალენტინეს (საფრანგ.) „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის თავმჯდომარე. 1943-1948 წწ. პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვარი. 1949 წლიდან მოღვაწეობდა არგენტინაში, ბუენოს-აირესში. გარდაიცვალა 1960-იან წლებში.

ჯვრით ხელში და ვერაფერს მივალწიე, არც ჯვარი სწამთ, არც ხატი.

დაღონებული დავბრუნდი სახლში. მამაო დაინტერესებულია გამაგზავნოს არგენტინაში, სულ სამასი ვიზა ჩამოვიდა არგენტინიდან ქართველებისათვის. პირველ რიგში არჩილ ორჯონიკიძე და მე მივდივართ. მგზავრობის ბილეთს გვაძლევს საერთაშორისო კომიტეტი, სახარჯოთ 10 დოლარი... კარგია, წავალ ვნახავ არგენტინას, არ მომეწონება უკან დავბრუნდები...

17 აგვისტოს მატარებლით უნდა წავიდე ქალაქ ჰავრში<sup>1</sup>, ჰავრიდან გემით გავემგზავრებით. ივონმა<sup>2</sup> და ლევან ზუზურაბიშვილმა გაგვაცვილეს მატარებელზე... გემის გასვლას ხუთი წუთი აკლია, არავინ მოსულა გასაცვილებლად. ხუთასზე მეტი მგზავრია გემზე, სულ ემიგრანტები. თბომავალი გავიდა ზღვაში, არავინ იძვრის ადგილიდან, ყველას თვალები მიწისკენ აქვს.

\*\*\*

პარიზიდან ბუენოს-აირესში 13 სექტემბერს ჩავედით. ყველა მგზავრი რენდგენზე გაგვაშუქეს და ექიმებმა შეგვამოწმეს, რაიმე დაავადება ხომ არ გვაქვს. ემიგრანტებს, რომლებიც ჩამოდიან არგენტინაში, იქვე აქვთ დასაძინებელი ადგილი. თითო ოთახში 120 სული ეტევა, ორსართულიანი ხის საწოლები ქონდათ. ამ სასტუმროში ოთხი დღე გაქვს გაჩერების უფლება, ამ ოთხ დღეში გიმზადებენ საბუთებს, რომელსაც სედულა ქვიან, ჩვენებურათ პასპორტი. ამ ხანში უნდა მოძებნო ბინა. თუ ბევრი ბარგი გაქვს, უფასოდ მიგი-

---

<sup>1</sup> ჰავრი - ზღვისპირა ქალაქი ჩრდილოეთ საფრანგეთში.

<sup>2</sup> ივონი - შოთა თარხნიშვილზე შეყვარებული ფრანგი ქალი.

ტანენ ბინამდინ. ყველაფერი როცა მოვაწესრიგეთ, გამოვედით ქალაქში...

\*\*\*

ჩემი პანსიონი ქალაქგარეთ იყო, ძლიერ ბევრ დროს ვკარგამდი ქარხანაში მისვლისთვის, ამიტომ გადავედი ქალაქის ცენტრში, ერთ პანსიონში, სადაც 15-16 ქართველი ცხოვრობდა. ქართველების სუფრაზე მერჩინა ჯდომა. პატრონი კი ქართველებს არ აძლევდა საჭმელს, რადგან სამიოთხი თვის ვალი ქონდათ. ამიტომ, ეს ძლიერ ცუდ სახეს ღებულობდა ყოველ ვახშამზე. ორნი ვმუშაობდით, დანარჩენები უმუშევრები იყვნენ. ყოველ საღამოს ორ ბლოკ სიგარეტს ვრუქნიდი ქართველებს, ერთ დღეს არ მოვიტანე, რადგან ფული აღარ მეყო, ამის გამო გამლანძღეს კიდევ. სამი თვეა, ყოველდღიურათ ვეხმარებოდი ყველას, რადგან ქართველები იყვნენ.

ჩემს პანსიონში ცხოვრობდა ვიკტორ ნოზაძე<sup>1</sup>, ძლიერ გაჭირვებული იყო, ამიტომ ამ დღის შემდეგ მხოლოდ მას ვეხმარებოდი, როგორც შემეძლო.

\*\*\*

ამ ქარხანაში ყველა პაპას მეძახდა, რადგან ყველა ახალგაზრდას ალერსით ვეპყრობოდი, ყველას ვუხსნიდი რაიმე ფორმულას ან სტანოკის დაყენებას და სხვა მრავალი. არგენტინაში კათოლიკური რწმენის ხალხია, ყველაზე მეტად ესპანელები და იტალიური წარმოშობის. მე მგონია, ყველაზე ნაკლები, ეს ჩვენ ქართველები ვიყავით. 1948 წელს სულ 84 სული იყო ქართველი, რვა კაცი გარდაიცვალა.

---

<sup>1</sup> ვიკტორ ნოზაძე (1893-1975) - ქართველი ემიგრანტი, მეცნიერი, ცნობილი რუსთველოლოგი, ლექსიკოგრაფი, ჟურნალისტი.

1. გომელაური გიორგი<sup>1</sup>, 2. პაპავა აკაკი<sup>2</sup>, 3. ზაბახიძე ნიკოლოზი, 4. ღიასამიძე მიშა<sup>3</sup>, 5. კონიაშვილი<sup>4</sup>, 6. ხომასურიძე ვახტანგი, 7. ვაშაძე კოტე<sup>5</sup>, 8. გოგოლაძე... ამას უნდა მიემატოს სამი დაბრუნებული 1. არჩილ ორჯონიკიძე, 2. პოლიკარპე დგებუაძე<sup>6</sup> და მესამე მე, თარხნიშვილი შოთა. ახლა 73 კაცი დარჩა.

არჩილ ორჯონიკიძე მგონი 1951 წელს წამოვიდა სამშობლოში და ძლიერ მალე გავრცელდა ჭორები 25 წლით გადუსახლებიათ... არ ვიცი ვინ ღებულობდა ასეთ ცნობებს,

---

<sup>1</sup> გიორგი გომელაური - სამხედრო პირი, პოლკოვნიკი არგენტინაში მცხოვრებ კავკასიელთა გაერთიანების თავმჯდომარე. გარდაიცვალა ბუენოს-აირესში 1959 წელს.

<sup>2</sup> აკაკი პაპავა (1890-1964) - მწერალი, ჟურნალისტი, საზ. მოღვაწე. 1949 წლიდან ევროპიდან შეუერთდა არგენტინის ქართულ ემიგრაციას. იყო ქართველთა საზოგადოების „წმინდა გიორგის“ საპატიო თავმჯდომარე.

<sup>3</sup> მიხეილ (მიშა) ღიასამიძე (1878-1960) - არგენტინაში ქართული სათვისტომოს და ემიგრანტული ჟურნალის „მამულის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, არგენტინაში მყოფ ქართველთა საზოგადოება „წმინდა გიორგის“ გამგეობის წევრი.

<sup>4</sup> ალექსანდრე კონიაშვილი (1873-1951) - გენერალი, იაპონიისა და I მსოფლიო ომის მონაწილე, იბრძოდა კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის წინააღმდეგ. მამაცობისათვის დააჯილდოვა ნიკოლოზ მეორემ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მონაწილეობდა ქართული ჯარის ჩამოყალიბებაში და იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას. 1921 წლიდან მსახურობდა პოლონეთის სამხედრო ძალებში. II მსოფლიო ომის შემდეგ ცხოვრობდა გერმანიაში, იტალიაში, საბოლოოდ კი არგენტინაში დამკვიდრდა. დაკრძალულია ბუენოს-აირესის გარეუბანში - მორონში.

<sup>5</sup> კოტე ვაშაძე (1909-1967) - გარდაიცვალა არგენტინაში.

<sup>6</sup> პოლიკარპე დგებუაძე - არგენტინაში ქართული სათვისტომოს, ქართველთა საზოგადოება „წმინდა გიორგის“ სარევიზიო კომისიის წევრი.

მე ჭკორი მეგონა, მხოლოდ სამშობლოში როდესაც დავბრუნდი, მაშინ მივხვდი, რომ მართალი ცნობა იყო... არგენტინაში იქაურები ალექსს მეძახდნენ, რადგან შოთა ესპანურად ძლიერ ცუდ საგანს ნიშნავს...

\*\*\*

ახალ ქარხანაში ერთი წელი ვიმუშავე, არ მომეწონა, ისევ გამოვიცვალე სამუშაო. ეხლა ძლიერ პატარა ქარხანაში დავიწყე მუშაობა. ქარხნის პატრონი ყოველ საღამოს შახმატს მეთამაშება კაფეში, სადაც თავს იყრიან შახმატის მოყვარულები, წაგებული იხდიდა ყავის ხარჯსა და ერთ კონიაკს. ერთ საღამოს კაფეში შემოდის ტანით ძლიერ დიდი, წარმოშობით იტალიელი...

– ჰე, რუსო ხვალ არგენტინა-რუსეთი თამაშობს ფეხბურთს... არგენტინის ხელზე ვთამაშობ. 1000 პესო მე მეძვირა და უარი განვუცხადე, გვერდზე გადავჯექი, ავიღე საღამოს გაზეთები და სპორტის გვერდი გადავშალე, მოთამაშეების სიაში ამოვიკითხე ჩოხელი, მესხი და მეტრეველი... იმ წუთას იმ გაბერილს დავუძახე, ვუთხარი რომ ვთამაშობდი, რადგან რუსების გუნდში სამი ქართველი იყო. ფული კაფეს მეპატრონეს ჩავაბარეთ...

... გათენდა. მართალია სიცხის დროა, მაგრამ გრილი დღე გამოვიდა. ჩვენებს ბედი ჰქონიათ არ დასცხებათ... შევაჯექი მოტოს, ჩავედი რივერ-პლეის სტადიონზე. ვინაიდან კლუბის წევრი ვარ, უფლება მაქვს შევიდე კლუბის პარკში, მხოლოდ სათამაშო მოედანზე შემავალ კარებებში გაძლიერებული დაცვაა, ძნელია უბილეთოთ შესვლა. თორმეტის ნახევარია, პატარა საბარგო მანქანა მოვიდა, მოიტანა უშველგებელი კალათებით პური და სოსისკები, გამყიდველი ჩემი ნაცნობია, იმ წუთას წავავლე კალათას ხელი და ვუშველე

ატანა ბუფეტამდის, ახლა უკვე შიგნით ვარ, მხოლოდ 5 საათი უნდა ველოდო, რადგან საღამოს 5-ზე იწყება თამაში. მეტი რა გზა მაქვს, დავჯექ ერთ კუთხეში, ფიქრებში გადავვარდი ისევ სამშობლოში... ნინიკოსთან ერთად ვარ ღინამოს სტადიონზე, მზიარული და ბედნიერი, ჩვენმა „ღინამომ“ მინსკის „ღინამოს“ მოუგო, გახარებულები ვბრუნდებით სახლში...

როგორც იქნა მოვიდა სანატრელი დროც. სტადიონზე გამოჩნდნენ საბჭოთა ფეხბურთელები, ხალხმა ტაშით მიიღო მოთამაშეები. საბჭოთა ჰიმნი არ შეასრულეს, რათა ანტიკომუნისტებს სტვენა არ დაეწყოთ. პროგრამით ვიცი №7 მეტრეველია, №11 მესხი. მესხის თამაშმა მთლათ გადარია მაყურებელი, განსაკუთრებით მესხის გუშაგი სიმონე, რომელიც არგენტინაში ითვლება ყველაზე კარგ მცველად. საწყალი სიმონე, შემეცოდა, რადგან მესხმა მალე თავბრუ დაახვია, ბურთის მაგივრად თვითონ მესხის ტანს ხელებით იჭერდა, ამის გამო მესხიმ მრავალჯერ დაიმსახურა 120 ათასი მაყურებლის ტაში. პირველი გოლი მესხის ჩაწოდებული პასით იქნა პოლედენიკის მიერ გატანილი პირველ ნახევარში, მეორე ნახევარ თამაშშიც ქართველის ჩაწოდებული ბურთი იქნა არგენტინელების კარში გატანილი. როგორც ზევით ავღნიშნე 120 ათასი კაცი, მხოლოდ მესხის და მეტრეველის თამაშით იყო მოხიბლული, საბჭოთა კარს იცავდა იაშინი, მას ცხვირი გაუტეხეს, ამიტომ იძულებული იყო მიეტოვებინა თამაში.

ბუენოს-აირესში ბევრი საფეხბურთო სტადიონები და კლუბებია, მათ შორის არის მხოლოდ შვიდი კლუბი ძლიერ მდიდარი. ერთ-ერთ მათგანს ჰქვია „ბოკა ჟუნიორი“ სწორედ მისმა თავმჯდომარემ განაცხადა რადიოში და საღამოს გაზეთში: „ვინც მე მომიყვანს მესხს და მეტრეველს, გასამრჯელოს 50 მილიონ პესოს ვაძლევო“, ეს უზარმაზარი თანხაა,

ძლიერ დიდია საშიშროება, მრავალი განგსტერი შეეცდება ამ ორი მოთამაშის მოტაცებას. საბჭოთა საელჩომ მობილიზაცია გაუკეთა ყველა იმ პირებს, ვინც კეთილ დამოკიდებულებაში იყო საბჭოთა ქვეყნისადმი და ღაცვა დაუყენა მოთამაშებს. საბჭოთა ფეხბურთელები გამოდიან ავტობუსში ჩასაჯდომად, ხალხმა და პოლიციამ გასასვლელი გადაკეტა, ყველა ტაშით აჯილდოვებს მოთამაშებს, ვინ მიმიშვებს ახლოს... შემოვა-ჯექი ჩემს მოტოს და პოლიციელების კორდონს უკან გავყევი, ავტობუსმა სასტუმროს კარამდის მიიყვანა მოთამაშეები. სასტუმროში კარებთან ბევრი რუსი, უკრაინელი და ქართველი დგას, მოთამაშეებთან არავის უშვებენ, ხედამ რამოდენა ჩეკისტები ჩამოუყვანიათ მოსკოვიდან სთქვა ტარასმა, ამას მეორე ქართველმა დაუმატა:

– თუ თავისუფლებაა საბჭოთა კავშირში, რატომ ყარაულობენ ასე, ჩვენ ხომ არ ვიტაცებთ, რატომ არ გვაძლევენ უფლებას მივესალმოთ.

– 50 მილიონი კარგი ფულია, თქვა ამბროსიმ და ტარასის საღამოს გაზეთი გაუწოდა, რომელიც 20 საათზე გამოდის.

– დიდი, შავი ასოებით სწერია „ბოკა ჟუნიორი“ აძლევს 50 ათასს იმ პირს, ვინც მიუყვანს მესხს და მეტრეველს. მე, ალბერტო ხოსე არმანდო გავუკეთებ პოლიტიკურ თავშესაფარს“ ეს წავიკითხე, გამეცინა, ვერავინ მოგიტაცებთ ბიჭებო, ძალით შევიჭერი სასტუმროს ვესტიბიულში, სამიოთხი რუსი გადამიდგა, მაგრამ ვერ გამაჩერეს, მივულოცე გამარჯვებულებს, ახლა მინდა ჩემი სურათი გავატანო, რათა ახარონ ჩემს ახლობლებს ჩემი სიცოცხლე, სიჩქარეში საუბარი ვერ მოვასწარი, ფეხბურთელები ჩასხდნენ ავტობუსში, მე დაღონებული თვალთ შევყურებ მათ მხიარულებას, ახალ-



გაზრდები არიან, სამშობლოც აქვთ და მფარველიც ყავთ. მე არაფერი გამაჩნია.

\*\*\*

ბევრმა ქართველმა არგენტინის ქვეშევრდომობა მიიღო, ყველა მაძალებს გავხდე არგენტინელი, მე უცხო რჯულის ვერ გავხდები, ეს რომ მდომოდა ფრანგების ჯარში ვიყავი, მივიღებდი ფრანგობას. მართალია, ჯერ არაფერი შანსი მაქვს სამშობლოში დაბრუნების, მაინც არ მინდა გავხდე სხვისი მოქალაქე, მე მირჩევიან ვიყო უსამშობლო, ვინემ არგენტინელი, 25 წელი შევიწარჩუნე ჩემი ქართველობა უცხოეთში, რადგან ვამაყოფ ჩემი ქართველობით.

\*\*\*

მამაო ნიკოლოზმა პარიზში მითხრა, შენც გამოგელევა ცრემლიო, მხოლოდ არ ვიცი მე მგონი უფრო მეტი ცრემლი ახლა მომდის. ჩვენს სასტუმროსთან პატარა, ბუნებრივი ჩანჩქერია. იმ ღამეს 5-ჯერ გამეღვიძა, უგდებ ყურს ჩემი სოფლის კლდის წისქვილის ჩანჩქერის ხმაა, მაგრამ რატომ არ ყიყინებენ ბაყაყები, არც ჭრიჭინების ხმა ისმის... ერთბაშათ ვერკვევი სასტუმროს ოთახში ვარ... ავდექი, ჩავიცვი შარვალი, გარეთ გავედი, სიგარეტს მოვუკიდე, გავყურებ ოკეანეს, გამახსენდა ჩემი შავი ზღვა. ერთხელ, ბავშვობისას ბათუმში გავყურებდი ზღვის ჰორიზონტს და ვთქვი ნეტა იქითა მხარეს როგორ არიან... ახლა, 35 წლის მერე გავყურებ ატლანტიურ ოკეანეს და ვფიქრობ, ნეტა, იქითა მხარეს როგორ არიან, ვინ დარჩა ცოცხალი, ჩემი მეგობრებიდან, გამახსენდა

ძმები კალატოზიშვილები<sup>1</sup>, ისინი ზომ დაბრუნებას აპირებდნენ, ნეტა თავისუფლები არიან თუ ჩასვეს, ზრუშოვმა ზომ ამინისტია გამოაცხადა. ალბათ, ახლა ირაკლი და შოთა ჩემზე ბედნიერები არიან, ეს, დავბრუნდებოდი, თუკი მიმიღებენ უკან, მაგრამ ვინ იცის ციხეში მიკრან თავი, ან ყაზახეთში, ან ციმბირში...

\*\*\*

...ბოლოს შეგვიშვეს ჩილეში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე სამოთხე გეგონება ისეთი ლამაზი სანაპიროებია, ჩვენი შავი ზღვის ბათუმი და სოჭის სანაპირო გამახსენდა. ქალაქ სანტიაგოში ერთ ქუჩის გადასავალზე ერთმა ავტომკინალამ გვერდი გამკრა, მე გულმოსულმა ქართულად შევაგინე, ავტომ ერთბაშად დაამუხრუჭა, მძღოლმა თავი გამოყოფა და მეკითხება:

– ქართველი ხარ?

– ქართველი ვარ, გადავეხვიეთ ერთმანეთს და ჩაკოცინეთ. იმ წუთში ბრძანებით მითხრა, მე მომყევით, კარგ სასტუმროში მიგიყვანთო. მალე მივედი ერთ უშველებელ შენობასთან, წავიკითხე სასტუმრო „ბრესტოლი“ ეწერა და ძლიერ ძვირი იყო, ჩვენი ჯიბით იქ ვერ შევიდოდით.

– ეს, ჩემო ძმაო, ჩვენ მუშები ვართ, სადაა იმდენი ფული ერთ სასტუმროში დავხარჯოთ.

– შენ თუ არ გაქვს, მე ზომ მაქვს!

– არა, ბატონო, ჩვენ ათი სული ერთად ვართ, ვმოგზაურობთ, ძმურად ვხარჯავთ.

– ეგ შენი ძმებია, შენ კი ჩემი ქართველი ხარ, ამიტომ 10 დღე ჩემი სტუმრები იქნებით!

---

<sup>1</sup> შოთა და ირაკლი კალატოზიშვილები - II მსოფლიო ომის ყოფილი ტყვეები.

ადმინისტრატორმა იმ წუთში მოგვცა 5 ოთახი, რესტორანს გასცა ბრძანება გეემზადებინათ მაგიდა ყველაზე კარგი ღვინოთი... ჩვენი გულუხვი მასპინძელი ავთანდილ მერაბიშვილი<sup>1</sup> იყო... შვიდი დღე დავრჩით ჩილეში, მერაბიშვილმა ბევრი საჩუქრები შემომთავაზა, მაგრამ მოტოციკლეტით მისი ჩამოტანა შეუძლებელი იქნებოდა, დავეთანხმე ინგლისურ სიგარეტებზე. ბუენოს-აირესში ყველანი კარგად დავბრუნდით.

\*\*\*

მალე ახალი წელი მოდის, 1964, ვზივარ ტელევიზორთან სურათს კი არ ვუყურებ, ფიქრებში გადავვარდი, ბოლოს გადავწყვიტე სოფელ უდსონში წავიდე. იქ ყოფილი ტყვეები ცხოვრობენ. მართალია, არავის ყავს ქართველი ცოლი, მაინც რომელიმე ოჯახში რამდენიმე ქართველი მოიყრის თავს. შევაჯექი მოტოციკლეტს, ჩემი სახლიდან 80 კილომეტრია, მხოლოდ გზა ძლიერ კარგია, ამიტომ გასეირნებაც იქნება და იქნება დამებდოს ქართველებთან შეხვედრა. წავედი ჩემს მეგობართან, ჟორას ძლიერ გეეხარდა, ცხვარი მაქვს დაკლულიო, ჩემი მეზობლები ჩემთან იქეიფებენო. ე. ი. ჟორასთან ქართველები არ იქნებიან, მაინც ქართული ოჯახია, ჟორას ცოლმა იმ წუთში ხორცი შემიწვა, შევნაყრდი, ღამის 12

---

<sup>1</sup> ავთანდილ მერაბიშვილი (?-1974) - მეცენატი, სპილენძისა და გვარჯილის მაგნატი ჩილეში. იდეოლოგიური მოსაზრებით პარიზში, 1926 წ. მოკლა გრიგოლ ვეშაპელი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა. საფრანგეთიდან გასახლების შემდეგ ცხოვრობდა ბელგიაში, გერმანიაში, არგენტინაში, ბოლივიაში, ბოლოს ჩილეში, სადაც გააშენა სააგარაკო ქალაქი და ქუჩებს ქართველ მწერალთა სახელები უწოდა. 1954-1957 წლებში მთლიანად დააფინანსა ვიკტორ ნოზაძის ნაშრომების გამოცემა.

საათამდის გეყოფათ. ამ დროს კარლო კვანტალიანი<sup>1</sup> მოვიდა, ჟორას ლუქანში ბევრი სანოვაგე იყიდა ნისიათ. მე დავსვი მოტოციკლეტზე და თავის სანოვაგით სახლამდის მივიყვანე. კარლომ იქვე არჩილ ჩოლოყაშვილთან მიმიყვანა. არჩილს ძლიერ გეეხარდა, სახლში შემეყვანა და თავისი ბოსტნიდან ქართული წიწმატი, კიტრი, პომიდორი და ტარხუნა მოიტანა, გააკეთა სალათა, გამოიღო ტარხუნის ლიქიორი, ჭიქები შევაკეთ...

– გაუმარჯოს ვინც ჩვენი გულისთავი შავებშია, სთქვა არჩილმა.

– ეჰ, ბიჭო მეცოდებიან, რო ვიცოდე არ ჩამსვამენ, დღესვე წავიდოდი.

– ეხ, შოთა, მეც მინდა წავიდე, ახლა ხელმეორეთ ოჯახის დანგრევა არ მინდა, ეს ოთახი და ის მიწა ჩემია.

– თუ გაყიდი გზის ხარჯათ გეყოფათ.

– ჩემი ფეხით მივიდე, რათა თბილისის სადგურიდან ციმბირის მატარებელში გადამსვან?! აგერ არჩილა ორჯონიკიძე ხომ გახსოვს, 25 წელი მიაკრეს...

არჩილმა მეორე ჭიქა ასწია – ეს ჩვენს პატარა, კოხტა საქართველოს გაუმარჯოს. ასე შეყვევით. კარლომ დამტოვა არჩილთან, თვითონ გაიქცა თავის ქოხში. არჩილი მოვისვი უკან, მარცხნივ გამახვევინა და გამაჩერებინა. ერთ პატარა კოხტა სახლში შევიდა, იქიდან სერგო ალიხანაშვილი გამოვიდა, მომკიდა ხელი და ძალით შემეყვანა.

---

<sup>1</sup> კარლო კვანტალიანი - არგენტინის ქართული ემიგრაციის ღირსეული წარმომადგენელი. 1952 წლის 29 დეკემბერს არგენტინაში გამართულ შობის ხის დღესასწაულზე წარმოდგენილ სპექტაკლში „ლუქანი“ (დადგმა აკ. პაპავასი) დიდი წვლილი შეუტანია კ. კვანტალიანს და შეუსრულებია ოსის როლი.

– გაიცანი, ცნობილი მსახიობი იყო ერთ დროს, ეხლა ჩემი ცოლია მითხრა სერგომ და მთელი სახლი დამათვალიერებინა.

– სერგო, ეს რა სტანოკია?

– ახლა მე ფეხსაცმელების მკერავი ვარ, ებრაელებს მოაქვთ შესაკერათ, თვითონვე მიყიდეს ეს სტანოკი, ხუთ წუთში ერთი წყვილი იკერება, შეხედე, ხელით შეკერილი გეგონება და მაჩვენებს თავის შეკერილ ფეხსაცმელს.

– სერგო, ჟორასთან უნდა წავიდე, მელოდება.

– არავითარი ჟორა, აქ მალე კოტე, ვანო, არჩილი, ამბროსი და სხვები უნდა მოვიდნენ ახალი წლის შესახვედრად. თამარამ უკვე სუფრის გაშლა დაიწყო.

მე იქ დარჩენა უფრო მესიამოვნა, 7-8 ქართველი ვიქნებით. თამარა ციმბირელი თათრის ქალია, მაინც ჩვენებურია, ჟორასთან იტალიელები და არგენტინელები იქნებიან, იქ მარტო გაძლები, აქ კი ისიამოვნებ, ამიტომ დავრჩი ალიხანაშვილის ოჯახში. ვანო საგინაშვილს კარგა ხანია არ უნახივარ, ძლიერ გეეხარდა ჩემი ნახვა. 12 საათი ხდება, თამარმა სუფრაზე მიგვიწვია, მანამდის ნარდს ვთამაშობდით, ესეც ახალი სიამოვნება იყო ე. ი. 1936 წლის შემდეგ აღარ მითამაშია. ქუჩაში ატყდა შუშხუნების ბრახა-ბრუხი, ფრონტი მომაგონდა, იმოდენა სროლის ხმებია. ჩვენც ავდექით ფეხზე ერთმანეთს მიულოცეთ ახალი წელი და ავაფეთქეთ შამპანიური, ღვინის ბოთლები და ძმურად გადავკოცნეთ ერთმანეთი...

ღიღის 8 საათზე ავდექით სუფრიდან, მე ბოდიში მოვიხადე, ჟორას ნახვა მინდა მეთქი. სერგო მე მომიჯდა, კოტემ არჩილა შემოისვა ასე ჩავედით ჟორასთან. მას ღამის პირველ საათზე დევმთავრებინა ქეიფი, რადგან სულ მეზობლები ყავდა. აბა, იმათ რა იციან ქართული ქეიფი. ბევრი ცხვრის ხორცი შეუნახია ჟორას, რადგან იცოდა ახალ

წელს ბევრი ქართველი მივიდოდა მისალოცათ... მერე მე და კოტე შევასხედით ჩვენს მოტოებს და წამოვედით. გზაში გადავწყვიტეთ ლომას დე ზამორაში წავსულიყავით და ჭეიშვილებისათვის მიგველოცა

აკაკი პაპავას ორი ქალიშვილი ყავდა. უმფროსი<sup>1</sup> გათხოვდა ჭეიშვილზე<sup>2</sup>, უმცროსმა დამ<sup>3</sup> გასცინა: რავა, ბოშო, რაღა ჭეიშვილზე თხოვდებოდით, არ მომწონს ეს გვარიო. უმცროსი და ომის დროს პარიზში ნათესავთან იყო სტუმრათ. იქ გაიცნო ერთი შავგვრემანი ქართველი ბიჭი, შეხედულობით ძლიერ მომხიბლავი, რომელმაც მზია გააცვილა ნათესავის სახლამდე. საშას<sup>4</sup> მოსწონებია, ამიტომ ელენე ფერადის რესტორანში სადილათ დაუპატიჟია, მზიასაც მოსწონებია, მალე გადაწყვიტეს დაქორწილდნენ. როცა ბიუროში მივიდნენ ხელის მოსაწერათ, მზიას კალამი ხელიდან გაუვარდა, როცა გაიგო ჭეიშვილზე თხოვდებოდა. მაინც მოაწერა ხელი, ასეთი მშვენიერი ბიჭის დაკარგვა აფსუსი იყო. როცა ტურფამ გაიგო სიძის გვარი დას უთხრა – რა მოგეწონა ჭეიშვილის გვარში, რავა გაყვეო და სიცილით მიულოცა მზიას. საშა და სიმამრი მეზობლათ ცხოვრობდნენ, ამიტომ

---

<sup>1</sup> ტურფა პაპავა-ჭეიშვილი - აკაკი პაპავას უფროსი ქალიშვილი.

<sup>2</sup> ლეონიდე (ლეო) ჭეიშვილი (1905-1990) - 1926 წელს სასწავლებლად წავიდა გერმანიაში და დარჩა ემიგრაციაში. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი, მხატვარი. 1938 წ. დაქორწინდა თამარ და აკაკი პაპავების უფროს ქალიშვილზე ტურფა პაპავაზე. II მსოფლიო ომის შემდეგ ოჯახთან ერთად გადავიდა არგენტინაში.

<sup>3</sup> მზია პაპავა-ჭეიშვილი - აკაკი პაპავას უმცროსი ქალიშვილი.

<sup>4</sup> ალექსანდრე (საშა) ჭეიშვილი (1905-1991) - ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. თამარ და აკაკი პაპავების უმცროსი ქალიშვილის - მზიას მეუღლე. II მსოფლიო ომის შემდეგ საცხოვრებლას გადავიდა არგენტინაში.

ჩვენ სამასთან წავედით, რადგან ლეოც თავის ოჯახით იქ მივიდოდა.

პირველად 10 წლის შემდეგ, 1959 წელში ვესტუმრე ბატონ აკაკის. ძლიერ კარგად მიმიღეს. ქალბატონ თამარმა<sup>1</sup> ქართული ლექსების წიგნი მომცა წასაკითხათ. მე სიამოვნებით ავიღე ხელში, უკვე 18 წელია ქართულად არაფერი წამიკითხამს, ზოგი ასოების კითხვა დამავიწყდა, ამ ამბავმა ორივე ძლიერ შეაწუხა. მაშინვე ორი წიგნი მაჩუქეს, რომლებიც ტურფამ და ნათელამ (უნდა იყოს მზია – ს.ჯ.) მამის ლექსები შეაგროვეს და გაგზავნეს ჩილეში. იმ ხანობაში მერაბიშვილმა ვიკტორ ნოზაძეს პატარა სტამბა გაუკეთა და ამ ვიკტორ ნოზაძემ დაუბეჭდა. 50 წლის ქორწინების დღისათვის შვილებმა მამას აჩუქეს ეს ძვირფასი წიგნი. მეორე დღეს ავედი ჩემი სახლის სახურავზე და დავიწყე პაპავას ლექსების კითხვა, გამიჭირდა, ცოტა დავლონდი... ამის შემდეგ ძლიერ ხშირათ ვკითხულობდი ქართულად.

\*\*\*

ერთ დღეს ქალაქის ცენტრის ქუჩები რეკლამებით გაიმსო: „პირველი ივნისიდან ეროვნული ქართული ცეკვები მთვარის პარკში“. ძლიერ გამეხარდა ქართველების ჩამოსვლა, ამათთან მექნება ალბათ საუბრის თავისუფლება.

ცეკვები დაიწყო, მე კი ფული არა მაქვს, უფულოდ როგორ მივეკარები, ველოდები ჯამაგირს. 4 ივლისს, ღამე სიზმარში ისევ „ტაუს“<sup>2</sup> კურსანტი ვიყავი, ოხ, როგორ მეწყინა როდესაც როცა საათმა გამაღვიძა, კინაღამ დავამტყ-

---

<sup>1</sup> თამარ პაპავა (1888-1976) - მწერალი და საზოგადო მოღვაწე, არგენტინის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე.

<sup>2</sup> TAY (რუს.) - თბილისის საარტილერიო სასწავლებელი.

რიე... დაღონებული მოვედი სამუშაოზე, სტანოკი ავამუშავე, ჩვეულებრივ დავდგი წყალი ყავის გასაკეთებლათ. მე ამ ქარხანაში მყავდა ერთი მეგობარი ვალია ერქვა, რომელსაც ყოველდღე ვასმევდი ყავას, როდესაც მე ვსვამდი.

– ეხ, ვალია, წუხელ ტაუს კურსანტი ვიყავი.

– რომელ წელს სწავლობდი?

– 40-41 წლებში.

– მაშ, ამ ნომრებზე ითამაშე და უსათუოთ მოიგებ.

მეც ამ ნომრებზე დავსვი და მართლაც მოვიგე, ეზოში გამოვედი და იქვე ქარხნის პრეზიდენტი გამომელაპარაკა:

– დონ შოთა, წუხელის ტელევიზორში ვუყურე ქართველების ცეკვის რეკლამას, თქვენ ალბათ ინახულებდით.

– არა, ფული არ მქონდა დღემდის... თუ წამობრძანდებით მე ვიშოვი ბილეთებს.

მე უკვე ზედმეტს ვაძლევდი ბილეთებში, მაინც ვერ ვიშოვე, - მითხრა პრეზიდენტმა.

– მე ახლავე ვიშოვი თუ წამობრძანდებით, მთელი ოჯახით გეპატიჟებით.

იმ წუთას გიჟივით გავაქროლე კორიენტეს გამზირისაკენ, იქ არის ორი კაფე, სადაც მხოლოდ ებრაელები იყრიან თავს, ნარდიც კი აქვთ სათამაშოთ. ბედზე ჩვენი ქართველი ებრაელები ხაიმა და გაბო იქვე ისხდნენ შესასვლელ კარებთან.

– გამარჯვებათ, ჩამოვართვი ხელი და იქვე ჩამოვჯექი. ხაიმ, შენ ამ ორი წლის წინ იყავი საქართველოში, ალბათ იქაც ნახე სუხიშვილების გუნდი.

– ბილეთი არ მთხოვო.

– ხაიმ, თუ მიშოვი შენ სახელს ყოველთვის კეთილათ მოვიხსენიებ, ქარხნის პრეზიდენტი მყავს ოჯახობით დაპატიჟებული...



– ერთი მეგობრისთვის ვინახამდი, კარგი მუშტარია... რახან ქარხნის პრეზიდენტისათვის გინდა დაიჭვი, შენში მე ფულს არ მოვიგებ, მომცა ხუთი ბილეთი.

იმ წუთას ავიღე ტელეფონი, სენიორ, ვიშოვე ხუთი ბილეთი, თქვენი ძმაც წამოიყვანეთ ვუთხარი და ჩემი „იავა“ ქარხნისაკენ გავაქროლე. პრეზიდენტს ძლიერ ეამა ბილეთების დანახვა, თვითონ იტალიური წარმოშობისაა, თურმე ძლიერ მოყვარულია ცეკვების, განსაკუთრებით ცოლი გიჟდება ცეკვებისათვის. მე მინდოდა სახლში წასვლა და კოხტათ ჩაცმა, მაგრამ პრეზიდენტმა მითხრა ჩემს სახლში წავიდეთ და ჩემი კოსტუმი ჩაიცვიო. მოტო ქარხანაში დავტოვე და ჩაუუჯექი მანქანაში. მალე „ლუნა პარკში“ შევედი, კაფეში ყავა დავლიეთ, მერე ადგილებისაკენ გავწიეთ. მეხუთე რიგში მაქვს ადგილები, წინ მთელი ჭკეიშვილების ოჯახი ზის, გამიკვირდა ბატონი აკაკი მეუღლით არ მოსულა, ალბათ გუშინ იყვნენ... მალე შუქი ჩაქრა... მოულოდნელათ, თითქოს არწივი გამოფრინდა, ისეთი ნახტომით გამოვიდა სცენაზე ერთი, მეორე... პრეზიდენტს ვუხსნი ცეკვის შინაარსს, ხალხმა გამაჩუმა, მე კი უსასრულოდ მინდა ლაპარაკი... „ლუნა პარკში“ 8000 სული ეტევა, ერთი ცეკვა ორჯელ გაამეორებინეს, მე ფეხები და მთელი ტანი მითამაშებს, შევხედე დონ ერნესტოს მეუღლეს ბრავო, ბრავოს ყვირის, მთელი დარბაზი ფეხზეა, მალე ოცამდის ქალიშვილი გოგმანით გამოვიდა, მათ დანახვაზე თითქოს ვიღაც ყელში მწვდა და მახრჩობს, მინდა ვიტირო, მრცხვენთან, ალბათ გავწითლდი, დონ ერნესტომ რაღაც მკითხა, ხმა ვერ ამოვიღე, სენიორ ბიანკას არ გამოპარვია ჩემი ტანჯვა – დაწყნარდი, რა მოგდისო... დონ ერნესტომ მხრებზე ხელი დამკრა, მე წამოვდექი, გავედი საპირფარეშოში, რათა ტირილით გული

მეჯერა, იქვე ოთხი ქართველი საუბრობდა, შემრცხვა, უკან გავბრუნდი.

დარბაზში ფეხზე ამდგარი მაყურებელი ბრაო, ბრაოს ბლაოდა. დარბაზი სულ გადაირია, როდესაც ქალბატონ ნინომ ჯეირანი დაამთავრა, სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა დარბაზზე ფარიკაობამ, ყველა ქალი თუ კაცი „მამა მის“ გაიძახოდა, კონცერტი ღამის 11 საათზე დამთავრდა.

სენიორ ბიანკამ ხელი გამომიწვდინა „სენიორ, მუჩას გრასიას“ (დიდი მადლობელი ვარ). ღონ ერნესტომ ღამის რესტორანში აიღო მიმართულება, მე მათთან მაგიდაზე ვზივარ, ფიქრებით საქართველოში გადავვარდი, ვერაფერი ჩაყვლაპე კოკა-კოლას გარდა.

– ღონ შოთა, თუ წახვალ საქართველოში, გზის ხარჯებს მე ვიხდი.

– მადლობთ ღონ ერნესტო, მომავალი იტყვის თავის სიტყვას.

ჩემს ოთახში გავიკეთე ყავა, დილის 2 საათია, ჩავწექი ლოგინში, ცოტა ვიტირე და აღარ მახსოვს რამდენი სიგარეტი მოვწიე ეგრე ჩამეძინა...

დილის 9 საათზე გამეღვიძა. სწრაფათ ჩავიცვი, ჩავჯექი მატარებელში და ცენტრისკენ გავემურე. როცა სასტუმროში მივედი გავიცანი ბევრი მოცეკვავეები, ყველას ვეკითხებოდი ჩემ ცოლს ნინა ჯავახიშვილს ხომ არ იცნობდა ვინმე. ერთ-ერთმა სურათიც კი გადამიღო, რომელიც ჩემი ნინიკოს მეზობელი გამოდგა და ერთ დღეს სურათებს რომ აჩვენებდა მეზობლებს, მოულოდნელად ჩემს ნინიკოს ჩემი სურათი შერჩა.

\*\*\*

ძლიერ მალე გარბის დრო, უკვე დეკემბრის თვე მოვიდა. ქალაქის ცენტრში გრიშა შემხვდა. სხვათაშორის,

გრიშა ჩვენი ცოცხალი გაზეთი იყო, ყველაფერი იცოდა, ყველაფერს ჩვენზე ადრე გებულობდა, რაც გრიშამ არგენტინაში მითხრა, ყველაფერი თითქმის მართალი გამოდგა, როცა სამშობლოში ჩამოვედი, მიკვირდა საიდან ქონდა ეს ცნობები.

– გამარჯობა შოთა, შენ იცი ვანო ბურდულაძემ დედის წერილი მიიღო.

გადავწყვიტე, მომავალ კვირას ვნახო ვანო და წავიკითხო დედამისის წერილი. კვირა დილით წავედი ვანოს სანახავად. გზათ გაუფარე გიორგი მაჩხანელს<sup>1</sup>, პატარა ფიცრულში გეეხსნა დუქანი. გიორგის ცოლმა კუპატები შესწვა. ის იყო საუზმე გავათავეთ, ვანოც მოვიდა. ვუთხარი, რომ დედამისის წერილი მაინტერესებდა.

– რათ გინდა, ჩეკაში დააწერინეს დედაჩემს ალბათ, მაგათ სულელი ვგონივარ, ჩამიყვანენ და დამხვრეტავენ.

– განა რა ჩაიღინე ომის დროს, ალბათ გესტაპომ ბანაკების კომენდანტათ დაგინშნა.

– ვინ მიმიშვებდა გესტაპოში, ლაგერის მზარეული ვიყავი, ბლანდას რა მცოდნე მზარეული უნდა, ჩაყარე ქვაბში გაუფრცქვნელი, ტალახიანი კარტოფილი, დაასხი წყალი და აღუღე სანამ არ დაიშლება სულ.

სადილის შემდეგ ფეხით წავედით შახბაზაროვის სახლამდი. გიორგი სახლში დამხვდა. თბილისიდან შვილს ჩვენი მწვანილების თესლი გაუგზავნია. გიორგიმ ქართული ბოსტანი მაჩვენა. წამში ჟორას საყასბოდან ვანომ მთელი ბარკალი ცხვრის ხორცი მოიტანა. გიორგი ძველი მზარეულია, ქართული მწვანილით გააკეთა ვახშამი. ოხ, რა გემრიელი იყო. შახბაზაროვი ქართველ ებრაელებთან ვაჭრობდა ამ მწვანილით, რომელიც თითქმის გამოუღვევლათ ქონდა და ეს კარგ

---

<sup>1</sup> TAY (რუს.) - თბილისის საარტილერიო სასწავლებელი.

შემოსავალსაც აძლევდა. მისვლისთანავე ვანოს დედის წერილი გამოვართვი...

„შვილო ვანო, რა ხანია მთავრობამ ამინისტია გამოაცხადა, ძლიერ ბევრი ქართველი დაბრუნდა, შენ რაღას უყურებ შვილო, ჩამოდი სანამ მე კიდევ ცოცხალი ვარ, დეეპატრონე შენს ოჯახს, თუ ძლიერ გამდიდრდი, მაშინ ტურისტათ მაინც ჩამოდი, ერთხელ მაინც გნახო. რამდენმა დედამ გაიხარა შვილის დაბრუნებით, სადამდის უნდა გიგლოვო ჩემო შვილო...” მე თვალები ცრემლებით ამევსო, ვანო კი გიჟივით ილიმებოდა.

\*\*\*

არგენტინაში, ომის წინა ხანაში ცხოვრობდა ორი ქართველი. ერთის გვარი აღარ მახსოვს, რადგან პროვინციაში არყის ქარხნის დირექტორათ იყო, ძლიერ იშვიათად ჩამოდიოდა ბუენოს-აირესში. მეორე ქართველი ცხოვრობდა ბუენოს-აირესში, რომელმაც სამასი ქართველისათვის გააკეთა ვიზა და პარიზში მღვდელს, მამაო ნიკოლოზ ზაბახიძეს გამოუგზავნა. სამასი ვიზიდან 84 ქართველი ჩამოვიდა არგენტინაში, ოცამდენ ძველი ემიგრანტი იყო. ერთ დღეს გაერთიანებული კრება მოაწვევეს. ძველ ემიგრანტებს უნდოდათ დეეარსებინათ ქართული კოლონია და თვითონ გამხდარიყვნენ მმართველები. ემიგრანტებს შორის მოხდა შეჯახება, გიორგი გომელაური ამტკიცებდა მე ჩამოგიყვანეთ, მე უნდა ვიყო თავმჯდომარე, მე დიდძალ ხალხს ვიცნობო, თქვენ არც გზები იცით, არც ენა გაქვთო, მეორე მხარე გაყვიროდა ეს დიკტატურა გამოვაო, აქ ყოფილ ტყვეებმა აუწიეს ხმას - ჩვენ კენჭის ყრა უნდა მოვახდინოთ... ამიტომ მოხდა დაჯახება, ამ დღის შემდეგ ქართველები გაიყო ორ ჯგუფად. ძვე-

ლი ემიგრანტები ჩვენ გვიხსენებდნენ როგორც საბჭოთა მხეცებს, ჩვენ კი მათ გადაგვარებულებს უწოდებდით.

მართალია, ერთ პანსიონში ვცხოვრობდით, ერთ სასაიდლოში ვიკვებებოდით, თითქოს, მტრები ერთი მეორეს სალამს აღარ ვაძლევდით.

\*\*\*

არჩილი კარგი მხატვარი იყო, როცა პანსიონიდან გაგდება დაუბირეს, მაშინ იკადრა სახლების მღებავით დაიწყო მუშაობა, მალე გაიცნო ხალხი, გაიჩინა მუშტარი და თხუთმეტი კაცი, რომლებიც უსაქმობით გიჟდებოდნენ, არჩილმა გაიყვანა სამუშაოთ. თვითონ საღებავეს ამზადებდა, დანარჩენები კედლებს ღებავდნენ. მალე ყველამ შესძლო პანსიონის ვალის გადახდა, პატრონი ძლიერ კმაყოფილი იყო, ამიტომ მართო ქართველები დაგვპატიჟა ვახშამზე.

### **დასკვნა:**

შოთა თარხნიშვილის მოგონებები იმდენად საინტერესო ფაქტების შემცველია, რომ კიდევ ბევრი მასალის მოყვანა შეიძლებოდა მისი მემუარებიდან, მაგრამ აქ შევჩერდებით. არსებული მასალა ძვირფასია მრავალი კუთხით ნებისმიერი ქართველი მკითხველისთვის, მეცნიერი იქნება ის, თუ რიგითი მოყვარული მემუარული ჟანრის ლიტერატურისა; თვით მთხრობელს ახასიათებს თხრობის მაღალი კულტურა, არის წრფელი, სანდო. მისი ქართულად მეტყველებისა და წერის კულტურა – დახვეწილი, შესატყვისი მისივე ეპოქისა, თუმცა ზოგ ადგილას გვხვდება გრამატიკული კანონების დარღვევა: ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნების აღრევა; ფუძედრეკად ზმნებზე თემის ნიშნების დართვა; თემის ნიშნე-

ბის არასწორი ხმარება, რაც დღევანდელი მთავრისა არ არის უცხო.

ავტორს ჰქონია მცდელობა პირველი მოკლე ჩანაწერები შემდეგ განეგრძო და გაემშვენებინა, რაც წარმატებით განუხორციელებია კიდევ.

*Sofiko (Nana) Jervalidze*  
*Robert Schuman European School*  
**SECOND WORLD WAR. GEORGIAN CAPTIVES AND  
GEORGIAN EMIGRATION  
(MEMOIRS OF SHOTA TARKHNISHVILI)  
RESUME**

Researchers working on Georgian emigration have a very little information and knowledge about the person of Shota Tharknishvili and his memoirs which have been recently found in the family archives. Shota Tarknishvili wasn't a politician, neither a scientist, nor a writer or a public person. He was a victim of WW2 who spent years in Nazi captivity and came back to Georgia after 25 years. He was born on 18 March 1915. He completed his studies in the Artillery College in 1941 and was sent for service in Ukraine. The WW2 started in two weeks and soon he occurred in Nazi captivity. Upon release from the captivity he fought in the army of General De Gaulle, and then in French Foreign Legion, at the same time he was a member of Georgian emigration in Paris. In 1950 he joined Georgian emigration in Argentina.

Shota Tarkhnishvili came back to Georgia in 1965 and started drafting his memoirs where he describes his life in emigration in details. It is by accident that his memoirs were

discovered, without them we would never learn about his life under ww2, under Nazi captivity, and the life of Georgian emigration in France as well in Argentina in such details.

Some parts of his memoirs are published the first time; they may be interesting for researchers working on Georgian emigration abroad.